# ბიბლიოგრაფიის მოამბე

2—3

თბილისი
საქართველოს სსრ სახელმწიფო წიგნის პალატა
1941



საქართველოს სსრ სახელმწიფო წიგნის პალატა

# ბიბლიოგრაფიის მოამბე

## 2—3

Ч 9228



თბილისი
საქართველოს სსრ სახელმწიფო წიგნის პალატის გამომცემლობა
1941

პასუხისმგებელი რედაქტორი ვ. გოგოლაძე.

ტირაჟი 500. ხელმოწერ. დასაბეჭდ. 10/XI—1941 წ. უე 42212, ანაწყობის ზომა 7×11=53,280, სასტ. ფორმ. რაოდ. 15, საავტ. 18,4, შეკვ. № 868

საქ. წიგნის პალატის სტამბა. თბილისი, პლეხანოვის პრ. № 59.



# შ ი ნ ა ა რ ს ი


თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის ი. ბ. ს ტ ა ლ ი ნ ი ს გამოსვლა რადიოთი 1941 წ. 3 ივლისს . . . . . 5

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის და საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის ამხ. ვ. მ. მ ო ლ ო ტ ო ვ ი ს გამოსვლა რადიოთი 1941 წ. 22 ივნისს . . . . . 13

გ ო გ ო ლ ა ძ ე ვ. მ. საქართველოს სსრ სახელმწიფო წიგნის პალატის მორიგი ამოცანები . . . . . 15

ბ ა ქ რ ა ძ ე გ. ი ლ. საქართველოს ბიბლიოთეკების საერთო-ბიბლიოგრაფიული სამუშაოები III სტალინურ ხუთწლედში . . . . . 30

ჩ ხ ა ი ძ ე გ რ. ქართული საგნობრივი კატალოგის პრობლემა . . . . . 47

**М а р к е в и ч Д. Н.** Справочно-библиографическая, информационная и консультационная работа в библиотеках Грузинской ССР . . 61

საქართველოს პირველი ბიბლიოგრაფიული კონფერენციის დადგენილებიდან . 97

საქართველოს პირველი ბიბლიოგრაფიული კონფერენცია (დღიური) . . . . 99

ჩ ხ ა ი ძ ე ი. საქართველოს ჟურნალ-გაზეთები 1939 წელს . . . . . 116

კ ა ხ ი ა ნ ი ვ ლ. ბიბლიოთეკათმეცნიერების ცალკეულ დისციპლინათა, მისი საერთო სისტემის და ორგანიული წყობის საკითხისათვის . . . . . 127

ჩ ხ ა ი ძ ე გ რ. სისტემატური კატალოგის გაწყობის ზოგიერთი საკითხისათვის . 155

ბ ე რ ძ ნ ი შ ვ ი ლ ი მ ა ქ ს. თბილისის საჯარო ბიბლიოთეკის ისტორიისათვის 159

**З е р ц а л о в Г. В.** Из истории русской печати в Грузии в досоветский период . . . . . 167

მოკლე ბიბლიოგრაფია მარქსიზმ-ლენინიზმის ლიტერატურის უმთავრეს ბიბლიოგრაფიულ საცნობარებისა (1939—1941 წ.წ.) . . . . . 201

ბ ე რ ძ ნ ი შ ვ ი ლ ი მ ა ქ ს.—ნოტა ბენეს ვინაობისათვის . . . . . 205

მ ე ლ ი ქ ს ე თ-ბ ე გ ი ლ. აკაკი წერეთლის თხზულებათა თარგმანები სომხურ ენაზე . . . . . 217

კ ა ხ ი ა ნ ი ვ ლ. უცხოელები საქართველოს შესახებ. (ანოტირებული ბიბლიოგრაფია) . . . . . 223

ც ი ც ი შ ვ ი ლ ი ი ვ., ჩხაიძე გრ. საგნობრივი კატალოგი. რეცენზია . . . . 233

## Содержание

Выступление по радио Председателя Государственного Комитета Обороны И. В. Сталина 3 июля 1941 г. . . . . 5
Выступление по радио Заместителя Председателя Совета Народных Комиссаров Союза ССР и Народного Комиссара Иностранных Дел тов. В. М. Молотова 22 июня 1941 г. . . . . 13
Гоголадзе В. М. Очередные задачи Гос. книж. палаты Груз. ССР . 15
Бакрадзе Г. Ил. План общебиблиографических работ в библиотеках Груз. ССР в III Сталинской пятилетке . . . . . 30
Чхаидзе Гр. Проблема грузинского предметного каталога . . . . 47
Маркевич Д. Н. Справочно-библиографическая, информационная и консультационная работа в библиотеках Грузинской ССР . . . 61
Из постановления первой грузинской библиографической конференции. 97
Дневник первой библиографической конференции . . . . . 99
Чхаидзе И. Периодическая печать Грузии в 1939 году . . . . . 116
Кахиани Влад. К вопросу об отдельных дисциплинах библиотековедения, его общей системы и органического строения . . . . . 127
Чхаидзе Гр. О некоторых вопросах расстановки систематического каталога . . . . . 155
Бердзнишвили Макс. К истории Тбилисской Публичной библиотеки . . . . . 159
Зерцалов Г. В. Из истории русской печати в Грузии в досоветский период . . . . . 167
Библиография справочников по литературе марксизм-ленинизма (аннотированная 1939—1941 г.г.) . . . . . 201
Бердзнишвили Макс.—О личности Нота Бене . . . . . 205
Меликсет-бег Л. Переводы произведений Акакия Церетели на арм. яз. . . . . 217
Кахиани Влад. Иностранцы о Грузии (аннотированная библиография) . . . . . 223
Цицишвили Ив. Чхаидзе Гр. Предметный каталог. Рецензия . . . 233

# თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის ი. ბ. სტალინის გამოსვლა რადიოთი 1941 წლის 3 ივლისს

**ამხანაგებო! მოქალაქენო! ძმებო და დებო! ჩვენი არმიისა და ფლოტის მეომრებო! თქვენ მოგმართავთ, ჩემო მეგობრებო!**

ჰიტლერული გერმანიის მუხანათური სამხედრო თავდასხმა ჩვენს სამშობლოზე, რაც 22 ივნისს დაიწყო,—გრძელდება. მიუხედავად წითელი არმიის გმირული წინააღმდეგობისა, მიუხედავად იმისა, რომ მტრის საუკეთესო დივიზიები და მისი ავიაციის საუკეთესო ნაწილები უკვე დამარცხდნენ და სამარე ჰპოვეს ბრძოლის ველზე, მტერი კვლავ წინ მოძვრება და ახალ-ახალი ძალები მოჰყავს ფრონტზე. ჰიტლერის ჯარმა მოახერხა ხელში ჩაეგდო ლიტვა, ლატვიის მნიშვნელოვანი ნაწილი, ბელორუსიის დასავლეთი ნაწილი, დასავლეთ უკრაინის ნაწილი. ფაშისტური ავიაცია აფართოებს თავის ყუმბარმშენთა მოქმედების რაიონებს, ყუმბარას უშენს მურმანსკს, ორშას, მოგილევს, სმოლენსკს, კიევს, ოდესას, სევასტოპოლს. ჩვენი სამშობლო სერიოზული საფრთხის წინაშეა.

როგორ მოხდა, რომ ჩვენმა სახელოვანმა წითელმა არმიამ ფაშისტურ ჯარს დაანება მთელი რიგი ჩვენი ქალაქები და რაიონები? ნუთუ გერმანელ ფაშისტთა ჯარი მართლაც უძლეველი ჯარია, როგორც ამას განუწყვეტლივ გაჰკივიან ფაშისტი მკვეხარა პროპაგანდისტები?

რასაკვირველია, არა! ისტორია გვიჩვენებს, რომ უძლეველი არმიები არ არიან და არც ყოფილან. ნაპოლეონის არმიას უძლეველად სთვლიდნენ, მაგრამ იგი დაამარცხა ხან რუსეთის, ხან ინგლისის, ხან გერმანიის ჯარმა. პირველი იმპერიალისტური ომის პერიოდში ვილჰელმის გერმანიის არმიასაც უძლეველ არმიად სთვლიდნენ, მაგრამ მან რამდენჯერმე განიცადა მარცხი რუსეთისა და ინგლის-საფრანგეთის ჯარებისაგან და, ბოლოს, დამარცხებულ იქნა ინგლის-საფრანგეთის ჯარების მიერ. იგივე უნდა ითქვას ჰიტლერის ახლანდელ გერმანულ-ფაშისტურ არმიაზე. ამ არმიას ჯერ კიდევ არ შეხვედრია სერიოზული წინააღმდეგობა ევროპის კონტინენტზე. მხოლოდ ჩვენს ტერიტორიაზე წააწყდა იგი სერიოზულ წინააღმდეგობას. და თუ ამ წინააღმდეგობის შედეგად გერმანულ-ფაშისტური არმიის საუკეთესო დივიზიები დამარცხებული იქნენ ჩვენი წითელი არმიის მიერ, ეს იმას ნიშნავს, რომ ჰიტლერის ფაშისტური არმიაც შეიძლება ისევე დამარცხდეს და დამარცხდება კიდეც, როგორც დამარცხდნენ ნაპოლეონისა და ვილჰელმის არმიები.

რაც შეეხება იმას, რომ ჩვენი ტერიტორიის ნაწილი მაინც ხელთ იგდო გერმანულ-ფაშისტურმა ჯარმა, ეს უმთავრესად იმით აიხსნება, რომ ფაშისტური გერმანიის ომი სსრ კავშირის წინააღმდეგ გერმანული ჯარისათვის ხელსაყრელ პირობებში, და საბჭოთა ჯარისათვის არახელსაყრელ პირობებში დაიწყო. საქმე ის არის, რომ გერმანიის ჯარი, როგორც ისეთი ქვეყნის ჯარი, რომელიც ომს აწარმოებს, უკვე სავსებით მობილიზებული იყო, და გერმანიის მიერ სსრ კავშირის წინააღმდეგ გამოყვანილი და სსრ კავშირის საზღვრებთან წამოწეული 170 დივიზია სავსებით მომზადებული იყო და მხოლოდ სიგნალს ელოდა გამოსვლისათვის, მაშინ როდესაც საბჭოთა ჯარი ჯერ კიდევ უნდა მობილიზებულიყო და საზღვრებისაკენ წაწეულიყო. აქ მცირე მნიშვნელობა როდი ჰქონდა იმ გარემოებასაც, რომ ფაშისტურმა გერმანიამ მოულოდნელად და მუხანათურად დაარღვია 1939 წელს გერმანიასა და სსრ კავშირს შორის დადებული თავდაუსხმელობის პაქტი, ანგარიში არ გაუწია იმას, რომ მას მთელი მსოფლიო თავდამსხმელ მხარედ ჩასთვლიდა. გასაგებია, რომ ჩვენს მშვიდობისმოყვარე ქვეყანას, რომელსაც არა სურდა პაქტის დარღვევის ინიციატივა ეკისრნა, არ შეეძლო ვერაგობის გზას დასდგომოდა.

შეიძლება იკითხონ: როგორ მოხდა, რომ საბჭოთა მთავრობა დასთანხმდა დაედო თავდაუსხმელობის პაქტი ისეთ ვერაგ ადამიანებთან და მტარვალებთან, როგორიც არიან ჰიტლერი და რიბენტროპი? შეცდომა ხომ არ დაუშვია აქ საბჭოთა მთავრობას? რა თქმა უნდა, არა! თავდაუსხმელობის პაქტი არის ორ სახელმწიფოს შორის მშვიდობიანობის შესახებ დადებული პაქტი. სწორედ ასეთი პაქტი შემოგვთავაზა ჩვენ გერმანიამ 1939 წელს. შეეძლო თუ არა საბჭოთა მთავრობას უარი ეთქვა ასეთ წინადადებაზე? ვფიქრობ, რომ არცერთ მშვიდობისმოყვარე სახელმწიფოს არ შეუძლია უარი სთქვას მეზობელ სახელმწიფოსთან სამშვიდობო შეთანხმებაზე, თუნდაც ამ სახელმწიფოს სათავეში ედგნენ ისეთი მტარვალები და კაციჭამიები, როგორიც ჰიტლერი და რიბენტროპი არიან. და ეს, რა თქმა უნდა, ერთი აუცილებელი პირობით—თუ სამშვიდობო შეთანხმება არც პირდაპირ და არც არაპირდაპირ არ ლახავს მშვიდობისმოყვარე სახელმწიფოს ტერიტორიულ მთლიანობას, დამოუკიდებლობასა და ღირსებას. როგორც ცნობილია, გერმანიასა და სსრ კავშირს შორის დადებული თავდაუსხმელობის პაქტი სწორედ ასეთ პაქტს წარმოადგენს.

რა მოვიგეთ ჩვენ იმით, რომ თავდაუსხმელობის პაქტი დავდეთ გერმანიასთან? ჩვენ უზრუნველვყავით ჩვენი ქვეყნისათვის მშვიდობიანობა წელიწადნახევრის განმავლობაში და შესაძლებლობა ჩვენი ძალების მომზადებისა მტრის უკუსაგდებად, თუ ფაშისტური გერმანია, პაქტის მიუხედავად, გაბედავდა ჩვენს ქვეყანაზე თავდასხმას. ეს გარკვეული მოგებაა ჩვენთვის და წაგება ფაშისტური გერმანიისათვის.

რა მოიგო და რა წააგო ფაშისტურმა გერმანიამ იმით, რომ ვერაგულად დაარღვია პაქტი და თავს დაესხა სსრ კავშირს? ამით მან მიაღწია თავისი ჯარებისათვის ერთგვარ ხელსაყრელ მდგომარეობას მოკლე ხნით, მაგრამ მან წააგო პოლიტიკურად, ვინაიდან მთელი მსოფლიოს თვალში გამოააშკარავა თავისი თავი, როგორც პირსისხლიანმა აგრესორმა. ეჭვი არ არის, რომ ეს ხანმოკლე სამხედრო ხელსაყრელობა გერმანიისათვის მხოლოდ ეპიზოდია, სსრ კავშირის დიდი პოლიტიკური მოგება კი სერიოზული და ხანგრძლივი ფაქტორია, რომლის საფუძველზედაც უნდა გაიშალოს წითელი არმიის გადამწყვეტი სამხედრო წარმატებანი ფაშისტურ გერმანიასთან ომში.

აი რატომ არის, რომ მთელი ჩვენი მამაცი არმია, მთელი ჩვენი მამაცი სამხედრო-საზღვაო ფლოტი, ყველა ჩვენი მფრინავი-შავარდენი, ჩვენი ქვეყნის ყველა ხალხი, ევროპის, ამერიკისა და აზიის ყველა საუკეთესო ადამიანი, მთელს, გერმანიის ყველა საუკეთესო ადამიანი—ჰგმობენ გერმანიის ფაშისტების ვერაგულ მოქმედებას და თანაგრძნობით ეპყრობიან საბჭოთა მთავრობას, იწონებენ საბჭოთა მთავრობის მოქმედებას და ხედავენ, რომ ჩვენი საქმე სამართლიანია, რომ მტერი დამარცხებული იქნება, რომ ჩვენ უნდა გავიმარჯვოთ.

ომის გამო, რომელიც ჩვენ თავს მოგვახვიეს, ჩვენი ქვეყანა ჩაება სამკვდრო-სასიცოცხლო შეტაკებაში თავის უბოროტეს და ვერაგ მტერთან—გერმანიის ფაშიზმთან. ჩვენი ჯარები გმირულად ებრძვიან მტერს, რომელიც თავით ფეხამდე შეიარაღებულია ტანკებითა და ავიაციით. წითელი არმია და წითელი ფლოტი, სძლევენ რა მრავალ სიძნელეს, თავგანწირვით იბრძვიან თვითეული მტკაველი საბჭოთა მიწისათვის. ბრძოლაში ებმებიან წითელი არმიის მთავარი ძალები, რომელნიც ათასობით ტანკებითა და თვითმფრინავებით არიან შეიარაღებულნი. წითელი არმიის მეომართა მამაცობა უმაგალითოა. მტრისადმი ჩვენი წინააღმდეგობა მტკიცდება და ძლიერდება. წითელ არმიასთან ერთად სამშობლოს დასაცავად გამოდის მთელი საბჭოთა ხალხი.

რა არის საჭირო იმისათვის, რომ მოესპოთ საშიშროება, რომელიც ჩვენს ქვეყანას ემუქრება, და რა ზომები უნდა იქნას მიღებული იმისათვის, რომ შევმუსროთ მტერი?

უწინარეს ყოვლისა საჭიროა, რათა ჩვენმა ადამიანებმა, საბჭოთა ადამიანებმა, შეიგნონ მთელი სიღრმე იმ საშიშროებისა, რომელიც ჩვენს ქვეყანას ემუქრება, და უკუაგდონ უდარდელობა, უზრუნველობა, მშვიდობიანი მშენებლობის განწყობილება, სავსებით გასაგები ომამდელ დროში, მაგრამ დამღუპველი ამჟამად, როდესაც ომმა ძირფესვიანად შესცვალა მდგომარეობა. მტერი სასტიკი და ულმობელია. იგი მიზნად ისახავს ხელთ იგდოს ჩვენი ოფლით მორწყული ჩვენი მიწა-წყალი, ხელთ იგდოს ჩვენი შრომით მოპოვებული ჩვენი პური და ჩვენი ნავთი. იგი მიზნად ისახავს აღადგინოს მემამულეთა ძალაუფლება, აღადგინოს ცარიზმი, დაანგრიოს რუსთა, უკრაინელთა, ბელორუსთა, ლიტველთა,

ლატვიელთა, ესტონელთა, უზბეკთა, თათართა, მოლდაველთა, ქარაველთა, სომეხთა, აზერბაიჯანელთა და საბჭოთა კავშირის სხვა თავისუფალ ხალხთა ნაციონალური კულტურა და ნაციონალური სახელმწიფოებრიობა, გააგერმანელოს ისინი, გერმანელი თავადებისა და ბარონების მონებად აქციოს ისინი. ამრიგად, საქმე ეხება საბჭოთა სახელმწიფოს სიკვდილ-სიცოცხლეს, სსრ კავშირის ხალხთა სიკვდილ-სიცოცხლეს; საქმე ეხება იმას—თავისუფალი უნდა იყვნენ საბჭოთა კავშირის ხალხები, თუ მონობაში უნდა ჩავარდნენ. საჭიროა, რათა საბჭოთა ადამიანებმა შეიგნონ ეს და უკუაგდონ უდარდელობა, რათა მოახდინონ თავისი თავის მობილიზება და გარდაჰქმნან მთელი თავიანთი მუშაობა ახალ, საომარ ყაიდაზე, რომლისთვისაც უცხოა მტრის დანდობა.

შემდეგ, საჭიროა, რათა ჩვენს რიგებში არ მოიპოვებოდნენ მოწუწუნენი და ლაჩრები, პანიკიორები და დეზერტირები, რათა ჩვენი ადამიანები უშიშარნი იყვნენ ბრძოლაში და თავგანწირულად მიდიოდნენ ჩვენს სამამულო გამათავისუფლებელ ომში ფაშისტ დამმონებელთა წინააღმდეგ. დიდი ლენინი, რომელმაც ჩვენი სახელმწიფო შეჰქმნა, ამბობდა, რომ საბჭოთა ადამიანების ძირითადი თვისება უნდა იყოს სიმამაცე, გამბედაობა, უშიშრობა ბრძოლაში, მზადყოფნა იმისათვის, რომ ხალხთან ერთად იბრძოლონ ჩვენი სამშობლოს მტრების წინააღმდეგ. საჭიროა, რათა ბოლშევიკის ეს ჩინებული თვისება ახასიათებდეს წითელი არმიის, ჩვენი წითელი ფლოტისა და საბჭოთა კავშირის ყველა ხალხთა მილიონებსა და მილიონებს.

ჩვენ დაუყოვნებლივ უნდა გარდავქმნათ მთელი ჩვენი მუშაობა საომარ ყაიდაზე, ყველაფერი უნდა დავუმორჩილოთ ფრონტის ინტერესებს და მტრის განადგურების ორგანიზაციის ამოცანებს. საბჭოთა კავშირის ხალხები ახლა ხედავენ, რომ გერმანიის ფაშიზმი დაუცხრომელ ცოფმორეულ გაბოროტებასა და სიძულვილს იჩენს ჩვენი სამშობლოსადმი, რომელმაც ყველა მშრომელისათვის უზრუნველჰყო თავისუფალი შრომა და კეთილდღეობა. საბჭოთა კავშირის ხალხები უნდა აღსდგნენ თავიანთი უფლებების, თავიანთი მიწა-წყლის დასაცავად მტრის წინააღმდეგ.

წითელი არმია, წითელი ფლოტი და საბჭოთა კავშირის ყველა მოქალაქე უნდა იცავდნენ ყოველ მტკაველ საბჭოთა მიწა-წყალს, უკანასკნელ სისხლის წვეთამდე უნდა იბრძოდნენ ჩვენი ქალაქებისა და სოფლებისათვის, უნდა იჩენდნენ ჩვენი ხალხის დამახასიათებელ გამბედაობას, ინიციატივასა და გამჭრიახობას.

ჩვენ უნდა მოვაწყოთ ყოველმხრივი დახმარება წითელი არმიისადმი, უზრუნველვყოთ მისი რიგების გაძლიერებული შევსება, უზრუნველვყოთ მისი მომარაგება ყველაფრით, რაც საჭიროა, მოვაწყოთ ჯარებისა და სამხედრო ტვირთების ტრანსპორტთა სწრაფად გადაყვანა, დაჭრილთათვის ფართო დახმარების აღმოჩენა.

ჩვენ უნდა განვამტკიცოთ წითელი არმიის ზურგი და ამ საქმის ინტერესებს დავუმორჩილოთ მთელი ჩვენი მუშაობა, უნდა უზრუნველვყოთ ყველა საწარმოს გაძლიერებული მუშაობა, მეტი შაშხანის, ტყვიამფრქვევის, ქვემეხის, ვაზნის, ჭურვის, თვითმფრინავის წარმოება, უნდა მოვაწყოთ ქარხნების, ელექტროსადგურების, სატელეფონო და სატელეგრაფო კავშირგაბმულობის დაცვა, უნდა მოვაგვაროთ ადგილობრივი საჰაერო თავდაცვა.

ჩვენ უნდა მოვაწყოთ ულმობელი ბრძოლა ზურგის ყოველგვარ დეზორგანიზატორებთან, დეზერტირებთან, პანიკიორებთან, ხმების გამავრცელებლებთან, უნდა მოვსპოთ ჯაშუშები, დივერსანტები, მტრის პარაშუტისტები და ყოველივე ამაში სწრაფად დავეხმაროთ ჩვენს მიერ შექმნილ გამანადგურებელ ბატალიონებს. მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, რომ მტერი ვერაგია, ცბიერია, გამოცდილია მოტყუებაში და ცრუ ხმების გავრცელებაში. უნდა გავითვალისწინოთ ყოველივე ეს და არ აეყვეთ პროვოკაციას. საჭიროა დაუყოვნებლივ მივცეთ სამხედრო ტრიბუნალის სამართალში, განურჩეველად პიროვნებისა, ყველა ის, ვინც თავისი პანიკიორობითა და ლაჩრობით ხელს უშლის თავდაცვის საქმეს.

წითელი არმიის ნაწილების იძულებითი გადმონაცვლების დროს უნდა წამოვიღოთ მთელი მოძრავი სარკინიგზო შემადგენლობა და არ დავუტოვოთ მტერს არცერთი ორთქლმავალი, არცერთი ვაგონი, არ დავუტოვოთ მოწინააღმდეგეს არცერთი კილოგრამი პური, არცერთი ლიტრი საწვავი. კოლმეურნეებმა უნდა გამორეკონ მთელი საქონელი, პური დასაცავად უნდა ჩააბარონ სახელმწიფო ორგანოებს ზურგის რაიონებში გადმოსასიდად. მთელი ძვირფასი ქონება, მათ შორის ფერადი ლითონები, პური და საწვავი, რომელიც კი არ შეიძლება გამოტანილ იქნას, უეჭველად უნდა მოისპოს.

მტრის მიერ დაკავებულ რაიონებში უნდა შეექმნათ ცხენოსანი და ქვეითი პარტიზანული რაზმები, უნდა შეექმნათ სადივერსიო ჯგუფები მტრის არმიის ნაწილებთან საბრძოლველად, ყველგან და ყოველ ადგილას პარტიზანული ომის გასაჩაღებლად, ხიდების, გზების ასაფეთქებლად, სატელეფონო და სატელეგრაფო კავშირგაბმულობის გასაფუჭებლად, ტყეებისა, საწყობებისა და აღალებისათვის ცეცხლის წასაკიდებლად. დაპყრობილ რაიონებში უნდა შეექმნათ აუტანელი პირობები მტრისათვის და ყველა მისი დამჭაშისათვის, უნდა ვდევნოთ და მოვსპოთ ისინი ყოველ ნაბიჯზე, უნდა ჩავშალოთ ყველა მათი ღონისძიება.

ფაშისტურ გერმანიასთან ომი ჩვეულებრივ ომად არ შეიძლება ჩაითვალოს. იგი არა მარტო ორი არმიის ომია. იგი ამასთან ერთად არის მთელი საბჭოთა ხალხის დიდი ომი გერმანელ ფაშისტთა ჯარების წინააღმდეგ. ფაშისტ მჩაგვრელთა წინააღმდეგ ამ საყოველთაო-სახალხო სამამულო ომის მიზანია არა მარტო ჩვენი ქვეყნისათვის შექმნილი საფრთხის ლიკვიდაცია, არამედ ისიც, რომ დაეხმაროს ევროპის ყველა ხალხს, რომელნიც გერმანიის ფაშიზმის უღელქვეშ გმი-

ნავენ. ამ განმათავისუფლებელ ომში ჩვენ მარტონი არ ვიქნებით. ამ დიდ ომში ჩვენ ერთგულ მოკავშირეებად გვეყოლებიან ევროპისა და ამერიკის ხალხები, მათ შორის გერმანელი ხალხი, რომელიც ჰიტლერელმა მმართველებმა დაიმონეს. ჩვენი ომი ჩვენი სამშობლოს თავისუფლებისათვის შეერთვის ევროპისა და ამერიკის ხალხთა ბრძოლას მათი დამოუკიდებლობისათვის, დემოკრატიულ თავისუფლებათათვის. ეს იქნება ერთიანი ფრონტი ხალხებისა, რომელნიც იცავენ თავისუფლებას ჰიტლერის ფაშისტური არმიების მიერ დამონების წინააღმდეგ და დამონების საფრთხის წინააღმდეგ. ამასთან დაკავშირებით დიდი ბრიტანეთის პრემიერის ბ-ნ ჩერჩილის ისტორიული გამოსვლა საბჭოთა კავშირისათვის დახმარების აღმოჩენის შესახებ და ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის დეკლარაცია, რომ იგი მზად არის დახმარება გაუწიოს ჩვენს ქვეყანას,—რასაც საბჭოთა კავშირის ხალხთა გულში მხოლოდ მადლობის გრძნობა შეუძლია გამოიწვიოს,—სავსებით გასაგები და საგულისხმოა.

ამხანაგებო! ჩვენი ძალები აურაცხელია. თავგასული მტერი იძულებული იქნება მალე დარწმუნდეს ამაში. თავდამსხმელ მტერთან საომრად წითელ არმიასთან ერთად გამოდიან მრავალ ათასობით მუშები, კოლმეურნეები, ინტელიგენცია. აღსდგებიან ჩვენი ხალხის მრავალ მილიონიანი მასები. მოსკოვისა და ლენინგრადის მშრომელები უკვე შეუდგნენ მრავალათასიანი სახალხო ლაშქრის შექმნას წითელი არმიის დასახმარებლად. ყოველ ქალაქში, რომელსაც მტრის თავდასხმის საფრთხე ემუქრება, ჩვენ უნდა შევქმნათ ასეთი სახალხო ლაშქარი, საბრძოლველად გამოვიყვანოთ ყველა მშრომელი, რათა ჩვენი მკერდით დავიცვათ ჩვენი თავისუფლება, ჩვენი ღირსება, ჩვენი სამშობლო—ჩვენს სამამულო ომში გერმანიის ფაშიზმთან.

იმ მიზნით, რომ სწრაფად მობილიზებულ იქნან სსრ კავშირის ხალხთა მთელი ძალები მტრის უკუსაგდებად, რომელიც ვეროგულად დაესხა თავს ჩვენს სამშობლოს,—შექმნილია თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტი, რომლის ხელშიც ახლა თავმოყრილია მთელი ძალაუფლება სახელმწიფოში. თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტი შეუდგა თავის მუშაობას და მოუწოდებს მთელ ხალხს დაირაზმოს ლენინ-სტალინის პარტიის გარშემო, საბჭოთა მთავრობის გარშემო იმისათვის, რომ თავდადებით დაეხმაროს წითელ არმიასა და წითელ ფლოტს, გაანადგუროს მტერი, მოიპოვოს გამარჯვება.

მთელი ჩვენი ძალები—ჩვენი გმირული წითელი არმიის, ჩვენი სახელოვანი წითელი ფლოტის დასახმარებლად!

ხალხის მთელი ძალები—მტრის გასანადგურებლად!

წინ, ჩვენი გამარჯვებისათვის!

---

# სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის და საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის ამხ. ვიაჩესლავ მიხეილის-ძე მოლოტოვის გამოსვლა რადიოთი 1941 წლის 22 ივნისს

## საბჭოთა კავშირის მოქალაქენო!

საბჭოთა მთავრობამ და მისმა მეთაურმა ამხ. სტალინმა დამავალეს გამოვიდე შემდეგი განცხადებით:

დღეს, დილის 4 საათზე, საბჭოთა კავშირისათვის რაიმე პრეტენზიის წარუდგენლად, ომის გამოუცხადებლად, გერმანიის ჯარები თავს დაესხნენ ჩვენს ქვეყანას, იერიში მოიტანეს ჩვენს საზღვრებზე ბევრ ადგილას და თავისი თვითმფრინავებიდან ყუმბარები დაუშინეს ჩვენს ქალაქებს—ჟიტომირს, კიევს, სევასტოპოლს, კაუნასსა და ზოგიერთ სხვას, ამასთან მოკლული და დაჭრილია 200-ზე მეტი კაცი. მტრის თვითმფრინავების თავდასხმა და საარტილერიო სროლა მოხდა აგრეთვე რუმინეთისა და ფინეთის ტერიტორიიდან.

ეს გაუგონარი თავდასხმა ჩვენს ქვეყანაზე წარმოადგენს ცივილიზებულ ხალხთა ისტორიაში უმაგალითო მუხანათობას. ჩვენს ქვეყანაზე თავდასხმა მოხდა მიუხედავად იმისა, რომ სსრ კავშირსა და გერმანიას შორის დადებულია ხელშეკრულება თავდაუსხმელობის შესახებ და საბჭოთა მთავრობა მთელი კეთილსინდისიერებით ასრულებდა ამ ხელშეკრულების ყველა პირობას. ჩვენს ქვეყანაზე თავდასხმა მოხდა მიუხედავად იმისა, რომ ამ ხელშეკრულების მოქმედების მთელი დროის განმავლობაში გერმანიის მთავრობას ერთხელაც არ შეეძლო წარედგინა სსრ კავშირისათვის არცერთი პრეტენზია ხელშეკრულების შესრულების მხრივ. მთელი პასუხისმგებლობა საბჭოთა კავშირზე ამ ყაჩაღური თავდასხმისათვის მთლიანად და სავსებით ეკისრებათ გერმანიის ფაშისტ მმართველებს.

უკვე მომხდარი თავდასხმის შემდეგ გერმანიის ელჩმა მოსკოვში შულენბურგმა დილის 5 საათსა და 30 წუთზე თავისი მთავრობის სახელით განმიცხადა მე, როგორც საგარეო საქმეთა სახალხო კომისარს, რომ გერმანიის მთავრობამ გადასწყვიტა დაიწყოს ომი სსრ კავშირის წინააღმდეგ, გერმანიის აღმოსაველეთ საზღვართან წითელი არმიის ნაწილების თავმოყრასთან დაკავშირებით.

ამის საპასუხოდ მე საბჭოთა მთავრობის სახელით განვუცხადე, რომ უკანასკნელ წუთამდე გერმანიის მთავრობას არავითარი პრეტენზია არ წარუდგენია საბჭოთა მთავრობისათვის, რომ გერმანია თავს დაესხა სსრ კავშირს, მიუხედავად საბჭოთა კავშირის მშვიდობისმოყვარული პოზიციისა, და რომ ამით ფაშისტური გერმანია, თავდამსხმელ მხარეს წარმოადგენს.

საბჭოთა კავშირის მთავრობის დავალებით მე ვაცხადებ, რომ ჩვენს ჯარებს და ჩვენს ავიაციას არცერთ პუნქტში არ დაუშვიათ საზღვრის დარღვევა და ამიტომ რუმინეთის რადიოს მიერ დღეს დილით გაკეთებული განცხადება, თითქოს საბჭოთა ავიაციამ სროლა აუტეხა რუმინეთის აეროდრომებს, მტკნარ სიცრუეს და პროვოკაციას წარმოადგენს. ასეთსავე სიცრუეს და პროვოკაციას წარმოადგენს მთელი დღევანდელი დეკლარაცია ჰიტლერისა, რომელიც ცდილობს უკანა რიცხვით შეთითხნოს საბრალდებო მასალა საბჭოთა კავშირის მიერ საბჭოთა კავშირ-გერმანიის პაქტის შეუსრულებლობის შესახებ.

ახლა, როდესაც საბჭოთა კავშირზე თავდასხმა უკვე მოხდა, საბჭოთა მთავრობამ ჩვენს ჯარებს უბრძანა უკუაგდონ ყაჩაღური თავდასხმა და განდევნონ გერმანიის ჯარები ჩვენი სამშობლოს ტერიტორიიდან.

ეს ომი ჩვენ თავზე მოგვახვია არა გერმანელმა ხალხმა, არა გერმანელმა მუშებმა, გლეხებმა და ინტელიგენციამ, რომელთა ტანჯვაც ჩვენ კარგად გვესმის, არამედ გერმანიის პირსისხლიან ფაშისტ მმართველთა ხროვამ, რომლებმაც დაიმონეს ფრანგები, ჩეხები, პოლონელები, სერბები, ნორვეგია, ბელგია, დანია, ჰოლანდია, საბერძნეთი და სხვა ხალხები.

საბჭოთა კავშირის მთავრობა გამოსთქვამს ურყევ რწმენას, რომ ჩვენი მამაცი არმია, ფლოტი და საბჭოთა ავიაციის უშიშარი შევარდნები ღირსეულად მოიხდიან თავიანთ ვალს სამშობლოს წინაშე, საბჭოთა ხალხის წინაშე, და გამანადგურებელ ლახვარს ჩასცემენ აგრესორს.

ჩვენს ხალხს პირველად როდი უხდება თავდამსხმელ გათავხედებულ მტერთან შეხვედრა. ერთ დროს ნაპოლეონის ლაშქრობას რუსეთში ჩვენმა ხალხმა სამამულო ომით უპასუხა, და ნაპოლეონი დამარცხდა, მან კრახი განიცადა. ასევე მოუვა გათავხედებულ ჰიტლერსაც, რომელმაც ჩვენი ქვეყნის წინააღმდეგ ახალი ლაშქრობა გამოაცხადა. წითელი არმია და მთელი ჩვენი ხალხი კვლავ გააჩაღებენ ძლევამოსილ სამამულო ომს სამშობლოსათვის, ღირსებისათვის, თავისუფლებისათვის.

საბჭოთა კავშირის მთავრობა მტკიცე რწმენას გამოსთქვამს, რომ ჩვენი ქვეყნის მთელი მოსახლეობა, ყველა მუშები, გლეხები და ინტელიგენცია, მამაკაცები და ქალები ჯეროვანი შეგნებით მოეკიდებიან თავიანთ მოვალეობას, თავიანთ შრომას. ახლა მთელი ჩვენი ხალხი ისე მჭიდროდ დარაზმული და ერთიანი უნდა იყოს, როგორც არასოდეს არა ყოფილა. თვითეულმა ჩვენგანმა თავისთავს და სხვებს უნდა მოსთხოვოს დისციპლინა, ორგანიზებულობა, ნამდვილი საბჭოთა პატრიოტის შესაფერი თავგანწირვა, რათა უზრუნველვყოთ წითელი არმიის, ფლოტისა და ავიაციის მთელი საჭიროება, რათა უზრუნველვყოთ მტერზე გამარჯვება.

მთავრობა მოგიწოდებთ თქვენ, საბჭოთა კავშირის მოქალაქენო, კიდევ უფრო შეამჭიდროთ თქვენი რიგები ჩვენი სახელოვანი ბოლშევიკური პარტიის გარშემო, ჩვენი საბჭოთა მთავრობის გარშემო, ჩვენი დიდი ბელადის ამხ. **სტალინის** გარშემო.

ჩვენი საქმე სამართლიანია. მტერი განადგურებული იქნება. გამარჯვება ჩვენ დაგვრჩება.

---

ვ. მ. გოგოლაძე
საქ. სსრ სახელმწიფო წიგნის პალატის
დირექტორი

# საქ. სსრ სახელმწიფო წიგნის პალატის მოკრიბი ამოცანები *

## ბიბლიოგრაფიული მუშაობის წარსულიდან

„ისე, როგორც არც ერთი საკითხი საზოგადოებრივი და სახელმწიფო მნიშვნელობისა არ შეიძლება გადაჭრილ იქნას სტატისტიკის გარეშე, ისევე არ შეიძლება გადაიჭრას აგრეთვე ლიტერატურის ბიბლიოგრაფიის გარეშედაც... რუსეთში ბიბლიოგრაფია ყოველთვის კუსტარულ ხასიათს ატარებდა. საჭიროა ახალმა წყობილებამ ბიბლიოგრაფიას დაუთმოს საპატიო ადგილი, რომელიც ამიერიდან სახელმწიფოებრივ საქმედ უნდა გადაიქცეს". დაახლოებით ასე წერდა თებერვლის რევოლუციის პირველ დღეებში ჟურნალ „ბიბლიოგრაფიჩესკიე იზვესტია", რომელიც მაშინ რუსეთში გამოდიოდა.

ამ ჟურნალის რედაქცია სახელმწიფო ბიბლიოგრაფიის წინაშე ძირითადად აყენებდა ორ საკითხს: ბეჭდვითი პროდუქციის (მიმდინარე) რეგისტრირებას და წიგნის ბეჭდვის დაწყებიდან რუსული წიგნის საერთო კატალოგის შედგენას. მაგრამ, როგორც ცნობილია, დიადი ოქტომბრის სოციალისტურ რევოლუციამდე ეს მინიმალური მოთხოვნილებაც კი, რომელზეც ოცნებობდა რუსეთის ბიბლიოგრაფიული საზოგადოება, განუხორციელებული დარჩა. თებერვლის რევოლუციის პირველ დღეებში ჩამოყალიბებულმა წიგნის პალატამ, იმის გამო, რომ იმდროინდელი სახელმწიფოებრივი წყობა ყურადღებას არ უთმობდა მას, ვერ შესძლო მინიმალურად მაინც გადაეჭრა მის წინაშე მდგარი ამოცანები სახელმწიფო ბიბლიოგრაფიის დარგში, მიუხედავად იმისა, რომ რუსეთში 1837 წლიდან თითქოს ეწეოდნენ მიმდინარე ბეჭდვითი პროდუქციის რეგისტრირებასა და გამოქვეყნებასაც კი.

უკეთესი მდგომარეობა არც საქართველოში გვჭონდა. მიუხედავად იმისა, რომ, როგორც ი. ციციშვილი თავის სპეციალურ გამოკვლევაში ამბობს—„ქართულ ბიბლიოგრაფიას შორი წარსული აქვს" და, აკადემიკოს ივანე ჯავახიშვილის ცნობით, 10-12 საუკუნიდან იწყება, ის მაინც ჩამორჩენილობას, კუსტარულობას და უსისტემობას არ გასცილებია საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე.

---

* მოხსენება წაკითხული იქნა საქ. სსრ წიგნის პალატის მიერ მოწვეულ ბიბლიოგრაფიულ რესპუბლიკურ თათბირზე 1940 წ. 23 დეკემბერს. იბეჭდება შემოკლებით.

საბჭოთა ბიბლიოგრაფიის აყვავება, წიგნის პალატების—სახელმწიფო ბიბლიოგრაფიის ამ ცენტრების მუშაობაში ახალი, აღმავლობითი ერა იწყება 1920 წლის 30 იელისიდან, ვ. ი. ლენინის ისტორიული დეკრეტის—„რსფსრ-ში ბიბლიოგრაფიული საქმის სახელმწიფო გამომცემლობაზე გადაცემის შესახებ“—გამოქვეყნების დღიდან.

დეკრეტი მოითხოვდა: ა) სახელმწიფოსათვის რეგულარულად ინფორმაციის მიწოდებას ახალგამოსულ ბეჭდვით პროდუქციაზე. ბ) ბიბლიოგრაფიული განათლების დანერგვას, გ) უფასო საჯალდებულო ცალებით წიგნის პალატების და სპეციალური ბიბლიოთეკების მომარაგებას და სხვ.

ამ დეკრეტის საფუძველზე შეიქმნა საბჭოთა სახელმწიფო ბიბლიოგრაფიის ცენტრები—საკ. სახელმწიფო წიგნის პალატა და ცალკე რესპუბლიკებში კი რესპუბლიკური წიგნის პალატები, მათ შორის, 1924 წელს, საქ. სსრ სახელმწიფო წიგნის პალატა.

დებულება, რომლითაც საქართველოს წიგნის პალატამ მუშაობა დაიწყო, დამტკიცებულ იქნა 1924 წლის 26 აპრილს. მაშინ პალატა შედგებოდა სამი განყოფილებისაგან: სარეგისტრაციო, სარედაქციო და არქივისა და ბიბლიოგრაფიის. დებულების თანახმად, პალატას ევალებოდა: საქ. სსრ ტერიტორიაზე გამოსული ყოველგვარი ბეჭდვითი პროდუქციის საჯალდებულო ეგზემპლარების მიღება, დაცვა, წიგნების რეგისტრირება წიგნის მატიანებში გამოქვეყნებით, არჩევითი ბიბლიოთეკების დაკომპლექტება, აგრეთვე მოკავშირე რესპუბლიკებში საჯალდებულო ცალების გზავნა, კონტაქტის დამყარება საკავშირო წიგნის პალატასთან და სხვ.

ასე განსაზღვრული ამოცანების შესაბამისად პალატაში მხოლოდ სამი განყოფილება არსებობდა, მცირე იყო თანამშრომელთა რიცხვიც.

წიგნის პალატის მაშინდელი ხელმძღვანელები და მუშაკები ყოველმხრივ ცდილობდნენ სათანადოდ დაეყენებინათ მუშაობა, რის შედეგად გარკვეული მიღწევებიც მოიპოვეს, მაგრამ რადგანაც საკუთარი პოლიგრაფიული ბაზა არ გააჩნდათ, სტამბები და გამომცემლობები არ იცნობდნენ საჯალდებულო ცალების გზავნის შესახებ არსებულ წესებს, მის მნიშვნელობას და თვით მუშაკთა განსაზღვრულ ნაწილს მუშაობის თავისებურობის ცოდნაც არ ჰქონდათ, მუშაობა მაინც მოიკოჭლებდა.

ამ დაბრკოლებათა მიუხედავად, წიგნის პალატა ძირითადად მაინც ასრულებდა მის წინაშე დასმულ ამოცანებს. საკმარისია აღინიშნოს, რომ მან გამოსცა წიგნის მატიანე № 1 (1917—1925 წ.) № 2, № 3, № 4, № 5, ხოლო 1927 წლიდან მცირე გამონაკლისის გარდა ყოველთვიურად უშვებდა წიგნის მატიანის ნომრებს, საფუძველი ჩაუყარა ქართული წიგნის შეერთებულ კატალოგს და სხვ.

აქვე უნდა ითქვას, რომ იმ დამარღვეველმა მუშაობამ, რასაც ერთ დროს ეწეოდნენ წიგნის პალატის ხელმძღვანელობაში გამძვრალი ხალხის მტრები, ცოტა ზიანი როდი მიაყენა საბჭოთა ბიბლიოგრაფიას საერთოდ და კერძოდ საქართველოში.

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, პირადად ქართველი ხალხის სახიადულო შვილის ლავრენტი პავლეს-ძე ბერიას მზრუნველობის და დახმარების შედეგად, საქართველოს სახელმწიფო წიგნის პალატამ უკანასკნელ წლებში ყოველმხრივ გააფართოვა თავისი მუშაობა და გარკვეული მიღწევები მოიპოვა.

1937 წელს დამტკიცებული ახალი დებულების თანახმად, გარდა სავალდებულო ცალების მიღება-განაწილებისა, შენახვისა, ბიბლიოგრაფირებისა და სხვა, რასაც 1927 წ. დამტკიცებული დებულებაც ითვალისწინებდა, პალატას დაევალა ფართო ბიბლიოგრაფიული მომსახურეობის გაწევა ბიბლიოთეკებისადმი და მოსახლეობისადმი იმ ლიტერატურის დარგში, რომელიც საქ. სსრ-ში გამოდის, გამოსული ლიტერატურის ცენტრალიზებული კატალოგიზაცია, ბიბლიოგრაფიული კადრების მომზადება და გადამზადება, ბიბლიოგრაფიული მუშაობის მეთოდოლოგიისა და მეთოდიკის საკითხების დამუშავება, ბიბლიოგრაფიული ცოდნისა და წიგნთმცოდნეობის პოპულარიზაცია, საქ. სსრ და მოკავშირე რესპუბლიკების პარტიული და მთავრობის ორგანოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების მომსახურეობა ბიბლიოგრაფიულ ცნობართა მიწოდებით, საქ. სსრ ბეჭდვითი სიტყვის სტატისტიკის ცენტრალიზებული წარმოება, ბიბლიოთეკებისათვის სტანდარტული ბარათების დაწესება და გამოცემა, ბიბლიოგრაფიული დოკუმენტაციისა და ცნობათა ორგანიზაცია და სხვ.

ამ ახალი ამოცანების შესაბამისად ამავე დებულებით გადიდდა წიგნის პალატის შტატიც, სათანადო განყოფილებათა რიცხვიც. მაგალითად, დაარსებული იქნა სამეცნიერო-მეთოდოლოგიური ნაწილი, სავალდებულო ეგზემპლარების გავრცელებისა და კონტროლის განყოფილება, დოკუმენტალური ბიბლიოგრაფიული განყოფილება სტატისტიკის სექტორით, წიგნის დაცვის განყოფილება, საცნობო-ბიბლიოგრაფიული განყოფილება კატალოგისა და საცნობარო ბიბლიოგრაფიული ბიბლიოთეკით, საგამომცემლო განყოფილება დამხმარე საწარმოთა ქვეგანყოფილებით, საერთო განყოფილება და სხვ.

ყველა იმ ღონისძიებების გატარების შედეგად, რომელიც ახალი დებულების დამტკიცების შემდეგ მიიღეს მთავრობამ და პარტიამ, საქართველოს წიგნის პალატა კიდევ უფრო წაიწია წინ მეცნიერულ ბიბლიოგრაფიის სფეროში და ფართოდ გადაიტანა საქართველოს მოსახლეობაში, პარტიულ და საბჭოთა ორგანიზაციებში მის მიერ ჩატარებული მუშაობის შედეგები, ამ ორგანიზაციების ბიბლიოგრაფიული მომსახურების მიზნით.

## სავალდებულო ცალების მიღების საკითხი

როგორც მოგეხსენებათ, მხოლოდ საბჭოთა კავშირშია შესაძლებელი, რომ უფასო სავალდებულო ცალებს ღებულობდნენ წიგნის პალატები და ბიბლიოთეკები. ეს ღონისძიება, მიმართული ჩვენი ბეჭდვითი კულტურის ძეგლების დაცვისაკენ, პირმშოა ლენინის დეკრეტისა ბიბლიოგრაფიის შესახებ და ერთერთი ძირითადი რგოლია იმ ჯაჭვისა, რომელზეც ასხმულია პალატის შემდგომი მუშაობა. ეს იმითაც მტკიცდება, რომ პალატას როგორც ძველი, ისე ახალი დებულება პირდაპირ და ხაზგასმით ავალებს ყველა ღონე იხმაროს უფასო სავალდებულო ცალების მიღება-დაცვისათვის. და არა მარტო

დებულება მოითხოვს ამას, არამედ ამის შესახებ არსებობს საბჭოთა მთავრობის დადგენილება, რომლის ძალით სისხლის სამართლის წესით სამართალში უნდა იქნენ მიცემული სტამბის დირექტორები, რომლებიც დადგენილი წესით და რაოდენობით თავის დროზე არ გამოგზავნიან ბეჭდვითს პროდუქციას, რომელიც მათთან სტამბებში დაიბეჭდა.

მიუხედავად ამისა, ჯერ კიდევ უფასო სავალდებულო ცალების მიღება არადამაკმაყოფილებელია. ზოგიერთი სტამბის დირექტორი, გაზეთის ან ჟურნალის რედაქტორი, გამომცემელი იმდენად უპასუხისმგებლოდ ეკიდება ამ საქმეს, რომ ან სრულებით არ გზავნის, ხოლო, თუ გზავნის—დანაკლისით, შეუფუთნავს, დაგვიანებით, სრულებით თავს არ იწუხებს, რათა ბეჭდვითი პროდუქცია დანიშნულებისამებრ ჩაბარდეს პალატას.

1940 წელს განსაკუთრებით დიდი მუშაობა ჩავატარეთ იმ მიმართულებით, რომ 100%-ით მივიღოთ სავალდებულო ცალები. ფართოდ განვუმარტეთ ადგილებს არსებული დადგენილება სავალდებულო ცალების გზავნის წესისა და დანიშნულების შესახებ. ამ მიზნით გავაძლიერეთ სპეციალური მივლინებები რაიონებში პალატის პასუხისმგებელი ამხანაგებისა. საკითხი დავაყენეთ კავშირგაბმულობის საქართველოს რწმუნებულთან და ამიერკავკასიის ბერიას სახელობის რკინიგზის უფროსთან იმის შესახებ, რომ კავშირგაბმულობის რაიონული განყოფილებები და რკინიგზის სადგურები საჭირო პასუხისმგებლობით ეკიდებოდნენ სავალდებულო ცალების პალატისათვის ჩაბარების საქმეს.

უნდა აღინიშნოს, რომ სავალდებულო ცალების მიღებაში დიდ დახმარებას გვიწევს საქ. მთავლიტის სამმართველო. გამოცემულ იქნა ცალკე ბროშურად საქ. სსრ სახკომსაბჭოს 1939 წლის 4 დეკემბრის დადგენილება სავალდებულო სასიგნალო ეგზემპლარების წარდგენის შესახებ და უფასოდ დაურიგდა ადგილებს; მრავალჯერ მიეთითა მთავლიტის რაიონულ რწმუნებულებს სავალდებულო ცალების გზავნაში სასტიკი კონტროლის დაწესების შესახებ და სხვ.

მაგრამ ყველა ამის მიუხედავად, თბილისშიც კი მოიძებნებიან სტამბის ისეთი ხელმძღვანელები, რომლებიც უვიცობას იჩენენ ზემოაღნიშნული დადგენილებისა და წესების ცოდნაში, ხოლო მეტწილად კი ასეთი უცოდინარობით ნამდვილად თავს იკატუნებენ პასუხისმგებლობის თავიდან აცილების მიზნით. და ჩვენ, წიგნის პალატის მუშაკები კეთილი ბიძების როლში გამოვდივართ—არ ვაძლევთ მათ სამართალში, პასუხისგებაში.

მარტო 1940 წელში აღდგენილ იქნა სავალდებულო ცალებში დანაკლისი: წიგნი—29, ჟურნალი—111, გაზეთის ნომერი—1957 და ნოტები—98. ამავე 1940 წ. ხარვეზი დაახლოებით უდრის: წიგნების—1, ჟურნალების—6, გაზეთების—124. წელს ხარვეზები სრულებით არ უნდა ყოფილიყო, მაგრამ არის. ეს ლაპარაკობს სტამბების ხელმძღვანელთა უპასუხისმგებლო დამოკიდებულებაზე ასეთი დიდი მნიშვნელობის სახელმწიფოებრივ საქმისადმი და აგრეთვე ჩვენს არასაკმაო მუშაობაზე ამ დარგში.

ძალიან ბევრია ხარვეზი გასული წლების სავალდებულო ცალების კომპლექტებში. სამწუხაროდ, წიგნის პალატას ზუსტი ცნობებიც არ მოეპოება ამაზე, განსაკუთრებით პერიოდულ გამოცემებზე. მაგალითად, შემთხვევით წავაწყდით,

რომ მრავალტირაჟიანი გაზეთი „კიროველი“ (1936—38 წ.) 1-დან 121 ნომრამდე არ გვქონია. და ეს გავიგეთ მაშინ, როცა საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ს დასჭირდა „კიროველის“ კომპლექტი და ჩვენ არ აღმოგვაჩნდა. არ შეიძლება ამ მდგომარეობის მოთმენა, ამჟამად ყოველ ზომას ვღებულობთ ასეთი ხარვეზების ამოსავსებად.

საქ. სსრ სახელმწიფო წიგნის პალატა ფიქრობს უახლოეს დროში შექმნას რაიონული ბიბლიოთეკების სახით დასაყრდენი პუნქტები რაიონებიდან სავალდებულო ცალების თავის დროზე და უდანაკარგოდ მიღებისათვის, აგრეთვე არსებულ ხარვეზების ამოვსებაში დაიხმაროს ისინი.

1940 წ. 1-ლ იანვრამდე საქ. სახელმწიფო წიგნის პალატა სავალდებულო ცალებს იღებდა: წიგნებს—49, ჟურნალებს—49, ხოლო რესპუბლიკურ გაზეთებს—47. ამას ის ანაწილებდა მოკავშირე რესპუბლიკათა შორის. ამჟამად, ე. ი. 1940 წ. 1-ლ იანვრიდან, წიგნის პალატა ღებულობს ბეჭდვითი პროდუქციის 4-5 ცალს (დამოკიდებულია ტირაჟზე), და აკომპლექტებს მხოლოდ საქართველოს 5 წიგნთსაცავს: წიგნის პალატას, კარლ მარქსის სახელობის საჯარო ბიბლიოთეკას, მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალის ბიბლიოთეკას, უნივერსიტეტის ბიბლიოთეკას და ქუთაისის საჯარო ბიბლიოთეკას. ამათ გარდა, სასურველია სავალდებულო ცალებს ღებულობდნენ აფხაზეთის, აჭარის და სამხრეთ-ოსეთის საჯარო ბიბლიოთეკები, აგრეთვე ზედმეტ ცალს—წიგნის პალატაც, რომ ამ უკანასკნელს საშუალება მიეცეს სადუბლეტო, ხელუხლებელი ფონდის შექმნისა და მიღებული სავალდებულო ეგზემპლარებიდან ერთი ცალის პირდაპირ წიგნის დაცვაში მოთავსებისა. ამის მისაღწევად მიღებულია ზომები და, ვფიქრობთ, ეს საკითხი დადებითად გადაიჭრას.

## პალატის სამეცნიერო მუშაობა

პალატის დირექციასთან, როგორც სათათბირო ორგანო, არსებობს სამეცნიერო საბჭო. სამეცნიერო საბჭოს ნაყოფიერ მუშაობაზე ბევრად არის დამოკიდებული პალატის სამეცნიერო მუშაობა, მისი საქმიანობა. თუ როგორ ნაყოფიერად მუშაობს საბჭო, ამაზე თვით მის მიერ გარჩეული საკითხების მოკლე ჩამოთვლაც კი იძლევა ერთგვარ წარმოდგენას. ჩვენი მუშაობის ისეთი აქტუალური საკითხების, როგორიცაა: „ბიბლიოგრაფიის მოამბის“, ქართული წიგნის, საბჭოთა წიგნის გამოცემის საკითხები, პალატის პერიოდგამოცემაში რაციონალიზაციის შეტანა, ქართველ მოღვაწეთა ლექსიკონის შედგენის, და თვით ამ კონფერენციის მოწვევის საკითხები განხილულ და მოწონებულ იქნა საბჭოს მიერ. ხოლო საბჭოს აზრი ყოველთვის საფუძვლად ედება პალატის შემდგომ მუშაობას.

სამეცნიერო საბჭოს მოწვეულ წევრთა შორის განსაკუთრებით აქტიურ მონაწილეობას ღებულობენ პალატის მუშაობაში პროფ. ლ. მელიქსეთ-ბეგი, ს. ხუციშვილი, ივ. ციციშვილი, გ. გიორგიძე, მ. ბერძნიშვილი, გ. ბაქრაძე, პოეტი ი. გრიშაშვილი, შ. დოლაქიძე, ვ. ჯოჯუა.

თვით პალატაში მუშაობს არაერთი თავისი საქმის ენთუზიასტი მეცნიერი მუშაკი, რომელიც რიგი წლების განმავლობაში ნაყოფიერ მუშაობას ეწევა საბჭოთა ბიბლიოგრაფიის დარგში.

დღემდე პალატის მთელი კოლექტივი მუშაობდა ქართულ წიგნზე და საბჭოთა წიგნზე. ქართული წიგნი შეერთებული კატალოგია 1629 წლიდან 1920 წლამდე ჩათვლით ქართულ ენაზე გამოცემული წიგნებისა, ე. ი. ქართული წიგნის პროდუქციის სამი საუკუნის მანძილზე. ამ კატალოგში მოცემულია არამარტო წიგნების ბიბლიოგრაფიული აღწერილობა, არამედ მითითებულია მათი ადგილმყოფელობაც. ეს წიგნი-კატალოგი მოკლე ხანში გამოვა და ვფიქრობთ ის იქნება თვალსაჩინო საჩუქარი ქართული კულტურისადმი საქართველოს წიგნის პალატისაგან. ის იქნება ისეთი პროდუქცია პალატის კოლექტივისა, რომლითაც მადლიერი კოლექტივი ეტყვის ჩვენს მშობლიურ პარტიას და საბჭოთა მთავრობას: თქვენმა ამაგმა, თქვენმა დახმარებამ, თქვენმა მზრუნველობამ წიგნის პალატისადმი შესანიშნავი ნაყოფი გამოისხა—შეიქმნა ქართული წიგნის ბიბლიოგრაფია. ქართული წიგნის ბიბლიოგრაფიის გამოცემა მხოლოდდამხოლოდ ჩვენს პირობებში გახდა შესაძლებელი. ეს—ლენინ—სტალინის ნაციონალური პოლიტიკის ტრიუმფის ერთერთი საუცხოო მაგალითია.

ასევე ითქმის ქართული წიგნის მეორე ტომზე—საბჭოთა წიგნზე. საბჭოთა წიგნი, ე. ი. 1921—38 წ. წიგნის პროდუქციის ბიბლიოგრაფია დალაგებულია მეცნიერებათა ცალკე დარგების მიხედვით, რათა გაუადვილდეს მომხმარებელს მისთვის საჭირო, საინტერესო წიგნის მოძებნა იმ უდიდეს წიგნის პროდუქციაში, რომელიც შეიქმნა საბჭოთა პერიოდში. მასთან, საბჭოთა წიგნი-ბიბლიოგრაფიის თავისებურობა იმაშიც მდგომარეობს, რომ მასში აწერილია არამარტო ქართულ ენაზე გამოსული წიგნები, არამედ საქართველოში გამოცემული რუსული, აზერბაიჯანული, სომხური, აფხაზური და ოსური წიგნები. ისინი დაიბეჭდება ცალცალკე წიგნებად, ენების მიხედვით.

1940 წელს პალატამ სამეცნიერო ხაზით შემდეგი სახის მუშაობა ჩაატარა: ქართული წიგნის რედაქტირება და დამხმარე საძიებლების შედგენა; საბჭოთა წიგნის ქართული, რუსული, სომხური და ოსური ნაწილის რედაქტირება; საქ. სსრ ბეჭდვითი პროდუქციის სტატისტიკური დამუშავება (წიგნები 1933—37 წ.); „ბიბლიოგრაფიის მოამბის“ № 1-ის დამზადება და გამოცემა და № 2-ის დასაბეჭდად დამზადება; ამხანაგ სტალინის ბიობიბლიოგრაფიის დამზადება და გამოცემა; ქართველ მოღვაწეთა ბიო-ბიბლიოგრაფიული ლექსიკონის სიტყვანის შედგენა; საქ. სსრ სამეცნიერო ბიბლიოთეკებში არსებულ უცხო ენებზე გამოცემული პერიოდიკის შეერთებული კატალოგის გამოსაცემად დამზადება; რუსული პერიოდიკის 1828—1920 წ. ინდექსის ბიბლიოგრაფიული რედაქტირება, საძიებლების შედგენა და დასაბეჭდათ დამზადება; საქ. სსრ-ში 1921—39 წ. გამოცემულ ნოტების ბიბლიოგრაფიის შედგენა; ლ. ბ. ბერიას ბიობიბლიოგრაფიის ძირფესვიანად გადამუშავება, რედაქტირება და დასაბეჭდად დამზადება; ქართული წიგნის რეცენზიების (1931—38 წ.) რედაქტირება და დასაბეჭდად დამზადება და სხვ.

საქ. სსრ სახელმწიფო წიგნის პალატამ დიდი მუშაობის ჩატარება განიზრახა ქართველ მოღვაწეთა ბიო-ბიბლიოგრაფიული ლექსიკონის გამოცემით. ქართველ მოღვაწეთა ბიო-ბიბლიოგრაფიული ლექსიკონი იქნება ჩვენი წინაპრების ცხოვრება-მოღვაწეობის მოკლე მატიანე. აქ მოცემული იქნება მასალები იმ

ადამიანთა შესახებ, რომელთა ნამოღვაწარი ცხოველმყოფელ ნიადაგად გადაეშალა ნორჩ ჯუღაშვილს—ახალგაზრდა სტალინს, და აღუზარდა სამშობლოსადმი და მშრომელებისადმი დაუშრეტელი სიყვარული, მათდამი სამსახურისათვის თავდადების მგზნებარე გრძნობა, გმირული საქმეების ჩადენის უძლიერესი სულისკვეთება; იმ წინაპრებისა, რომელთაც ესოდენ აფასებდა და აფასებს გმირთა შორის გმირი, მოღვაწეთა შორის ყველაზე დიდი მოღვაწე, ხალხის უბადლო მსახური **დიდი სტალინი.**

წინაპრების მართებულად დაფასება, მათთვის ძეგლების დადგმა, მათი სახელის უკვდავყოფა შესაძლებელი შეიქნა მხოლოდ ჩვენში—სოციალიზმის ქვეყანაში, იქ, სადაც ქვეყნის მთელი სიმდიდრე, კულტურის ყველა მონაპოვარი ხალხის საკუთრებადაა ქცეული. საკმარისია მოვიგონოთ დიდი შოთას, ილიას, აკაკის, იაკობის იუბილეები, რომლებიც საყოველთაო-სახალხო დღესასწაულად გადაიქცნენ, რომ ნათლად დავრწმუნდეთ ამაში.

ვისაც ძველად ცოცხლად მარხავდნენ, ამცირებდნენ, ვისთვისაც სათაყვანებელ სამშობლოს დედინაცვლად აქცევდნენ წყეული წარსულის მესვეურები, დღეს გამარჯვებულ სოციალიზმის ქვეყანაში მკვდრეთით აღდგნენ, სამარადისო ძეგლებს უდგამენ, საყოველთაო-სახალხო სიყვარულით და პატივით მოსავენ. სამშობლო, რომლის სიყვარულში მათი გულები ჩაიფერფლა—აყვავდა და ამ წარმტაცად განახლებულ სამშობლოში სამუდამოდ საპატიო ადგილი დაუმკვიდრეს მათ და არამარტო საქართველოში, არამედ მთელს თვალუწვდენელ საბჭოთა კავშირში—მშრომელთა დიად სამშობლოში.

ყველა ეს გვიკარნახებს, ძალას გვმატებს, შევუდგეთ ამ დიდ საქმეს—ქართველ მოღვაწეთა ბიო-ბიბლიოგრაფიული ლექსიკონის გამოცემას. 1940 წელს საქ. წიგნის პალატამ იოსებ იმედაშვილის საშუალებით შეადგინა სიტყვანი ქართველ მოღვაწეთა შესახებ, ე. ი. მოცემულია მოღვაწეთა გვარი, სახელი და მამის სახელი და მოკლე ბიოგრაფიული ცნობები. ამის საფუძველზე ლექსიკონი საბოლოოდ ჩამოყალიბებული იქნება იმ მასალების გამოყენებით, რომლებზეც ათეული წლების მანძილზე მუშაობდა და ამჟამადაც მუშაობს საზოგადო მოღვაწე იოსებ იმედაშვილი.

ჩვენი გეგმის მიხედვით ლექსიკონში შეტანილი იქნება ცნობები არამარტო ისეთ მოღვაწეთა შესახებ, რომლებსაც რაიმე ლიტერატურული მემკვიდრეობა გააჩნიათ, არამედ ისეთებიც, რომლებიც თავგანწირვითა და დაუღალავი, უანგარო მუშაობით წინ სწევდნენ ჩვენს ქვეყანას, მის კულტურას. ამას გარდა, ამ ლექსიკონში განზრახულია შევიტანოთ არამარტო წინაპრები, არამედ თანამედროვეები—ადამიანები, რომლებსაც წილად ხვდა ბედნიერება ეცხოვრათ სტალინურ ეპოქაში, გაეფურჩქნათ თავისი ნიჭი, გაეზარდათ შემოქმედებითი ენერგია და თავი გამოეჩინათ ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმისათვის ბრძოლაში, მოეხვეჭათ მოღვაწეების სახელი. და ამდენად ეს ლექსიკონი მეტად საინტერესო და სასარგებლო ისტორიული დოკუმენტი იქნება ჩვენი მზარდი კულტურისათვის—„აწმყო შობილი წარსულისაგან არის მშობელი მომავალისა". (ლეიბნიცი).

პალატას განზრახული აქვს სამეცნიერო-მეთოდური მუშაობის ხაზით

1941 წელს ჩაატაროს შემდეგი მუშაობა: შეადგინოს ქართული ანბანური კატალოგიზაციის კოდექსი, ბიბლიოგრაფიული ტერმინოლოგია, დაამუშაოს საძიებლების შედგენის მეთოდიკა, მოამზადოს ბიბლიოგრაფიის მოამბის მესამე ნომერი, ქართული ბეჭდვური კატალოგის ისტორია, გამომცემლობის საქმის ისტორია საქართველოში, პერსონალური ბიბლიოგრაფებისა და წიგნთმცოდნეთა ცნობარი, წესრიგში მოიყვანოს გამოუქვეყნებელი კავკასიოლოგიური ბიბლიოგრაფია და სხვ.

## საცნობარო-ბიბლიოგრაფიული მუშაობა

საცნობარო განყოფილება პალატაში დაარსებულ იქნა 1938 წ. მარტში. როგორც მოსალოდნელი იყო, 1938 წელი და თითქმის 1939 წელიც საორგანიზაციო მუშაობას დასჭირდა. 1940 წ. განყოფილება მოემზადა მომავალში ზუსტი, ყოველმხრივ სრული საცნობარო მუშაობის საწარმოებლად.

ასე, მაგალითად, განყოფილებას გააჩნია:

1. ქართული წიგნის რეპერტუარი:

ა) ქრონოლოგიურ-ანბანური კარტოთეკა 1629—1920 წ.

ბ) საბჭოთა საქართველოს ქართული წიგნი (1921—1940), ანბანური კარტოთეკა.

გ) საბჭოთა საქართველოს ქართული წიგნი, სისტემატური კარტოთეკა—დეციმალური.

2. რუსული წიგნი საქართველოში:

ა) ქრონოლოგიურ-ანბანური კარტოთეკა (1921 წლამდე).

ბ) საბჭოთა საქართველოს რუსული წიგნის ანბანური კარტოთეკა.

გ) საბჭოთა საქართველოს რუსული წიგნის სისტემატური კარტოთეკა—დეციმალური.

3. სომხური წიგნი საქართველოში:

ა) 1920 წლამდე გამოცემული წიგნების კარტოთეკა (მუშაობა წარმოებს, შედგენილია 2300 აღწერილობა).

4. საქ. სსრ პერიოდულ გამოცემათა კარტოთეკა 1921—1940 წ.

5. თბილისის სამეცნიერო ბიბლიოთეკების საცნობარო-ლექსიკურ ლიტერატურის შეერთებული კარტოთეკა—სისტემატური.

6. საქ. სსრ სამეცნიერო 52 ბიბლიოთეკის უცხოური პერიოდიკის შეერთებული კარტოთეკა—ანბანური.

7. სსრკ ბიბლიოგრაფიულ ნაშრომთა სრული კარტოთეკა 1939—40 წ.

8. მარქს—ენგელს—ლენინ—სტალინის ქართულ ენაზე არსებული წიგნების კარტოთეკა.

9. ი. ბ. სტალინის შრომების ქრონოლოგიური კარტოთეკა (1902—1940).

10. კავკასიისმცოდნეობის ბიბლიოგრაფიის ბიბლიოგრაფია.

11. სსრკ-ში 1939-40 წ. გამოცემული წიგნების ანბანური კარტოთეკა (საკავშირო წიგნის პალატის კარტოთეკა).

12. სსრკ-ში 1938—40 წ. გამოცემულ სამეცნიერო ლიტერატურის ანოტირებული კარტოთეკა (ბიბლიოთეკათმცოდნეობის ინსტიტუტის):

ა) ანბანური,

ბ) სისტემატური,

გ) საგნობრივი.

13. სსრკ-ში ქვანახშირის მრეწველობის კომისარიატის სამეცნიერო ბიბლიოთეკის ტექნიკური კარტოთეკა (ბიბლიოგრაფიული ნაწილის).

1940 წლის 1-ლ იანვრიდან 12 ნოემბრამდე სხვადასხვა სამეცნიერო დაწესებულებას მიეცათ ბიბლიოგრაფიული ცნობები (წერილობით) 52 თემაზე, 3000-ზე მეტი წყაროს დასახელებით. ხოლო ცნობებს ზეპირად (სიტყვიერად) ყოველდღიურად აძლევს პალატა ორგანიზაცია-დაწესებულებებს და ცალკეულ მუშაკებს.

საცნობარო-ბიბლიოგრაფიულ განყოფილებასთან არსებობს სპეციალური ბიბლიოთეკა. ჯერჯერობით ეს ბიბლიოთეკა არც ისე მდიდარია საცნობარო ბიბლიოგრაფიული წიგნებით, თუმცა თავისი არსებობის მოკლე ხნის განმავლობაში თავი მოუყარა ასეთ ძვირფას ლიტერატურას, როგორიცაა:

1) მარქსიზმის კლასიკოსების ნაშრომები,

2) სპეციალური თეორიული ლიტერატურა ბიბლიოგრაფიაში,

3) ბიბლიოგრაფიული საცნობო გამოცემები,

4) ბიბლიოგრაფიული პერიოდული გამოცემები,

5) ენციკლოპედიები და ლექსიკონები.

ბიბლიოთეკის დაარსებიდან 1940 წლის 1-ლ ნოემბრამდე შეძენილია 2050 წიგნი და 81 სახელწოდების ჟურნალი.

სპეციალური ლიტერატურის შეძენა წარმოებდა ადგილობრივად, მოსკოვში და უცხოურის კი გაცვლის წესით ლენინის სახელობის საკავშირო ბიბლიოთეკის საშუალებით.

ამჟამად გაცხოველებით წარმოებს ბიბლიოთეკის დაკომპლექტება.

საჭიროა კიდევ უფრო გაფართოვდეს და გაიზარდოს მუშაობა იმ მიმართულებით, რომ განყოფილება იძლეოდეს მაღალხარისხოვან ცნობებს მეცნიერების ყველა დარგში, ხოლო ამისათვის საჭიროა:

1. შეიქმნას ძლიერი ბაზა—საცნობარო ლიტერატურის სახით, უფრო გაძლიერდეს სპეციალური და საცნობარო ლიტერატურით საცნობარო ბიბლიოთეკის დაკომპლექტება.

2. შეივსოს უკვე არსებული და შემოღებულ იქნას მთელი რიგი ახალი კარტოთეკებისა:

ა) შეივსოს ქართული წიგნის რეპერტუარის ანბანური და სისტემატური კარტოთეკა წიგნის პალატაში თავის დროზე აღურიცხავ წიგნების აღწერილობებით;

ბ) შეივსოს საქართველოში დასტამბული რუსული წიგნის კარტოთეკა;

გ) შედგეს კარტოთეკები აფხაზურ, ოსურ და სხვა ნაცუმცირესობათა ენაზე.

3) შედგეს მთელი რიგი თემატიკური კარტოთეკები აქტუალურ პოლიტიკურ საკითხებზე, საქართველოს სახალხო მეურნეობისა, ისტორიისა და კულტურის დარგში და სხვ.

## მიმდინარე ბეჭდვითი პროდუქციის ბიბლიოგრაფირება

წიგნის მატიანე, გაზეთის და ჟურნალის სტატიების მატიანე—საქართველოს წიგნის პალატის დოკუმენტალურ-ბიბლიოგრაფიული განყოფილების პროდუქციაა. ამ განყოფილებაში ხდება პირველადი ბიბლიოგრაფიული აღწერილობის შედნა მიმდინარე ბეჭდვითი პროდუქციისა. მაშასადამე, ამ განყოფილების მოქნილ მუშაობაზეა დამოკიდებული პალატის პერიოდული გამოცემების ხარისხი. დოკუმენტალური-ბიბლიოგრაფიული განყოფილება ასწერს ყველა წიგნს და აქედან ვბეჭდავთ წიგნისა და ბარათულ მატიანეებს. ეს განყოფილება აწარმოებს აღწერას რესპუბლიკურ, საოლქო და სარაიონო გაზეთების სტატიებისა. ასაწერი სტატიების შერჩევა ხდება წინასწარ, იმის მიხედვით, თუ რამდენად საინტერესოა ისინი მატიანესათვის. განსაკუთრებით ეს ითქმის სარაიონო გაზეთების მიმართ. სარაიონო გაზეთებიდან განყოფილება ასწერს მხოლოდდამხოლოდ ისეთ მასალებს, რომლებსაც აქვთ ეკონომიური, ისტორიული, მხატვრული, ეთნოგრაფიული მნიშვნელობა მოცემული რაიონის შესწავლისათვის. მხატვრულ ნარკვევებს, მოთხრობებს, ლექსებს და საერთო მხატვრულლიტერატურული შინაარსის მასალებს ეს განყოფილება ჰკრებს ყველა გაზეთიდან, ხოლო ჟურნალების სტატიების მთლიან აღწერას აწარმოებს. განყოფილების მუშაობა ამ ბოლო დროს საგრძნობლად გაუმჯობესდა, მისი მუშაკები დაეუფლნენ თავის საქმეს.

მაგრამ ჯერ კიდევ ბევრია გასაკეთებელი იმისათვის, რომ სავსებით გამართულად და ახლებურად მუშაობდეს დოკუმენტალურ-ბიბლიოგრაფიული განყოფილება. უნდა ვაწარმოოთ ანოტირება წიგნების და ჟურნალ-გაზეთების სტატიებისა. მართალია, ამჟამად ვახდენთ სტატიების ე. წ. დეშიფრაციას და ამას ვაკეთებთ არც ისე ცუდად, მაგრამ ეს ცოტაა. ცხოვრება გვიკარნახებს ანოტაციის წარმოებას, აგრეთვე სტატიობრივ აღწერილობის ბარათულ მატიანეების ბეჭდვასაც. ეს დიდი მუშაობა უნდა გაიშალოს.

## სავალდებულო ცალების შენახვისა და დაცვის საკითხი

წიგნის პალატის მუშაობაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება წიგნებისა და საერთოდ ბეჭდვითი პროდუქციის დაცვა-შენახვას. ბეჭდვითი პროდუქცია, რომელიც განკუთვნილია წიგნის პალატისათვის, წარმოადგენს ხელუხლებელ ფონდს; შთამომავლობისათვის, კვლევითი მუშაობისათვის, ისტორიისათვის დაცული უნდა იქნას ის პალატის წიგნთსაცავში, მაშინ, როდესაც ბიბლიოთეკებში, რომლებიც აგრეთვე ღებულობენ სავალდებულო ცალებს, ისინი ყოველდღიურ ხმარებაშია, ცვდებიან, ტირაჟიდან ადრე გამოდიან. გავითვალისწინეთ რა ეს თავისებურობა, მიღებულია ზომები წიგნებისა და საერთოდ ბეჭდვითი პროდუქციის 100 % მიღებისა და შენახვა-დაცვისათვის.

1940 წელში ჩავატარეთ წიგნების ინვენტარიზაცია, როგორც ძირითადი ფონდის, ისე სადუბლეტოსი და გაცვლის ფონდებში არსებულ წიგნებისა. ინვენტარიზაციის შედეგად გამოირკვა, რომ 1921 წლის შემდეგ გამოსული წიგნების რაოდენობა, რომელიც დაცულია ჩვენთან ძირითად ფონდში, უდრის 18.616 ცალს. სადუბლეტო ფონდში ინახება 20.406 ცალი, ხოლო გაცვლის ფონდში 29.045 წიგნი. ამ ციფრებში არ შედის 953 წიგნი, რომელიც პალატას სხვადასხვა დროს მიუღია და დაკარგული აღმოჩნდა.

გარდა წიგნებისა, პალატაში დაცულია გაზეთის 2.462 კომპლექტი, ჟურნალის—1.886, სხვადასხვა გამოცემების—12.945; სულ პერიოდიკა—17.293. ამრიგად, სულ საბჭოთა პერიოდის წიგნები და პერიოდიკა დაცულია 86.580 ცალი (1940 წ. 4 ნოემბრის ცნობებით).

1938 წლის 5 დეკემბრიდან 1940 წლის 4 ნოემბრამდე შეძენილია 1921 წლამდე გამოსული ბეჭდვითი პროდუქციის 3.611 ერთეული. აქედან წიგნი—2.305, ჟურნალი—975 და გაზეთი—331 ნომერი. შეძენილია საბჭოთა პერიოდის პროდუქციის ხარვეზების შესავსებად 5.080 ერთეული. აქედან წიგნი—637, ჟურნალი— 665, გაზეთი—3.103 და სხვა—675. ამ საქმისათვის მთავრობა ყოველწლიურად ხარჯავს 50.000 მანეთზე მეტს. ეს ღონისძიება მიმართულია იმისაკენ, რომ ბეჭდვითი პროდუქცია დაწყებული 1629 წლიდან, ე. ი. პირველი ქართული ბეჭდვური წიგნის გამოცემიდან ყველა წიგნი, გაზეთი, ჟურნალი შეძენილ და დაცულ იქნას პალატაში.

სულ 1940 წლის 4 ნოემბრისათვის წიგნის პალატაში დაცული იყო 90.191 ერთეული (გაზეთის კომპლექტის ჩათვლით). აქედან 3.611 ძველი (1921 წლამდე) გამოცემული წიგნები, გაზეთები, ჟურნალები.

დაახლოებითი სიზუსტით დადგენილია, რომ 1921 წლამდე საქართველოს ტერიტორიაზე (ყველა ენებზე) დაბეჭდილია 12.560 სახელწოდების წიგნი. აქედან შეძენილია მხოლოდ 2.305. მაშასადამე, შესაძენი გაცილებით მეტია. ასევე ითქმის ძველ პერიოდულ გამოცემებზე და კიდევ მეტიც—ამაში ხარვეზები დადგენილიც არა გვაქვს, ე. ი. არ ვიცით, რამდენი რამ არის დაკარგული როგორც წინანდელი, ისე საბჭოთა პერიოდის პერიოდიკიდან.

ჩვენი ამოცანაა ზუსტად გამოვარკვიოთ ხარვეზები და ვიბრძოლოთ დანაკლისი ბეჭდვითი პროდუქციის შეძენისათვის. ამ საპატიო ამოცანის შესრულებაში—ხარვეზების შევსებაში განუსაზღვრელად დიდია ბიბლიოთეკების, სხვადასხვა კულტსაგანმანათლებლო ორგანიზაციის, საბჭოთა საზოგადოებრივობის დახმარების როლი. და რაც უნდა სიძნელეს არ წავაწყდეთ, მაინც უნდა შევძლოთ აღვადგინოთ ეს დანაკლისი, შევკრიბოთ და დავიცვათ მთელი ბეჭდვითი პროდუქცია შთამომავლობისათვის, ისტორიისათვის.

## ბეჭდვითი პროდუქციის სტატისტიკური დამუშავება

წიგნის პალატას, დებულების მიხედვით, ევალება ცენტრალიზებული წესით აწარმოოს საქართველოს სსრ ტერიტორიაზე გამოსული ბეჭდვითი პროდუქციის სტატისტიკური დამუშავება და ცნობების წარდგენა ზემდგომ ორგანოებში.

ბეჭდვითი პროდუქციის სტატისტიკური დამუშავება ხდება შემდეგი მაჩვენებლების მიხედვით:

ა) წიგნის პროდუქციის: შინაარსი, მკითხველთა ჯგუფები, გამომცემლობა, მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსების, გამოცემის ადგილი და სხვა, სულ 25 ფორმა. ამას გარდა, სტატ. დამუშავების დროს აღვნიშნავთ ტირაჟს, ნაბეჭდ ფურცელთა რაოდენობას, ფასს და სხვ. თითქმის ამავე მაჩვენებლების აღნუსხვით ხდება ჟურნალების დამუშავება იმ განსხვავებით, რომ ამ შემთხვევაში წლიური სტატისტიკური მასალა მუშავდება 6, ხოლო გაზეთების კი 4 ძირითადი დანაყოფის მიხედვით.

მიუხედავად იმისა, რომ წიგნის პალატა 1924 წლიდან არსებობს, ჩვენ ბეჭდვითი პროდუქციის შესახებ სტატ. მასალა დამუშავებული გვაქვს 1921 წლიდან, თუმცა 1921 წლიდან 1924 წლამდე (ჩათვლით) ტირაჟი და ფასი არაა ზუსტი, აღებულია საშუალო, პირობით, რადგანაც ამ წლებში ხშირად ტირაჟს არ აწერდნენ, ფასი კი ფულის რეფორმამდე თითო წიგნისა მილიონი მანეთები იყო. 1924—1937 წლების შესახებ ჩვენ უფრო ზუსტი სტატისტიკური ცნობები მოგვეპოება. მაგრამ იმის გამო, რომ სავალდებულო ცალების მიღებაში დიდი ხარვეზები გვქონდა, სტატ. მასალაც ამისდამიხედვით სრული არ არის. ამიტომ მოგვიხდება ხელმეორედ გადავამუშაოთ ეს სტატისტიკური მასალები. 1938 წლიდან კი მასალები ზუსტია. 1940 წელს ჩვენ ჩავატარეთ 1933—1937 წლების მასალების გადამუშავება, 1941 წელს ასევე მოგვიხდება წინა წლების სტატ. მასალების გადამუშავება-დაზუსტება.

ჩვენ გვჭირდება სტატ. მასალების არამარტო დამუშავება და ზემდგომ ორგანოებში წარდგენა, არამედ ამ მასალების ცალკე ბროშურებად და პერიოდულადაც გამოქვეყნება. პირველი ნაბიჯი ამ მიმართულებით უკვე გადავდგით 1940 წ., დავბეჭდეთ რა „ბიბლიოგრაფიის მოამბის“ № 1-ში 1939 წლის წიგნის პროდუქციის სტატ. მასალები. ეს მუშაობა მომავალში კიდევ უფრო გაიშლება.

## წიგნის პალატის გამოცემლობა

უკანასკნელ წლებში სისტემატურად გამოდის წიგნის მატიანე, გაზეთისა და ჟურნალის სტატიების მატიანე, ბარათული მატიანე. წელს გამოვეცით მოწინავე კაცობრიობის მედროშის ი. ბ. სტალინის ბიობიბლიოგრაფია (არა სრული). ამ წიგნში შევიდა ბიბლიოგრაფია ყრმობის დროს სტალინის ნაწერებისა, რომლებსაც განსაკუთრებით აღფრთოვანებაში მოჰყავს მკითხველი. მაშასადმე, ბიბლიოგრაფირებულია სტალინის პირველი ნაწარმოებები დაწერილი მის მიერ ქართულ ენაზე და აქედან მოყოლებული თითქმის ყველა წიგნი, წერილი, პროკლამაცია, რომელიც დიდი სტალინის უკვდავ კალამს ეკუთვნის. მტკიცება არ უნდა, რომ ეს ბიბლიოგრაფიული ნაშრომი დიდად შეუწყობს ხელს მკვლევარებს, პროპაგანდისტებს და ყველას იმას, ვინც დაწაფებულია სტალინის ნაწარმოებთა შესწავლას, მათ შესახებ არსებულ ლიტერატურის შესწავლას, მარქსიზმ-ლენინიზმის მოძღვრების შესწავლას.

ამ დიდმნიშვნელოვანი ნაშრომის გარდა, 1940 წელშივე პირველად გამოვეცით „ბიბლიოგრაფიის მოამბის“ პირველი ნომერი. გადაეცა სტამბას მორი-

გი მეორე ნომრის მასალა, უახლოეს ხანში გამოვა ქართული წიგნი 1629—1920 წ., სომხური წიგნი საქართველოში, ოსური წიგნი საქართველოში, რუსული პერიოდიკა საქართველოში (1801—1920 წ.), რეცენზიების ბიბლიოგრაფია, გადაეცა სტამბას და იბეჭდება საბჭოთა წიგნის ქართული ნაწილი (1921—38 წ.) და სხვა.

დამზადებულია დასაბეჭდად რუსული წიგნი საქართველოში (1921—38 წ.), აზერბაიჯანის წიგნი საქართველოში (ამავე წლების), აფხაზური წიგნი, ლ. პ. ბერიას ბიობიბლიოგრაფია, 1938 წ. ჟურნალების სტატიების მატიანე, და სხვ.

მზადდება დასაბეჭდად და გამოსაცემად ქართული პერიოდიკა 1817—1939 წ., გრაფიკის მატიანე, და სხვ.

როგორც ზემოთ ითქვა, საქართველოს სსრ წიგნის პალატა შეუდგა მუშაობას ქართველ მოღვაწეთა ბიო-ბიბლიოგრაფიული ლექსიკონის გამოცემისათვის. ვფიქრობთ, მას შემდეგ, რაც გამოიცემა ქართული წიგნის, საბჭოთა წიგნის ბიბლიოგრაფიები და სხვა, რომლებიც ზემოთ ჩამოვთვალეთ, ქართველ მოღვაწეთა ლექსიკონის გამოცემა დროულიც იქნება და შესაძლებელიც.

1941 წელს პალატის გამომცემლობის გეგმით გათვალისწინებულია გამოიცეს: ქართული წიგნის მე-2 ტომი—საბჭოთა წიგნი 1921—38 წ., ნოტების ბიბლიოგრაფია, ქართული პერიოდიკა 1819-1939 წ., რუსული წიგნი საქართველოში 1921-38 წ., ლ. პ. ბერიას ბიო-ბიბლიოგრაფია, უცხოური პერიოდიკის შეერთებული კატალოგი, ცისკარის ბიბლიოგრაფია, რუსული პერიოდიკა 1921-40 წ., ბეჭდვითი ნაწარმოები ციფრებში და სხვ. გარდა ამისა, გამოცემული იქნება მატიანეები, რომლებიც წელიწადში გამოდის: გაზეთის—36 ნომერი, ხოლო წიგნის, ჟურნალის და ბარათული მატიანეების—12 ნომერი თითოეულის.

ყველაფერი ეს ნათლად ლაპარაკობს პალატის მუშაობისა და საგამომცემლო თემატიკის აქტუალობაზე, მრავალფეროვანებაზე და შინაარსიანობაზე. მაგრამ მარტო ამითაც ვერ დავკმაყოფილდებით. საჭიროა აგრეთვე უშვებდეს კრიტიკულ ბიბლიოგრაფიის და რეცენზიების მატიანეს-კრებულს, რომელშიც უნდა თავსდებოდეს ცნობები ახლად-გამოსული წიგნების შესახებ დაწერილ ბიბლიოგრაფიებზე. ამით მკითხველთა ფართო მასას გავუადვილებთ ახალი წიგნის გაცნობას, მის ღირსებას და ნაკლს. განსაკუთრებით საჭიროა ეს ახლა—მესამე სტალინურ ხუთწლედში, როდესაც პარტიისა და მთავრობის მიერ ჩვენი შესანიშნავი ეპოქის შესაფერისად მშრომელთა კულტურული დონის ამაღლება პირველხარისხოვან სახელმწიფოებრივ ამოცანადაა დასახული. ყველასათვის ცნობილია, რომ ჩვენი ქვეყნის წინმსვლელობასთან ერთად შეუჩერებელ აღმავლობას განიცდის წიგნების გამოცემის საქმეც. ახლადგამოცემულ წიგნთა რიცხვი ყოველწლიურად კოლოსალურად იზრდება. ამისდამიხედვით იზრდება მასების დაინტერესება წიგნით, მასების მოთხოვნილება წიგნზე. დავეხმაროთ მუშებს, კოლმეურნეებს, მშრომელ ინტელიგენციას მათთვის საინტერესო წიგნების შერჩევაში წიგნების მოკლე შინაარსის გადაცემით არამარტო საპატიო საქმეა, არამედ ჩვენი მოვალეობაა, რომელიც გვიკარნახებს რადიკალურად გარდავქმნათ ჩვენი მუშაობა სამეცნიერო დარგში და კერძოდ გამომცემლობის ხაზით.

მოგვიხდება არამარტო წიგნების ანოტირება, არამარტო წიგნებზე ბარათული მატიანების ბეჭდვა და მომხმარებლამდე დაყვანა, არამედ სტატიობრივი აღწერილობის ბარათული მატიანების გამოცემა და სტატიების ანოტირებაც კი.

დიდი ხანია აგრეთვე მომწიფებულია საკითხი ბეჭდვითი პროდუქციის სტატისტიკური კრებულების გამოცემისა.

ყველა ეს ახლო მომავლის საქმეა. ხოლო ამის გასაკეთებლად წიგნის პალატას პოლიგრაფიული ბაზაც აქვს და კადრებიც ჰყავს. პარტიამ და მთავრობამ სათანადო პირობები შეუქმნეს პალატას ახლებურად მუშაობისათვის, მის წინაშე მდგარი ამოცანების წარმატებით გადაწყვეტისათვის.

პალატის გამოცემათა, განსაკუთრებით პერიოდულ გამოცემათა რეალიზაციისა და გამოყენების საქმე ვერ გვაქვს მოგვარებული. წიგნებით მოვაჭრე დაწესებულებები სარგებლობენ რა იმით, რომ წიგნებზე მოთხოვნილება დიდია, თავს არ იწუხებენ, რათა ჩვენი გამოცემები პირველ რიგში მიაწოდონ ვისაც ასეთები განსაკუთრებით ესაჭიროებათ. ისინი გასაღების გეგმების შესრულებით არიან დაინტერესებული, ხოლო ჩვენს ქვეყანაში წიგნების გასაღება ძლიერ ადვილია და მატიანების დანიშნულებრივ გავრცელებას უგულებელჰყოფენ. ამის გამო ჩვენი პერიოდული გამოცემების ისედაც მცირე ტირაჟის უმნიშვნელო პროცენტი თუ მიდის დანიშნულებისამებრ, და ამასაც, უნდა ითქვას, ზოგ ბიბლიოთეკებში ნაკლებად იყენებენ პრაქტიკულ მუშაობაში, ხოლო მატიანებს დიდი დახმარების გაწევა შეუძლიათ, როგორც ბიბლიოგრაფიული დარგის მუშაკებისათვის, ისე პროპაგანდისტებისათვის, მომხსენებლებისათვის, საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის შემსწავლელთათვის, საცნობარო მუშაობისათვის ისინი უსაჭიროესი წყაროებია.

ჩვენი ბიბლიოგრაფიული ლიტერატურა რომ ნაკლებადაა გამოყენებული, ამაში პალატასაც მიუძღვის ბრალი. მას აქამდე არ ჩაუტარებია ბიბლიოგრაფიული დარგის მუშაკებს შორის სათანადო ახსნა-განმარტებითი მუშაობა მატიანებით სარგებლობის წესების, მათი პრაქტიკულად გამოყენების ხერხების შესახებ.

ჩვენ გაკვრით დავახასიათეთ წიგნის პალატის მიერ ჩატარებული მუშაობა და ცალკე სამუშაო უბნების მიხედვით მოვხაზეთ მომავალი მუშაობის საკითხები. აქედანაც ჩანს, რომ წიგნის პალატა შესულია იმ ფაზაში, როდესაც შეუძლია აწარმოოს მეცნიერული, სერიოზული ბიბლიოგრაფიული მუშაობა.

წიგნის პალატა ფეხდაფეხ უნდა მიჰყვეს ჩვენს მზარდ კულტურას, ცხოვრების წინმსვლელობას, სოციალისტური მშენებლობის სტალინურ ტემპებს. ამისათვის ჩვენ ყველა პირობა გვაქვს შექმნილი. ყოველწლიურად იზრდება ასიგნობა მეცნიერული მუშაობის საწარმოებლად, იზრდება შტატი, ფართოვდება პალატის პოლიგრაფიული ბაზა. საჭიროა მხოლოდ ენერგიული, აზრიანი მუშაობა, ახალის შეგრძნობა.

სტალინური ხუთწლედების ბრწყინვალედ განხორციელების შედეგად ჩვენი ქვეყანა შევიდა განვითარების ახალ ხანაში—უკლასო სოციალისტური საზოგადოების მშენებლობის დამთავრებისა და სოციალიზმიდან კომუნიზმში თან-

დათანობით გადასვლის ხანაში, როდესაც გადამწყვეტი მნიშვნელობა ეძლევა მშრომელთა კომუნისტური აღზრდის საქმეს.

საკავშირო კომუნისტური პარტიის მე-18 ყრილობის მიერ განსაზღვრული ეს უდიდესი და მთავარი პროგრამა—მშრომელთა მასების კომუნისტური აღზრდა, რაც მესამე სტალინურ ხუთწლედის საბრძოლო ამოცანაა, წიგნის პალატის წინაშე მთელი სიგრძე-სიგანით აყენებს საკითხს მუშაობის ისე გარდაქმნისას, რომ მან ღირსეულად შეასრულოს თავისი მისია. და მართლაც მას შეუძლია დიდი დახმარება გაუწიოს მშრომელი მასების კულტურული დონის მაღალ საფეხურზე აყვანისა და კომუნისტური აღზრდის საქმეს ურიცხვი საბჭოთა წიგნის, გაზეთის, ჟურნალის პოპულარიზაციით, ბიბლიოგრაფიული მომსახურების გაწევის გზით, რაც წიგნის პალატის პირდაპირი მოვალეობაა.

გ. ილ. ბაძრაძე

# საქართველოს ბიბლიოთეკების საერთო-ბიბლიოგრაფიული სამუშაოები III სტალინურ ხუთწლედში *

(ზოგადი გეგმა)

როდესაც ჩვენ დიდი, მრავალწლიანი ბიბლიოგრაფიული სამუშაოების დაგეგმვაზე გვიხდება მსჯელობა, მყისვე თვალწინ გვიდგება ღვაწლი და ამაგი იმ ადამიანისა, რომელსაც საუცხოვოდ ესმოდა ბიბლიოგრაფიის ამოცანები (თუმცა ის არ იყო პროფესიონალი-ბიბლიოგრაფი) და ბიბლიოგრაფიულ მეთოდიკის ცოდნაშიც არ ჩამოუვარდებოდა ყველაზე კვალიფიკაციურ სპეციალისტს—ჩვენი დიდი მასწავლებლის, ლენინის ღვაწლი და ამაგი ბიბლიოგრაფიის საქმეში.

ჯერ 30 წლის წინათ ლენინმა მოგვცა იდეა მარქსიზმის მსოფლმხედველობაზე დამყარებული, ფართო სისტემატური სარეკომენდაციო ბიბლიოგრაფიისა. იმ დროსვე ლენინმა შეადგინა პირველი ბიბლიოგრაფია ბოლშევიზმის ლიტერატურისა. ლენინმა პირველმა მოგვცა აგრეთვე მარქსიზმის ლიტერატურის შერჩეული ბიბლიოგრაფია. 1920 წელს 30 ივნისს გამოცემულ ისტორიულ დეკრეტით ბიბლიოგრაფიის შესახებ, რომელსაც შემდეგ მიეკუთვნა სახელი ლენინური დეკრეტისა, ლენინმა სული ჩაუდგა ბიბლიოგრაფიის საქმეს საბჭოთა კავშირში და შეუქმნა მას განვითარების ისეთი პირობები, რომლებმაც პირველი ადგილი მოუპოვეს საბჭოთა ბიბლიოგრაფიას მსოფლიოში. ლენინის მითითებების საფუძველზე გაიშალა საცნობო-ბიბლიოგრაფიულ განყოფილებათა მუშაობა და მკითხველთა დიფერენცირებული მომსახურება ბიბლიოთეკებში.

ლენინი უაღრესად ფართო გამოყენებითს დანიშნულებას აკუთვნებდა ბიბლიოგრაფიას. ის ამასთანავე ხაზს უსვამდა დიფერენცირებულ მომსახურებას.

და ლენინის ამ მითითებებს, ამ მითითებათა კონკრეტიზაციას განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ენიჭება სწორეთ დღეს, საბჭოთა სახელმწიფოს სამეურნეო და კულტურული ცხოვრების და განვითარების დღევანდელ ეტაპზე, როდესაც მთელი საბჭოთა ხალხის წინაშე დასმულია უდიდესი ამოცანები: მარქსიზმ-ლენინიზმის საყოველთაო დაუფლება და მესამე სტალინური ხუთწლედის დიდი სოციალისტური მშენებლობის წარმატებით დამთავრება.

თავისთავად იგულისხმება, რომ ბიბლიოგრაფიაც, მთელი თავისი არსენალით—თავისი თეორიითა და პრაქტიკით, თავისი გამოცდილებით და ტრადიციებით—უნდა ჩადგეს სავსებით ამ ამოცანების სამსახურში. ბიბლიოგრაფიამ

* საქართველოს სსრ I ბიბლიოგრაფიულ კონფერენციაზე 1940 წ. 24 დეკემბერს წაკითხული მოხსენების შემოკლებული სტენოგრამა.

უნდა გაუადვილოს მკითხველთა მასებს თანამედროვე ბეჭდვითი პროდუქციის ოკეანეში ორიენტირება, მიაწოდოს პრაქტიკულ საქმიანობაში ჩაბმულ სპეციალისტებსა და ყოველ მშრომელს სწორედ ის ლიტერატურა, რომელიც უშუალოდ დაკავშირებულია მშენებლობის პროცესში წამოჭრილ საკითხებთან, მიაწოდოს დიფერენციულად, ე. ი. მკითხველთა ჯგუფების განვითარების, სპეციალობის, ასაკისა და მრავალი სხვა ნიშნების მიხედვით.

მაგრამ რა არის საჭირო **მაქსიმალურად დიფერენცირებული** ბიბლიოგრაფიული მომსახურებისათვის?

ამ კითხვაზე პრაქტიკოსს შეუძლია მხოლოდ ერთადერთი პასუხის გაცემა (რადგანაც არ არსებობს სხვა პასუხი): საჭიროა, რომ მთელი ბეჭდვითი პროდუქცია აწმყო დროისა და აგრეთვე წარსულში გამოსულიც—წიგნები, სტატიები, რუკები, ნოტები და ერთი სიტყვით **ყველა** სახის ბეჭდვითი ნაწარმოებანი— მაქსიმალური სისრულით იყოს ბიბლიოგრაფირებული, სისტემატიზირებული, დეშიფრირებული, შეძლებისდაგვარად ანოტირებული.

ვინ არ იცის რეტროსპექტიული ბიბლიოგრაფიის მნიშვნელობა და დანიშნულება! სამეცნიერო კვლევა-ძიების ინტერესები, სოციალისტური მშენებლობისა და კულტურის საჭიროებანი, შემოქმედებითი ძიება ხელოვნებაში და აზროვნების ყველა დარგში დაჟინებით მოითხოვენ, რომ ბეჭდვითი ნაწარმოებები როგორც მახლობელი ისე შორეული წარსულისა ამომწურავი სისრულით იქნეს აწერილი და სისტემატიზირებული და ასე მთლიანად გადაშლილი თანამედროვე მკვლევარის თვალწინ, რომ შეიძლებოდეს **შეტყობა** და **გამოყენება** წარსულში უკვე გარკვეულისა, გაშუქებულისა, ამოხსნილისა და, მაშასადამე, მიღწეულისა და მოპოებულისა და ამ მოპოებულზე დაყრდნობით ან მისი გამოყენებით შემოქმედებითი აზრის შემდგომ წარმართვა, ახალი გზების ძიება, შემდგომ საფეხურზე ასვლა.

მაქსიმალურად ფართო, დიფერენციული ბიბლიოგრაფიული მომსახურება მოითხოვს, რომ რეგისტრაციული და რეტროსპექტიული ბიბლიოგრაფია მოგვარებული იქნეს ზღვრული სისრულით. რა გაკეთდა საქართველოში?—ეს უნდა ვიცოდეთ, რომ შევძლოთ დავეგეგმოთ ის, რაც ჯერ არ არის გაკეთებული. I ბიბლიოგრაფიულმა კონფერენციამ, რომელმაც უნდა დასახოს კონკრეტული ღონისძიებანი ბიბლიოგრაფიული მუშაობის დარგში რესპუბლიკის მასშტაბით, რასაკვირველია, უნდა გაითვალისწინოს გაკეთებული და გასაკეთებელიც. მან თავისი აზრი უნდა გამოსთქვას იმ გადაუდებელ ბიბლიოგრაფიულ სამუშაოებზე, რომელნიც ხელს შეუწყობენ საბჭოთა მეცნიერებისა და კულტურის წინსვლას, გააუმჯობესებენ და გააძლიერებენ ბიბლიოგრაფიული მომსახურების საქმეს, გაადიდებენ ბიბლიოგრაფიის გამოყენებას მშენებლობის ყველა დარგში.

გადავიდეთ ბიბლიოგრაფიის მდგომარეობაზე ჩვენში. რასაკვირველია, დიდი მიღწევები გვაქვს. (აქ ჩვენ შემოკლებით გავიმეორებთ იმას, რაც დაბეჭდილ თეზისებშია ნათქვამი). თავისთავად იგულისხმება, მიღწევები საბჭოთა პერიოდს ეკუთვნის. 1921 წლამდე ბიბლიოგრაფიულ მუშაობაზე თითქმის არაფერი არ ითქმის, თუნდაც იმიტომ, რომ მაშინდელი მცირეოდნად გაკეთებულიც კი დღეს გადასაკეთებელი გახდა.

რა სურათი გვაქვს დღეს? შეიძლება განვაცხადოთ, რომ **რეგისტრაციული ბიბლიოგრაფია** სავსებით მოგვარებულია: საკავშირო წიგნის პალატის მსგავსად, საქართველოს პალატა ნუსხავს როგორც წიგნებსა და სტატიებს—„წიგნის მატიანეში", „ჟურნალის სტატიების მატიანეში" და „გაზეთის სტატიების მატიანეში", ისე ნოტებს, რუკებს, დისერტაციებს, რეცენზიებს, ცალცალკე.

რეტროსპექტიული ბიბლიოგრაფია შემდეგ მდგომარეობაშია: პალატაში უკვე შედგენილია ქართული წიგნის ბიბლიოგრაფია დასაბამიდან დღემდე და კიდეეც იბეჭდება ორი დიდი ფოლიანტის სახით (I ტომი სტამბიდან მახლობელ დღეებში გამოდის), სდგება ქართული პერიოდიკის სრული ბიბლიოგრაფია, აგრეთვე საქართველოში გამოსული არაქართული პროდუქციის—წიგნების, პერიოდიკისა და სხვა ბეჭდვითი ნაწარმოების სრული ბიბლიოგრაფია. ამრიგად, საქ. პალატის გეგმით, რომელიც ამ შემთხვევაში სრულებით ურყევია (და არც შეიძლება სხვანაირი იყოს!) უახლოეს მომავალში, ე. ი. 1941 წლისა და ნაწილობრივად 1942 წლის მანძილზე აწერილი იქნება **მთელი ქართული და არაქართული ბეჭდვითი პროდუქცია, რომელიც კი როდესმე გამოსულა საქართველოში.** (თავისთავად იგულისხმება, რომ ეს ყველაფერი წარმოდგენილი იქნება დაბეჭდილი ბიბლიოგრაფიის სახით).

ასაწერი რჩება საქართველოში გამოსულ ჟურნალ-გაზეთების **სტატიები,** საერთოდ 1905 წლიდან 1933 წლამდე,—ობიექტი რეტროსპექტიული ბიბლიოგრაფიის და ამ მოხსენების ძირითადი თემა, რომელზედაც ქვემოთ გვექნება საუბარი.

**სარეკომენდაციო ბიბლიოგრაფიის** ხაზით ჩვენი მიღწევები იმაში გამოიხატება, რომ ჩვენ ავითვისეთ ეს დარგი. 1935 წლიდან მოყოლებული უკვე გამოსულია რამდენიმე ათეული სარეკომენდაციო საძიებელი მთელ რიგ აქტუალურ თემებზე ზოგი ჟურნალებში და ზოგი ცალკე გამოცემული. გარდა ამისა ამ საქმეს სათავეში უდგა განათლების კომისარიატთან არსებული ბიბლიოთეკათმცოდნეობისა და სარეკომენდაციო ბიბლიოგრაფიის მეთოდკაბინეტი, რომელიც მთელ რიგ ახალ საძიებლებს ამზადებს. მაგრამ არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ კაბინეტის ზოგიერთი საძიებელი უფრო სპეციალურ ბიბლიოგრაფიას უახლოვდება (მაგალითად, „შოთა რუსთაველის ბიბლიოგრაფია", „სკოლისგარეშე საკითხავი ლიტერატურა"). მასისათვის განკუთვნილ სარეკომენდაციო სიაში სასტიკად შერჩეული თხზულებები უნდა შევიტანოთ. გარდა ამისა, დროა უკვე გადავიდეთ ანოტირებულ სარეკომენდაციო სიებზე. ჩვენი ჟურნალ-გაზეთები სამწუხაროდ იშვიათად ბეჭდავენ სარეკომენდაციო სიებს. გამონაკლისს შეადგენს მხოლოდ გაზეთი „კომუნისტი", რომელმაც გამოაქვეყნა რამდენიმე სია სხვადასხვა პოლიტიკურ თემაზე („სკპ(ბ) XVIII ყრილობა", „საქ. ალკ XX წლისთავი", „დიდი ოქტომბრის რევოლუციის XXI წლისთავი" და სხვა თემაზე).

**სპეციალური ბიბლიოგრაფია** სავსებით დამოკიდებულია მეცნიერების განვითარებაზე ჩვენში. ქართული სამეცნიერო ლიტერატურა ჯერ ახალგაზრდაა. სჭარბობს სამეცნიერო-სასწავლო და სამეცნიერო-პოპულარული ლიტერატურა. მაგრამ ზოგიერთი დარგი, როგორც მაგალითად ენათმეცნიერების ლი-

ტერატურა, ისე განვითარდა, რომ მან წარმოშვა ბიბლიოგრაფიული სიები და მიმოხილვები. მათ შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია, როგორც წმინდა სამეცნიერო ბიბლიოგრაფიის ნიმუში—**პროფ. გ. ს. ახვლედიანის** რედაქციით გამოცემული „**ფონეტიკური ლიტერატურის ანოტირებული ბიბლიოგრაფია**". აღსანიშნავია აგრეთვე სერია „მასალები ამიერკავკასიის ბიბლიოგრაფიის ბიბლიოგრაფიისათვის", რომელიც გამოდის პროფ. ლ. მელიქსეთ-ბეგის რედაქციით. გარდა ამისა ზოგიერთი ჩვენი მეცნიერები ურთავენ თავიანთ შრომებს ვრცელ სპეციალურ ბიბლიოგრაფიებს, რომლებშიც უცხოური ლიტერატურის გარდა მოყვანილი არის ხოლმე ქართული გამოკვლევებიც. ჩვენი სპეციალური (სამეცნიერო) ბიბლიოგრაფია შემდეგში ალბათ კვალდაკვალ გაჰყვება სამეცნიერო ლიტერატურის ზრდას ქართულ ენაზე.

ამრიგად, ჩვენი მიღწევები ბიბლიოგრაფიის დარგში სრულებით უდავოა. ბიბლიოგრაფია საქართველოში ჩამოყალიბდა როგორც მნიშვნელოვანი სპეციალური დარგი. მაგრამ, როგორც აღნიშნულია თეზისებში, ბიბლიოგრაფიულ საქმეს საქართველოში მის მძლავრ აღმავლობასთან ერთად თან დაჰყვა მრავალი ნაკლი, რომელიც განვითარდა ბიბლიოგრაფიულ სამუშაოთა გამრავლებასთან ერთად და თავი იჩინა ამ სამუშაოების დიფერენციაციის დროს. მოკლეთ აღვნიშნავთ უმთავრეს ნაკლს.

ჩვენ ზემოთ დავასახელეთ რამდენიმე სპეციალური ბიბლიოგრაფიული შრომა, რომელიც ავტორიტეტულ დაწესებულებების მიერ არის გამოცემული. მაგრამ დროგამოშვებით ჩვენში სამეცნიერო ბიბლიოგრაფიის მარკით ჩნდება ხოლმე მდარე ნაწარმოები, ან უკეთესია ვთქვათ პირდაპირ, ბიბლიოგრაფიის სუროგატი. ასეთია მაგალითად „უცხოეთის საჟურნალო პრესის სტატიების მაჩვენებელი", ყოფილ МБИТ-ის 1937 წ. გამოცემა, რომელშიც უცხოური სათაურები რუსულ თარგმანშია მოცემული, დედანი კი სულ არ არის დასახელებული! ან კიდევ „Рефераты грузинской медицинской литературы", რომელშიც არ არის აღნიშნული არც ქართული სახელწოდებანი გამოკვლევებისა და არც ის პერიოდული გამოცემა და ნაკეთის ნომერი, რომელშიც ესათუის გამოკვლევაა დაბეჭდილი! ქართულ ენაზე სამწუხაროდ კიდევ მოიპოვება ამგვარი სუროგატები. ჩვენში ჯერ კიდევ ძალზე სუსტადაა განვითარებული ლიტერატურული კრიტიკა. რეცენზიები იშვიათად იბეჭდება. ამიტომ არის, რომ სრულღირებულებიან შრომებთან მდარე ნაწარმოებიც ადვილად იკაფავს გზას.

ჩვენი ბიბლიოგრაფიული მუშაობის ერთერთი დიდი ნაკლი—პარალელიზმია. ერთსადაიმავე თემას რამდენიმე ალაგას ამუშავებენ. ეს უმთავრესად, იმიტომა ხდება რომ ბიბლიოგრაფიული შრომების წამომწყები ორგანიზაციები და ბიბლიოთეკები, იმყოფებიან რა სხვადასხვა უწყებებში, არ არიან ერთმანეთთან დაკავშირებულნი და არ იცნობენ ერთმანეთის საწარმოო გეგმებსა და სამუშაოებს. განათლების კომისარიატის პოლიტ-საგანმანათლებლო მუშაობის სამმართველომ უკვე მიაქცია ყურადღება ამ უარყოფითს მოვლენას და აპირობს ბიბლიოგრაფიულ სამუშაოთა ბიბლიოთეკათშორისი მარეგულირებელი ორგანოს შექმნას, რისთვისაც ამუშავებს სათანადო დებულებას. მე სიტყვას აღარ გავაგრძელებ ამ თემაზე. მე მსურს მხოლოდ ხაზი გავუსვა იმას, რომ პარალე-

ლიზმი სხვა დაბრკოლებებთან ერთად ხელს უშლის უმნიშვნელოვანესი ბიბლიოგრაფიულ წამოწყებებისა და საკითხების მოგვარებას, ხელს უშლის რეტროსპექტიულ ბიბლიოგრაფიის გაშლას საჭირო მასშტაბით და ტემპით.

რეტროსპექტიული ბიბლიოგრაფია ჩვენში ძლიერ ჩამორჩენილია. ამას ყველაზე მწვავედ განიცდის ჩვენი მრავალრიცხოვანი მეცნიერ მუშაკთა მასა. საკმარისია თვალი გადავავლოთ ჩვენს უმაღლეს სასწავლებლებში დაცული დისერტაციების თემატიკას, რომ მაშინვე ვთქვათ: რა ცუდია, რომ საქართველოს ჟურნალ-გაზეთებში მოთავსებული სტატიები და მასალები დღემდის არ არის ბიბლიოგრაფირებული. დავასახელებ საილუსტრაციოდ საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში უკანასკნელი 7—8 თვის განმავლობაში დაცულ დისერტაციებს და მე გთხოვთ გაიხსენოთ ამ სადისერტაციო თემებზე არსებული ლიტერატურა:

1. ხელოსნური მრეწველობა და ამქრული წყობილება საქართველოში.
2. მეხილეობა შიდა ქართლში და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიურ ოლქში.
3. Саранчевый вопрос в Закавказье.
4. ლეღვის კულტურა საქართველოში.
5. შრომის მარტივი კოოპერაციის გარდმონაშთები რაჭაში.
6. ფრანგული და ქართული ლიტერატურის ურთიერთობა და ერისთავის „სამშობლო“.
7. Потребительская кооперация Грузии 1932-38 гг.
8. ნალექები დასავლეთ საქართველოში.
9. საქართველოს და ამიერკავკასიის კოლონიზაცია მე-19 საუკუნეში.
10. მამია გურიელი (ცხოვრება და შემოქმედება).

ყველა ამ თემების შესახებ უამრავი მასალა არის გაბნეული საქართველოში გამოსულ ქართულ და რუსულ პერიოდიკაში, მაგრამ ეს მასალები უკიდურესად ძნელი მისაწვდომია ან სულ გამოუყენებელი რჩება მეცნიერ მუშაკების, სპეციალისტების, სტუდენტებისა და საზოგადოდ მკითხველისათვის, რადგანაც არა გვაქვს ბიბლიოგრაფია. დისერტანტი და ყოველი ავტორი მასალების მოძებნას ათჯერ და ასჯერ მეტ დროს ანდომებს ვიდრე თვითონ შრომის დაწერას და ჩვენ ვურიგდებით ასეთ მდგომარეობას. რატომღაც გვავიწყდება, რომ საქართველოს 21 უმაღლეს სასწავლებელში, სადაც 1000-ზე მეტი სხვადასხვა საგანი იკითხება, ათი ათასი სხვადასხვა თემა და საკითხი მუშავდება და რომ საქართველოს პერიოდიკის ანალიტიკურ ბიბლიოგრაფიის შედგენის დაგვიანება ან გადადება პირდაპირ დანაშაულს უდრის.

სწორედ ამიტომ საქართველოს ბიბლიოთეკებმა თავის საბრძოლო ამოცანად უნდა გაიხადონ მესამე სტალინური ხუთწლედში ყველა ამ სამეცნიერო კვლევა-ძიებისათვის აუცილებელი ბიბლიოგრაფიული სამუშაოების კოლექტიური შესრულება. თეზისებში ქრონოლოგიური თანმიმდევრობით მოყვანილია საქართველოში XIX და XX სს. გამოსული პერიოდიკა, რომელიც ჯერჯერობით არ არის ბიბლიოგრაფირებული და, რომელიც უნდა აიწეროს, სახელდობრ: ა) ქართული ჟურნალები 1918—1934; ბ) ქართული გაზეთები 1905—1921; გ) გაზეთი „კომუნისტი“ 1920—1941; დ) რაიონული პრესა; ე) საქართ-

ველოში გამოსული რუსული პერიოდიკა 1828—1921; ვ) რუსული პერიოდიკა 1921—1934; ზ) საქართველოში სომხურ, აზერბაიჯანულ და სხვა ენებზე გამოსული პერიოდიკა.

თეზისებში მოცემულია აგრეთვე ყველა ამ გამოცემათა ბიბლიოგრაფიულ აღწერასთან დაკავშირებული სამუშაოების პრაქტიკული გეგმა საორიენტაციო გაანგარიშებებით და ახლა აქ საჭიროა მხოლოდ მოკლედ განვმარტოთ იგი.

ჩვენ ვამბობთ, რომ წარმოდგენილი გეგმა ზოგადია. პრაქტიკულად მუშაობის დაწყებისას ჩვენს გეგმას ზოგგან დაზუსტება დასჭირდება. გეგმის ის ნაწილი, რომელიც გაზეთ „კომუნისტის“ და რაიონული პრესის ბიბლიოგრაფიულ აღწერას შეეხება ზუსტადაა გამოანგარიშებული. ის ნაწილი კი, რომელიც დანარჩენ პერიოდიკას შეეხება არ არის ზუსტი. არც შეიძლება იყოს ზუსტი და აი რატომ. ჯერ ერთი იმიტომ, რომ, როგორც მოგეხსენებათ, ქართული პერიოდიკა ჯერ არავის არ აურიცხავს სერიალურ კომპლექტებში. მეორე იმიტომ, რომ 1936—1940 წლებში გამოსული პერიოდიკა ჯერ აწერილიც არ არის. ჩვენ არა გვაქვს წიგნერთეულების რიცხვი, რომ შეიძლებოდეს ასაწერი სტატიების რაოდენობა დაახლოვებით მაინც გამოვიანგარიშოთ. თეზისებში მე აღებული მაქვს ქართული პერიოდიკისათვის (1918—1934 წ. წ. „კომუნისტის“ და რაიონული პრესის გამოკლებით) 400.000 აღწერილობა. მე გამოვდიოდი საჯარო ბიბლიოთეკის „ანალიტიკური ბიბლიოგრაფიის“ I ტომის რაოდენობიდან (20.000 აღწ.); ოთხი ტომის მასალა (ე. ი. 80.000), რომელიც მოიცავს 1852—1917 წლების პერიოდიკას, ავიღე ხუთჯერ (400.000). თავისთავად ცხადია, რომ ეს მექანიკური და მეტისმეტად ზოგადი აღრიცხვაა, მაგრამ სხვა საშუალება არ იყო. პირადად მე მგონია, რომ ზემოაღებული რიცხვი ახლო უნდა იყოს ასაწერი მასალის ნამდვილ რაოდენობასთან და, რომ მათემატიკურად ზუსტი აღრიცხვა შეუძლებელია, რადგანაც ფრიად მრავალფეროვან მასალებთან გვაქვს საქმე. ამთავითვე უნდა აღვნიშნოთ და შემდეგში დაზუსტებული გეგმებიც ამასვე დაგვანახვებენ,—სახელდობრ, რომ ყველა ზემოდასახელებული სამუშაოები—ქართული, რუსული, სომხური და სხვა პერიოდიკის აღწერა ორ წელიწადში (1941—1942 წ. წ.) უნდა ვიფიქროთ, ვერ ჩაეტევა და გარკვეული ნაწილი გადავა შემდეგ ხუთწლედში. ცხადია, რომ ყველა ამ დიდი სამუშაოების მაქსიმალურად მოკლე დროში შესრულება სავსებით დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენი ბიბლიოთეკა მიიღებს მონაწილეობას საერთო მუშაობაში.

გადავიდეთ ჩვენი ზოგადი გეგმის ცალკეული ობიექტების განხილვაზე.

**გაზეთ „კომუნისტი“-ს ბიბლიოგრაფირება.** მე ცალკე გამოვყავი გაზეთი „კომუნისტი“ იმიტომ, რომ მას სრულებით განსაკუთრებული ადგილი უკავია ყველა ქართული პერიოდული გამოცემების შორის. თეზისებში მე ვამბობ, რომ გაზეთ „კომუნისტში“ მაქსიმალური სისრულით არის ასახული საქართველოს ისტორიის ყველაზე გადამწყვეტი და ყველაზე მნიშვნელოვანი პერიოდი. მართლაც, საქართველოს ცხოვრების განვლილი ოცი წელიწადი საუკუნეებს უდრის და „კომუნისტი“ ამ ცხოვრების სარკე იყო. საბჭოთა ხელისუფლების დამყარების დღიდან მოყოლებული დღემდე „კომუნისტი“ განუწყვეტლივ აღნუსხავს

ჩვენი ქვეყნის სოციალ-პოლიტიკური და კულტურული ცხოვრებისა და განვითარების ყველა ამბებს, ყველა ფაქტებს, ყველა დეტალებს. გაზეთს „კომუნისტს“, როგორც საქართველოს ისტორიის ნამდვილ მატიანეს არც ერთი გაზეთი და ჟურნალი არ შეედრება! „კომუნისტის“ მეშვეობით შეიძლება აღვადგინოთ მეხსიერებაში ურიცხვი ფაქტები და ცნობები ყრილობებისა და კონფერენციების, თეატრული დადგმებისა და კონცერტების და კინოსურათების, პოლიტიკური, საზოგადო და სხვა მოღვაწეების შესახებ, რეცენზიები წიგნებზე და უთვალავი სხვა ფაქტები, რომლის ჩამოთვლა დაუსრულებელი იქნებოდა. წაიკითხეთ „კომუნისტის“ 20 წლის თავზე დაწერილი სტატიები და დარწმუნდებით, რომ მისი ოცი წლის მრავალფეროვანი შინაარსის სრული დახასიათება შეუძლებელია. ეს ამოცანა შეიძლება შეასრულოს მხოლოდ ვრცლად შედგენილმა ბიბლიოგრაფიულმა საცნობომ, რომელსაც დართული ექნება ე. წ. დამხმარე საძიებლები: საგნობრივი, გეოგრაფიული, Personalia და სხვა. მაგალითად, რომ ყოფილიყო საძიებელი Personalia, ე. ი. ანბანზე გაწყობილი გვარები იმ პირებისა, რომლებზედაც 20 წლის განმავლობაში დაიბეჭდა ბიოგრაფია, ნეკროლოგი, ცნობა იუბილეს ან დისერტაციის დაცვის შესახებ, ან საბჭოთა კავშირის გმირობის მინიჭების შესახებ, უმაღლეს საბჭოში არჩევის შესახებ და სხვა,—გვაჩვენებდა რომელი წლის რომელ ნომერშია ცნობა ამადაამ პირზე. ან, მაგალითად, გეოგრაფიული საძიებელი, ე. ი. საქართველოს დაბა-ქალაქებისა და სოფლების სია, დაგვანახვებდა თუ რომელი სოფლისა თუ ქალაქის ცხოვრება ასახულა „კომუნისტში“ 20 წლის მანძილზე, რამდენჯერ და რაში ასახულა. ასევე საგნობრივი, ავტორთა და სხვა სპეციალური საძიებლები მოგვცემდნენ ზუსტ მითითებებს უმდიდრეს მასალაზე.

„კომუნისტის“ ბიბლიოგრაფიის შედგენა წინ უნდა უსწრებდეს მთელი დანარჩენი ქართული პერიოდიკის აღწერას, იმიტომ, რომ გაზეთში 20 წლის მანძილზე გამორკვეულია მრავალი ბიბლიოგრაფიული ფაქტები (ფსევდონიმები, თარიღები და სხვა) და ეს გაადვილებს შემდეგ პერიოდიკაზე მუშაობას.

თეზისებში მოცემული ანგარიშით გაზეთის 20 წლის კომპლექტს 15 გამოცდილი ბიბლიოგრაფი ასწერს 8 თვეში; სისტემატიზაციითა და დასაბეჭდად დამზადებით სულ უნდა ვივარაუდოთ 1 წლის მუშაობა (15 მუშაკისათვის). თუ რა უნდა აიწეროს და როგორ აიწეროს,—ამისათვის წინასწარ შედგენილი უნდა იყოს სპეციალური ინსტრუქცია. წინდაწინვე უნდა იყოს გათვალისწინებული ერთი ფრიად მნიშვნელოვანი გარემოება: ბიბლიოგრაფია არ უნდა დაიტვირთოს ბალასტური მასალით, რადგანაც ბალასტი აშკარად ჩაშლის გამოცემის საქმეს. ყველაზე მნიშვნელოვანი კი დაბეჭდილი ბიბლიოგრაფიაა! ამიტომ უნდა აიწეროს მხოლოდ ისეთი მასალები, რომელიც უშუალოდ საქართველოს შეეხება. არავითარი აზრი არა აქვს, მაგალითად, ძველი ტელეგრამებისა და კორესპონდენციების აღნუსხვას, რომელიც არ ეხება საქართველოს. მკვლევარი თუ მას ასეთი მასალა დასჭირდა, არ დასჯერდება ქართულ თარგმანს და აუცილებლად დედანს ე. ი. რუსულ წყაროებს მიმართავს. გამონაკლისი უნდა დავუშვათ მხოლოდ უმნიშვნელოვანესი თარგმნილი მასალებისათვის, როგორც მაგალითად საკ. კ. პ. (ბ) და სსრკ მთავრობის ოფიციალური დოკუმენტებია,

პარტიის გამოჩენილ მოღვაწეების, გამოჩენილ საბჭოთა მეცნიერებისა და მწერლების სტატიების თარგმანები, რომელიც იბეჭდება „კომუნისტში“.

რა მოცულობისა იქნება დაბეჭდილი ბიბლიოგრაფია? გამოანგარიშებიდან ჩანს, რომ გაზ. „კომუნისტის“ ერთი დღის ტირაჟის მეოთხედისათვის საჭირო ქაღალდი მოგვკემდა 2—3 ტომს,—თითოს 800 გვერდის მოცულობით. (ვიღებთ პატარა ტირაჟს—300-400 ცალს, რაც სავსებით დაჰფარავს ბიბლიოთეკების, რედაქციებისა და სამეცნიერო ორგანიზაციების მოთხოვნილებებს).

ჩემი აზრით ეს ბევრი არ არის! თუ Monumenta Germaniae historica-ს ათეული ტომები უჭირავს, განა სახელოვანი Monumenta Georgiae historica ღირსი არ არის, რომ მას სამი და მეტი ტომი დაეთმოს!

ერთი კითხვაც—ვინ უნდა ითავოს ეს საქმეო?! მე მგონია რომ—თუ მტკიცე სურვილი იქნება—განსახკომი, „კომუნისტის“ რედაქცია და საქ. წიგნის პალატა ერთად, გამონახავენ მინიმალურ პირობებს იმისათვის, რომ აამოძრავონ 15 ბიბლიოგრაფი და ბიბლიოთეკარი „კომუნისტის“ 20 წლის ბიბლიოგრაფიის შედგენისათვის.

**რაიონული პრესის ბიბლიოგრაფირება.** ჩვენი სამეცნიერო ორგანიზაციები და ბიბლიოთეკები უკვე ფართოდ სარგებლობენ ფოლკლორული და საეწათმეცნიერო მასალებით რაიონულ გაზეთებიდან. მაგრამ ფოლკლორის გარდა რაიონულ პრესაში ბევრი სხვა მასალაც მოიპოვება—ეთნოგრაფიის, სასოფლო მეურნეობის, ეკონომიკისა და სხვა სამხარეთმცოდნეო და ადგილობრივი ისტორიის მასალა. საქართველოს წიგნის პალატა მხოლოდ 1940 წლიდან ნუსხავს რაიონული პრესის სტატიებს. ასაწერია, მაშასადმე, 1940 წლამდე გამოსული გაზეთები.

ამ კონფერენციის მოსამზადებელ თათბირზე ჩვენ დავადექით იმ აზრს, რომ რაიონული პრესის აღწერა თვითონ რაიონებს უნდა მიენდოს, რაიონული ბიბლიოთეკების სახით. მაგრამ ამ საქმის განხორციელებას რაიონებში ორი გარემოება ართულებს. როგორც გამოირკვა, ბათუმის ბიბლიოთეკებში არ მოიპოვება ბათუმში გამოსული ქართული ჟურნალ-გაზეთები (თუმცა იქ სხვადასხვა წლებში 30-ზე მეტი პერიოდული გამოცემა გამოვიდა). სუხუმის ბიბლიოთეკებში არ მოიპოვება სუხუმის გაზეთები, ან თითოოროლა ცალებია, საგარეჯოში—საგარეჯოს გაზეთები, თიანეთში—თიანეთისა და ასე თითქმის ყველა რაიონში. როგორც ჩანს არავინ რაიონში არ ზრუნავს იმისათვის, რომ იქ დაცული იყოს ერთი ეგზემპლარი მაინც. თუ დღეს ყველგან ასეთი მდგომარეობაა, მაშინ ბიბლიოგრაფიაზე ლაპარაკი ზედმეტია. ის ბიბლიოთეკარი ან მკითხველი, რომელიც ადგილობრივი მატიანეს უკანასკნელ ფურცლებს აფლეთინებს ან ჰკარგავს—პასუხისგებაშია მისაცემი.

ამიტომ რაიონული ბიბლიოთეკების პირველი გადაუდებელი საქმე არის—რადაც არ უნდა დაჯდეს ადგილობრივი გაზეთების ყველა წლების სრული კომპლექტების შეძენა, შეძლებისდაგვარად ორ ცალად (ერთი—შეუხებლად შესანახად, მეორე—დამუშავებისათვის და მოხმარებისათვის), სანამ ჯერ კიდევ შეიძლება მათი შოვნა ოჯახებში.

მოგახსენებთ მეორე დაბრკოლების შესახებაც. იმავე მოსამზადებელ თათბირზე საქართველოს წიგნის პალატაში რიგი ამხანაგებისა გამოსთქვამდა ეჭვს რაიონული ბიბლიოთეკების მიმართ: ვაი თუ ისეთი ძნელი და ბიბლიოგრაფიაში გაწაფული მუშაკისათვისაც თავსამტვრევი სამუშაო, როგორიცაა ანალიტიკური აღწერილობა და დეშიფრაცია, რაიონულმა მუშაკებმა ვერ დასძლიონ და მათ მიერ ბიბლიოგრაფირებული გაზეთები ხელახლად ასაწერი გახდესო. პალატის ხელმძღვანელობამ ამას დაუპირისპირა ის მოსაზრება, რომ, ჯერ ერთი, ის მზად არის აიღოს თავის თავზე ბიბლიოგრაფიული ხელმძღვანელობა რაიონების მიმართ და, რომ რაიონული ბიბლიოთეკები, თუ ისინი სერიოზულად მოჰკიდებენ ხელს აღწერის საქმეს, დასძლევენ ამოცანას და მოგვცემენ სათანადო ხარისხის პროდუქციას.

ამრიგად, საქ. წიგნის პალატა მზადაა ყოველმხრივ დაეხმაროს რაიონულ ბიბლიოთეკებს ამ საქმეში. სრული იმედია, რომ მძლავრი რაიონული ბიბლიოთეკები სათანადო მაღალ დონეზე დააყენებენ ბიბლიოგრაფიულ სამუშაოებს. არც ერთმა ბიბლიოთეკამ არ უნდა სთქვას უარი მუშაობაზე—აქაოდა ძნელია. პირიქით, ყოველი ბიბლიოთეკა უნდა დაეუფლოს თავის სპეციალობას სავსებით და ამით საძირკველი ჩაუყაროს მხარეთმცოდნეობის ბიბლიოგრაფიას თავის რაიონში. ჩვენი საორიენტაციო გაანგარიშებით რაიონული პრესის აღწერას სულ 8—10 თვე დასჭირდება. თავისთავად იგულისხმება, რომ აღწერის ხელმძღვანელობა უნდა დაეკისროს საქ. წიგნის პალატას, როგორც ბიბლიოგრაფიის ცენტრს საქართველოში. მუშაობის დაწყებამდე საჭიროა პალატამ დაამუშაოს და გამოსცეს რაიონული ბიბლიოთეკებისათვის: 1) ბიბლიოგრაფიული ინსტრუქცია გაზეთების აღწერისა და 2) მეთოდური წერილი მხარეთმცოდნეობის ბიბლიოგრაფიის შესახებ.

**თბილისის საქალაქო ბიბლიოთეკების შეერთებული კატალოგი.** შეერთებული კატალოგების იდეა საზოგადოდ და კერძოდ თბილისის ბიბლიოთეკების შეერთებული კატალოგის იდეა ახალი არ არის ჩვენი საბიბლიოთეკო საზოგადოებრივობისათვის. Milkau-ს ჰანდბუხში (Handbuch d. Bibliothekswissenschaft B. II) არის ცნობა, რომ 1900 წლისათვის ციურიხში და ჟენევაში უკვე არსებობდა შეერთებული კატალოგები, რომლებიც რამდენიმე ათეულ ბიბლიოთეკას აერთიანებდნენ. ეს სწორედ ის დროა იყო—1900—1905 წ. წ.,—როდესაც ლენინი შვეიცარიაში ცხოვრობდა (მეორე გამგზავრებისას საზღვარგარეთ) და კარგად გაეცნო აქაური ბიბლიოთეკების მუშაობას. ლენინი სიამოვნებით აღნიშნავდა იმას, რომ შვეიცარიის ბიბლიოთეკა აწვდის თავის მკითხველს სხვა ქალაქის ბიბლიოთეკიდან გამოწერილ წიგნებსაც, ეს იყო პირდაპირი შედეგი შეერთებული კატალოგისა, რომელსაც ლენინი უწოდებდა ცენტრალურ კატალოგს—Центральный каталог, ისევე როგორც კრუპსკაია თავის მოგონებებში ლენინის შესახებ. თქვენ მოგეხსენებათ აგრეთვე, რომ რუსეთში შეერთებული კატალოგების პოპულარიზაციისათვის ბევრი გაკეთდა და დღეს ეს კატალოგები მტკიცეთ არის შესული რუსეთის საბიბლიოთეკო პრაქტიკაში. გარდა უცხოური პერიოდიკის შეერთებული კატალოგებისა, რომელიც შედგენილია ლენინგრადის, მოსკოვის და რამდენიმე სხვა ქალაქის სამეცნიერო ბიბლიოთე-

კებისათვის, არსებობს ზოგადი შეერთებული კატალოგებიც, როგორც, მაგალითად, საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის სისტემაში შემავალი დაწესებულებათა ბიბლიოთეკების შეერთებული კატალოგი, მძიმე მრეწველობის კომისარიატის დაწესებულებათა ტექნიკურ ბიბლიოთეკების შეერთებული კატალოგი და ბევრი სხვა. ჩვენში საქართველოს წიგნის პალატამ შეადგინა სპეციალური შეერთებული კატალოგი თბილისის სამეცნიერო ბიბლიოთეკებში არსებული ლექსიკოლოგიური და საცნობო-ბიბლიოგრაფიული ლიტერატურისა და განაგრძობს ამ კატალოგის შევსებას. 1923 წელში შედგენილი იყო ქართული წიგნების შეერთებული კატალოგი თბილისის მასობრივ ბიბლიოთეკებში ივანე ციციშვილის თაოსნობით. შემდეგ მისივე ხელმძღვანელობით შედგენილი იყო სამეცნიერო-აგრონომიული ლიტერატურის შეერთებული კატალოგი. ასე რომ შეერთებულ კატალოგებზე მუშაობა ნაცნობია ჩვენს ბიბლიოთეკებში. თბილისის ბიბლიოთეკების შეერთებული კატალოგის საკითხიც არა ერთხელ დასმულა სხვადასხვა კრებებზე და სხდომებზე ბიბლიოთეკების მუშაკთა წრეებში, მაგრამ მცირე შტატები ზოგიერთ ბიბლიოთეკაში, მოუწესრიგებელი კატალოგები და სხვა დაბრკოლება ეღობებოდა ამ საქმის განხორციელებას.

დღეს ყველა ეს დაბრკოლება წარსულშია.

ჩვენ ოცი სანიმუშოდ დაყენებული საქალაქო ბიბლიოთეკა გვაქვს და მათი შეერთებული კატალოგის საკითხი დღისწესრიგში დგას. არავითარი ეჭვი არ არის, რომ ყველა ამ ოცი ბიბლიოთეკის თანამშრომელი აღფრთოვანებით შეეგებება შეერთებულ კატალოგის იდეას იმიტომ, რომ კატალოგი საშუალებას მისცემს მათ კიდევ უფრო ფართოდ გაშალონ ქალაქის მოსახლეობის მომსახურება. მე აღარ გავაგრძელებ სიტყვას შეერთებული კატალოგის მნიშვნელობაზე: თეზისებში ამის შესახებ, მგონია, ამომწურავად არის ნათქვამი. აქ საჭიროა მხოლოდ ორგანიზაციულ მხარეს შევეხოთ.

შეგროვილი ცნობების თანახმად ქალაქის ოც ბიბლიოთეკაში მრგვალი რიცხვით 250.000 წიგნია და თუ 1941 წელში მისაღები წიგნებიც დავუმატეთ, უნდა ვივარაუდოთ დაახლოვებით 300.000. დუბლირებისათვის თუ ავიღებთ გავრცელებულ ნორმას (120 ბარათი), გამოდის რომ დუბლირებას დასჭირდება (300.000:120=) 2500 დღე, ე. ი. თუ ყველა ოც ბიბლიოთეკამ თანაბარი ნაწილი შეასრულა (2500:20=) მთელი დუბლირება 125 დღეში მოთავდება. თეზისებში ეს საძუშაო წარმოდგენილია როგორც ორი წლის სამუშაო, რომელიც თითოეულმა ბიბლიოთეკამ უნდა შეასრულოს თავისი ჩვეულებრივი, ყოველდღიური მუშაობის დამთავრების შემდეგ.

შეერთებულ კატალოგზე სამუშაოების დაწყებამდე თბილისის ქალაქის განათლების განყოფილებამ ჩვენი აზრით უნდა გაატაროს შემდეგი ღონისძიებანი:

1. წინასწარ დაამუშავოს სპეციალური კატალოგოგრაფიული ინსტრუქცია დუბლირების ჩატარებისათვის და შეადგინოს დაზუსტებული გეგმები.

2. გამონახოს კატალოგის ადგილსამყოფელი და გამოჰყოს კატალოგის გამგე-სპეციალისტი.

3. დაამუშავოს საგანგებო დებულება, რომელშიც გათვალისწინებული იქნება კატალოგის შევსება შემდგომ წლებში და კატალოგით სარგებლობის წესები.

4. დაუკავშირდეს საქ. წიგნის პალატას და განსახკომს ორგანიზაციული და მეთოდური საკითხების მოსაგვარებლად.

**თეორიული ბიბლიოგრაფიული საკითხები.** როგორც ამხანაგი სტალინი გვასწავლის პრაქტიკა უმჯიდროეს კავშირში უნდა იყოს თეორიასთან და ეს ყველა დარგისათვის სავალდებულო დებულება აუცილებელია ბიბლიოგრაფიისათვისაც. ჩვენ გადასაწყვეტი გვაქვს მრავალი თეორიული საკითხები. მაგრამ მე შევჩერდები ხუთ საკითხზე, რომელიც ჩემი აზრით ყველაზე უფრო დაჩქარებით მოითხოვს გადაჭრას. ეს საკითხებია: 1) ბიბლიოლოგიური ტერმინოლოგია, 2) კატალოგრაფიული კოდექსი, 3) თავფურცლის გაფორმების საკითხი, 4) ქართულ წიგნის ბიბლიოგრაფიული წყაროების გამორკვევა და მათი შეჯერება, 5) ბიბლიოგრაფიულ განყოფილებათა კოოპერირებული მუშაობის რეგულირება (ეს უკანასკნელი საკითხი, რასაკვირველია, ორგანიზაციული საკითხია და არა თეორიული).

ვეცდები, რომ არაფერი არსებითი არ გამოვტოვო ამ საკითხების შესახებ.

პირველი საკითხი—**ტერმინოლოგიაა**. თქვენ იცით, რომ საბიბლიოთეკო-საბიბლიოგრაფიო ტერმინოლოგია პირველად დამუშავებული იყო მთავრობასთან არსებულ სატერმინოლოგიო კომისიაში 1929-1931 წლებში და 1932 წელში უკვე გამოიცა „ბიბლიოთეკონომიის, ბიბლიოგრაფიისა და პოლიგრაფიული წარმოების ტერმინოლოგია, რუსულ-ქართული და ქართულ-რუსული". მას შემდეგ 8 წელიწადი გავიდა. ჩვენში ყველა დარგი არაჩვეულებრივი ტემპით ვითარდება და ბუნებრივია, რომ დღეს ამ ლექსიკონს უკვე ბევრი სიტყვა აკლია. თუ წინათ, მაგალითად, კატალოგოგრაფიაში გვქონდა მხოლოდ „выходные данные", „ბეჭდილობის ცნობები", დღეს არა გვაქვს შესატყვისი ქართული თარგმანი ისეთი უსაჭიროესი ტერმინებისა, როგორც—выпускные сведения, апробирующее учреждение, кустоды და მრავალი სხვა ტერმინი კატალოგოგრაფიის, ბიბლიოგრაფიის (მეტადრე წიგნის პალატების პრაქტიკაში წარმოშობილი), საგამომცემლო საქმის და სხვა დარგებიდან. განსაკუთრებით ბევრი ტერმინი გვაკლია პოლიგრაფიული წარმოების დარგიდანაც. ტყუილად არ არის ნათქვამი, რომ ლექსიკოლოგიური მუშაობა თავისი სიძნელით პირველია ჰერკულესის სამუშაოების შემდეგ. ჯერ ყველა ტერმინების მარტო შავად მოგროვებისათვის საჭიროა დიდძალი მასალის გადაკითხვა. რასაკვირველია მუშაობა გაადვილებული იქნებოდა, რომ ჩვენი ტერმინები, მეტადრე ახალი, რუსულ ენაზე მაინც ყოფილიყო შეგროვილი (Хавкина-ს რედაქციით გამოსული და Н. Бузиньер-ის პატარა და მოძველებული ლექსიკონები მხედველობაში არ მიიღება). რამდენიმე წელიწადია რაც ბიბლიოგრაფიული ტერმინოლოგიის დამუშავება დაზუსტების საკითხი დასმულია აგრეთვე რუსეთში, მაგრამ სერიოზული მუშაობა ჯერ არ ჩატარებულა. ეს იქიდანაც ჩანს რომ სპეციალურ ლიტერატურაშიც და ცალკეული ბიბლიოთეკების პრაქტიკაში ერთიერთმანეთთან შეუთანხმებელ, აჭრელებულ ტერმინებს ხმარობენ. ცნებები справка устная,

справка на месте, справка по существу, справка письменная სხვადასხვა ბიბლიოთეკებში სხვადასხვანაირად აქვთ გაგებული. ასეთი ძირითადი ცნებისათვის, როგორიც არის порядковая рубрика და порядковое слово საკავშირო წიგნის პალატის წიგნთააღწერის ინსტრუქციის უკანასკნელ გამოცემაში—(Инструкция по книгоописанию) ყველგან ნახმარია ტერმინი авторская строка! აქედან უნდა გამოვიტანოთ გარკვეული დასკვნა. ქართულ ენაზე ბიბლიოგრაფიული ტერმინოლოგიის გამომუშავების დროს უნდა 1) გამოვდიოდეთ არა იმ ტერმინებიდან, რომელიც დღეს ხმარებაშია რუსულ და სხვა ენებზე, არამედ ცნებებიდან და 2) ტერმინოლოგიის დამუშავებას კომპლექსური ხასიათი მივცეთ, ე. ი. დავამუშავოთ მონათესავე დარგების ტერმინებიც. წიგნი, როგორც სტამბის, ლითოგრაფიის ან მინაგრაფიის ნაწარმოები; წიგნი, როგორც ილუსტრატორთა მხატვრობის ნიმუში; წიგნი, როგორც მთავლიტის ზედამხედველობის ობიექტი; წიგნი, როგორც ბიბლიოგრაფირების საგანი და წიგნი, როგორც ბიბლიოთეკის და წიგნსაცავის საკუთრება სხვადასხვა ნიშნებით ხასიათდება და სხვადასხვა ეპიტეტებით ინათლება პროფესიონალების მიერ მათ ხელში გავლის დროს. ამიტომ ქართულად (და რასაკვირველია სხვა ენაზედაც) ამათუიმ ტერმინის დადგენის დროს დასაყრდენად უნდა იყოს არა უცხოურ ხმარებაში არსებული ტერმინი, არამედ ის ცნება, რომელსაც გამოხატავს (თუ გამოხატავს) ეს უცხოური ტერმინი. ამისთვისვე საჭიროა, რომ ქართულ ენაზე ტერმინების გამომუშავებაზე ბიბლიოთეკათმცოდნეობისა და ბიბლიოგრაფიის სპეციალისტებთან ერთად იმუშაონ არქეოგრაფიის, სასტამბო საქმის, წიგნის მხატვრობის, წიგნის ვაჭრობის და ერთი სიტყვით ყველა მონათესავე დარგების წარმომადგენლებმა, რომ ასეთ შეხვედრის ნიადაგზე შეიძლებოდეს შეთანხმებული აზრის გამოტანა თვითონ ცნების შესახებ. პირველ რიგში უნდა დამუშავებულ იქნეს კატალოგოგრაფიული ტერმინები, რომელიც კოდექსისათვის გვჭირდება. ასეთი კომპლექსური დამუშავება აგვაცდენს შეცდომებს და მოგვცემს მაღალი ხარისხის პროდუქციას.

მეორე საკითხი—**ქართული კატალოგოგრაფიული კოდექსია**, რომელსაც ბედი არ „სწყალობს"... ყველამ იცის, რომ ამ საქმეს ინდივიდუალური შემოქმედება არა შველის და რომ აქაც, როგორც ორთოგრაფიის დადგენის დროს, საჭიროა ავტორიტეტულ დაწესებულებებისა და პირების კოლექტიური მუშაობა. ყველამ იცის ე. წ. ეროვნული საკატალოგიზაციო ინსტრუქციების წარმოშობისა და შექმნის ისტორია.

უნდა ითქვას, რომ ჩვენში კოდექსის მნიშვნელობა ბიბლიოთეკებისათვის დიდი ხანია კარგად არის შეგნებული. ქართული კოდექსის დამუშავებას ჯერ კიდევ 1924 წელში შეუდგნენ. სტალინის სახელ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში შესდგა კომისია განსვენებული სერგო გორგაძის თავმჯდომარეობით, მაგრამ ამ კომისიამ მე-3 სხდომაზე შესწყვიტა მუშაობა. ორი წლის შემდეგ, 1926 წელში ამავე მიზნით შესდგა ახალი კომისია ოთხი სამეცნიერო ბიბლიოთეკის დირექტორის შემადგენლობით. ამ კომისიასაც პროფ. გ. გეხტმანის თავმჯდომარეობით მხოლოდ სამი სხდომა ჰქონდა. ათი წლის შემდეგ, 1936 წელში უკვე განათლების სახალხო კომისარიატის საბიბლიოთეკო

სამმართველოს ინიციატივით შესდგა ახალი კომისია საჯარო ბიბლიოთეკის ბიბლიოთეკათმცოდნეობის კაბინეტთან, ისევ იმავე მიზნით. კომისიამ შეიმუშავა კატალოგოგრაფიული კოდექსის დეტალური გეგმა და ტერმინოლოგია, მაგრამ რამდენიმე სხდომის შემდეგ შესწყვიტა მუშაობა. მეოთხე კომისია შესდგა 1939 წელს საქართველოს წიგნის პალატაში პლატონ ხუნდაძის თავმჯდომარეობით, მაგრამ დაარსებისთანავე დაიშალა... მე ვიყავი ყველა ამ კომისიების ან მდივანი, ან თავმჯდომარე, ან წევრი და შემიძლია განვაცხადო, რომ მუშაობის შეწყვეტის მიზეზი ყოველთვის მატერიალური ბაზის უქონლობის მომიზეზება იყო.

ასე, პირველი კომისიის დღეებიდან მოყოლებული 15 წელიწადი გავიდა. ამ დროს, რასაკვირველია, უქმად არ ჩაუვლია კატალოგების განვითარებისათვის ჩვენს ბიბლიოთეკებში. ამ ხნის განმავლობაში თანდათან გაჩნდა ქართული კატალოგოგრაფიული ლიტერატურა (ლორთქიფანიძის, ბაქრაძის, ციციშვილის, დოლაქიძის და სხვების ნაშრომები). დღეს გვექნება 10-15 ისეთი ბიბლიოთეკა, რომელმაც განსაკუთრებით მდიდარი საკატალოგიზაციო გამოცდილება შეიძინა. გარდა ამისა ჩვენს განკარგულებაშია უმდიდრესი სპეციალური ლიტერატურა რუსულ და უცხოურ ენებზე. ასე რომ დღეს ჩვენ გვაქვს განსაკუთრებით ხელსაყრელი პირობები იმისათვის, რომ შევადგინოთ ქართული კატალოგოგრაფიული კოდექსი. მე მგონია, რომ ჩვენმა კონფერენციამ ახლა თავის რეზოლუციაში ხაზგასმით უნდა აღნიშნოს, რომ ამ უაღრესად საჭირო საქმის მიმართ დაუშვებელ შეუფასებლობას ჰქონდა ადგილი და რომ იგი ახლა საბოლოოდ უნდა იქნეს მოგვარებული.

მესამე საკითხი—**თავფურცლის გაფორმების** შესახებ. ეს საკითხიც არ არის ახალი. პირველად ის საკავშირო წიგნის პალატაში წარმოიშვა და შემდეგ საქართველოს წიგნის პალატაშიაც. ეს საკითხი იმით არის გამოწვეული, რომ ჩვენი გამომცემლობანი ძალიან ხშირად უგვანოდ და პირდაპირ დამახინჯებითაც აფორმებენ წიგნის სასათაურო ფურცელს. ასეთი ბეჭდვითი ნაწარმოების ბიბლიოგრაფიული აღწერა თავსამტვრევ ამოცანად ხდება და ზოგჯერ შეუძლებელიც. უგვანოდ, შეცდომებით შედგენილ წიგნს უხეშ შეცდომაში შეჰყავს არა მარტო ჩვეულებრივი მკითხველი, არამედ გამოცდილი ბიბლიოგრაფიც. საბიბლიოთეკო კატალოგებშიც ასეთ წიგნების აღწერილობებს არევდარევა შეაქვთ. მრავალი მაგალითებიდან, რომელსაც თქვენ საკუთარი პრაქტიკიდან იცნობთ, მე გაგახსენებთ მხოლოდ განსაკუთრებით დამახასიათებელს მაგალითებს ქართულ ბეჭდვით პროდუქციიდან.

„ბრძანებანი და განკარგულებანი"-ს სახელწოდებით გამოცემულ წიგნაკს (გამომცემელი—საქ. სახდაზღვევაა) მიცემული აქვს პერიოდული გამოცემის სახე: მოყვანილი სათაურის ქვეშ აღნიშნულია № 52 და თარიღი, 1938 წ. 4 ოქტომბერი, უკანასკნელ გვერდზე პ/მ. რედაქტორი ვ. კორძაია. ამ გამოცემიდან არავითარი საშუალებით არ შეიძლება იმის გაგება გამოვიდა ქართულ ენაზე წინა ნომრები, №№ 1—51, თუ არა. კომპლექტის შევსებაში დაინტერესებული ბიბლიოთეკა დაიწყებს ამ ნომრების ამაოდ ძებნას და მხოლოდ უშუალოდ გამომცემელთან დაკავშირების შემდეგ შეიტყობს, რომ ეს წიგნაკი რუსული პე-

რიოდული გამოცემის ერთერთი ნომრის დაუშვებლად გაფორმებული ქართული თარგმანია!

ვ. ავალიშვილის, ტ. გეორგობიანისა და ს. ვაჩნაძის რუსული სახელმძღვანელო Русский язык. Учебник для VII класса неполной школы (Тбилиси 1940) წარმოადგენს ორ სხვადასხვა გამოცემას: ერთს დართული აქვს ქართულ-სომხური ლექსიკონი და განკუთვნილია სომხურ სასწავლებლებისათვის, მეორეს კი დართული აქვს ქართულ-აზერბაიჯანული ლექსიკონი და განკუთვნილია აზერბაიჯანულ სკოლებისათვის. მაგრამ გარეგნულად ამ ორ გამოცემის შორის არავითარი განსხვავება არ არის: თავფურცელზე ორივეს აწერია Учебник для VII класса! რომ ეს სხვადასხვა გამოცემაა მკითხველი მხოლოდ მაშინ შეიტყობს, როდესაც გადაშლის და შეადარებს ორივე წიგნს...

დებულება სავალდებულო ეკზემპლარების შესახებ მოითხოვს გამომცემლებისაგან, რომ მათ აღნიშნონ თავიანთ გამოცემებზე ავტორი, სათაური, ქალაქი და გამოცემის წელი. მაგრამ ჩანს, რომ ეს არ კმარა და საჭიროა სპეციალური ინსტრუქციის დამუშავება თავფურცლის გაფორმებაზე.

მეოთხე საკითხი—**ქართული წიგნის ბიბლიოგრაფიული წყაროების ცნობაში მოყვანა და შეჯერება** პალატაში შედგენილ „ქართული წიგნის" კარტოთეკასთან. ეს სამუშაო „ქართულ წიგნზე" მუშაობის ბუნებრივ გაგრძელებას წარმოადგენს და არანაკლებ მნიშვნელოვანია და, უნდა ითქვას, არა ნაკლებ შრომისტევადი, ვიდრე თვითონ „ქართულ წიგნზე" მუშაობა იყო.

საქმე ისაა, რომ „ქართული წიგნი", რომელსაც ჩვენ ბიბლიოგრაფიას ვუწოდებთ და რომელშიც თუმცა ასახულია ქართული ფონდებით ყველაზე მდიდარი 18 ბიბლიოთეკის ფონდები და მათ შორის ლენინგრადისა და მოსკოვის საჯარო ბიბლიოთეკების ფონდებიც,—მაინც შეერთებული კატალოგია, сводный каталог, და არა ბიბლიოგრაფია ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით.

საქართველოში კიდევ რამდენიმე ასეული ბიბლიოთეკა არსებობს და ამ ბიბლიოთეკებში ახალი წიგნების გარდა ძველიც შემოდის ხოლმე. ქართველი მუშის, გლეხის თუ ინტელიგენციის ოჯახი, რომელსაც მემკვიდრეობით მოსდევს დიდი კულტურაც და ძველი ძეგლების მნიშვნელობის დიდი შეგნებაც, ჯერ კიდევ დიდხანს იქნება იმ წიგნების თავშესაფარად, ჩვენ რომ გვაინტერესებს და დავეძებთ. ქართული წიგნები შეიძლება აღმოჩნდეს ლენინგრადისა და მოსკოვის სხვა ბიბლიოთეკებშიც, საბჭოთა კავშირისა და ევროპის სხვა ქალაქებშიც. შეიძლება აღმოჩნდეს ისეთი ქართული წიგნებიც, რომლის შესახებ არავითარი ცნობა არ მოგვეპოვება და აღმოჩნდეს იქ სადაც ჩვენ სულ ფიქრადაც არ მოგვივიდოდა! მე სახეში მაქვს არა მარტო ისეთი წიგნები, რომელიც შეიძლება გამოსცეს Propaganda fidae-მ, ანტიმოზ ივერიელმა, იოსებ სამებელმა, ბაქარ ბატონიშვილმა ან გაიოზმა, არამედ რუსეთში მთელი XIX საუკუნეში და აგრეთვე საქართველოში ჩვენი დროის ოციან წლებში გამოსული წიგნებიც; მე სახეში მაქვს ის პერიოდები, როდესაც რეგისტრაციისათვის თავს არავინ იწუხებდა, წიგნები კი გამოდიოდა და ილეოდა ისე, რომ მათი ოდესღაც ქვეყანაზე არსებობის კვალიც კი აღარ დარჩა. ასეთი წიგნების გამოჩენა შემთხვევის საქმეა.

მაქსიმალურად სრული ბიბლიოგრაფიის შედგენისათვის უნდა გამორკვეულ იქნეს ის წიგნებიც, რომელიც აღნიშნულია ძველსა და ახალ ბიბლიოგრაფიულ წყაროებში, მაგრამ არ შევიდა შეერთებულ კატალოგში. ამისათვის კი საჭიროა, ჯერ სისრულით ცნობაში მოყვანილი იყოს თვითონ ეს წყაროები, ძველი და ახალი და ქრონოლოგიურად იქნეს სისტემატიზირებული. შემდეგ ყველა ეს წყაროები უნდა შეეჯეროთ შეერთებულ კატალოგს. ის წიგნები, რომელიც აღნიშნულია წყაროებში, მაგრამ არ არის აღნიშნული პალატის შეერთებულ კატალოგში უნდა ჩაერთოს ამ კატალოგს (ვგულისხმობ პალატაში კარტოთეკის სახით არსებულ—„ქართული წიგნის" დედანს) და ჩვენ მივიღებთ ქართული წიგნის მაქსიმალურად სრულ ბიბლიოგრაფიას კარტოთეკის სახით ანუ ე. წ. ეროვნულ რეპერტუარს. გარდა ამისა ეს ბიბლიოგრაფიულ წყაროებით „ნაპოვნი" წიგნების სია ცალკეც უნდა გამოიცეს, როგორც „ქართული წიგნის" დამატება.

ჩვენში შეჯერება de visu პირველად განსვენებულმა დავით კარიჭაშვილმა დაიწყო შანშიაშვილის Хронологический каталог-ით. შეჯერება მიიყვანა 1817 წლამდე. მაგრამ ვერ მოასწრო წიგნსაცავებში არ მონახული და პრობლემატური წიგნების სიის გამოქვეყნება. გარდა ამისა, რამდენადაც ვიცი, მას არ ჰქონდა ცნობაში მოყვანილი ქართული წიგნის ყველა ბიბლიოგრაფიული წყაროები.

აქ არ შეიძლება არ გავიხსენოთ რ უ ს უ ლ ი წიგნის რეპერტუარზე მუშაობა ლენინგრადსა და მოსკოვში. რეპერტუართან დაკავშირებით პროფ. მალეინმა თავის თანამშრომლებთან ერთად დაიწყო რუსული წიგნის ძველი ბიბლიოგრაფიული წყაროების შესწავლა და მეცნიერებათა აკადემიის მე-18 საუკუნის роспись-ების გამოქვეყნება მეცნიერებათა აკადემიის წიგნის ინსტიტუტის ორგანოში—„Труды института книги, документа и письма" (იხ. ტ. V, 1936). კიდევ უფრო ადრე დეწყებული იყო სოპიკოვის ცნობილი ბიბლიოგრაფიის, Опыт российской библиографии (1814—1821), ლენინგრადის რუსულ ფონდებთან შეჯერება როჟკოვის, იმავე მალეინისა და სხვა ბიბლიოგრაფების მიერ. ამრიგად, რუსული წიგნის რეპერტუარის შედგენასთან პარალელურად სწარმოებდა და სწარმოებს წყაროების გამოძებნა და მათი შეჯერება de visu. როგორც ჩანს დაბეჭდილ ბიბლიოგრაფიაში მოხსენებული იქნება ის რუსული წიგნებიც, რომელიც ბიბლიოთეკებში არ მოიპოვება და მხოლოდ წყაროებშია აღნიშნული.

ქართული წიგნის ბიბლიოგრაფიის საქმე სხვა გზით წარიმართა. ჩვენ უკვე გვაქვს ერთგვარი რეპერტუარი 18 ბიბლიოთეკის შეერთებული კატალოგის სახით, რომელიც უკვე იბეჭდება „ქართული წიგნის" სახელწოდებით. დაგვრჩა, მაშასადამე, იმ წიგნების სიის შედგენა, რომელიც მხოლოდ ბიბლიოგრაფიულ და სხვა წყაროებშია აღნიშნული და შემდეგ ამ სიის დაბეჭდვა. ქართული წიგნის ბიბლიოგრაფია ბიბლიოგრაფიად არ ჩაითვლება თუ ეს სიაც დამატებით არ გამოქვეყნდა. ამ სიის შედგენას და გამოცემის დამზადებას ხანგრძლივი მუშაობა დასჭირდება. მაგრამ ეს მუშაობა იმნაირად უნდა იქნეს ორგანიზებული, რომ მთლიანად 1941 წლის განმავლობაში დამთავრდეს, დაბეჭდვა კი 1942 წელში.

მეხუთე საკითხი. ჩვენი ბიბლიოთეკების ბიბლიოგრაფიულ განყოფილებათა შორის **კოოპერირებული მუშაობის ჩამოყალიბება** და ამისათვის დებულების გამომუშავება. მოგეხსენებათ, რომ ეს საკითხი მომდინარეობს სამეცნიერო ბიბლიოთეკების II სრულიად-საკავშირო კონფერენციიდან, 1926 წლიდან, როდესაც იგი ფართოდ ისმებოდა და შეეხებოდა მთლიანად ბიბლიოთეკების კოოპერირებას. ჩემი ამოცანა შემოფარგლულია მხოლოდ ბიბლიოგრაფიულ განყოფილებათა მუშაობით. ეს საკითხიც არა ერთხელ იყო მსჯელობის საგნად, უმრავლესობას იგი მოფიქრებული აქვს და გარკვეული დასკვნა აქვს გამოტანილი.

რაშია ამ საკითხის დედააზრი? მე მგონია, რომ არავითარ დავას არ გამოიწვევს, თუ ასე გამოეხატავთ ამ აზრს.

ჩვენი სამეცნიერო და აგრეთვე სხვა ტიპის ბიბლიოთეკების ბიბლიოგრაფიული განყოფილებანი თავიანთ გეგმების მიხედვით (в порядке плановых работ) ადგენენ დიდსა და პატარა ბიბლიოგრაფიულ საცნობოებსა და საძიებლებს სხვადასხვა თემაზე, ადგენენ ვრცელსა და პატარა წერილობით ბიბლიოგრაფიულ ცნობებს. ამ სამუშაოების შესრულებისას ყოველი ცალკე აღებული ბიბლიოგრაფიული განყოფილება უნებლიედ იმეორებს—ნაწილობრივად ან მთლიანად—რომელიმე სხვა ბიბლიოგრაფიული განყოფილების მუშაობას. „წვრილ-წვრილი", ყოველდღიური პარალელიზმის გარდა არსებობს „მსხვილი" პარალელიზმიც, როდესაც ორი, სამი ან მეტი ბიბლიოგრ. განყოფილება ერთსადაიმავე სამუშაოზე თვეებსა ნთქავს. პარალელიზმის აღმოფხვრისათვის აუცილებელი არის, რომ ბიბლიოგრ. განყოფილებათა შორის დამყარდეს ყოველდღიური ოპერატიული კავშირი ერთი რომელიმე ბიბლიოგრ. განყოფილების მეშვეობით. ბიბლიოგრაფ. განყოფილებათა დაკავშირება მარტო პარალელიზმთან ბრძოლის აზრით კი არ უნდა განისაზღვრებოდეს. იგი მიზნად უნდა ისახავდეს აგრეთვე ერთად ისეთი დიდმნიშვნელოვანი ბიბლიოგრაფიული სამუშაოების ჩატარებას, რომლებსაც ყველა ბიბლიოთეკებისათვის აქვს მნიშვნელობა ე. ი. რეტროსპექტიული ბიბლიოგრაფიას. შემდეგ, პარალელიზმთან ბრძოლის საჭიროება და რეტროსპექტიული ბიბლიოგრაფიაც რომ არ იყოს, ბიბლიოგრაფიულ განყოფილებათა მუდმივი ურთიერთი, ოპერატიული დაკავშირება ისედაც აუცილებელია. აუცილებელია ბიბლიოგრაფიულ ცნობების გაცვლა-გამოცვლისათვის, ბიბლიოთეკათშორისი აბონემენტისა და წიგნების გაცვლის ოპერაციებისათვის, საერთოდ ურთიერთი ბიბლიოგრაფიული ინფორმაციისათვის და დახმარებისათვის.

ყველაფერს ამას არავინ არ უარჰყოფს. დავა იწყება შემდეგი კითხვების ირგვლივ: სად, რომელ ბიბლიოგრაფიულ განყოფილებას მიენდოს ეს შუამავლისა და შემკავშირებელის როლი; და კიდევ რა ფუნქციები უნდა დაეკისროს მას?

როდესაც, ამ 8 თვის წინათ რესპუბლიკურ მეთოდკაბინეტში ირჩეოდა ჩემი მოხსენება ამ შუამავალი ბიბლიოგრაფიული ორგანოს შესახებ და ჯერ არ იყო შეთანხმებული აზრი მისი სახის და ფუნქციების შესახებ, ჩვენ ავიღეთ ტერმინი „ბიურო" (ამ სახელით ცნობილია ისეთი ბიბლიოთეკათშორისი ორგა-

ნიზაცია, რომელიც უმთავრესად ბიბლიოგრაფიულ ინფორმაციას აწვდის ბიბლიოთეკებს). ჯერ, რასაკვირველია უნდა გადავწყვიტოთ, თუ რა კონკრეტულ ფუნქციებს ვაკისრებთ ამ ბიუროს? ჩვენი აზრით არ იქნება სწორი თუ წინდაწინვე, ზეპირად მივუჩენთ ყველა დავალებასა და საქმეს. უკეთესია გამოვდიოდეთ სრულებით აუცილებელიდან და ჯერჯერობით დავავალოთ: 1) ბიბლიოთეკების ბიბლიოგრაფიულ განყოფილებათა წლიურ საწარმოო გეგმების განხილვა, პარალელური სამუშაოების შეჩერება და მათი რაციონალური განაწილება განყოფილებათა შორის; 2) დაუყონებლივ კავშირის დამყარება ყველა ბიბლიოთეკებთან, მათ შორის რაიონულ ბიბლიოთეკებთან (ამათთვის ბიბლიოგრ. მომსახურების ორგანიზაციის მიზნით); 3) წერილობითი ბიბლიოგრაფიულ ცნობათა შეერთებული კარტოთეკის შედგენა.

რომელ ბიბლიოთეკაში ან რომელ სამეცნიერო ორგანიზაციაში სჯობია მოეწყოს ასეთი „ბიურო“? ამ კითხვაზე მხოლოდ ერთი პასუხი შეიძლება იყოს: უნდა მოეწყოს მძლავრ ორგანიზაციასთან, რომელსაც 1) გააჩნია ყველაზე დიდი ფონდი ბიბლიოგრაფიული ლიტერატურისა და ეს ფონდი უზრუნველყოფილია განუწყვეტელი შევსებით; 2) რომელსაც აქვს ყველაზე უკეთესად მოწყობილი ბიბლიოგრაფიული აპარატი, უნივერსალური და სპეციალური კარტოთეკებით, რომლებშიც ასახულია ქართული და მთელი სსრკ ბეჭდვითი პროდუქცია და რომლებიც განუწყვეტლივ ივსება; 3) დაკავშირებულია ყველა სამეცნიერო ბიბლიოთეკებთან და წიგნის პალატებთან, ჰყავს გამოცდილი სპეციალისტები და გააჩნია კადრების მომზადების საშუალებანი, აქვს საკუთარი პოლიგრაფიული ბაზა...

მე შემიძლია გავხსნა ფრჩხილები და დავასახელო ასეთი დაწესებულება— საქართველოს სახელმწიფო წიგნის პალატა და მისი საცნობო-ბიბლიოგრაფიული განყოფილება და სამეცნიერო-ბიბლიოგრაფიული კაბინეტი.

პალატის მძლავრმა ბიბლიოგრაფიულმა განყოფილებამ, სპეციალურმა ბიბლიოთეკამ, რომელიც ივსება საკავშირო და უცხოური სპეციალური ლიტერატურით, ფართო კავშირმა სამეცნიერო ბიბლიოთეკებთან და მოკავშირე რესპუბლიკების პალატებთან, სავსებით მოგვარებულმა რეგისტრაციულმა ბიბლიოგრაფიამ უკვე დიდიხანია გახადეს პალატა ბიბლიოგრაფიული მუშაობის ცენტრად საქართველოში. ამიტომ არ შეიძლება ამას არ გაეწიოს ანგარიში, მეტადრე მაშინ, როდესაც ვლაპარაკობთ ბიბლიოგრაფიულ სამუშაოების რეგულირებაზე ჩვენში.

დასასრულ მოკლეთ შევეხები დებულებას ჩვენ მარეგულირებელი ორგანოს შესახებ. საბიბლიოთეკო სამმართველომ შეგნებულად დააგვიანა ამ დებულების დამუშავება, რომ ასეთ მნიშვნელოვან საკითხზე ბიბლიოგრაფიულ კონფერენციის აზრი მოესმინა. ჩვენი აზრით ამ დებულებაში მკაფიოდ უნდა იყოს გამოხატული ამ ორგანოს ყველაზე მნიშვნელოვანი ამოცანები (პარალელიზმთან ბრძოლის გარდა): 1) დიდი ბიბლიოგრაფიული სამუშაოების კოლექტიურად ჩატარება; 2) წერილობითი ბიბლიოგრაფიული ცნობების ინტენსიური გაცვლა-გამოცვლა; 3) მჭიდრო ოპერატიული კავშირი ბიბლიოგრაფიულ განყოფილებებისა და ურთიერთი დახმარება.

---

გრ. ჩხაიძე

# ქართული საგნობრივი კატალოგის პრობლემა

კულტურული მშენებლობის დარგში მე-3 სტალინურ ხუთწლედში დასმულია დიადი პროგრამა: „განხორციელებულ იქნას საყოველთაო საშუალო სწავლება ქალაქად და დამთავრებულ იქნას საყოველთაო შვიდწლიანი სწავლება სოფლად“ (მოლოტოვი). სწავლისა და გონებრივი ჰორიზონტის გაფართოების გზაზე დამდგარ მშრომელთათვის დიდი მნიშვნელობა აქვს ბიბლიოთეკას. მოლოტოვის სიტყვით: „საბიბლიოთეკო საქმემ დიდი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა მოიპოვა“.

ბიბლიოთეკის მთავარი ამოცანაა წიგნით მოემსახუროს ფართო მასებს, „იყოს წიგნით კოლექტიურად სარგებლობის ორგანიზაცია“ (კრუპსკაია).

ბიბლიოთეკაში წიგნის პროპაგანდისა და წიგნობრივი ფონდის გამოვლინების მთავარი გზა კატალოგია. განასხვავებენ ორგვარ საბიბლიოთეკო კატალოგს: ეგრედწოდებულ გენერალურ (მთავარს) და დამხმარე კატალოგებს. პირველი ასახავს ბიბლიოთეკის წიგნობრივ ფონდს სრულად, მეორე კი წიგნობრივი ფონდის ნაწილის აღწერილობებს შეიცავს. გენერალურ კატალოგს ანბანური, სისტემატური და საგნობრივი კატალოგი ეკუთვნის. დამხმარე კატალოგს სარეკომენდაციო, ახლად შეძენილ წიგნთა, და სხვა ამგვარი კატალოგები შეადგენენ.

მთავარ ანუ გენერალურ კატალოგთა შორის უკანასკნელ წლებში თვალსაჩინო ადგილი ეგრედწოდებულმა საგნობრივმა კატალოგმა დაიკავა.

საგნობრივი კატალოგი რეალური კატალოგის სახეა. მისი ამოცანაა წიგნთა შინაარსობრივი კლასიფიკაცია მოახდინოს. მისცეს მკითხველს საშუალება გაიგოს ამათუმ საგნის, თემის, საკითხის შესახებ რა წიგნებია ბიბლიოთეკაში. საგნობრივი კატალოგი შედარებით მცირე დროის მანძილზე საკმარისად გავრცელდა. სისტემატური კატალოგის ზოგიერთმა ნაკლოვანებებმა აუცილებელი გახადა ამ ახალი სახის კატალოგის წარმოშობა.

საბიბლიოთეკო კატალოგის სახით, კატალოგის ეს სახეობა გასული საუკუნის 70 წლებში წარმოიშვა ამერიკაში, იქიდან ინგლისში, ხოლო ამ უკანასკნელიდან ევროპის კონტინენტზე და განსაკუთრებით გერმანიაში გავრცელდა. უკანასკნელ ხანებში მას თვალსაჩინო ადგილი დაუთმეს ჩვენშიაც—საბჭოთა კავშირში.

**საგნობრივი და სისტემატური კატალოგი.** ვინაიდან ორივე ეს კატალოგი რეალურია, და მაშასადამე წიგნობრივი ფონდის შინაარსობრივ მხარეს შეეხება, ამიტომ თითოეული მათგანის თავისებურებათა განხილვა, და მათი ურთიერთთან შედარება, საშუალებას მოგვცემს მათზე ნათელი წარმოდგენა მივიღოთ.

ჩვენ არ ვსვამთ საკითხს, რომ ერთმა მეორე შეცვალოს. თითოეულ მათგანს თავისი სტრუქტურა, დანიშნულება და ამოცანები აქვს. ისინი ერთმანეთს ავსებენ მკითხველთა უკეთესად მომსახურეობის თვალსაზრისით ბიბლიოთეკაში სასურველია ორივე კატალოგის არსებობა.

სისტემატური კატალოგი საბიბლიოთეკო (ბიბლიოგრაფიულ) სქემაზეა აგებული. ეს უკანასკნელი თავის მხრივ მეტ შემთხვევაში მეცნიერებათა კლასიფიკაციის რომელიმე სისტემის მიხედვით არის შემუშავებული. საბიბლიოთეკო კლასიფიკაციის სისტემებში ხშირად ადგილს ვერ პოულობს ის ახალი ცნებები, რომლებიც კლასიფიკაციის ამ სისტემის შექმნის შემდეგ წარმოიშვნენ. ასეთი ცნებებისათვის შესაფერისი ინდექსის უქონლობის გამო, ბიბლიოთეკარი იძულებულია თვითონ განსაზღვროს რუბრიკის ადგილი საკლასიფიკაციო ტაბულაში, რასაც თვითნებობა მოსდევს. ერთიდაიგივე საგანი და პრობლემა სხვადასხვა ბიბლიოთეკაში კატალოგის სხვადასხვა ადგილას თავსდება. სამეცნიერო აზრის განუწყვეტელი ზრდის გამო, მეცნიერებათა კლასიფიკაციის თვით უახლოესი და უკანასკნელი სისტემაც კი, უთუოდ რამდენიმედ ძოძველებულია და არ იძლევა მეცნიერული აზროვნების განვითარების სრულ სურათს.

მიუხედავად იმისა, რომ ახალი ცნებებისათვის ადგილი ლოღიკურად თითქოს წინასწარ გააზრებულია, სინამდვილეში ერთგვარ თვითნებობას მაინც აქვს ადგილი და ერთიდაიგივე ცნება თუ პრობლემა კატალოგის სხვადასხვა ადგილას თავსდება. აქედან პირველი უარყოფითი მხარე სისტემატური კატალოგისა,—მასში უახლოესი პრობლემების ამსახავი ლიტერატურის მოთავსება სქემაში სათანადო ინდექსის უქონლობის გამო გაძნელებულია.

ასეთებია რუბრიკები: სოციალისტური მშენებლობა, სოციალისტური ყოფაცხოვრება, კულტურული რევოლუცია, კოლმეურნეობა, გონებრივ და ფიზიკურ შრომის შორის წინააღმდეგობის მოსპობა, ქალაქისა და სოფლის შორის წინააღმდეგობის მოსპობა, საბჭოთა პატრიოტიზმი, გრავიმეტრია, და სხვ.

სისტემატური კატალოგი მოითხოვს მკითხველისაგან ნათელ წარმოდგენას მეცნიერებათა კლასიფიკაციის სისტემებზე საერთოდ, და განსაკუთრებით იმ სისტემაზე, რომელიც მოცემული კატალოგის საფუძველს შეადგენს. ყველა მკითხველს არ შეიძლება მოვთხოვოთ განვითარების იმ სიმაღლეზე დგომა, რომ მეცნიერებათა კლასიფიკაციის სისტემებში ერკვეოდეს. სისტემატური კატალოგით დამოუკიდებლად სარგებლობა, მხოლოდ ასეთისე კვალიფიციური მკითხველისათვის არის შესაძლებელი. ბიბლიოთეკა კი ლენინის აზრით უნდა ემსახურებოდეს არა მარტო სწავლულ პროფესორებს, არამედ ხალხს და მასას.

აუცილებელია სისტემატურ კატალოგს დართული ჰქონდეს საძიებელი, რომლითაც მკითხველი არკვევს მისთვის საინტერესო რუბრიკის ინდექსს კატალოგში. საძიებლის დართვა, როგორც ბიბმუშაკიდან (შედგენისას), ისე მკითხველისაგან (კატალოგით სარგებლობისას) დროისა და შრომის ორმაგ ხარჯს მოითხოვს.

სისტემატურ კატალოგში მეცნიერებათა დალაგება და მათი ურთიერთობა სპეციალური ნიშნების საშუალებით წარმოებს. ამჟამად გავრცელებულ საბიბლიოთეკო კლასიფიკაციის სისტემებში, ასეთ ნიშნებათ ლათინური ასოები,

არაბული ციფრები, ან ასოების ციფრებთან კომბინაციაა. რა ნიშნებითაც არ უნდა გამოიხატოს მეცნიერების ცალკეული დარგი და საკითხი, ჩვეულებრივი მკითხველისათვის იგი გაუგებარია, რაღაც საიდუმლოებით არის მოსილი. მას არა აქვს სურვილი, და ხშირად დროც, ეს ბიბლიოთეკართათვის გასაგები სპეციალური ენა იცოდეს. იგი მას გაურბის ან და კატალოგით სარგებლობისათვის ბიბლიოთეკარის დახმარება ხდება საჭირო.

საგნობრივი კატალოგი არ დგება რომელიმე სამეცნიერო სისტემის მიხედვით. ამიტომ მასში ყოველი ახალი ცნების შეტანა სრულიად უმტკივნეულოდ ხდება. საგნობრივი კატალოგის ეს თვისება განსაკუთრებით ძვირფასია ჩვენთვის, საბჭოთა ბიბლიოთეკარებისათვის, რადგანაც მოძველებული, ჩვენი სინამდვილისათვის შეუფერებელი და ანტიმეცნიერული ათწილადი კლასიფიკაცია საბჭოთა სოციალისტურ მშენებლობის წიაღში წამოჭრილ აქტუალურ საკითხების კატალოგში ასახვას ხშირად აძნელებს და დიდ დაბრკოლებას უქმნის.

საგნობრივი კატალოგით სარგებლობისათვის არ არის სავალდებულო მეცნიერებათა კლასიფიკაციაზე და სტრუქტურაზე ნათელი წარმოდგენა ჰქონდეს მკითხველს. საგნობრივი კატალოგი სარგებლობის თვალსაზრისით შედარებით მარტივია. ვისაც ანბანური კატალოგით და ენციკლოპედური ლექსიკონით უსარგებლნია, იგი ადვილად გამოიყენებს საგნობრივ კატალოგსაც.

თუ სისტემატური კატალოგით სარგებლობისათვის მკითხველმა ჯერ საგნობრივ საძიებელს უნდა მიმართოს, რათა მისთვის საინტერესო საგნის ან საკითხის ადგილმდებარეობა გაარკვიოს საკლასიფიკაციო ტაბულაში, ხოლო შემდეგ თვით ტაბულას, საგნობრივ კატალოგში მკითხველისათვის საჭირო საგნის ძიებას მხოლოდ ის დრო ჭირდება რაც სისტემატურის საგნობრივ საძიებელში საგნის მოძებნას უნდა.

ამ კატალოგებს შორის განსხვავების ნათელ სურათს პროფ. კალიშევსკი იძლევა: „წიგნი პეპელაზე, სისტემატურ კატალოგში მკითხველმა უნდა მოძებნოს ენტომოლოგიის განყოფილებაში. საგნობრივში კი იგი იპოვის ალფაბეტის სათანადო ადგილას საგნობრივი რუბრიკის „პეპელას“ ქვეშო. ვთქვათ მკითხველი ეძებს მასალას „პეპელას“ შესახებ. სისტემატური კატალოგიდან რომ ამოწეროს ლიტერატურა, საჭიროა იცოდეს, რომელი სამეცნიერო დარგი სწავლობს ამ მწერს, ე. ი. მან უნდა იცოდეს ზოოლოგიის დარგი, მწერების შემსწავლელი იწოდება ენტომოლოგიათ, ხოლო ზოოლოგია საბუნებისმეტყველო მეცნიერებაა და მოთავსებულია მე-5 განყოფილებაში—ათწილადი კლასიფიკაციით. მაგრამ ესეც არ კმარა, აუცილებელია კიდევ ცოდნა იმ ინდექსისა, რომლითაც ენტომოლოგია აღინიშნება (595.7), და ამ ინდექსის ადგილი საკლასიფიკაციო ცხრილში. უამისოთ კატალოგით დამოუკიდებლად სარგებლობა შეუძლებელია (ჩვენ სადაოდ არ მიგვაჩნია ის ამბავი, რომ კატალოგით მკითხველმა დამოუკიდებლად უნდა ისარგებლოს; კატალოგისტის დახმარება მას იშვიათ შემთხვევაში უნდა დაჭირდეს). საგნობრივი კატალოგი თავისუფალია ასეთი რთული ოპერაციიდან. ამ საგნის შესახებ ლიტერატურა საგნობრივ კატალოგში საგნის სიტყვიერად გამოხატულ სახელწოდებაზე კატალოგის სათანადო ადგილას მოიძებნება.

სისტემატური კატალოგი თვალსაზრისთა ანუ ასპექტთა კლასიფიკაციაა; საგნობრივი კი წიგნის კონკრეტული შინაარსის საგანთა. სისტემატური კატალოგი ლიტერატურას სხვადასხვა მეცნიერების თვალსაზრისით ანაწილებს, ამიტომ მასში სამეცნიერო დისციპლინების სისტემატიზაცია ხდება. საგნობრივ კატალოგში სხვადასხვა თვალსაზრისით დაწერილი წიგნები რომელიმე საგანზე, ან თემაზე ერთად გროვდება.

ერთ საგანს მრავალი მეცნიერება სწავლობს სხვადასხვა თვალსაზრისით. მაგ. ბავშვი შეიძლება განხილულ იქნას პედაგოგიური თვალსაზრისით, მედიცინის თვალსაზრისით, ფსიქოლოგიის თვალსაზრისით და სხვა. ეს თვალსაზრისები განსაზღვრავენ მეცნიერულ კვლევას და ლიტერატურას შესაფერის მეცნიერების ფარგლებში მოაქცევენ: პირველ შემთხვევაში პედაგოგიკაში, მეორე შემთხვევაში, მედიცინაში, მესამე შემთხვევაში ფსიქოლოგიაში. ვინაიდან მეცნიერებანი სისტემატურ კატალოგში მზგავსება-განსხვავების მიხედვით არის დაყოფილ-დაჯგუფებული, ამიტომ ერთი საგნის შემსწავლელი მეცნიერებანი კატალოგის სხვადასხვა ადგილას იფანტება. ათწილადი კლასიფიკაციით პედაგოგიკა მესამე განყოფილებაში მიდის 37 ინდექსით, მედიცინა მეექვსე განყოფილების ქვედანაყოფში (61 ინდექსით) და ფსიქოლოგია პირველი განყოფილების ქვედანაყოფში (135 ინდექსით). ერთი საგნის ლიტერატურის გაფანტვის გამო მკითხველს კატალოგის სხვადასხვა ადგილას მიმართვა დასჭირდება. საგნობრივ კატალოგში ერთი საგნის ლიტერატურა თვალსაზრისის მიუხედავად ერთად იქნება თავმოყრილი, მაგ. „რელატივობის თეორია“ სისტემატურ კატალოგში სამ ადგილას ნაწილდება: ასტრონომიასა, ფიზიკასა და მათემატიკაში; ატომი: ფიზიკასა, ქიმიასა და ფილოსოფიაში; ცხოველი: ზოოლოგიასა, ვეტერინარიასა და მეცხოველეობაში. სამივე შემთხვევაში საგნობრივ კატალოგში სასაგნო სიტყვის ქვეშ („რელატივობის თეორია“, „ატომი“, „ცხოველი“) დაგროვდებოდა ლიტერატურა, რაც მკითხველს ამ საგნის შესახებ არსებული ყველა თვალსაზრისის მასალის ერთად მიღების შესაძლებლობას მიცემდა.

სისტემატურ კატალოგში მეცნიერებანი და მათი ცალკეული ნაწილები ლოღიკური თანმიმდევრობით არის დალაგებული, გვარეობითს სახეობითი ცნებები მისდევს ისე, რომ თითოეულ ერთეულში (ვრცელ ინდექსში) ყველა ის ზოგადი ცნებებია გამოხატული, საიდანაც იგი არის მიღებული, მაგ. ავიღოთ ინდექსი 531.3 დინამიკა და კინემატიკა და მოვახდინოთ მისი ანალიზი.

5—ზუსტი მეცნიერებანი

53—ფიზიკა

531—თეორიული მექანიკა

531.3—დინამიკა და კინემატიკა

ასეთ ლოღიკურ დალაგებას ერთი კარგი მხარე აქვს: თუ „თეორიული მექანიკის“ კატალოგში არსებული ლიტერატურა მკითხველს არ აკმაყოფილებს, იქნება ფიზიკის (53) ბარათები, რომელშიაც თეორიული მექანიკის მასალაც იქნება მოთავსებული. აქ სისტემატური კატალოგის ღირსება უდავოა. სამა-

გიეროთ რომელიმე კონკრეტული საკითხი არ შეიძლება ისე მკაფიოთ იქნას გამოხატული სისტემატურ კატალოგში, როგორც საგნობრივში.

საგნობრივი კატალოგი საგანთა კონკრეტიზაციით ხელს უწყობს მკითხველს ლიტერატურის მალე მოძებნაში.

ამ უკანასკნელ ხანებში საკმაოდ ბევრი ლიტერატურა იბეჭდება, სადაც ვიწრო სპეციალური საკითხები ყველა თვალსაზრისით არის განხილული. ასეთი ლიტერატურის კლასიფიცირება ერთი გარკვეული თვალსაზრისის უქონლობის გამო, სისტემატურ კატალოგში ძნელია. აქ საგნობრივი კატალოგის უპირატესობა ყველასათვის ნათელია.

როგორც ვხედავთ, მკითხველის უკეთ მომსახურების თვალსაზრისით ორივე კატალოგია საჭირო. იგინი ერთმანეთს ავსებენ. ერთ შემთხვევაში სისტემატური კატალოგი უფრო მოემსახურება (როცა მკითხველს რომელიმე მეცნიერების და მისი ცალკე ნაწილების ლიტერატურა აინტერესებს, სისტემატურად დალაგებული), მეორე შემთხვევაში საგნობრივს მეტი უპირატესობა აქვს (როცა მკითხველი ამათუიმ კონკრეტული საკითხის შესახებ ეძებს ლიტერატურას).

ამრიგად საგნობრივ კატალოგს თავისი საკუთარი სახე აქვს. მისი სისტემატურ კატალოგთან დაპირისპირება შეცდომაა. არც ის აზრია მართალი, თითქოს საგნობრივი კატალოგი სისტემატურის სახეცვლილებას წარმოადგენდეს. საგნობრივი კატალოგი აწყობილია ანბანური წესით და მაშასადამე სისტემატიზაცია მასში არ არის.

საგნობრივი კატალოგი წარმოადგენს წიგნთა აღწერილობებს, დალაგებულს წიგნის საგნის გამომსახველ სიტყვათა ანბანური წყობის მიხედვით. იგი უპასუხებს მკითხველის მოთხოვნილებას, როცა მკითხველი რაიმე კონკრეტული საკითხის ან საგნის შესახებ ლიტერატურას ეძებს. დასაგნებისათვის საჭიროა გამორკვეულ იქნას წიგნის კონკრეტული საგანი და გამოიხატოს იგი სასაგნო სიტყვაში. სასაგნო სიტყვა არის საგნობრივი ცნების სიტყვიერი გამოთქმა, ხოლო საგნობრივი ცნება ისეთი ცნებაა, რომელიც ნაწარმოების შინაარსს უმოკლესი ფორმით გამოხატავს (გ. შნაიდერი). წიგნის შინაარსის გადმომცემი სასაგნო სიტყვა იწოდება რუბრიკად. რუბრიკის ფორმულირება ბევრად არის დამოკიდებული იმ ენის თავისებურებაზე, რომელზედაც საგნობრივი კატალოგი დგება. ქართული მეტყველება სასაგნო სიტყვას პირველად ხმარობს—„თევზის მოშენება", „თირკმელების სნეულებანი" და სხვა, რითაც ფრიად უწყობს ხელს საგნობრივი კატალოგის მარტივად შედგენას.

იგივე არ ითქმის ზოგიერთ სხვა ენის შესახებ, მაგ. რუსულ ენაზე. რუსული ენის აღნაგობის გამო სასაგნო სიტყვა პირველად არ იხმარება, რუსულად იტყვიან: „Болезни почек", „Разведение рыб". კატალოგის შესადგენათ საჭიროა სასაგნო სიტყვის პირველ ადგილას გადასმა, ინვერსიის გამოყენება „Почки—болезни", „Рыбы—разведение", რაც კატალოგს ნაძალადევი სისტემისა და რთული სტრუქტურის სახეს აძლევს. ამ უკანასკნელ შემთხვევაში, რათა მკითხველისათვის კატალოგი მისაწვდომი გახდეს, აუცილებელია სრული მითითების გამოყენება—„Разведение рыб" см. Рыбы—разведение", რითაც კატალოგის მოცულობა დიდათ იზრდება.

რუბრიკის ფორმულირება. რუბრიკის გაფორმებისას უნდა მკითხველის ინტერესიდან გამოვიდეთ და ვეცადოთ წიგნი ისე დავასაგნოთ, როგორც მკითხველი მოძებნის: ,,მეცხვარეობა'', ,,მეკამეჩეობა'', ,,მეღორეობა'', მაგრამ არ ივარგებს ,,მეთხეობა'', უნდა ვიხმაროთ ,,თხის მოშენება''. ,,მთის ქანების'' ანალოგიით არ ივარგებს რუბრიკი ,,მთის გაჩენა'', უნდა ვიხმაროთ ,,მთების გაჩენა''.

რუბრიკი შეიძლება იყოს ერთი, ორი ან მეტსიტყვიანი. ერთ ცნებიანი რუბრიკი მარტივია („ავეჯი", „ათეიზმი", „ელექტროტექნიკა", „მუშათა საკითხი"), ორ ცნებიანი რუბრიკი იწოდება რთულ რუბრიკად („კუჭ-ნაწლავთა სნეულებანი", „ლათინური ენის გრამატიკა"). რთული რუბრიკი შესდგება მთავარი რუბრიკისა და ქვერუბრიკისაგან. მთავარი რუბრიკი სასაგნო სიტყვაა, წიგნის შინაარსის მთავარ საგანს გამოხატავს და პირველ ადგილას იწერება. იგი ბარათის ადგილმდებარეობას განსაზღვრავს საგნობრივ კატალოგში. ქვერუბრიკი მთავარ რუბრიკს დაერთვის, მის მარჯვენივ იწერება და ნაწარმოების არა არსებით მხარეს გამოხატავს. „ფიზიკის სახელმძღვანელო", „ფიზიკის ისტორია". ამ მაგალითებში „ფიზიკა"—მთავარი რუბრიკია, „სახელმძღვანელო" და „ისტორია" ქვერუბრიკი. ქვერუბრიკი ოთხგვარია:

1. ლიტერატურული და ბიბლიოგრაფიული ფორმის;
2. გეოგრაფიული;
3. ქრონოლოგიური ანუ დროის გამომხატველი;
4. თვალსაზრისის ანუ მოქმედების;

**ლიტერატურულ და ბიბლიოგრაფიულ ფორმის ქვერუბრიკებს** ეკუთვნის: „სახელმძღვანელოები", „ბიბლიოგრაფია", „ცნობარები", „პერიოდული გამოცემანი" და სხვა; ეს ქვერუბრიკები ნაწარმოების ფორმას განსაზღვრავენ. მაგალითები:

„ფიზიკის სახელმძღვანელოები".
„ფიზიკის ბიბლიოგრაფია".
„ფიზიკის ცნობარები".
„ფიზიკის პერიოდული გამოცემანი".

**გეოგრაფიული ქვერუბრიკები.** ადგილის ანუ გეოგრაფიული ცნების გამომხატველი სიტყვა ქვერუბრიკად იმ შემთხვევაში შეიძლება გავუშვათ, როცა წიგნში მოცემულია ადგილის ან კუთხის ცხოვრების ერთი მხარის განხილვა. მაგალითები: „მხატვრობა საქართველოში", „წყლის ტრანსპორტი რ.ს.ფ.ს.რ.", „მრეწველობა ამერიკაში", და სხვა [1].

ქვეყნის მთლიანად არ რამდენიმე მხრივ დამახასიათებელი ლიტერატურის დასაგნებისას აუცილებელია სასაგნო სიტყვათ მხარის სახელწოდება წავიდეს.

[1] არ შეიძლება გავიზიაროთ ზელცლეს აზრი, ასეთი ლიტერატურის ორგვარ რუბრიცირებას რომ ურჩევს—საგანზე და გეოგრაფიულ სახელწოდებაზე: „წყლის ტრანსპორტი—ჩინეთში" და „ჩინეთის წყლის ტრანსპორტი". სხვას რომ თავი დავანებოთ, როგორც თვით ზელცლეც აღნიშნავს, ამ წესით შედგენილი კატალოგი ორჯერ გაიზრდებოდა მოცულობით, რაც დიდ ხარჯებს გამოიწვევდა და გარდა ამისა კატალოგით სარგებლობას გააძნელებდა. ჩვენ გეოგრაფიული სახელწოდებიდან მითითებაც არ მიგვაჩნია სწორად („ჩინეთის წყლის ტრანსპორტი" ნ. „წყლის ტრანსპორტი, ჩინეთში"). აქაც მასალის და დროის გაუმართლებელი ხარჯია.

ასეთებია: სოციოგრაფიული, გეოგრაფიული, სამხარეთმცოდნეო, ეკონომიურ-გეოგრაფიული და ქვეყნის ისტორიის შესახები წიგნები. მაგალითები:

„საქ. სსრ ეკონომიური გეოგრაფია".

„საქართველოს გეოგრაფია".

„საქართველო" (სოციოგრაფიული და სამხარეთმცოდნეო ლიტერატურა).

„საქართველოს ისტორია".

**ქრონოლოგიური ქვერუბრიკები.** ხშირად მასალის დაგროვების ან სხვა მოტივით საჭიროა განისაზღვროს ხოლმე რუბრიკის ფორმულირებაში დრო, რომელსაც ნაწარმოების შინაარსი განეკუთვნება. ასეთ შემთხვევაში ქრონოლოგიურ ქვერუბრიკს ხმარობენ: „ფრანგული მხატვრობა, მე-18 საუკუნე", „რუსული მუსიკა, მე-19 საუკ." და სხვა. ქრონოლოგიურ ქვერუბრიკს განსაკუთრებით დიდი გამოყენება ისტორიის ლიტერატურის რუბრიცირებისას აქვს: „საქართველოს ისტორია, მე-19 საუკ.".

**თვალსაზრისის და მოქმედების რუბრიკები.** ზოგჯერ წიგნში საგნის მიმართ ერთი თვალსაზრისია გატარებული. თვალსაზრისი და მდგომარეობა უნდა გამოიხატოს ქვერუბრიკში: „ვაზის დარგვა", „ვაზის მყნობა", „ვაზის მოვლა".

ქვერუბრიკები საგნის შესახები ლიტერატურის კატალოგში დეტალიზაციის მიზნით იხმარება, ისევე როგორც სისტემატურ კატალოგში დეტერმინანტები. იმით მარტივი რუბრიკი რთულ რუბრიკად იქცევა. პატარა ბიბლიოთეკაში, სადაც ბევრი მასალა არ არის დაგროვილი, ქვერუბრიკი შეიძლება არ იქნას ხმარებული და ქვერუბრიკები რუბრიკში გავაერთიანოთ: „ვაზის დარგვა", „ვაზის მყნობა", „ვაზის მოვლა" გაერთიანდება რუბრიკის—„ვაზი"-ს ქვეშ.

განზოგადოება. დასაგნებისას განზოგადოებას უნდა მოვერიდოთ: „საგნობრივი რუბრიკის საფუძვლად შეძლებისდაგვარად, რაც შეიძლება პატარა ერთეული უნდა ავიღოთ"-ო—ამბობს ბიშოპი. განზოგადოება საჭიროებისამებრ ბარათების დაუგროვებლობის შემთხვევაში კატალოგის შედგენისას და შემდეგ ბარათების ჩაწყობისას არის დასაშვები. უნდა განვასხვაოთ ორგვარი განზოგადოება: პირველი კატალოგში ბარათის ადგილმონაცვლებას მოითხოვს, მეორე ადგილის უცვლელად ხდება.

პირველი განზოგადოების მაგალითები:

1. „ძველი ფილოსოფიის ისტორია"
   „ახალი ფილოსოფიის ისტორია" [„ფილოსოფიის ისტორია"]
   „საშუალო საუკუნეების ფილოსოფიის ისტორია"
   „ბერძნული ფილოსოფიის ისტორია"
2. „ბავშკორი"
   „გლეხკორი"
   „მუშკორი" [„კორესპონდენტები"]
   „სამხკორი"
3. „აზოტმჟავას წარმოება"
   „გოგირდმჟავას წარმოება" [„არაორგანულ ნივთიერებათა
   „მარილმჟავას წარმოება" ტექნოლოგია"]

4. „სათესი მანქანა-იარაღები“
„ნიადაგის დასამუშავებელი მანქანა-იარაღები“
„სალეწი მანქანა-იარაღები“ [„სასოფლო-სამეურნეო
„სამკელი მანქანა-იარაღები“ მანქანა-იარაღები“]
5. „ოტოლოგია“
„რინოლოგია“ [„ოტო-რინო-ლარინგოლოგია“]
„ლარინგოლოგია“
6. „კაპილარული მილები“ [„სისხლის მიმოქცევის ორგანოები“]

მეორე განზოგადოების მაგალითები:

1. „შრომა“
„შრომის ისტორია“
„შრომის კანონმდებლობა“ [„შრომა“]
„შრომის ნაყოფიერება“
„შრომის სამართალი“
2. „ცხენი“
„ცხენის გაწრთვნა“ [„ცხენი“]
„ცხენის მოვლა“
„ცხენის ჭედვა“
3. „კოლმეურნეობა“
„კოლმეურნეობა. აღრიცხვა“
„კოლმეურნეობა. ბრიგადები“ [„კოლმეურნერბა“]
„კოლმეურნეობა. ორგანიზაცია“
„კოლმეურნეობა. შრომის განაწილება“
4. „მუშათა საკითხი ინგლისში“ [„მუშათა საკითხი“]
5. „ფიზიკა“ [,,ფიზიკა‘‘]
„ფიზიკის სახელმძღვანელო‘‘

პირველი განზოგადოების გამოყენებისას საჭიროა სრული მითითებით სარგებლობა: ,,ახალი ფილოსოფიის ისტორია‘‘ ნ. ,,ფილოსოფიის ისტორია‘‘, ,,საშუალო საუკუნეების ფილოსოფიის ისტორია‘‘ ნ. ,,ფილოსოფიის ისტორია‘‘, „ძველი ფილოსოფიის ისტორია“ ნ. „ფილოსოფიის ისტორია“. ასეთი განზოგადოება კატალოგის პრინციპის ერთგვარი დარღვევაა, მაგრამ უამისოთ საგნობრივი კატალოგი ერთ და ორ ბარათიან გამყოფთა კატალოგად გადაიქცეოდა და მკითხველისათვის მას საბიბლიოთეკო კატალოგის მნიშვნელობა დაეკარგებოდა (კატალოგში მკითხველი ლიტერატურას ეძებს—რამდენიმე წიგნს, ერთი ბარათი მას მხოლოდ ცნობას მიაწვდიდა). ბარათების სიმცირის შემთხვევაში რუბრიკის განზოგადოებით, განზოგადოებული რუბრიკის ბარათების გარდა, ზოგადი რუბრიკის ბარათებითაც შეუძლია მკითხველს ისარგებლოს ასევე: ზოგადი რუბრიკით მოსარგებლე მკითხველს, შესაძლებლობა აქვს, ამ რუბრიკის სახეობითი რუბრიკითაც დროის დაუკარგავად ისარგებლოს. მეორე განზოგადოება არ საჭიროებს სინონიმურ მითითებას და რუბრიკის ფორმულას ამარტივებს.

თუ დამსაგნებელი გრძნობს, რომ რუბრიკზე ბარათები არ დაგროვდება, თავფურცლის უკანა მხარეზე წიგნის კონკრეტული რუბრიკის მარჯვნივ სწორ ფრჩხილებში [ ] ის ზოგადი სამარაგო რუბრიკი უნდა ჩასვას, რომლის ქვეშაც საჭიროებისამებრ შესაძლებელია განზოგადება. აქვე უნდა აღვნიშნოთ განზოგადების ნაკლი: იგი ნაწილობრივი მითითების სათანადო გამოყენებას აბრკოლებს. მაგალითები: „ახალი ეკონომიური პოლიტიკა"—ამ რუბრიკის მიმართ მითითება უნდა გაკეთდეს რუბრიკიდან „მრეწველობა, სსრკ", მაგრამ თუ ეს უკანასკნელი განვაზოგადეთ „მრეწველობა", მაშინ მითითება ვეღარ გაკეთდება. ასევე რუბრიკი „კედლის გაზეთი" თუ „გაზეთად" შეიკვეცა, მითითება აღარ გაკეთდება „კლუბიდან". „ადგილობრივი ფინანსების" „ფინანსებათ" შეკვეცის შემთხვევაში, „კომუნალური მეურნეობიდან" მითითება აღარ ხერხდება. „ეთნოგრაფიიდან" „ხალხურ თამაშობაზე" ნაწილობრივი მითითება არ გაკეთდება, თუ ეს უკანასკნელი „თამაშობაზე" შევკეცეთ.

ზოგიერთი რუბრიკები განზოგადების დროს დამატებითი ბარათის შედგენას მოითხოვს. ასეთებია: „სუბტროპიკულ მცენარეთა ფუმიგაცია"—„სუბტროპიკული მცენარეები" და „მცენარეთა ფუმიგაცია"; „ენის კიბო"—„პირის ღრუს სნეულებანი" და „კიბო". ასეთი დამატებითი რუბრიკების შედგენა კატალოგის შედგენისას დიდ დაკვირვებას და სიფრთხილეს მოითხოვს, იგი კატალოგიზატორის მუშაობას ფრიად ართულებს. მან არ უნდა გაიტაცოს დამსაგნებელი.

ზოგიერთი რუბრიკები არ განზოგადოვდება. ასეთებია: ქვეყნის ისტორიის აღმნიშვნელი რუბრიკები—„საქართველოს ისტორია". არ შეიძლება განვაზოგადოთ: „ჩაის ხე", „ყავის ხე" და სხვა. არ იკვეცება აგრეთვე საზოგადოებათა ოფიციალური სახელწოდებანი: „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება". არ შეიძლება შეიკვეცოს რუბრიკები: „ალბათობათა თეორია", „ზედმეტი ღირებულების თეორია", „მსოფლიო მიზიდულობის კანონი" და სხვა.

ზოგიერთ რთულ რუბრიკში მეტი გარკვეულობისათვის ქვერუბრიკის სასვენი ნიშნით გამოყოფა საჭიროა. ქვერუბრიკის რუბრიკიდან გამოყოფა წერტილით და მძიმით შეიძლება.

თუ სასაგნო სიტყვა რუბრიკში სახელობით ბრუნვაში ზის, ქვერუბრიკი წერტილით გამოიყოფა.

შემთხვევები როცა რუბრიკიდან ქვერუბრიკი წერტილით უნდა გამოიყოს:

1. „მეტყეობა"
   „მეტყეობა. კუბატურა".
2. „რკინიგზები".
   „რკინიგზები. გამახარისხებელი სადგურები".
   „რკინიგზები. ელექტროწევა".
   „რკინიგზები. ზედნაშენი".
   „რკინიგზები. ისრები".
   „რკინიგზები. ორთქლით წევა".

შემთხვევები როცა რუბრიკები მძიმით იყოფა:

1. „ავიაცია".

„ავიაცია, სსრკ".

2. „ალპინიზმი".

„ალპინიზმი, სსრკ".

3. „მუშათა მოძრაობა".

„მუშათა მოძრაობა, საფრანგეთში".

მძიმით მაშინ ვსარგებლობთ, როცა ამ რუბრიკის ანალოგიით სხვა რუბრიკებიც გვაქვს კატალოგში.

**სინონიმები და სიტყვათა შემოკლებანი.** მრავალი საგანი ორი სახელწოდებით არის ცნობილი. რუბრიკის ფორმად საგნის უფრო მოკლე სახელწოდება უნდა გამოვიყენოთ:

„პოეტიკა"—„ლიტერატურის თეორიისა",

„გნოეკოლოგია"—„შემეცნების თეორიისა",

„ბიოფიზიკა"—„ბიოლოგიური ფიზიკისა",

„ბიოქიმია"—„ბიოლოგიური ქიმიისა",

„კოლხელშეკრულება"—„კოლექტიური ხელშეკრულებისა",

„ელექტროშედუღება"—„ელექტრული შედუღების" მაგიერ და სხვ.

თუ სიტყვა ერთ შემთხვევაში შემოკლებული ხმარებით არის ცნობილი, ხოლო სხვა შემთხვევაში ამავე სიტყვის სრული სახელწოდებაა გავრცელებული, რუბრიკის ფორმულირებაშიაც იგი ასევე დარჩება. მაგალითები: „პროფესიული სნეულებანი" და „პროფკავშირები" (არ ივარგებს „პროფესიული კავშირები" და „პროფსნეულებანი"). შემოკლებულ სახელწოდებაზე რუბრიცირებისას სრული სახელწოდებიდან სინონიმური მითითება უნდა გაკეთდეს.

ტერმინს როცა სხვადასხვა შინაარსი აქვს, საჭიროა თვალსაზრისის აღმნიშვნელი მარჯვნივ რგვალ ფრჩხილებში მიეწეროს:

„ატომი (ფიზიკა)", „ატომი (ფილოსოფია)".

**მითითება.** მითითებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს საგნობრივ კატალოგში. იმით საგნობრივ რუბრიკებს შორის გარკვეული ურთიერთობა მყარდება, რაც მკითხველს საშუალებას აძლევს კატალოგით ფართოდ ისარგებლოს. მითითება სამგვარია: სრული, ნაწილობრივი და ურთიერთ მითითება. მთელი რიგი ცნებანი ცნობილია ორი ტერმინით. არ ივარგებს ერთი საგნის ლიტერატურა ორ ტერმინზე დასაგნდეს და კატალოგში გაიფანტოს. საჭიროა რუბრიკის ფორმად ერთი მათგანი გამოვიყენოთ (უფრო სწორი და გავრცელებული), ხოლო მეორედან გაკეთდეს სრული მითითება. ამ კატეგორიის მითითების მაგალითებია: „ათწილადი კლასიფიკაცია" ნ. „დეკიმალური კლასიფიკაცია", „ბეითლობა" ნ. „ვეტერინარია", „თვითმფრინავი" ნ. „აეროპლანი" და სხვა. მითითებათა ამ ჯგუფს უნდა მივაკუთვნოთ აგრეთვე საგნის სრული სახელწოდებიდან შემოკლებულ სახელწოდებაზე მითითება. ასეთია: „კოლექტიური მეურნეობა" ნ. „კოლმეურნეობა" და სხვა.

ნაწილობრივი მითითება ფართოდ არის გამოყენებული საგნობრივ კატალოგში. ნაწილობრივ მითითებას მაშინ ხმარობენ, როცა საინტერესო საგნის

შესახებ მასალა დამატებით, კატალოგის სხვა ადგილას ეგულებათ. ნაწილობრივი მითითებით (მისი ფორმულაა „ნ. აგრ.“—ნახე აგრეთვე) გვარეობით და სახეობით ცნებებს ურთიერთთან აკავშირებენ. საგნობრივ კატალოგში გვარეობითი ცნებებიდან სახეობით ცნებაზე მითითება არის მიღებული: „ფიზიკა“ ნ. აგრ. „აკუსტიკა“. კერძო ცნებიდან ზოგადზე მითითება არ კეთდება, რადგან იგულისხმება მკითხველმა თუ კერძო საკითხები იცის, ეცოდინება ზოგადიც.

ნაწილობრივი მითითება ორგვარად შეიძლება გაკეთდეს: 1. გვარეობითი რუბრიკიდან ყველა უახლოეს სახეობით რუბრიკაზე კეთდება; 2. მითითება ერთ სახეობით რუბრიკაზეა, მკითხველმა მითითებული რუბრიკის ანალოგიით უნდა მოძებნოს კატალოგში შესაძლებელი სხვა უახლოესი სახეობითი რუბრიკები. მეორე მითითების მაგალითი: „ჰიგიენა“ ნ. აგრ. ცალკე ორგანოთა ჰიგიენა, მაგ. „ყურის ჰიგიენა“. პირველი მითითება მეტ შრომას მოითხოვს, ბიბლიოთეკარმა ცალცალკე უნდა მოძებნოს მისათითებელი ყველა რუბრიკი (ჰიგიენის შემთხვევაში ყველა ცალკე ორგანოს ჰიგიენა), გამყოფზე მითითებულ რუბრიკათა რიცხვს ზრდის. მეორე გვარი მითითება გამყოფზე ეკონომიას იჭერს, მაგრამ შეიძლება ისეთი რუბრიკი მოაძებნიოს მკითხველს, რომელიც კატალოგში არ იქნება. მეორენაირი მითითების გამოყენებისას მითითებულ რუბრიკათა განზოგადება ბარათების სიმკვრივის შემთხვევაში შეუძლებელია, სამაგიეროდ კატალოგის შედგენის შემდეგ სახეობითი რუბრიკის გახსნა არ მოითხოვს ამ რუბრიკის გვარეობითი რუბრიკის გამყოფზე მითითების გაკეთებას.

პირველი მითითების გამოყენება მიზანშეწონილია მასობრივ ბიბლიოთეკებში. მეორენაირი მითითებით სამეცნიერო ბიბლიოთეკებში შეიძლება ვისარგებლოთ.

როცა ერთი რუბრიკიდან მეორეზე კეთდება მითითება და პირუკუ, მაშინ ვღებულობთ ურთიერთ მითითებას. ურთიერთ მითითებით მონათესავე და ანტიპოდურ ცნებებს აკავშირებენ: „პედაგოგიკა“ ნ. „დიდაქტიკა“, „დიდაქტიკა“, ნ. „პედაგოგიკა“.

**ინვერსია** ანუ სიტყვათა გადასმა ისეთ მოვლენას ეწოდება, როცა ენის აგებულება სასაგნო სიტყვას თავსიტყვად არ უშვებს. საჭიროა გადასმის მოშველიებით სააქცენტო სიტყვა რუბრიკის ფორმულირებაში პირველ ადგილას დაისვას. მაგალითები:

1. „მატერიალიზმი“.
   „მატერიალიზმი, დიალექტიკური“.
   „მატერიალიზმი, ისტორიული“.
2. „ფსიქოლოგია“.
   ,,ფსიქოლოგია, გამოყენებითი‘‘.
   ,,ფსიქოლოგია, ექსპერიმენტული‘‘.
   ,,ფსიქოლოგია, შედარებითი‘‘.
3. ,,ეკონომიური მეცნიერება‘‘.
4. ,,გემის ორთქლის მანქანები‘‘.

კატალოგი მკითხველისთვის დგება. ინვერსია მკითხველის მოთხოვნილებას ეწინააღმდეგება. არც ერთი მკითხველი არ დაიწყებს პოლიტიკური ეკო-

ნომიის მასალას ძებნას ,,ეკონომიურ მეცნიერებაზე'' — ასო ,,ე''-ზე. ინვერსია ენის დამახინჯებაა. იმის გამოყენება ნიშნავს სრული მითითებით ფართოდ სარგებლობას (,,პოლიტიკური ეკონომია'' ნ. ,,ეკონომიური მეცნიერება'') საბიბლიოთეკო მასალის, ბიბლიოთეკარის შრომის და დროს ორმაგი ხარჯია, კატალოგის მოცულობას ზრდის, მკითხველს ბევრ დროს ართმევს კატალოგით სარგებლობისათვის. იგი პრინციპულად დასაგმობია. განსაკუთრებით ძნელია ინვერსიით სარგებლობა თუ რუბრიკის ფორმულა ორზე მეტი სიტყვისაგან შესდგება. მაგ. ,,გემის ორთქლის მანქანები''. აქ ძნელი გასარკვევია როგორ უნდა მოვახდინოთ ინვერსია ,,ორთქლის მანქანები, გემის'', თუ „მანქანები ორთქლის, გემის'', ან და ,,მსხვილფეხა რქოსანი საქონელი" — ,,საქონელი რქოსანი, მსხვილფეხა'', თუ ,,რქოსანი საქონელი, მსხვილფეხა''.

**სახურავები.** ზოგიერთი ენის აგებულება იმნაირია, რომ სასაგნო სიტყვას პირველად არ ხმარობს (მაგ. რუსული ენა). სასაგნო სიტყვის არა თავსიტყვით გაშვების გამო, ერთი საგნის რუბრიკები კატალოგის სხვადასხვა ადგილას თავსდება. მასალის ერთ ადგილას დაგროვებისათვის იყენებენ ეგრეთწოდებულ სახურავებს.

(შრომა — თეორია)
(შრომა — კონფლიქტები)
(შრომა — დაცვა)
(შრომა — ნაყოფიერება)
(შრომა — ფსიქოლოგია)

რადგანაც ქართულ ენაში რუბრიკის ფორმულაში სასაგნო სიტყვა ბუნებრივად თავში დაისმის, ამიტომ სახურავების გამოყენება სრულიად ზედმეტია.

**რუბრიკის ფორმულაში ორი ცნების „და" კავშირით დაკავშირება.** ზოგიერთი ცნებები, როგორც ლიტერატურაში ისე ცხოვრებაში ერთად იხმარება ,,და'' კავშირით ერთმანეთთან დაკავშირებული. ასეთი ცნებები არც რუბრიკის ფორმულაში უნდა დავაცილოთ ერთმანეთს. ასეთებია: ,,ზომა და წონა'', ,,მეტყველება და აზროვნება'', ,,საკ. კ. პ. (ბ) აგიტაცია და პროპაგანდა'' და სხვა.

**რუბრიკის უცხო სიტყვით გამოხატვა.** ბევრი სამეცნიერო დარგის სახელწოდება ცნობილია, როგორც საერთაშორისო უცხოური ტერმინით, აგრეთვე მისი შესატყვისი ქართულითაც. ცხოვრება უნივერსალური ხდება. ტერმინთა უნიფიკაციის მიზნით სასურველია რუბრიკის ფორმულაში ქართულის მაგიერი უცხო სიტყვა ვიხმაროთ: ,,გნოსეოლოგია'', ,,ზოოტექნიკა'', ,,ვეტერინარია'', ,,ლინგვისტიკა'' და სხვა. არის რუბრიკები სადაც უფრო გავრცელებულია ქართული სიტყვა, ამიტომ მისი უცხოურით შეცვლა მიზანშეწონილი არ არის. ასეთებია: ,,ძველი ქვეყნების ისტორია'', ,,ძველი აღმოსავლეთი'', „სქესობრივი საკითხი'', ,,თამბაქოს მრეწველობა'' და სხვა.

**„სა" პრეფიქსის განტვირთვა.** ქართულ საგნობრივ კატალოგში ,,ს''-ზე ბევრი რუბრიკი იწყება. ამ ასოზე რუბრიკათა სიმრავლე მხოლოდ ჩვენთვის ბიბლიოთეკარებისათვის არის საგრძნობი და მკითხველისათვის, რადგან მკითხველი მხოლოდ მისთვის საინტერესო რუბრიკის პოვნით არის დაინტერესე-

ბული, შეუმჩნეველია. ამიტომ ნაძალადევი ცდა ,,ს'' ანის რუბრიკიდან განტვირთვისა (საფრანგეთის ნაცვლად ფრანგეთი, საბერძნეთის მაგიერ ბერძნეთის ხმარება) დაუშვებელია. ხოლო მისაღებია სანზე დაწყებულ რუბრიკის ორგვარი ფორმულირებიდან დავასაგნოთ სხვა ასოზე დაწყებული რუბრიკით ს-ანისაგან სინონიმური მითითების გაკეთებით.

,,სატყეო ტაქსაცია'' ნ. ,,ხე-ტყის ტაქსაცია''.
,,საპარაშუტო სპორტი'' ნ. ,,პარაშუტიზმი''.
,,საფინანსო მეცნიერება'' ნ. ,,ფინანსები''.
,,სამჭედლო საქმე'' ნ. ,,მჭედლობა''.

**ისტორიული რუბრიკები.** ისტორიულ რუბრიკში გეოგრაფიული სახელის აღმნიშვნელი პირველად მიდის (,,საქართველოს ისტორია'', ,,რუსეთის ისტორია''). განზოგადოება აქ ყოვლად დაუშვებელია, რადგან რუბრიკს აზრს შეუცვლის, გეოგრაფიულ რუბრიკად აქცევს. გამონაკლისს ძველი ქვეყნის ისტორიის შემდეგი რუბრიკები შეადგენს: „ძველი აღმოსავლეთი'', „ძველი ეგვიპტე'', ,,ფინიკია'', ,,ასურეთ-ბაბილონი'', ,,კართაგენი'' და სხვა. ამ ქვეყნების შესახებ გეოგრაფიული ლიტერატურა,—ძველი თუ ახალი სულერთია, თუნდაც რომ იყოს იგი ისტორიას განეკუთვნება, ამიტომ გეოგრაფიული რუბრიკის საჭიროება ამ ქვეყნების მიმართ არ არის.

თვალსაჩინო ისტორიული მოვლენები შეიძლება ცალკე რუბრიკად გამოიყოს (,,დეკაბრისტების აჯანყება'', ,,რუსეთ-იაპონიის ომი'', ,,1905 წ. რევოლუცია'' და სხვა).

თუ რუბრიკი სპეციფიკაციას არ მოითხოვს, დატა არ აღინიშნება—,,რუსეთ-იაპონიის ომი'', „დეკაბრისტების აჯანყება“ და სხვა. „საფრანგეთის დიდი ბურჟუაზიული რევოლუცია“, ამ რუბრიკში სიტყვა „დიდი“ თარიღის მაგიერობას წევს. ისეთი ხალხის ისტორიის რუბრიცირების დროს, რომელთაც ტერიტორია დაუკარგავთ, სასაგნო სიტყვათ გეოგრაფიული ტერმინის ნაცვლად, ეთნიკური ტერმინი უნდა ვიხმაროთ: „ებრაელების ისტორია“.

**გეოგრაფიული რუბრიკები.** გეოგრაფიულ რუბრიკში ადგილის აღმნიშვნელი სიტყვა სასაგნო სიტყვათ დაისმის. ურთიერთისაგან სამგვარ გეოგრაფიულ რუბრიკს განასხვავებენ: 1. ქვეყნის და მხარის აღწერითი ლიტერატურა, სამხარეთმცოდნეო ხასიათისა, დასაგნდება ამგვარად:—„საქართველო“, „საფრანგეთი“ და სხვა. 2. მოგზაურთა შთაბეჭდილებანი:—„საქართველოში მოგზაურობა“, „საფრანგეთში მოგზაურობა“. 3. ქვეყნის და მხარის შემსწავლელი ლიტერატურა, სისტემატურ კურსად დალაგებული ქვეყნის ან მხარის გეოგრაფია:—„საქართველოს გეოგრაფია“, „საფრანგეთის გეოგრაფია“.

**პერსონალია.** პიროვნების ცხოვრებისა და მოღვაწეობისადმი მიძღვნილი წიგნები, როგორიცაა ბიოგრაფიები, მემუარები, მოგონებანი, თხზულებათა ბიბლიოგრაფია და სხვა, პიროვნების გვარის რუბრიკით უნდა წავიდეს. პერსონალიის აღმნიშვნელ რუბრიკებში პირველად გვარი დაისმის, მერე სახელი: „ჭავჭავაძე, ი.“, „წერეთელი, ა.“. როცა პიროვნება ფსევდონიმით მეტად არის ცნობილი, ვიდრე ნამდვილი გვარით და სახელით, რუბრიცირება ფსევდონიმზე უნდა მოხდეს, გვარიდან სრული მითითების

გაკეთებით: „ნინოშვილი, ე.“ და არა „ინგოროყვა, ე.“, „ორჯონიკიძე, ს.“, და არა „ორჯონიკიძე, გ.“. ისტორიულ პიროვნებათა სახელები გავრცელებული ფორმით დარჩება: „კარლოს დიდი“, „ალექსანდრე მაკედონელი“ და სხვა. ისეთი პიროვნებანი, რომლებზედაც დიდი ლიტერატურის დაგროვებაა მოსალოდნელი, მეტი სპეციფიკაციისათვის, შეიძლება ქვერუბრიკით გამოიყოს მოგონებანი, ბიბლიოგრაფია და სხვა. გვარის შემდეგ სახელი დაიწერება, ხოლო მამის სახელი მხოლოდ იმ შემთხვევაში დაიწერება, როცა ერთნაირი გვარისა და სახელის მქონე სხვადასხვა პირზე რუბრიკები გაჩნდება. რუბრიკის სიმოკლის მოსაზრებით რუბრიკის ფორმულაში დაბადების და გარდაცვალების თარიღის აღნიშვნა საჭირო არ არის.

**მხატვრული ლიტერატურის რუბრიკაცია.** მართალია, მხატვრულ ნაწარმოებს საგანი არ გააჩნია (ლექსს, მოთხრობას, პიესას), რაც მხატვრული ლიტერატურის საგნობრივ კატალოგში მოქცევას აძნელებს, მაგრამ რადგან საგნობრივი კატალოგი გენერალური კატალოგია, ამიტომ იგი მოვალეა მხატვრული ლიტერატურაც ასახოს. მხატვრული ლიტერატურა ენობრივი მოტივით უნდა დასაგნდეს: „ქართული ლიტერატურა“, „რუსული ლიტერატურა“. ხოლო საჭიროებისამებრ ჟანრის აღნიშნული ქვერუბრიკად უნდა გამოიყოს: „ქართული ლიტერატურა. პროზა“, „ქართული ლიტერატურა. პოეზია“.

ასეთია მთავარ ხაზებში ქართული საგნობრივი კატალოგის სტრუქტურა. როგორც დავინახეთ, საგნობრივ კატალოგს ბევრი კარგი მხარე აქვს.

მართალია, საგნობრივი კატალოგის შედგენა უფრო ძნელია, ვიდრე სისტემატურის, დასაგნება წიგნის შინაარსთან უფრო ახლოს მისვლას მოითხოვს, ვიდრე დაინდექსება. ძნელია წიგნის საგნის ერთ ან ორ სიტყვაში დაწურვა. დასასრულ ბიმოპის თქმის არ იყოს „საგნობრივ აღწერილობისათვის არ არის შემუშავებული ისეთი მტკიცე წესები, რომლებიც წლების განმავლობაში ანბანურ აღწერილობათათვის გამომუშავდა“, მაგრამ მიუხედავად ამისა, დიდი შრომით, დაკვირვებითა და სიფრთხილით შედგენილი საგნობრივი კატალოგი უკეთესი იარაღია ბიბლიოთეკისათვის წიგნის პროპაგანდისა, ვიდრე სხვა რომელიმე კატალოგი.

Д. Н. Маркевич

# Справочно-библиографическая, информационная и консультационная работа в библиотеках Грузинской ССР*.

С неизмеримо возросшим политическим, культурным и техническим уровнем широких масс трудящихся нашей страны растет и спрос на все виды печатных произведений: книги, брошюры, журналы и газеты, а вместе с тем растут и контингенты читателей всех типов наших библиотек.

В связи с учебными, самообразовательными, научными и производственными задачами перед нашими читателями возникает бесчисленное количество различных вопросов, связанных с поисками, выбором книг и их чтением. За всеми этими вопросами посетители наших библиотек, начиная от юных читателей детских и школьных библиотек и кончая читателями, убеленными сединами, в научных специальных библиотеках, обращаются к нам, библиотечным работникам, требуя быстрых, точных и верных ответов. Эту сторону обслуживания читателей призваны осуществлять справочно-библиографическая, информационно-библиографическая и консультационная работа библиотек.

Однако надо со всей категоричностью отметить, что в ряде библиотечно-педагогических вопросов, связанных с всесторонним обслуживанием читателей книгой, библиографической справкой и информацией, проблемы справочно-библиографического, информационного и консультационного обслуживания до сих пор все еще остаются наименее разработанными. До сих пор еще проблемы организации библиотечных фондов и каталогов, вопросы библиотечной техники, в широком значении этого слова, стоят в центре не только библиотечной теоретической мысли, но и в значительной мере довлеют во всей нашей практической библиотечной работе.

Доказательством этого положения может послужить то, что ни в русской библиотековедческой литературе, да и в нашей грузинской литературе мы до сих пор не имеем фундаментальных работ по обслуживанию читателей. Если же мы обратимся к нашей практической библио-

* Сокращенная стенограмма доклада на 1-ой Всегрузинской библиографической конференции 23-го декабря 1940 г.

течной работе, то и тут, к сожалению, должны констатировать известную недооценку этой важнейшей стороны библиотечной работы. Эта недооценка сказывается, в первую очередь, в несоответствующем подборе кадров библиотекарей на абонементах, в общих и специальных читальных залах, кабинетах, по линии междубиблиотечного абонемента и во всех других отделах библиотеки, где библиотекарь сталкивается лицом к лицу с читателем и где он должен показать настоящее лицо нашей советской библиотеки, как учреждения, призванного способствовать коммунистическому воспитанию трудящихся масс, т. е. показать, по выражению Н. К. Крупской, социалистическую специфику наших библиотек.

А в чем должна быть выражена эта социалистическая специфика наших библиотек?

Во вступительном слове на Всесоюзном совещании по теоретическим вопросам библиотековедения и библиографии в 1936 г. Н. К. Крупская говорила: „Мне, например, хотелось бы, чтобы докладчик о библиотеке им. Ленина отразил именно социалистическую специфику ее работы, показал, какая громадная там ведется справочная работа, как она помогает делу планирования,—а там есть такая работа; как ведется обмен книг, как ведутся выставки, как ведется помощь массовым библиотекам. Это и есть социалистическая специфика. У нас часто, делая доклады о библиотеках, этой социалистической специфики не замечают“ [1].

Мы видим, что справочно-библиографическая работа, а следовательно, и информационная и консультационная работа являются именно теми библиотечными работами, которые характеризуют социалистическую специфику наших советских библиотек.

Отсюда необходимость сосредоточить максимальное внимание всей нашей библиотечной общественности на вопросах организации, методики и техники этого рода обслуживания читателей наших библиотек.

В. И. Ленин в своих высказываниях о библиотечной работе коснулся и справочно-библиографической работы. В хорошо всем известном письме в Библиотечное отделение Внешкольного отдела Наркомпроса в феврале месяце 1919 года Владимир Ильич в числе обязательных вопросов упоминает: „можете ли вы точными данными доказать... удовлетворение вами справок читателей?“ [2].

Н. К. Крупская неоднократно напоминала, какое важное значение придавал В. И. Ленин справочной работе вообще. В своей статье: „Задачи библиотечного образования“ Н. К. Крупская писала: „В свое

[1] Крупская, Н. К. Выполним указания Ленина о библиотечной работе. (В сборн.: Н. К. Крупская. Библиотечная работа. М. 1940. Стр. 23).

[2] Крупская, Н. К. Что писал и говорил Ленин о библиотеках. М. 1934. Стр. 25.

время Ленин много говорил о необходимости наладить эти справочные бюро при всех наркоматах" [1].

В другом месте Н. К. Крупская говорила:

„Я бываю очень рада, когда в научной библиотеке хорошо поставлена справочная работа. На справочную работу надо обратить особое внимание. Я помню, что говорил Ленин по этому поводу. На-днях одна учительница принесла мне записку Владимира Ильича к Ландеру. Там он говорил: „Справку надо давать в один день". Правда, это не по линии библиотечного дела говорилось, но Ильич требовал, чтобы справочная работа везде была налажена как можно лучше и чтобы справки давались в один день" [2].

Сама Н. К. Крупская во многих своих выступлениях и статьях о библиотечной работе также неоднократно фиксировала внимание библиотечных работников на справочно-библиографическом обслуживании читателей.

„Важно... чтобы при каждой библиотеке был справочный отдел, которым каждый мог бы пользоваться", писала Н. К. Крупская в статье „О самообразовании" (1936 г.).

„Справочная работа в библиотеке имеет сейчас громадное значение", замечает Надежда Константиновна в своей речи на Совещании с работниками Московского библиотечного института (1938 г.) [3].

„Библиотекарь, писала Надежда Константиновна в том же 1938 г., должен давать книжки о социализме, вскрывающие, что такое социализм, в чем его сущность, как увязывать понимание того, что такое социализм с практикой его строительства. Библиография на данном этапе приобретает особо важное значение. Она должна приходить на помощь библиотекарю, в этой области нужна громадная работа" [4]. (Подчеркнуто нами. Д. М.).

В частности, в последнем высказывании мы имеем указание Н. К. Крупской о значении библиографической работы в библиотечном деле и ее служебном значении для библиотековедения.

Из приведенных выдержек ясно видно, какое большое значение придавали В. И. Ленин и Н. К. Крупская справочно-библиографической работе в библиотеке.

---

[1] Крупская, Н. К. Задачи библиотечного образования. (В сборн.: Н. К. Крупская. Библиотечная работа. М. 1940. Стр. 52).

[2] Крупская, Н. К. Беседа с директорами научных и краевых (областных) библиотек, 3 октября 1937 г. (В журн.: Красный библиотекарь. 1937. № 11, стр. 21).

[3] Крупская, Н. К. Задачи библиотечного образования. (В сборн.: Н. К. Крупская. Библиотечная работа. М. 1940. Стр. 52).

[4] Крупская, Н. К. По ленинскому пути. (В сборн.: Н. К. Крупская. Библиотечная работа. М. 1940. Стр. 57).

В ряде постановлений партии и правительства о библиотечной работе также имеются прямые указания о важности и необходимости развертывания справочно-библиографической, информационной и консультационной работы всех типов библиотек. Из этих постановлений необходимо остановиться на следующих:

1) В постановлении Совнаркома РСФСР от 23 марта 1932 г. „О работе массовых библиотек", предусматривалась организация в 1933 г. республиканских (АССР), краевых (областных) научных библиотек и возлагалось на них: „...обслуживание массовых библиотек в области библиографии, консультации и справочной работы"[1].

2) В постановлении ЦК ВКП(б) от 8 октября 1933 г. „Об улучшении дела самообразования", как известно, большая роль отводится участию библиотек в деле самообразования читателей и, в частности, дается указание Наркомпросам союзных республик, ВЦСПС и др. органам о необходимости „организовать консультации по самообразованию при находящихся в их ведении государственных и профсоюзных краевых (областных, районных, фабрично-заводских, клубных и политотдельских) библиотеках, с привлечением к консультационной работе квалифицированных пропагандистов и специалистов инженеров, агрономов, врачей, учителей и т. п."[2].

3) В историческом постановлении ЦИК СССР от 27 марта 1934 г. „О библиотечном деле в СССР" говорится: „Установить, что все библиотеки массового обслуживания, независимо от того, каким организациям они принадлежат, не должны, как правило, отказывать трудящимся в абонементе, а также в справках по вопросам чтения"[3].

4) В постановлении ЦИК и СНК Грузинской ССР от 14 мая 1934 г. „О библиотечном деле в Грузии" имеются также косвенные указания о справочно-библиографическом обслуживании читателей.

Особое значение приобретают справочно-библиографическое, информационное и консультационное обслуживание читателей в свете резолюций XVIII-го с'езда ВКП(б), поставившего в третьем пятилетии гигантскую задачу „завершения строительства бесклассового социалистического общества и постепенного перехода от социализма к коммунизму, когда решающее значение прио-

[1] Сборник директив по библиотечной работе. М.-Л. 1934. Стр. 7. (Подчеркнуто нами. Д. М.).

[2] Сборник директив по библиотечной работе. М.-Л. 1934. Стр. 9. (Подчеркнуто нами. Д. М.).

[3] Сборник директив по библиотечной работе. М.-Л. 1934. Стр. 13.

бретает дело коммунистического воспитания трудящихся, преодоление пережитков капитализма в сознании людей—строителей коммунизма" [1].

Остается рассмотреть последний и весьма важный вопрос, связанный с темой настоящего доклада—это вопрос кадров справочных работников. Кадры специалистов собственно по справочной и информационной работе у нас пока незначительны. Штатных работников справочной службы (библиографов) по всем 159 обследованным библиотекам у нас 25 человек [2]. Правда, среди них мы имеем первоклассных работников, имеющих очень большой практический опыт в работе и необходимую библиотечно-библиографическую эрудицию. Но кроме штатных работников справочной службы у нас еще имеются многочисленные кадры библиотекарей абонементов, читальных залов и кабинетов, которые тоже ведут справочную и информационную работу.

Вместе с тем вопрос профиля библиотечных работников, занятых в библиотеках справочной и информационной службой, в нашей библиоте-

---

[1] Письмо В. И. Ленина во Внешкольный отд. Наркомпроса. (В кн.: Н. К. Крупской. Что писал и говорил Ленин о библиотеках. М. 1939. Стр. 39).

[2] По данным 1936 г. всего работников справочной службы у нас было 12 человек.

коведческой литературе почти совсем не изучен. Разные авторы только вскользь касались вопроса квалификационных требований к библиографу и работникам справочной службы.

Опыт составления профиля работника справочной и информационной службы должен быть произведен с учетом таких квалификационных требований:

1. Общеобразовательной и политической подготовки;
2. Специальной библиотечной и библиографической подготовки (или достаточного практического опыта справочно-библиографической работы).
3. Навыков справочно-информационной работы и
4. Особых качеств, необходимых работникам справочно-информационной службы.

Вопрос о круге знаний и общеобразовательной подготовки библиотечных работников справочной службы в настоящее время можно считать разрешенным.

Библиотекари справочной службы, конечно, должны быть всесторонне образованными людьми для того, чтобы иметь возможность ориентироваться во всем многообразии поступающих к ним запросов. Это не значит, что они должны быть „всезнайками", но это значит, что они должны уметь найти правильные пути от читательского запроса через справочники, каталоги и библиографические указатели к нужным читателям книгам.

Здесь требуется особенно большая политическая подготовка библиотечного работника. Многие справочники и библиографические источники бывают сильно засорены устаревшей, негодной литературой. Требуется большая политическая бдительность справочного работника, чтобы при рекомендации книг наряду с нужной и полноценной литературой не была бы порекомендована устаревшая или даже вовсе перекомендованная литература.

Говоря об общеобразовательной и политической подготовке работников справочной службы, нельзя не коснуться необходимости знания иностранных языков, особенно в научных (специальных библиотеках). Многие наши работники сильно проигрывают в силу недостатка в знаниях иностранных языков.

Вместе с такой недооценкой знаний иностранных языков для справочной и информационной работы мы, к сожалению, до сих пор еще сталкиваемся с совершенно противоположным и не менее ошибочным взглядом, что наличие общеобразовательной подготовки или знания нескольких иностранных языков—достаточные данные для занятия должности библиотекаря или библиографа в справочно-библиографическом отделе научной библиотеки.

Такой взгляд на квалификационные требования к справочному работнику приводит, как правило, к весьма печальным результатам. Происходит это потому, что работники справочной службы должны при обязательной общеобразовательной и общеполитической своей подготовке кроме того в совершенстве владеть методикой и техникой библиотечной и библиографической работы, а также иметь еще и специальные навыки справочно-информационной службы.

Ко всему этому надо прибавить еще одно качество справочного работника, которое прямо вытекает из всех уже перечисленных квалификационных требований—это широкое знание книги, книжную эрудицию, то что виднейший американский библиотекарь, проф. В. В. Бишоп называет: „чувством книги", а мы часто называем: „чутьем книги", т. е. „уменье ориентироваться в книге, быстро схватить ее суть, специфические особенности, соотношение с другими книгами, правильно ее оценить". (Е. И. Шамурин).

Для того, чтобы закончить схематическую обрисовку профиля справочного работника необходимо хотя бы в кратких чертах остановиться на некоторых особых качествах, которыми должны обладать справочно-информационные работники и которые вытекают из необходимости их постоянного общения с читателями.

Работник справочной службы должен уметь подойти к читателю, путем краткой беседы получить все нужные ему сведения для облегчения и ускорения производства справки.

Хорошая память, организационные способности и настойчивость в производстве работы—являются необходимым дополнением к профилю работника справочно-информационной службы.

Таковы весьма серьезные требования, которые выдвигаются перед библиотечными работниками, занятыми справочно-информационным обслуживанием. Они всегда должны находиться в центре бурного потока жизни страны строющегося социализма, всех политических событий, новых идей, новых научных и технических достижений и открытий.

Отсюда—необходимость постоянной работы над собой, постоянного углубления своих общеобразовательных и политических знаний, серьезная работа с произведениями классиков марксизма-ленинизма и основной научной литературой по профилю обслуживаемого предприятия, организации или учреждения.

В деле подготовки и переподготовки кадров справочно-информационных работников перед нами стоят еще большие задачи. В наших стационарных библиотечных учебных заведениях: на постоянных шестимесячных библиотечных курсах, на Библиотечном отделении Политпросветшколы и Библиотечном факультете Учительского института им. А. Пушкина име-

ются специальные курсы справочно-библиографической работы по особым программам.

Ближайшей нашей задачей является обеспечение прохождения этого курса соответствующим образом организованной лабораторной и непрерывной производственной практикой в наших библиотеках. Подготовка новых кадров справочных работников—неотложная задача сегодняшнего дня, которая должна способствовать дальнейшему расцвету всей библиотечной работы у нас в Грузии и, в первую очередь, всем видам обслуживания читателей наших многочисленных библиотек.

## ПРОЕКТЫ

**форм учета, отчетности и документации справочно-библиографической, информационной и консультационной работы в научных (специальных) и массовых библиотеках**

Форма № 1. Форма тетради для записи устных справок (для массовых библиотек).

Форма № 2. Форма журнала для записи устных справок (для научных (спец.) библиотек).

Форма № 3. Форма тетради для записи письменных справок (для массовых библиотек).

Форма № 4. Универсальный бланк запроса (для научных (спец.) библиотек)[1].

Форма № 5. Универсальный бланк ответа (для научных (спец.) библиотек).

Форма № 6. Форма тетради для записи консультаций (для массовых библиотек).

Форма № 7. Бланк консультационного листа (для научных (спец.) библиотек).

Форма № 8. Дневник справочно-библиографического отдела библиотеки (для научных (спец.) библиотек).

Прилагаемые проекты форм учета, отчетности и документации справочно-библиографической, информационной и консультационной работы библиотек были предложены докладчиком тов. Д. Н. Маркевич на рассмотрение 1-ой Всегрузинской библиографической конференции.

Проекты форм должны были быть обсуждены специальной комиссией для окончательного рассмотрения их на пленарном заседании конференции и дальнейшего представления на утверждение Наркомпросу ГССР.

За недостатком времени названная комиссия не состоялась, и проекты форм конференцией не были рассмотрены.

---

[1] В основу „универсального бланка запроса" положен видоизмененный проект, предложенный Методической комиссией Ассоциации научных библиотек Москвы в 1932 году и рассмотренный впоследствии Методической комиссией по справочно-библиографической работе в 1938 г. Форма эта дополнена бланком ответа (№ 5).

По плану работ Гос. Книжной палаты ГССР на 1941 г. предусмотрена постоянная комиссия по справочно-библиографической работе, которая и должна будет окончательно рассмотреть прилагаемые формы и представить их Наркомпросу ГССР.

Для облегчения работы этой комиссии и для предоставления возможности широким кругам библиотечных работников предварительно ознакомиться с формами и выразить свои пожелания и коррективы, проекты форм справочно-библиографической, информационной и консультационной работы помещаются в виде приложения.

Такое предварительное коллективное рассмотрение предлагаемых форм уже было проделано на Методсовещании работников справочно-библиографических отделов тбилисских библиотек, проведенном Республиканским методкабинетом библиотековедения и рекомендательной библиографии 11 июня 1941 года. Некоторые изменения и дополнения, предложенные на Методсовещании внесены автором в формы документации.

Считая, что работа по уточнению форм на этом не должна быть закончена, просьба ко всем библиотечным и библиографическим работникам все предложения об изменениях и дополнениях прилагаемых форм направлять по адресу: Тбилиси, ул. Жореса, 5. Дворец книги, 4-й этаж Гос. Книжная палата ГССР. Д. Н. Маркевич.

---

Форма № 1

Форма тетради для записи устных справок (для массовых библиотек)

| Дата | №№ по порядку | Тема запроса | Фамилия читателя или наименование учреждения | Профессия | Подпись выдавшего справку |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | 2 | 3 | 4 | 4а | 5 |
| | | | | | |

Форма № 2

Форма журнала для записи устных справок (для научных (специальных) библиотек)

| Дата | №№ по порядку | Тема запроса | Фамилия читателя или наименование учреждения | Профессия | Количество указанного материала | Подпись выдавшего справку |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | 2 | 3 | 4 | 4а | 5 | 6 |
| | | | | | | |

Форма № 3

Форма тетради для записи письменных справок (для массовых библиотек)

| Дата поступлен. запроса | №№ по порядку | Тема запроса | Фамилия читателя или наименование учреждения | Дата выдачи справки | Подпись выдавшего справку | Подпись читателя получившего справку |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 |
| | | | | | | |

Форма № 4

Универсальный бланк запроса (для научных (специальных) и крупных массовых библиотек)

(Размер 7,5×12,5 см.)

№ .....

(наименование справ.-библиограф. отд. библиотеки)

..... 194 г.

Фамилия .....

Учреждение

Профессия .....

Адрес ..... тел. № .....

Тема запроса .....

.....

.....

.....

Научн.—Научн. попул.—Белл. * Книги.—Журн. ст.—Газ. ст.
(подчеркнуть)

На языках ..... за годы .....

Цель запроса: .....

..... ● Выполнить к .....

(Лицевая сторона)

Дата выполнения: ● Время на выполнение справки:

..... 194 г. ..... час. ..... мин.

Книг ..... Журн. ст. ..... Газ. ст. .....

Грузинских ..... Русских ..... Иностр. .....

Заметки:

Справку выдал: .....
(подпись)

(Оборотная сторона)

Универсальный бланк ответа (научных (специальных) и крупных массовых библиотек)

(Размер 12,5×15 см)

Форма № 5
лицевая сторона

.....
(наименование справ.-библиогр. отд. биб-ки)

Адрес: ..... Тел. №.....

**СПРАВКА №.....**

На Ваш запрос от „.....“ .....194 г.

Библиотека сообщает:

.....

Форма № 5
оборотная сторона

Использованные источники:

Всего просмотрено:

Библиогр. источн. ..... Книг ..... №№ жур. .....

№№ газ. .....

.....

Справку составил: .....
(подпись)

Отзыв получившего справку:

Справку получил: .....
(подпись)

Форма № 6

Форма тетради для записи консультаций (для массовых библиотек)

| Дата | №№ по порядку | Тема запроса | Фамилия читателя | Содержание консультации (краткое) | Консультант | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | Профессия | Подпись |
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 |
| | | | | | | |

Форма № 7
лицевая сторона

Форма консультационного листа (для научных (специальных) библиотек)
(Размер 15×20 см)

.....
(название библиотеки и отдела)
Адрес: ..... Тел. №.....

..... | **Консультационный лист №**..... (на каждую тему заполняется отдельный лист) | ..... 194 г.

Фамилия .....
Профессия .....
Учреждение .....
Адрес: ..... Тел. №.....

Т е м а:

Форма № 7
оборотная сторона

Содержание консультации:

| По отделам: | Соц. эконом. | По маркс.-ленинизму | По точным наукам | По технике | | По сельск.-хоз. | По худож. литер. | | Прочих |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|

| | | |
|---|---|---|
| Продолжительность консультации | .....час. .....мин. | |
| Подготовка материалов | .....час. .....мин. | ..... (подпись консультанта) |
| Всего затрачено времени | .....час. .....мин. | „.....“ .....194 г. |

Форма № 8
лист 1-й

# ДНЕВНИК

**справочно-библиографического отдела ..... библиотеки**

За ..... 194 г.

| Дни месяца | Устных справок | | | | | | | | | | | | Письменные справки | | | | | | | | | | | | | | | | | | Примечания |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | Всего | | Из них по содержанию: | | | | | | | | | | Всего | | | Из них по содержанию: | | | | | | | | Распределение указанной литературы | | | | | | | |
| | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | По языкам | | | По форме печатных произвед. | | | | |
| | Выдано справок | Указано литературы | Социально-экономич. | | По точным наукам | По прикладным наукам | | | По художествен. литературе | | Прочих | Отказов | Выдано справок | Из них повторных | Указано литературы | Социально-экономич. | | По точным наукам | По прикладным наукам | | По художествен. литературе | | Прочих | Грузинских | Русских | Иностранных | Книг | Журнальн. статей | Газетных статей | Отказов | |
| | | | Всего | Из них по марксизму-ленинизму | | По технике | По сельскому хозяйству | | | | | | | | | Всего | Из них по марксизму-ленинизму | | По технике | По сельскому хозяйству | | | | | | | | | | | |
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 | 18 | 19 | 20 | 21 | 22 | 23 | 24 | 25 | 26 | 27 | 28 | 29 | 30 | 31 | 32 | 33 |

Форма № 8
лист 2-й

| Дни месяца | Информ. работа | | | | Выдано справок по существу вопросов | Консультационная работа | | | | | | | | | | | | Обслужено читателей | | Составлено библиографических описаний | | | | Примечания |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | Новых книжных поступлений | | Плакаты | | | Из них по содержанию | | | | | | | | | | | | Из них по профессиям | Всего | Для справочных картотек | | По планово-библиограф. работам | | |
| | Книжные выстав. | Текатических | | | | Всего | Социально-экономич. | Всего | Из них по закреплению | По точным наукам | По технике | По сельскому хозяйству | По приказам наукам | | По художествен. литературе | | Прочих | | | Всего | Из них | Всего | Из них | |
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 | 18 | 19 | 20 | 21 | 22 | 23 | 24 | 25 | 26 | 27 | 28 | 29 |
| | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |

## საქართველოს პირველი ბიბლიოგრაფიული კონფერენციის დადგენილებიდან

საბჭოთა საქართველოს სამეურნეო და კულტურული ცხოვრების მძლავრი აღმავლობის საფუძვლებზე არნახული სისწრაფით განვითარდა მეცნიერება, ხელოვნება, სახალხო განათლება, რამაც ძალზე გაზარდა საქართველოს ბეჭდვითი სიტყვა და მშრომელი მასების წიგნზე მოთხოვნილება.

ქართული ბეჭდვითი პროდუქციის აღმავლობის შესაბამისად ბიბლიოგრაფიულმა საქმიანობამ გარკვეულ შედეგებს მიაღწია, როგორც სახელმწიფო რეგისტრაციულ, ისე რეტროსპექტულ, სპეციალურსა და სარეკომენდაციო ბიბლიოგრაფიაში: თითქმის მოგვარებულია საქართველოში გამოცემული ლიტერატურის რეგისტრაციული ბიბლიოგრაფია, რის საფუძველზე საქართველოს სსრ სახელმწიფო წიგნის პალატის „მატიანეები“ სრულ სურათს იძლევიან საქართველოს ბეჭდვითი პროდუქციისას. სულ ახლო ხანში გამოვა წიგნის პალატის მიერ შედგენილი ქართული წიგნის სამასი წლის ბიბლიოგრაფია (1629—1921); მტკიცე საძირკველი ჩაეყარა ქართული პერიოდიკის ანალიტიკურ ბიბლიოგრაფიას თბილისის საჯარო ბიბლიოთეკის მიერ, რომელმაც უკვე გამოსცა პირველი ტომი, იბეჭდება მეორე, ხოლო მესამე და მეოთხე ტომები მზადდება გამოსაცემად. 1938 წლიდან სწრაფად განვითარდა სარეკომენდაციო ბიბლიოგრაფია განსახკომის ბიბლიოთეკათმცოდნეობისა და სარეკომენდაციო ბიბლიოგრაფიის რესპუბლიკური მეთოდური კაბინეტის ხელმძღვანელობით.

მიუხედავად მნიშვნელოვანი აღმავლობისა, ბიბლიოგრაფიულ საქმეს საქართველოში სერიოზული ნაკლოვანებანი ახასიათებს, როგორიცაა—რეტროსპექტული და კრიტიკული ბიბლიოგრაფიის ჩამორჩენა, მნიშვნელოვანი თეორიულ-ბიბლიოგრაფიული საკითხების მოუგვარებლობა, ტექნიკურ-მეთოდური შეცდომები გამოქვეყნებულ ბიბლიოგრაფიულ შრომებში და, რაც განსაკუთრებით აღსანიშნავია, პარალელიზმი ბიბლიოგრაფიულ მუშაობაში.

ზემოდასახელებული ნაკლოვანებების აღმოფხვრა უნდა გახდეს საბრძოლო ამოცანად მესამე ხუთწლედში საქართველოს ბიბლიოთეკებისა და იმ სამეცნიერო დაწესებულებებისათვის, რომლებიც ბიბლიოგრაფიულ მუშაობას აწარმოებენ.

გამომდინარე აქედან, ბიბლიოგრაფიული კონფერენცია **ადგენს:**

1. თბილისის მოსახლეობის ბეჭდვითი პროდუქციით უკეთ მომსახურეობის მიზნით კონფერენციას აუცილებლად მიაჩნია შედგეს თბილისის ბიბლიოთეკების წიგნობრივი ფონდების შეერთებული კატალოგი, რომლის ორგანიზა-

ციისათვის ეთხოვოს განათლების სახალხო კომისარიატს გაიღოს სათანადო თანხები.

2. მკითხველთა სხვადასხვაგვარი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად ჩვენს ბიბლიოთეკებში აუცილებელია, გარდა ანბანური და სისტემატური კატალოგისა, საგნობრივი კატალოგის შემოღება. ამიტომ, კონფერენციას სავალდებულოდ მიაჩნია, რომ წიგნის პალატამ აწარმოოს ქართულ ენაზე რუბრიცირება ყველა იმ წიგნისა, რომელიც საქართველოში გამოდის; გარდა ამისა, სასურველია, რუსულ ენაზედაც.

3. ეთხოვოს განათლების სახალხო კომისარიატს, რათა მან ითავოს ბიბლიოთეკათმცოდნეობის ტერმინოლოგიისა და ქართული კატალოგრაფიული კოდექსის დამზადება-გამოცემის ორგანიზაცია, რათა ამით მოისპოს წიგნთაღწერის ნაირგვარობა და შეიქმნეს ქართული კოდექსი წიგნთაღწერისა.

4. კონფერენცია აღნიშნავს, რომ ბიბლიოგრაფიული შრომების გამრავლებასთან ერთად, იბეჭდება მდარე ხარისხის შრომები; ამიერიდან საჭიროა ჩვენი პრესა კრიტიკული წერილებისა და მიმოხილვების სახით ებრძოდეს ამგვარი შრომების გამოშვებას.

5. ეთხოვოს საქართველოს განათლების სახალხო კომისარიატს, ბიბლიოგრაფიული მუშაობის გაზრდასა და დიფერენციაციასთან დაკავშირებით, მეთოდურ-ინსტრუქციული ხელმძღვანელობა გაუწიოს ბიბლიოგრაფიული სამუშაოების რეგულირებას, დაგეგმვას, ამ დარგში პარალელიზმის აღმოფხვრისა და მაღალხარისხოვანი პროდუქციის მიღების მიზნით.

6. მკითხველთა ფართო მასების სათეითგანმანათლებლო მუშაობის დახმარების მიზნით, კონფერენციას აუცილებლად მიაჩნია ყოველი ტიპის ბიბლიოთეკამ აწარმოოს საცნობარო-ბიბლიოგრაფიული მუშაობა, ხოლო ყველა მეცნიერულ-სპეციალურსა და საქალაქო და სარაიონო ბიბლიოთეკაში ჩამოყალიბდეს საცნობარო-ბიბლიოგრაფიული განყოფილება ბიბლიოთეკის გამგის პირადი ხელმძღვანელობით და ამ მიმართებით შეიქმნას 1941 წლიდან ამ მუშაობისათვის საჭირო ბაზა (სპეციალური კარტოტეკები, საცნობარო-ბიბლიოგრაფიული ფონდი და სხვა).

7. კონფერენცია, აღნიშნავს რა, რომ საცნობარო-ბიბლიოგრაფიული მუშაობის დოკუმენტაცია, აღნუსხა-აღრიცხვა უნიფიცირებას საჭიროებს, ძირითადად იწონებს წარმოდგენილი უნიფიცირებულ ფორმების პროექტს და საჭიროდ თვლის განსახილველად დამტკიცებას და დაბეჭდვას.

8. ბიბლიოგრაფიული მუშაობის ნორმალური წარმოებისათვის სპეციალისტთა მომზადების მიზნით, კონფერენციას აუცილებლად მიაჩნია მოეწყოს ბიბლიოგრაფთა რესპუბლიკური მოკლევადიანი კურსები.

9. ბიბლიოგრაფიულ კონფერენციას მიზანშეწონილად მიაჩნია საქ. წიგნის პალატამ აწარმოოს რაიონულ პრესის ბიბლიოგრაფიული აღწერილობა.

10. საქართველოს პირველი ბიბლიოგრაფიული კონფერენციის ღონისძიებანი გამოქვეყნებული იქნას საქართველოს სახ. წიგნის პალატის ორგანოს — „ბიბლიოგრაფიის მოამბის“ მორიგ ნომერში.

1940 წ. 25 დეკემბერი.

## საქართველოს პირველი ბიბლიოგრაფიული კონფერენცია

(დღიური)

საქართველოს პირველი ბიბლიოგრაფიული კონფერენცია მოწვეულ იქნა საქართველოს სსრ სახელმწიფო წიგნის პალატის ინიციატივით და საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატის კოლეგიის დადგენილებით 1940 წელს 23 დეკემბერს.

ბიბლიოგრაფიულ კონფერენციამ განიხილა სათანადო ღონისძიებების დასახვით შემდეგი საკითხები: 1. „საქართველოს სსრ სახელმწიფო წიგნის პალატის მორიგი ამოცანები". (მომხს. წიგნის პალატის დირექტორი ამხ. ვ. მ. გოგოლაძე); 2. „საქართველოს ბიბლიოთეკების საერთო ბიბლიოგრაფიული სამუშაოები III სტალინურ ხუთწლედში". (მომხს. გ. ი. ბაქრაძე); 3. „Справочно-библиографическая, информационная и консультационная работа в библиотеках Груз. ССР. (მომხს. დ. ნ. მარკევიჩი); და 4. „ქართული საგნობრივი კატალოგის პრობლემა". (მომხს. გრ. ჩხაიძე).

კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო საქართველოს 43 სამეცნიერო-სპეციალურმა და 37 საქალაქო-სარაიონო ბიბლიოთეკამ, 6 სამეცნიერო ორგანიზაციამ, გამომცემლობამ და აზერბაიჯანის სსრ სახელმწიფო წიგნის პალატამ და მირზა ფატალი ახუნდოვის სახელობის სახელმწიფო-საჯარო ბიბლიოთეკამ. კონფერენციას დაესწრო 142 კაცი. მათგან: საშუალო განათლებით—56 კაცი; უმაღლესი განათლებით—86.

### პირველი და მეორე სხდომა

(23 დეკემბრის საღამოს სხდომა და 24 დეკემბრის დილის სხდომა)

კონფერენცია შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისრის მოადგილემ ამხანაგ მარიამ ბურჭულაძემ.

ამხ. მ. ბურჭულაძემ, მიმოხილვა გაუკეთა რა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების პერიოდში ჩატარებულ ბიბლიოგრაფიულ სამუშაოებს, აღნიშნა, რომ წარსულში, დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციამდე, ბიბლიოგრაფია, ისე როგორც რუსეთში, საქართველოშიც ჩამორჩებოდა, ცალკეულ მოყვარულთა საქმეს შეადგენდა ის. მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების პირობებში შეიქმნა შესაძლებელი ბიბლიოგრაფიის სახელმწიფო საქმედ გადაქცევა. ბიბლიოგრაფიის განვითარებას ჩვენს ქვეყანაში დიდი ბელადის ვ. ი. ლენინის მიერ ხელმოწერილი დეკრეტი დაედვა საფუძვლად. დღეს—აღნიშნა ამხ. მ. ბურ-

ჭულაძემ—სტალინური ხუთწლედების წარმატებით შესრულების შედეგად და იმ გრანდიოზულ მიღწევებისა, რომლებიც სოციალისტური მშენებლობის ყველა ფრონტზე გვაქვს ჩვენ—შეუდარებლად გაიზარდა ჩვენი სამშობლოს მშრომელთა პოლიტიკური, კულტურული და ტექნიკური დონეც, გაიზარდა მოთხოვნილება ბეჭდვითი სიტყვაზე, ბიბლიოგრაფიაზე. საბჭოთა ბიბლიოგრაფიის მაღალ განვითარებას კაპიტალისტური ქვეყნების სპეციალისტებიც კი აღიარებენ დღეს.

ბიბლიოგრაფიულ საქმის განვითარებას საქართველოში თან ახლავს რიგი ნაკლოვანებანი. ეს ნაკლოვანებანი ძირითადში მოხაზულია კონფერენციაზე წარმოდგენილ მოხსენებათა თეზისებში. ამხანაგები—კონფერენციის დელეგატები მიიღებენ რა აქტიურ მონაწილეობას კონფერენციის მუშაობაში, დასახავენ პრაქტიკულ ღონისძიებებს, რომლებიც კიდევ უფრო წინ წაწევენ ბიბლიოგრაფიულ საქმეს ორდენოსან საქართველოში.

ამხ. მ. ბურჭულაძის შესავალი სიტყვის შემდეგ კონფერენციამ საპატიო პრეზიდიუმში დიდი ოვაციებით და აპლოდისმენტებით აირჩია დიდი ბელადი ამხანაგი ი. ბ. სტალინი, და აგრეთვე ამხანაგები: ვ. მ. მოლოტოვი, კ. ე. ვოროშილოვი, ლ. მ. კაგანოვიჩი, მ. ი. კალინინი, ა. ა. ანდრეევი, ა. ა. ჟდანოვი, ა. ი. მიქოიანი, ნ. ს. ხრუშჩოვი, ლ. პ. ბერია, ნ. მ. შვერნიკი, კ. ნ. ჩარკვიანი, ვ. მ. ბაქრაძე.

საქმიან პრეზიდიუმის არჩევის შემდეგ მოისმინა მოხსენებები:

ა) „საქართველოს სსრ სახელმწიფო წიგნის პალატის მორიგი ამოცანები“, და

ბ) „Справочно-библиографическая, информационная и консультационная работа в библиотеках Груз. ССР“.

## მეორე სხდომა

(24 დეკემბრის დილის სხდომა)

მეორე სხდომაზე კონფერენციამ მოისმინა ორი მოხსენება:

ა) „საქართველოს ბიბლიოთეკების საერთო ბიბლიოგრაფიული სამუშაოები III სტალინურ ხუთწლედში“.

ბ) „ქართული საგნობრივი კატალოგის პრობლემა“.

(24 დეკემბრის საღამოს სხდომა და 25 დეკემბრის დილის სხდომა)

კონფერენციის მეორე სხდომის ბოლოს—მოხსენებების შემდეგ გაიხსნა კამათი, რომელიც გაგრძელდა მესამე და მეოთხე სხდომაზე.

კამათში მონაწილეობა მიიღეს:

1. ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის ბიბლიოთეკის დირექტორმა და ლექტორმა ამხ. რამიშვილმა, 2. ი. იმედაშვილმა, 3. აზერბაიჯანის სსრ სახელმწიფო წიგნის პალატის მეცნიერ მუშაკმა ამხ. რზაკული-ზადემ, 4. სახელგამის ბიბკოლექტორის გამგემ ამხ. პ. მანიავამ, 5. საქართველოს სახელმწიფო-საჯარო ბიბლიოთეკის საცნობო-ბიბლიოგრაფიულ განყოფილე-

ბის გამგემ ამხ. ლ. ეგორაშვილმა, 6. თბილისის სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის სწავლულ მდივანმა ამხ. ივ. ციციშვილმა, 7. ქუთაისის ქალაქის ბიბლიოთეკის მუშაკმა ამხ. მიქაბერიძემ, 8. პუშკინის სახ. თბილისის სამასწავლებლო ინსტიტუტის ბიბლიოთეკური ფაკულტეტის დეკანმა ამხ. გ. გიორგაძემ, 9. თბილისის სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოცენტმა ამხ. ს. ხუციშვილმა, 10. საქართველოს სახელმწიფო-საჯარო ბიბლიოთეკის სწავლულ მდივანმა ამხ. ნ. ლორთქიფანიძემ, 11. თბილისის სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის დირექტორმა ამხ. პ. ახალაძემ, 12. ხაშურის სარაიონო ბიბლიოთეკის გამგემ ამხ. ი. ფთაძემ, 13. საქართველოს სახელმწიფო წიგნის პალატის დაკომპლექტება-კონტროლის განყოფილების გამგემ ამხ. დ. ქაროსანიძემ, 14. საქართველოს სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკის დირექტორმა ამხ. ნ. ჭელიძემ, 15. საქ. ცენტროარქივის მუშაკმა ამხ. ჭანიშვილმა და სხვ. კონფერენციას მიესალმა ბიბლიოთეკური ფაკულტეტის სტუდენტი ამხ. არჩვაძე.

მესამე სხდომაზე კონფერენციამ მოსმენილ მოხსენებათა ირგელივ პრაქტიკულ ღონისძიებების გამომუშავებისათვის აირჩია ოთხი კომისია შემდეგი ამხანაგების შემადგენლობით:

ვ. გოგოლაძე, თ. ნაკაშიძე, ი. იმედაშვილი, პ. ხუნდაძე, დ. მარკევიჩი, გ. ბაქრაძე, ნ. ლორთქიფანიძე, ი. ორჯონიკიძე, გ. აბაშიძე, გრ. ჩხაიძე, ი. ციციშვილი, ვასილიევა, ლალიაშვილი და სხვ.

## კამათში გამოსულ ამხანაგების სიტყვები

(შემოკლებული სტენოგრამა)

ამხ. რამიშვილი.—მივესალმები საქართველოს სახელმწიფო წიგნის პალატის ინიციატივას—საქართველოს პირველ ბიბლიოგრაფიულ კონფერენციის მოწვევის შესახებ. ოცი წლის მუშაობის მანძილზე საქართველოში თვალსაჩინო მიღწევებია მოპოვებული ბიბლიოგრაფიულ დარგში. ბიბლიოგრაფიულ საქმის საჭირო სიმაღლეზე დაყენებას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება დღეს. მესამე სტალინური ხუთწლედის ამოცანები გაათკეცებულად სვამს საკითხს ჩვენი ქვეყნის წინაშე კადრების უკეთ მომზადების, მეცნიერების კიდევ უკეთ დაუფლების შესახებ. ბიბლიოგრაფიას დიდი როლი შეუძლია შეასრულოს ამ ამოცანათა განხორციელების საქმეში, მასების მიერ მეცნიერების მომარჯვებისა და მისი პრაქტიკულად გამოყენების მიმართულებით. კონფერენციის ყურადღება მინდა გავამახვილო ბიბლიოთეკისა და ბიბლიოგრაფიის კვალიფიციურ კადრების მომზადების შესახებ. ბიბლიოგრაფიული მუშაობის შემდგომი გაშლა ჩვენში, მშრომელთა ბიბლიოგრაფიული მომსახურება ბიბლიოთეკებში, მაღალ კვალიფიკაციის კადრებს მოითხოვს. საჭიროა კიდევ მეტად გაიშალოს მუშაობა ამ მიმართულებით. დასახული უნდა იქნას ღონისძიებები, რომლებიც უზრუნველყოფენ III სტალინურ ხუთწლედში ჩვენი დარგის კვალიფიციური კადრების მომ-

ზადებას. ამხ. რამიშვილი შეეხო აგრეთვე საგნობრივ კატალოგის მსხვილ ბიბლიოთეკებში დანერგვას და მასთან დაკავშირებულე მეთოდიკური სამუშაოების წინასწარ დამუშავების საკითხს.

ამხ. ი. იმედაშვილი. მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების პირობებში გახდა შესაძლებელი საქართველოს ბეჭდვითი სიტყვის შემდგომი განვითარება, და ამასთან დაკავშირებით ბიბლიოგრაფიის განვითარებაც. თქვენი ყურადღება მინდა შევაჩერო საქართველოს სახელმწიფო წიგნის პალატის მიერ ჩატარებულ ბიბლიოგრაფიულ მუშაობაზე და მის პერსპექტივებზე. პალატის მიერ ჩატარებულ მუშაობის შესახებ, საკმარისად მეტყველებს ქართული წიგნის ბიბლიოგრაფიის შედგენა და მისი გამოცემა. აღნიშნული წიგნი, შეიძლება გადაუჭარბებლად ითქვას, რომ ისტორიული მნიშვნელობის წიგნია. არა ნაკლები მნიშვნელობის სამუშაოები აქვს დასახული პალატას შესასრულებლად, მაგრამ სახელმწიფო მნიშვნელობის საკითხი, რომლის ირგვლივ განსაკუთრებით მსურს გავამახვილო კონფერენციის ყურადღება, ის გახლავთ ქართული წიგნობრივი ფონდის თავმოყრისა და მისი ჯეროვნად დაცვის საკითხი. განსაკუთრებით კი საქართველოს პერიოდულ გამოცემათა ფონდის დაცვა. საჭიროდ მიმაჩნია ამ მიმართულებით მუშაობა აწარმოოს, რასაკვირველია, პირველ რიგში საქართველოს წიგნის პალატამ და პალატასთან ერთად თბილისის და საქართველოს ავტონომიური რესპუბლიკების სახელმწიფო საჯარო და სამეცნიერო ბიბლიოთეკებმაც. ამას მოითხოვს ქართული წიგნის ისტორიის ინტერესი და, რაც მთავარია სამეცნიერო კვლევითი მუშაობის წარმოება ჩვენში.

დასასრულ სიამოვნებით მინდა აღვნიშნო წიგნის პალატის ინიციატივა იმის შესახებ, რომ მან ხელი მოკიდა ჩემ მიერ ერთდროს დაწყებულ მუშაობის „ქართველ მოღვაწეთა ბიობიბლიოგრაფიული ლექსიკონის“ დამთავრებისა და გამოცემის საქმეს.

Тов. Рзакули-Заде.—Товарищи! Разрешите первым долгом, от имени Азербайджанской Госуд. Книжной Палаты и госуд. Публичной библиотеки имени Мирза Фатали Ахундова приветствовать первую Всегрузинскую библиографическую конференцию.

Грузинская Книжная Палата пришла на первую Всегрузинскую конференцию с большими достижениями. Сегодня мы являемся свидетелями того, как впервые за 300 лет, за три века представляется на первой всегрузинской конференции огромный труд „Библиография грузинской книги“.

Грузинская Книжная Палата оправдала себя, как государственный библиографический центр. Большую помощь оказывала и оказывает она путем обмена опытом Азербайджанской Книжной Палате.

Директор Книжной Палаты тов. Гоголадзе в своем докладе отметил, что карточная летопись печатается ежедневно, комплектуется в месяц раз и рассылается подписчикам-библиотекам. По моему было бы гораздо целесообразнее рассылать библиотекам карточную летопись сейчас же после выхода ее в свет. Это требует интересы обслуживания библиотек со стороны Книжной Палаты.

Выступившие здесь товарищи указывали также, что изданиями Книжной Палаты (летописями) из научных библиотек по Груз. ССР пользуются только 28 библиотек. У нас, по Азербайджану еще меньше количество библиотек, которые изданиями Палаты пользуются. Этот огромный недостаток в работе Книжных Палат и библиотек нужно будет изжить. Изжить его возможно главным образом и только с помощью библиотечных коллекторов.

ამხ. პ. მანიავამ აღნიშნა, რომ წიგნის პალატის გამოცემების („მატიანეები"-ს) ბიბლიოთეკებში გავრცელება არ შეიცავს ბიბკოლექტორის ამოცანას, რადგან ისინი პერიოდული ხასიათის გამოცემებია. ბიბლიოთეკები უარს აცხადებენ მატიანეების მიღებაზე და ამით აიხსნება ის გარემოება, რომ ბიბკოლექტორმა 1940 წელში სრულიად უარი განაცხადა „მატიანეების" იმ რაოდენობით გავრცელებაზედაც კი, რომელსაც ის გასულ წლებში ავრცელებდა. განაცხადა, რომ საქართველოს სახელმწიფო წიგნის პალატის დირექტორის ამხ. ვ. გოგოლაძის განცხადება-საყვედური ბიბკოლექტორის უმოქმედობის შესახებ „მატიანეების" გავრცელების საქმეში მოკლებულია საფუძველს.

ამხ. პ. მანიავას გამოსვლა კონფერენციაზე სასტიკად ვაკრიტიკებული იქნა კამათში გამოსულ ამხანაგების მიერ. გამოსულ ამხანაგებმა მიუთითეს ამხ. პ. მანიავას, რომ მას ჯერ კიდევ არა აქვს შეგნებული ბიბკოლექტორის ვალდებულებანი ბიბლიოთეკების დახმარების საქმეში. ხაზგასმით აღნიშნეს, რომ სწორედ ბიბკოლექტორი უნდა ზრუნაედეს წიგნის პალატის გამოცემების ბიბლიოთეკებში გავრცელების შესახებ და არ არის სწორი ამხ. მანიავას განცხადება თითქოს ბიბლიოთეკები უარს აცხადებენ წიგნის პალატის პერიოდულ გამოცემების მიღებაზე.

ამხ. ლ. ეგორაშვილი შეეხო ბიბლიოთეკის საცნობო-ბიბლიოგრაფიულ განყოფილებების კადრების საკითხს და აღნიშნა, რომ მათი რაოდენობა ჯერ კიდევ ძალზე მცირეა ჩვენს ბიბლიოთეკებში და საჭიროდ დასახა აგრეთვე მათი გადამზადებაც. შეეხო ბიბლიოთეკური ფაკულტეტის მიერ გამოშვებულ კადრებს და აღნიშნა, რომ ჯერ სუსტია გამოშვებული კადრები და ზოგიერთი იმათაგანის საცნობო-ბიბლიოგრაფიული მუშაობაში გამოყენება უძნელდებათ ბიბლიოთეკებს. საჭიროა ბიბლიოთეკურმა ფაკულტეტმა კიდევ მეტად გააძლიეროს თავისი მუშაობა მაღალი კვალიფიციური კადრების გამოშვებისათვის.

ამხ. ივ. ციციშვილი. ამხანაგებო! ჩვენ მოვისმინეთ საქართველოს წიგნის პალატის დირექტორის ამხ. გოგოლაძის მეტად შინაარსიანი, მეტად საინტერესო მოხსენება.

პალატას სულ რომ არაფერი გაეკეთებინა და მხოლოდ ის „ქართული წიგნის რეპერტუარი" გამოეცა, რომელსაც დღეს ყველა ჩვენგანი გაეცნო, მხოლოდ ამისათვისაც კი დაიმსახურებდა ჩვენი საზოგადოების უღრმეს მადლობას. მაგრამ ჩვენ ხომ მოვისმინეთ, რომ ამ დიდ საქმის პარალელად კეთდებოდა კიდევ სხვა მრავალი საქმე, არანაკლებ მნიშვნელოვანი. თუ რა ღირებულები-

საა ზემოთ მოხსენებული რეპერტუარი, შეგვიძლიან დავასკვნათ, თუნდაც იმ შეფასებიდანაც, რომელსაც უკვე ადგილი აქვს „საეტსკაია ბიბლიოგრაფია“-ს უკანასკნელ ნომერში.

ასეთივე შინაარსიანია წიგნის პალატის მომავალი წლის საქმიანობა. ჩვენი მოვალეობაა წარმოდგენილ გეგმას კრიტიკულად შევეხოთ და, ამით, დირექციას გავუადვილოთ მისი საკმაოდ საპასუხისმგებლო პროგრამის შესრულება.

მომხსენებელს თავის მოხსენებაში და თეზისებშიაც პირველ ჯერად ნახსენები აქვს: ქართული ანბანური კატალოგიზაციის კოდექსის შედგენა და ბიბლიოგრაფიული ტერმინოლოგიის დამუშავება. რაც შეეხება ამ უკანასკნელს— ამ საკითხის დღიურ წესრიგში დასმა სავსებით დროულია, ვინაიდან ჩვენს ენაში თითოეულ ცნებას ორი და ზოგჯერ მეტი ტერმინი გაუჩნდა, რაც ჩვენი საზოგადოების შემოქმედებითი უნარიანობას მოასწავებს. ოღონდ, საჭიროა ამ შემოქმედებას კალაპოტი მიეცეს.

გადავიდეთ მეორე საკითხზე. მოხსენებაში და თეზისებში ნახსენებია, რომ განზრახულია კატალოგრაფიული კოდექსის შედგენა და იქვე აღნიშნულია, რომ საჭიროა გრაფიკულ ნაწარმოებთა და ანალიტიკურ აღწერილობათა ინსტრუქციების შედგენა. თუ პირველი შესდგება, მეორე რაღა საჭიროა, ვინაიდან კოდექსი ყველა სახის აღწერილობას უნდა შეიცავდეს. მაშ რაშია საქმე?

ვფიქრობ, რომ საქმე კოდექსით კი არ უნდა დავიწყოთ, არამედ კოდექსით უნდა დავასრულოთ. კოდექსი იმდენად სერიოზული და საპასუხისმგებლო საქმეა, რომ თხოულობს წინასწარ ჩატარებულ სამუშაოებს. საჭიროა ჯერ დაიბეჭდოს იმ ობიექტთა ინსტრუქციები, რომელიც ჯერ ქართულ ენაზე არ არსებობს. ასეთებია: გრაფიკულ და მუსიკალურ ნაწარმოებთა აღწერილობის ინსტრუქციები, პატენტების, სტანდარტებისა და ფირმათა კატალოგების აღწერილობის ინსტრუქციები, აგრეთვე არქეოგრაფიული აღწერილობის ინსტრუქცია და სხვა. აღნიშნული ინსტრუქციები და აგრეთვე უკვე არსებულნი უნდა დაიგზავნოს მოწინავე ბიბლიოთეკებში წიგნობრივ ფონდთან შესამოწმებლად და მხოლოდ ამგვარი შემოწმების შემდეგ შეიძლება და მიზანშეწონილიც არის კოდექსის შედგენა. უამისოდ კოდექსი შესაძლებელია გამოვიდეს უდღეური და კაბინეტური. დაიბეჭდება რა ზემოხსენებული, ქართულ ენაზე არ არსებული, ინსტრუქციები, პალატა უნდა შეუთანხმდეს მოწინავე ბიბლიოთეკებს, რათა მათ ჩაატარონ სათანადო დაკვირვება როგორც დაბეჭდილებზე, ასევე უკვე არსებულზე. მომავალ კოდექსს საფუძვლად სწორედ ეს, ბიბლიოთეკებიდან შემოსული მასალა და შენიშვნები უნდა დაედოს.

ორიოდე სიტყვა იმ მუშაკთა პროფილზე, რომელნიც უნდა ჩაბმულ იქნენ კოდექსზე მუშაობაში. აქაც, როგორც სხვაგან, უნდა გვახსოვდეს, რომ თეორია პრაქტიკას მოკლებული—ფუჭია. არ კმარა კაცმა დაიზეპიროს საბჭოთა და უცხოეთის ათიოდე ინსტრუქცია. საჭიროა, რათა ინსტრუქციის შემდგენელს პრაქტიკული სტაჟიც ჰქონდეს, უამისოდ შესაძლოა კოდექსში გაგვეპაროს ისეთი „მარგალიტები“, რომელთაც უკვე ადგილი აქვთ ზოგიერთი გამოცემაში. ჩვენში ისეთი ბიბლიოთეკარი, რომლის ხელში გაუვლია ასი ათასებს და თვით მილიონ წიგნებსაც კი, საკმაოდ მოგვეპოვება.

აქაც ისევე, როგორც ტერმინოლოგიის საკითხში, საჭიროა ფართო საზოგადოების ჩაბმა. საჭიროა ჯერ კრიტიკულად იქნეს ათვისებული ის, რაც გვაქვს და მხოლოდ ამის შემდეგ გადავდგათ ახალი ნაბიჯი.

საბედნიეროდ ჩვენს რესპუბლიკაში ამჟამად უკვე ოთხი ისეთი მეცნიერული ცენტრი არსებობს, როგორიც არის თვით წიგნის პალატა, პუშკინის სახელობის ინ-ტთან არსებული ბიბლიოთეკონომიური კათედრა, საქ. სახელმწიფო საჯარო ბ-სთან არსებული ბიბლიოთეკონომიური კაბინეტი და რესპუბლიკური მეთოდკაბინეტი. ამ ცენტრებმა, მოწინავე ბიბლიოთეკებთან ერთად, უნდა იკისრონ არსებული ლიტერატურის კრიტიკული ათვისება, მისი შეფასება და გადაფასება. ასეთი კრიტიკის გარეშე ავტორთა შემდგომი ზრდა და შემდგომი სამუშაოების წესიერად ჩატარება შეუძლია.

ესევე ითქმის „ქართულ ბეჭდვითი კატალოგის ისტორიაზე", რომელიც აგრეთვე შეტანილია პალატის სამოქმედო გეგმაში. ჩვენ უკვე გვაქვს „ქართულ ბიბლიოგრაფიის ისტორიის" ერთი ცდა. ჯერ ეს არავის გაურჩევია, არავის გაუკრიტიკებია და უკვე ახალ „ისტორიას" ვიწყებთ და, მაშასადამე, ამის ავტორი, ძველი იქნება იგი თუ ახალი, ვერ ისარგებლებს საჭირო მითითებებით და გამოცდილებით.

ჩემთვის გაუგებარია, რატომ არ არის მომავალ 1941 წლის პროგრამაში შეტანილი ქართულ პერიოდიკის ინდექსის გამოცემა. ამხ. გიორგი ბაქრაძის მიერ შედგენილი და პალატისათვის უკვე კარგახანია გადაცემული პერიოდიკის ამ ინდექსს ხომ „ქართულ წიგნის რეპერტუარზე" ნაკლები მნიშვნელობა არა აქვს ჩვენთვის.

დაბოლოს, ამხ. გოგოლაძის მოხსენების გამო ასეთს დასკვნას გავაკეთებდი: ყველა ის ღონისძიება პალატის მომავალ საქმიანობაში რომ არის დასახული და კერძოთ ისინიც, რომლებზედაც თქვენი ყურადღება შევაჩერე, დროული და საესებით მიზანშეწონილია. ოღონდ, მათ წინ უნდა უძღოდეს საფუძვლიანი განსჯა-განხილვა და დისკუსია, რისთვისაც უნდა გამოყენებულ იქნეს როგორც „ბიბლიოგრაფიის მოამბე", ასევე საქ. სახ. საჯარო ბიბლიოთეკის შრომები და აგრეთვე ზეპირი მოხსენება-დისკუსიები.

გადავდივარ რა პალატის გამოცემების გავრცელებაზე, მე არ შემიძლიან დავეთანხმო ამხ. მანიავას პოზიციას. როგორ შეიძლება „წიგნის მატიანე-სადმი" ასეთი ფორმალური მოტივით მიდგომა, მხოლოდ იმიტომ, რომ „წიგნის მატიანე" პერიოდულ გამოცემათა კატეგორიას ეკუთვნის.

ჩემთვის ერთი რამ არის ნათელი: ბიბკოლექტორს აქვს აპარატი და შესაძლებლობა „მატიანეს" გავრცელებისათვის. თითოეულ ბიბლიოთეკას, რომელსაც ბიბკოლექტორი აკომპლექტებს, იმოდენა ბიუჯეტი აქვს, რომ „წიგნის მატიანეებზე" გაწეული ხარჯი მათთვის სულ უმნიშვნელო ნაწილს შეადგენს, ხოლო „მატიანეები" მათთვის აუცილებელზე აუცილებელია.

ესეც კი უნდა ითქვას, რომ არც წიგნის პალატის დირექციას ამოუწურია ყველა შესაძლებლობა „მატიანეების" პოპულარიზაციისათვის, ვინაიდან ამ მხრივ გამოყენებული არ იყო არც ჩვენი პრესა და არც რადიო, რომლის გამოყენება უთუოდ საქმეს არგებდა.

რაც შეეხება ამხ. დიმიტრი მარკევიჩის მოხსენებას—იგი იმდენად ამომწურაედ დამუშავებულია, რომ შიგ რაიმეს ჩართვა ძნელია, ვიდრე მის მიერ წამოყენებული დებულებანი არ იქნება შემოწმებული უშუალოდ მუშაობის პროცესებთან. განსაკუთრებით საყურადღებოა მისი მოხსენების ის ადგილი, სადაც იგი „აღრიცვის ერთიან ფორმას“ ეხება, ვინაიდან საცნობო-ბიბლიოგრაფიულ მუშაობაში ეს მომენტი ყველაზე მოუგვარებელია. ასევე ითქმის ზეპირ და წერილობითი ცნობათა კლასიფიკაციის შესახებ.

ამხ. გიორგი ბაქრაძის მოხსენებას, სამწუხაროდ, ვერ მოვუსწარი, თუმც იგი ჩემთვის ყოველმხრივ საინტერესო იყო. მართალია, არც ამხ. გრიგოლ ჩხაიძის მოხსენებაზე დავსწრებივარ, მაგრამ მისი მოხსენების თემატიკის შესახებ არ შემიძლიან ორიოდე სიტყვა მაინც არ მოგახსენოთ. საქმე ის არის, რომ წიგნადი ფონდის კატალოგიზაციის საკითხი ზოგიერთ ამხანაგის წყალობით დღვმის საკითხად იქცა, იმ დროს როცა იგი პრაქტიკულ გამოყენების კატეგორიაში უნდა ვიგულისხმოთ. დღესდღეობით სისტემატურ კატალოგს ზოგი ამხანაგის მიერ მთავარ კატალოგის როლი აქვს მიკუთვნილი, ხოლო საგნობრივი როგორც მისი დამატება. მოგეხსენებათ, რომ სისტემატური კატალოგი უძველესი სახის კატალოგია. კაცობრიობა იცნობს საკლასიფიკაციო სქემის მრავალ ცდას, მაგრამ წარმოშობისთანავე ყველა უმალვე ძველდებოდა. ისეთი საკლასიფიკაციო სქემის შედგენა, რომელიც გამოსადეგი იქნებოდა ყველა დროისა და საჭიროებისათვის, ჯერჯერობით გადაუწყვეტელ პრობლემად რჩება, ამიტომ ამხ. გრ. ჩხაიძის ცდა ჩვენს პრაქტიკაში საგნობრივ კატალოგის დანერგვისათვის, ფრიად მისასალმებელია.

თუ მომხსენებლის ძირითადი დებულებანი სავსებით მისაღებია, ზოგი დეტალი გადასასინჯავია. ასე, მაგალითად: მომხსენებელი გადაჭრით უარყოფს ინვერსიას. იგი ამბობს: ქართული მუსიკა, ქართული მხატვრობა, ქართული ხელოვნება და ა. შ. ამგვარად კარტოთეკაში სიტყვა „ქართულ“-ზე ისე ბევრი დაგროვდება, რომ გააძნელებს საჭირო მასალის დაძებნას.

ამხ. მიქაბერიძე შეეხო წიგნის პალატის გამოცემების „მატიანეების“ როლს მკითხველთა საცნობო-ბიბლიოგრაფიული მომსახურების საქმეში და აღნიშნა, რომ ყველა ბიბლიოთეკა საჭიროდ ვერ იყენებს აღნიშნულ გამოცემებს თავის მუშაობაში. ბევრ ბიბლიოთეკისათვის ჯერ კიდევ უცნობია „მატიანეების“ დანიშნულება. ბიბკოლექტორი არ აწარმოებს საჭირო მუშაობას საცნობო-ბიბლიოგრაფიული ხასიათის წიგნების პოპულარიზაციის საქმეში.

ამხ. პ. ახალაძე. ამხანაგებო! მე სრულიად არ მინდა დღეს წიგნის პალატა იუბილარის როლში გამოვიყვანო და მარტო მის მიღწევებზე ვილაპარაკო, მაგრამ თუ შევადარებთ წიგნის პალატის წარსულს, მის დღევანდელ მდგომარეობას, უსათუოდ დიდ მიღწევებს დავინახავთ. ამჟამად წიგნის პალატის წინაშე მეტად სერიოზული ამოცანები დგას და ჩვენი დღევანდელი კონფერენციის დანიშნულება არის სწორედ ამ ამოცანების გადაჭრაზე ვილაპარაკოთ და მით კონფერენციას ნამდვილი საქმიანი მსვლელობა მივცეთ.

წიგნის პალატის მუშაობის ერთერთი მთავარი დარგი არის სტამბებიდან ბეჭდვითი ნაწარმოების უფასო სავალდებულო ცალების მიღება და ბიბლიოთე-

კებისათვის დაგზავნა. ამ მხრივ პალატას დიდი პასუხისმგებლობა აქვს დაკისრებული. საქართველოს ბიბლიოთეკების ამომწურავი დაკომპლექტება უფასო საჯალდებულო ცალებით დამოკიდებულია წიგნის პალატაზე. უნდა აღინიშნოს, რომ ამ მხრივ ჯერ კიდევ ხარვეზი აქვს პალატას, მით უმეტეს წარსულ წლებში საქართველოში გამოცემულ ბეჭდვითი ნაწარმოების საჯალდებულო ცალების მიღებაში. ამ საქმეს დროულად უნდა მიექცეს ყურადღება და ყველა ხარვეზი შევსებულ უნდა იქნას წიგნის პალატის მიერ. გარდა ამისა პალატა ადგენს და სცემს ბიბლიოგრაფიულ შრომებს და მას ამ მხრივ სერიოზული ნაბიჯი აქვს გადადგმული. პალატამ ამ დღეებში გამოუშვა ამხ. გ. ბაქრაძის მიერ შედგენილი მეტად მნიშვნელოვანი შრომა—ჩვენი ბელადის ამხანაგ ს ტ ა ლ ი ნ ი ს ბიობიბლიოგრაფია. ამ შრომის გამოცემა მისასალმებელი არის. ეს შრომა უსათუოდ უდიდეს დახმარებას გაუწევს მასებს იმ მეცნიერების დაუფლების საქმეში, რომელიც საჯალდებულოა ყველა დარგში მომუშავე კადრებისათვის, ლაპარაკია მარქსისტულ-ლენინური მოძღვრებაზე. მაგრამ ეს შრომა, როგორც პირველი ცდა, ვერ იქნა უნაკლოდ შესრულებული. როდესაც ასეთ დიდ სერიოზულ შრომას ვკიდებთ ხელს, მაშინ საჭირო არის შრომის შედგენისას სპეციალისტ-კონსულტანტების მოწვევა, მისი ზედმიწევნითი სიზუსტით განხილვა და ამის შემდეგ მისი გამოცემა. ასე, მომავლისათვის—შრომის მეორედ გამოცემისას, საჭიროა ამ საქმეს მიექცეს კიდევ მეტი ყურადღება და ყველა არსებული ნაკლი თავიდან იქნეს აცილებული, რათა ამხანაგი ს ტ ა ლ ი ნ ი ს ბიობიბლიოგრაფია სავსებით სრულყოფილად იქნეს გამოცემული.

გარდა ამისა პალატას მთელი რიგი ბიბლიოგრაფიული მასალების დამუშავება და გამოცემა აქვს განზრახული. დასახული გეგმის შესრულება მის ძალას აღემატება, ამისათვის საჭიროა პალატას დაეხმაროს სხვა მეცნიერული დაწესებულებები-ბიბლიოთეკები. რასაკვირველია, ეს სრულებითაც არ ნიშნავს იმას, რომ პალატამ წაართვას უფლებები რომელიმე ბიბლიოთეკას ამა თუ იმ ბიბლიოგრაფიის შედგენის შესახებ. საჭირო არის, რომ პალატამ იცოდეს, თუ რა ბიბლიოგრაფიულ სამუშაოს აწარმოებს ესა თუ ის ბიბლიოთეკა, რომელ ბიბლიოგრაფიის შედგენაზე მუშაობს ის. ეს კი საშუალებას მოგვცემს თავიდან ავიცილოთ მუშაობაში პარალელიზმი.

მსურს აგრეთვე შევეხო კადრების საკითხს. აქ ილაპარაკეს ამხანაგებმა კადრების შესახებ და აღნიშნეს, რომ ჩვენ ჯერ კიდევ ამ მხრივ არა გვაქვს საქმე სათანადო სიმაღლეზე დაყენებული, ეს მართალია. ზოგიერთ პირების მიერ ადგილი აქვს ბიბლიოთეკის კადრების შეუფასებლობას, ბიბლიოთეკარი უნდა იყოს უსათუოდ განათლებული, პოლიტიკურად მომზადებული, მცოდნე სპეციალისტი, რომელმაც უნდა უპასუხოს ჩვენს გაზრდილ კულტურულ მოთხოვნილებას მკითხველთა მომსახურეობის დარგში. ჩვენ საამისო საშუალებები გვაქვს და ეს უნდა გავაკეთოთ. გვაქვს საბიბლიოთეკო კურსები, საბიბლიოთეკო ფაკულტეტი, გვყავს კვალიფიციური მასწავლებლები და სხვა. მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთი მეცნიერმუშაკი ვერ ეხმარება სათანადოდ ადგილზე გაგზავნილ პრაქტიკანტ ბიბლიოთეკარ-სტუდენტებს. აქ გუშინ გამოსული ამხანაგი — საჯარო ბიბლიოთეკის მეცნიერი მუშაკი ამხ. ლ. ეგორაშვილი გულის-

ტკივილით აღნიშნავდა ზოგიერთ პრაქტიკანტ-სტუდენტის მოუმზადებლობას და სისუსტეს საბიბლიოთეკო დარგში. ეს შეიძლება ზოგიერთ შემთხვევაში მართალი იყოს, მაგრამ ამისთვის წუწუნი და რწმენის დაკარგვა სრულიად არ არის საჭირო. საჭიროა მხოლოდ უფრო მეტი პასუხისმგებლობა ვაგრძნობინოთ, როგორც სტუდენტობას, ისე მასწავლებლებს. უფრო მეტად უნდა დაეხმაროს სტუდენტებს მასწავლებლები. ეს საქმე არა მარტო სასურველია, არამედ სავალდებულოცაა, როგორც სტუდენტთათვის ისე მასწავლებელთათვის.

ამხ. ფ თ ა ძ ე მ აღნიშნა, რომ რაიონულ ბიბლიოთეკებს დიდი დახმარების გაწევა შეუძლია საქართველოს სახელმწიფო წიგნის პალატისათვის რაიონებიდან მეტდვითი ნაწარმოების სავალდებულო ცალების უკლებლად და დროულად გზავნის საქმეში. აღნიშნა აგრეთვე, რომ რაიონის ბიბლიოთეკის ზოგიერთ მუშაკები ვერ არიან დაუფლებული ბიბლიოგრაფიულ საქმეს და საჭიროა ამ საქმის შესახებ იზრუნოს განათლების სახალხო კომისარიატმა.

ამხ. დ. ქ ა რ ო ს ა ნ ი ძ ე მ შეეხო რა საქართველოს წიგნის პალატისათვის სტამბების მიერ მეტდვითი ნაწარმოების სავალდებულო ცალების გზავნის საკითხს, დაასახელა რიგი სტამბები, რომლებიც უპასუხისმგებლობას იჩენენ ამ საქმეში. აღნიშნა აგრეთვე, რომ სარაიონო ბიბლიოთეკები ღებულობენ რა მთავრობის ახალი დადგენილებით მის რაიონში გამოცემულ მეტდვითი ნაწარმოების სავალდებულო ცალებს, დახმარება უნდა გაუწიონ წიგნის პალატას სტამბებზე კონტროლის წარმოებით სავალდებულო ცალების უკლებლად და თავის დროზე გზავნის საქმეში.

ამხ. ნ. ჭ ე ლ ი ძ ე. ამხანაგებო! პირველი ბიბლიოგრაფიული კონფერენციის მოწვევა მნიშვნელოვანი მოვლენა არის ბიბლიოგრაფიულ მუშაობის განვითარების საქმეში.

წიგნის პალატის დირექტორის ამხ. ვ. გოგოლაძის მოხსენება უეჭველად საინტერესო და საქმიანი იყო. წარმოდგენილი გეგმა დიდ მუშაობას მოითხოვს პალატისაგან. ვფიქრობთ, რომ პალატა შესძლებს მის განხორციელებას, რადგან უკანასკნელ წლებში პალატამ საგრძნობი მუშაობა ჩაატარა და საკმაო გამოცდილება აქვს დღეს მას. საკმარისია, რომ მარტო ქართული წიგნის რეპერტუარის გამოცემა დავასახელოთ, რომელსაც უაღრესი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა აქვს მომავლისათვის.

წიგნის პალატას სავალდებულო ცალების მიღების საქმე ჯერ კიდევ არა აქვს სათანადო სიმაღლეზე დაყენებული. საჯარო ბიბლიოთეკა არ ღებულობს გაზეთების სრულ კომპლექტებს, განსაკუთრებით რაიონის გაზეთებისას. საჭიროა ამ მიმართულებით პალატამ გამოიყენოს მთავრობის დადგენილება და პასუხისგებაში მისცეს ის ვინც არ ასრულებს ამ დადგენილებას.

კამათში გამოსული ამხანაგები მოითხოვენ, რომ პალატამ თავი უნდა მოუყაროს საქართველოში ყველა დაბეჭდილ წიგნებს, ჟურნალ-გაზეთებს. რასაკვირველია, პალატა უნდა ინახავდეს საქართველოში გამოცემულ მეტდვითი ნაწარმოების ყველა სავალდებულო ცალებს. ასევე ვალდებულია სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკა და ზოგი მსხვილი სამეცნიერო ბიბლიოთეკა, რათა უკეთესად მოემსახუროს მკითხველთა მასას.

შემდეგი საკითხი ეს გახლავთ საცნობო ბიბლიოგრაფიული მუშაობის საქმის დაყენება ჩვენს ბიბლიოთეკებში. საჭირო არის განათლების სახალხო კომისარიატმა მეტი ყურადღება მიაქციოს ამ საქმეს. საბიბლიოთეკო კურსების სასწავლო გეგმაში მეტი ადგილი უნდა დაუთმოს საცნობო ბიბლიოგრაფიულ მუშაობას. ბიბლიოთეკარი ისეთი მომზადებული უნდა იყოს, რომ მას შეეძლოს, როგორც საცნობო ხასიათისა, ისე ბიბლიოგრაფიული მუშაობის შესრულებაც. საჭიროა აგრეთვე მომავლისათვის ბიბლიოთეკების მიერ გაცემული წერილობითი ცნობები თავს იყრიდეს ერთ რომელიმე სამეცნიერო ბიბლიოთეკაში, ეს იქნება საჯარო ბიბლიოთეკაში თუ პალატაში. მეტი ყურადღება უნდა მიექცეს ბიბლიოგრაფიულ ცნობების სიზუსტეს. საჭიროა ბიბლიოგრაფიაზე იწერებოდეს ბიბლიოგრაფია.

გეგმიან ბიბლიოგრაფიის სწორედ წარმოებისათვის საჭიროა განათლების სახალხო კომისარიატმა ბიბლიოგრაფიული სამუშაოები გაანაწილოს სამეცნიერო დაწესებულებს შორის. წიგნის პალატა წელიწადში ორჯერ მაინც უნდა უშვებდეს საინფორმაციო ცნობებს, თუ რა ბიბლიოგრაფიულ სამუშაოებს ასრულებს საქართველოში ესა თუ ის სამეცნიერო დაწესებულება.

სასურველია აგრეთვე განათლების სახალხო კომისარიატმა შეიმუშაოს ცალკეულ ტიპის ბიბლიოთეკებისათვის კატალოგის ცალკეული სახე, როგორც სავალდებულო. საჭიროა შესდგეს ცალკეულ კატალოგების სახეების დამუშავებისა და მოხმარების ინსტრუქციები.

ამხ. გ. გიორგიძე. ჩვენ კონფერენციაზე ბევრი რამ ითქვა ბიბლიოგრაფიული მუშაობის შესახებ, ჩვენი წიგნის პალატის მუშაობის შესახებ, და აღარ შევეხები ამ საკითხს. დავიწყებ იქიდან, რამაც ჩვენი ყურადღება მიიქცია, რომ წიგნის პალატას და მის გამოცემებს მასები კარგად არ იცნობენ და მისი გამოცემები საკმაო სისწრაფით ვერ ვრცელდება. აქ შეიძლება ბრალი დაედოს წიგნის პალატას, შეიძლება კოლექტორიც იყოს დამნაშავე, მაგრამ მთავარი მიზეზი ამაში არ არის. როდესაც ჩვენ მატიანეს ვეზავნით ბიბლიოთეკაში—მოსახლეობას არ ვასწავლით, როგორ გამოიყენოს ეს მატიანეები. თქვენ მოგეხსენებათ საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის 1938 წლის 14 ნოემბრის დადგენილება, რომლითაც საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის შესწავლის ძირითად მეთოდად აღიარებულია ბეჭდვითი ნაწარმოებებზე დამოუკიდებელი მუშაობა და ბიბლიოთეკები და ყველა ის დაწესებულებები, რომლებიც აწარმოებენ პოლიტიკურ-საგანმანათლებლო მუშაობას, ეხმარებიან მოსახლეობას წიგნზე დამოუკიდებელ მუშაობაში. მე მგონია, ამ დახმარების ერთერთი მთავარი ფორმა არის ის, რომ მოსახლეობას შევასწავლოთ ბიბლიოგრაფიული მინიმუმი. ვასწავლოთ როგორ მონახოს წიგნი, როგორ გამოიყენოს ბიბლიოგრაფიული წყარო, როგორ გამოიყენოს მატიანეები. სამწუხაროდ ამას ჩვენ არ ვაწარმოებთ და კარგი იქნებოდა, რომ ჩვენი კონფერენციის პროგრამაში ასეთი თემაზედაც ყოფილიყო მოხსენება. ყოველ შემთხვევაში, დღეს თუ ეს გამოგვრჩა—ჩვენთვის ეს გადაუდებელ ამოცანად უნდა დაისვას და ყველა ბიბლიოთეკამ, დაწესებულებამ, რომელიც ამ დარგში მუშაობს—ეს ამოცანა აუცილებლივ უნდა განახორციელოს. ჩვენს მოსახლეობას უნდა ვასწავლოთ ბიბლიოგრაფიული მასალით სარგებლობა ისე, როგორც ვასწავლით წერაკითხვას,

ვასწავლით ანბანს. რასაკვირველია, აქ უპირველესად ყოველისა, უნდა მიექცეს ყურადღება თვით იმ ადამიანების მომზადებას, რომელთაც უნდა ეს მუშაობა აწარმოონ მასაში, ე. ი. ჩვენ უნდა მივცეთ ბიბლიოგრაფიული მინიმუმი ბიბლიოთეკის მუშაკებს. ჩვენი კადრები, ამ მხრივ, ჯერ კიდევ მოისუსტებენ.

უნდა აღინიშნოს, რომ აქამდე ჩვენთვის გადაუდებელი ამოცანა იყო წიგნობრივი ფონდების დამუშავება და კატალოგების შედგენა. როდესაც ამ რამდენიმე წლის წინათ ჩვენ ჩავდიოდით რაიონებში, პირველი, რასაც ხშირად შევეჩეხებოდით—ეს იყო ის, რომ თვით ბიბლიოთეკარმა არ იცოდა რა არის კატალოგი. ცხადია, რომ ასეთ პირობებში ბიბლიოგრაფიული მუშაობის წარმოება შეუძლებელი იყო; ახლა კი დროა მთელი ყურადღება იქითკენ იქნეს მიმართული, რომ ბიბლიოგრაფიული მუშაობა თავის სიმაღლეზე დავაყენოთ, ამიტომ არის საჭირო ბიბლიოგრაფიული მუშაობისათვის კადრების მომზადება. ამ მუშაობას სხვებთან ერთად აწარმოებს ბიბლიოთეკური ფაკულტეტიც. იგი მიზნად ისახავს სტუდენტებს მისცეს საჭირო მომზადება, რომ მათ შეეძლოთ თავის მუშაობაში ფართო ადგილი დაუთმონ ბიბლიოგრაფიულ მომსახურეობას. მე მგონია, იმ ამხანაგის გამოსვლა, რომელმაც ჩემზე წინ ილაპარაკა, არ იყო მართებული, კერძოთ, როდესაც განაცხადა, რომ სტუდენტები მოდიან ჩვენთან და ბიბლიოგრაფიულ მუშაობას არ იცნობენო. მე მგონია აქ რაღაც გაუგებრობას აქვს ადგილი; თეორეტიკული მომზადება თავის დღეში ვერ შეცვლის პრაქტიკულ მომზადებას და ვარჯიშს. როდესაც ჩვენ სტუდენტებს ვგზავნით ბიბლიოთეკებში პრაქტიკაზე, იქ მათ უნდა დაეხმარონ და გააცნონ თავისი მუშაობის შინაარსი და ტექნიკა. როგორ შეიძლება სტუდენტს მოსთხოვო იმის ცოდნა, რაც შენ თვითონ უნდა ასწავლო. სამწუხაროდ, ეს ყველას არა აქვს შეგნებული და დახმარებას ვერ გეიწევენ ახალი კადრების მომზადებაში.

ამხ. ს. ხუციშვილი. -ამხანაგებო! პირველი ბიბლიოგრაფიული კონფერენციის წინაშე მე წარვსდგები არა როგორც სპეციალისტი, არამედ როგორც რიგითი მუშაკი, რომელიც ცოტად თუ ბევრად დაახლოებულია საქართველოს წიგნის პალატის მუშაობასთან, რომელიც დაინტერესებულია მისი მომავლით, დაინტერესებულია იმ გეგმით, რომელიც დასახული აქვს პალატას 1941 და შემდეგი წლებისათვის. ჩვენ ამ კონფერენციაზე მოვისმინეთ რამდენიმე სერიოზული მოხსენება წიგნის პალატის მესვეურთა და წიგნზე მომუშავე ამხანაგებისა და ვფიქრობ, რომ ძირითადად გარკვეულია ყველა ის საკითხი, რომელიც ამხანაგებს აინტერესებდათ. მე მინდა ორიოდე სიტყვით წიგნის პალატის განვლილ მუშაობაზე შევჩერდე და იმ გეგმასაც შევეხო, რომელიც ამხ. გოგოლაძის მოხსენებით მოვისმინეთ.

ბიბლიოგრაფიის ისტორია ახალი საუკუნეების ამბავი არ არის. მას მრავალსაუკუნოვანი წარსული აქვს აუცილებლად, მასაც გაუვლია თავისებური პერიოდები განვითარებისა. ძველად, საქართველოშიც სწარმოებდა თავისებური ბიბლიოგრაფიული მუშაობა, კულტურულ ცენტრებში ჩვენში თუ საქართველოს გარეთ და ეს მუშაობა გამოიხატებოდა სხვადასხვა მრავალ ხელნაწერთა აღნუსხვაში და სიების შედგენაში, სადაც ნაშრომთა დასახელების გარდა, მითითებული იყო შინაარსი ამათუიმ შრომისა და ხელნაწერისა. ჩვენი ძველი ფილო-

ლოგები და მკვლევარ-მეცნიერნი სარგებლობდნენ ამ მეტად საინტერესო თავისებური ბიბლიოგრაფიული ნაშრომებით და ნაკლულ ადგილებს დროთა განმავლობაში ავსებდნენ ან და ახალს უმატებდნენ ხოლმე.

ამ მხრივ აღსანიშნავია საინტერესო ბიბლიოგრაფიული ნაშრომი, შედგენილი პროფ. იოსებ ყიფშიძის მიერ, ნაშრომი რომლის შედგენა-დამუშავებაში მონაწილეობას იღებდა განსვენებული ივანე ჯავახიშვილი. ბიბლიოგრაფიულ ნაშრომთა ხასიათი ჰქონდა აგრეთვე იმ სიებს, რომელიც წლის დასასრულს დაერთოდა ხოლმე ქართულ ჟურნალ-გაზეთებს მათში დაბეჭდილ თხზულებებსა და ავტორების აღნიშვნით და მითითებით... მაგრამ ყველაფერი ის, რაც ძველად გაკეთებულა, მეტად მცირეა და მხოლოდ ისტორიულ განვითარების საფეხურად თუ გამოდგება.

ვ. ი. ლენინის დეკრეტი, რომელიც ამ ოცი წლის წინათ იყო გამოცემული, დიდი მნიშვნელობის მქონეა წიგნის საქმეში. მის დამუშავებაში და წიგნის მასების საკუთრებად გადაქცევისათვის დიდი როლი ითამაშა მან. ბიბლიოგრაფიის საქმე ლენინის დეკრეტმა წამართა იმ გზით, რომელსაც წიგნის შინაარსი ხალხის მოთხოვნილებასთან მიჰყავს. ქართულ ბეჭდვით წიგნს, რომელსაც სამასზე მეტი წლის ისტორია აქვს, სერიოზული დამუშავება ესაჭიროება. წიგნის ისტორიის აღწერა ჩვენი დროის ამბავი არის და სწორედ ამ საქმეს ემსახურება საქართველოს სახელმწიფო წიგნის პალატა, რომელიც 1924 წლიდან არსებობს. პალატამ, მას შემდეგ რაც იგი დაწესებულებად ჩამოყალიბდა, საკმარისი მუშაობა ჩაატარა. თუნდაც ის ამბავი, რომ იქ გაკეთდა ისეთი საშვილიშვილო საქმე, როგორიც არის ქართული წიგნის ბიბლიოგრაფიის შედგენა-გამოცემა, ისეთი წიგნისა, რომელშიც მოცემულია ქართული ბეჭდვითი სიტყვის, ქართული წიგნის ისტორია, წიგნისა, რომელშიც აღნუსხული იქნება განვითარება ქართული კულტურისა—ძლიერ ბევრის მთქმელია. წიგნის პალატას თავისი არსებობის მანძილზე სხვა რომ არა გაეკეთებინა რა ამის მეტი, მაინც თამამად შევიდოდა ქართული კულტურის ისტორიაში. მაგრამ წიგნის პალატა მხოლოდ ამით არ კმაყოფილდებოდა, გარდა ყოველდღიური აუცილებელი სამუშაოსი, მას შედგენილი და დაბეჭდილი აქვს ამხანაგ სტალინის ბიობიბლიოგრაფია. ამ წიგნის დამუშავება მეტად დროული და კარგია. წიგნში თავმოყრილი მასალა თვით ლაპარაკობს ამის შესახებ.

საქართველოს წიგნის პალატა სხვა მნიშვნელოვან საქმიანობასაც აწარმოებს, რომელთა შესახებ ამბ. გოგოლაძემ ილაპარაკა და, რომელსაც მე აღარ ჩამოვთვლი, ეს ყველაფერი თქვენთვის ცნობილია, მაგრამ არ შემიძლია ხაზი არ გავუსვა ერთ დიდ წამოწყებასაც, რომლის საფუძველი დიდი ხანია არსებობს და, რომელსაც წიგნის პალატის საშუალებით სულ მალე მივიღებთ. ეს არის ქართველ მოღვაწეთა ბიბლიოგრაფიული ლექსიკონი. ეს იქნება მეტად მნიშვნელოვანი, დიდი და საინტერესო წიგნი, აღმნუსხველი სხვადასხვა დარგის ქართველ მოღვაწეთა ცხოვრებისა და შემოქმედებისა. ეს იქნება თანასწორფასოვანი იმ წიგნებისა, რომელიც რუსულად შედგენილია ვენგეროვისა და სხვათა მიერ, ოღონდ უფრო ფართო და უფრო მდიდარ-მრავალფეროვანი. ვიმედოვნებ და ვფიქრობ, რომ წიგნის პალატა ამ შესანიშნავ წიგნსაც დაასრუ-

ლებს და როგორც სულ მალე ქართული წიგნის ბიბლიოგრაფიას მივიღებთ, ისე მალე ქართველ მოღვაწეთა ლექსიკონსაც ხელს შევავლებთ.

მიუხედავად იმ დროისა, რაც წიგნის პალატა არსებობს და სხვათა შორის სრულფასოვან დაწესებულებად ითვლება, მაინც თითქმის მისი მუშაობა არა ჩანს. წიგნის პალატის მუშაობას მხოლოდ მისი მონათესავე დაწესებულებები იცნობენ. წიგნის პალატა თავისი არსებობის, ჩატარებული მუშაობის, გეგმის დამუშავებისა და შესრულების შესახებ არასოდეს არსად არ ლაპარაკობს. ის კი აუცილებლად უნდა ამეტყველდეს და ილაპარაკოს სამუშაოზე, რომელსაც ასრულებს, ილაპარაკოს გეგმაზე და სხვა.

სრულიად გარკვეულია, რომ წიგნის პალატის მუშაობას მეცნიერული ხასიათი აქვს. უნდა მოგახსენოთ, რომ წიგნის პალატა მეცნიერული დაწესებულება არის, რადგან ყოველდღიურ სამუშაოსთან პარალელურად მასში სწარმოებს მეცნიერული სამუშაოები. ბიბლიოგრაფიის რიგიანი დამუშავება მეცნიერების ერთი დარგთაგანია და ნურავინ ნუ იფიქრებს, რომ იგი მეტად იოლი იყოს. სწორედ ეს არსებობა ჰქმნის ერთ დიდ აუცილებლობას, სახელდობრ მას, რომ წიგნის პალატის მუშაობა უნდა აწყობილი იყოს საათის მექანიზმივით. მაგრამ განა მას შეუძლია სხვის დაუხმარებლად შეასრულოს ეს მეტად დიდი სამუშაო? საქართველოს რაიონებში გაფანტულია ბიბლიოთეკები. თითოეულ სოფელს ჭოხ-სამკითხველო მოეპოვება, თითოეული რაიონის ცენტრში სტამბა არსებობს და ბეჭდვითი პროდუქცია გამოდის. აი ეს ქსელი უნდა დაეხმაროს წიგნის პალატას. წიგნის პალატაც მუდმივ ურთიერთობაში უნდა იყოს მათთან, იგი არ უნდა მოწყდეს მათ. დეფექტების გამოსწორებაში და მათი სრულიად აღკვეთის საქმეში წიგნის პალატას საგამომცემლო ორგანიზაციები და სტამბებიც უნდა დაეხმარონ.

წიგნის პალატას კარჩაკეტილობა არ უნდა ახასიათებდეს, მან თავისი პროდუქცია უნდა უჩვენოს მასას, დაუმტკიცოს სახელმწიფოს, რომ ის ერთ-ერთი რიგითი სიმპატიური დაწესებულებაა, რომელიც სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საქმეს განსაკუთრებით წესიერად და რიგიანად ასრულებს. ჩვენს პრესაში იშვიათად ჩნდება წერილები ამ დაწესებულების მუშაობის შესახებ. რამდენიმე ხნის წინ იყო დაბეჭდილი მცირე ცნობები წიგნის პალატის გამოცემებზე, ამ ბოლო ხანებში კი ინფორმაცია საქართველოს პირველი რესპუბლიკური ბიბლიოგრაფიული კონფერენციის მოწვევისა და მასში წიგნის პალატის როლის შესახებ. ამის გარდა მე არ შემხვედრია პრესაში, რომ წიგნის პალატას თავისი ნამუშევარი გამოემხეურებინოს. წიგნის პალატას აქვს თავისი ორგანო „ბიბლიოგრაფიის მოამბე", რომელიც 1940 წელს პირველი ნომრით გამოვიდა, ხოლო შემდეგი ნომრების გამოშვებას შემდეგ წლისათვის აპირებს. ამ ჟურნალში უნდა დაისვას აქტუალური საკითხები, მისი საშუალებით უნდა გაიტანოს პალატამ თავისი ხმა მასაში. ეს აუცილებელია.

ამხ. ნ. ლორთქიფანიძე. ჩვენ უკვე საკმაოდ გავეცანით წიგნის პალატის მიღწევებს. ეს მიღწევები ყველასათვის ნათელია. ამ წარმატებებზე მე არ ვილაპარაკებ, მხოლოდ მინდა რამდენიმე სიტყვა ვსთქვა იმ ამოცანების შესახებ, რომელიც დასმულია წიგნის პალატის წინაშე.

მოგეხსენებათ, რომ წიგნის პალატის ძირითად ამოცანას შეადგენს გამოსულ ლიტერატურის დოკუმენტაცია, ანუ რეგისტრაცია, ის რასაც ჩვენ დოკუმენტალურ ანუ რეგისტრაციულ ბიბლიოგრაფიას ვუწოდებთ.

ეს საკითხი ჩვენ წიგნის პალატას კარგად აქვს დაყენებული. სისტემატურად გამოდის წიგნის მატიანე, საგაზეთო სტატიების მატიანე, ჟურნალის სტატიების მატიანე.

ეს მატიანეები ცხადია, ფრიად საჭირო და აუცილებელი რამ არის ყველა კულტურულ ადამიანისათვის და მით უფრო ბიბლიოთეკებისათვის, მათ გავრცელებას თითოეულმა ჩვენგანმა უნდა შეუწყოს ხელი. მაგრამ როგორც ერთერთმა ამხანაგმა სამართლიანად შენიშნა, მატიანეებით სარგებლობას აძნელებს ის გარემოება, რომ მასალა შიგ მეტის-მეტი დეტალობით არის კლასიფიცირებული. თითოეული რუბრიკის ქვევით, უმეტეს შემთხვევაში, მოცემულია ერთი ან ორი სახელწოდება. ფაქტიურად გამოდის მასალათა არა კლასიფიკაცია, არამედ ინდივიდუალიზაცია. საჭიროა წიგნის პალატამ განაზოგადოს თავის კლასიფიკაცია, რუბრიკები და მატიანეებში მასალა ნაკლები დეტალებით დაჰყოს, რაც გაადვილებს წიგნის მატიანეთი სარგებლობას. ამას გარდა წიგნის მატიანე საინფორმაციო გამოცემაა. საცნობო-საბიბლიოგრაფიო მუშაობის დროს მით სარგებლობა ძნელია, რადგან ძნელია ცნობის გაცემისას მატიანეების ყველა ნომრების ფურცლება. ამიტომ დროა დაისვას ქართული წიგნის წელიწადეულის გამოცემის საკითხი. საჭიროა აგრეთვე დავაყენოთ და შევისწავლოთ ქართული წიგნის კუმულატიური ინდექსის გამოცემის საკითხიც.

გეგმიური ბიბლიოგრაფიის დარგში ბევრი რამ არის გაკეთებული წიგნის პალატის მიერ. ქართული წიგნის რეპერტუარი უდიდესი კულტურული მოვლენა არის. გარდა ამისა, დიდი მოვლენაა სტალინის ბიობიბლიოგრაფიის გამოცემა.

საგანგებო სამართლიანი შენიშვნა იყო აქ გაკეთებული აზერბაიჯანის წიგნის პალატის წარმომადგენლის მიერ ბარათული მატიანეს გამოცემის შესახებ: თვეში ერთხელ ბარათული მატიანეს გამოცემა ყოვლად დაუშვებელია და მიზანშეუწონელი. ბიბლიოთეკა ერთი თვით ვერ დააგვიანებს ახლად მიღებულ წიგნის მკითხველებისადმი მიწოდებას. კატალოგებში ბარათები წიგნების მიღებისთანავე უნდა იყოს ჩართული. ამიტომ ჩვენი თხოვნა იქნებოდა მოგვაწოდოთ დაბეჭდილი ბარათები კვირაში ერთხელ მაინც.

დიდი საკითხი დააყენა თავის მოხსენებაში ამხ. გოგოლაძემ—საკითხი ქართული წიგნის არქივის შესახებ. ქართული წიგნის დაცვა და შენახვა მომავალ თაობათათვის—ეს უდიდესი საქმეა. საქართველოში არ სწარმოებს ჯეროვანი მუშაობა წიგნის დაცვაზე და ჰიგიენაზე. თბილისში, მაგალითად, შეუძლებელია წიგნების დეზინფექციისა და დეზინსექციის ჩატარება. არ მოგვეპოება ვაკუუმკამერები, არც უბრალო სადეზინფექციო კამერები (თუ არ ჩავთვლით საჯარო ბიბლიოთეკის პატარა კამერას). საჭიროა თბილისის ბიბლიოთეკებისათვის მოეწყოს თუნდაც ერთი ვაკუუმკამერა. საჭიროა აგრეთვე, მოეწყოს წიგნის რესტავრაციისა და კონსერვაციის ლაბორატორია. ერთ დაწესებულებას ამის მოწყობა გაუძნელდება. ამიტომ საჭიროა ამ საქმეში მთელ რიგ

დაწესებულებათა კოოპერირება, თანამშრომლობა. საქ. სახ. საჯარო ბიბლიოთეკამ, წიგნის პალატამ, საქართველოს მუზეუმმა, უნივერსიტეტის ბიბლიოთეკამ, იმელის ფილიალმა, აკადემიის ფილიალმა და ცენტრო-არქივმა საერთო ძალით უნდა მოჰკიდონ ამ საქმეს ხელი.

გადავდივარ ამხ. მარკევიჩის მოხსენებაზე. ამ მოხსენებაში ძალიან საინტერესო საკითხებია დაყენებული. ამხ. მარკევიჩი იწყებს იქიდან, საიდანაც უნდა დაიწყოს მუშაობა ყველა ახლად ჩამოყალიბებულმა მეცნიერებამ. ეს გახლავთ ტერმინოლოგიის საკითხი.

ამხ. მარკევიჩს თავის მოხსენებაში არ აქვს გამოყოფილი საბიბლიოგრაფიო კონსულტაცია. ამხ. მარკევიჩი ამბობს, რომ კონსულტაცია შეიძლება იყოს მხოლოდ არსებითი საკითხზე ან საგანზე, საბიბლიოგრაფიო ხასიათის კი შეიძლება იყოს ცნობა ან ინფორმაცია. ვფიქრობ, რომ ამხ. მარკევიჩი აქ ცდება. ეს, რა თქმა უნდა, არ არის მხოლოდ ტერმინოლოგიის საკითხი, ეს არსებითი საკითხია. ამონემენტზე, სამკითხველო დარბაზში, საბიბლიოგრაფიო განყოფილებაში უნდა წარმოებდეს სწორად კონსულტაცია წიგნის შესახებ, ლიტერატურის შესახებ, არა მხოლოდ ცნობის ან ინფორმაციის მიწოდება და, თუ გნებავთ, არა მხოლოდ რეკომენდაცია, არამედ სწორად კონსულტაცია, გაშლილი საუბარი და რჩევა ლიტერატურის შესახებ.

სამწუხაროდ, მე არ მქონდა საშუალება მომესმინა ამხ. გ. ბაქრაძის მოხსენება, გავეცანი მხოლოდ მის თეზისებს. მოხსენება შეეხებოდა გეგმიურ ბიბლიოგრაფიის საკითხებს. აქ ერთ რამეს უნდა გავუსვა ხაზი: განსაკუთრებით უკანასკნელად, და წინათაც, ჩვენ ბევრს ვლაპარაკობდით კოორდინაციის შესახებ, მაგრამ კოორდინაციის მხრივ არავითარი ნაბიჯი არ არის გადადგმული. მხოლოდ სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკამ გადადგა ამ მხრივ ერთი ნაბიჯი. ჩვენი საბიბლიოგრაფიო მუშაობის პირველი ამოცანა—ეს არის ქართული პერიოდული გამოცემათა ანალიტიკური ბიბლიოგრაფია. საქ. სახ. საჯარო ბიბლიოთეკა დიდი ხანია შეუდგა ქართული ჟურნალების ანალიტიკურ ბიბლიოგრაფიას. პირველი ტომი გამოსულია. მეორე ტომი იბეჭდება და გამოვა საბჭოთა საქართველოს 20 წლისთავზე.

სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკა თუმცა დიდი დაწესებულებაა, მაგრამ მხოლოდ მას არ ძალუძს ამ დიდი საქმის დაძლევა. საჭიროა სხვა დაწესებულებებიც ჩაებან ამ მუშაობაში. ნუ დაგვავიწყდება, რომ სტატიობრივად აღსაწერია გაზეთებიც. ეს გაცილებით უფრო ძნელი საქმეა, ვიდრე ჟურნალების აღწერა.

ნება მიბოძეთ მოკლედ შევეხო ამხ. გრიგოლ ჩხაიძის მოხსენებას. საგნობრივი კატალოგის საკითხი მუდამ დიდ დავას იწვევდა ხოლმე. უკანასკნელად თითქოს უდიდესი ნაწილი სადაო საკითხებისა როგორღაც გადაწყდა და დაეაც მიწყნარდა. მოკამათეთა უმრავლესობა ბოლოს შეთანხმდა, რომ საგნობრივ კატალოგს თავისი ამოცანები აქვს და სისტემატურს თავისი. მიუხედავად ამისა, დღესაც, ვინც საგნობრივ კატალოგის დასაცავად იტყვის რასმეს, უსათუოდ კიცხავს სისტემატურ კატალოგს და პირიქით, ვინც სისტემატურ კატალოგის

დადებითობაზე ლაპარაკს დაიწყებს ის საგნობრივ კატალოგს შეუტევს. მე აქ მინდა დავაყენო პატარა, მაგრამ, ვფიქრობ, დიდი მნიშვნელოვანი პრაქტიკული საკითხი, რომლის ირგვლივ დავა და კამათი ჯერ არ წარმოებულა. ეს გახლავთ ნაწილობრივი მითითებების საკითხი. საგნობრივი კატალოგის თეორეტიკოსები დიდ მნიშვნელობას აძლევენ ნაწილობრივ მითითებებს საგნობრივ კატალოგში და გვირჩევენ ამ მითითებების ფართოდ გამოყენებას. მხოლოდ ბიშოპი გაკვრით შენიშნავდა, რომ საგნობრივ კატალოგში რაც უფრო იქნება გამოყენებული ნაწილობრივი მითითებები, მით უფრო უკეთესიაო. საქ. სახ. საჯარო ბიბლიოთეკაში, დაკვირვების შედეგად, ჩვენ მივედით იმ დასკვნამდე, რომ მკითხველები ნაწილობრივ მითითებებით, უმეტეს შემთხვევაში, არ სარგებლობენ, პირიქით ეს მითითებები მათ ხელს უშლის. როგორ უნდა იქნეს შემცირებული მითითებათა რიცხვი? ნაწილობრივი მითითებები უნდა გაკეთდეს მოსაზღვრე ცნებათა შორის, ეგრედწოდებული ურთიერთ მითითებანი, ხოლო ზოგად ცნებებიდან კერძოთ ცნებებისაკენ მითითებათა გაკეთება ისევე ზედმეტია, როგორც კერძოობიდან ზოგადისაკენ. მითითებათა მომხრენი მითითებებს სისტემატიზაციის მნიშვნელობას აძლევენ. მართლაც, მხოლოდ მითითებების მეოხებით ლოღიკურ კავშირში მყოფი რუბრიკები უკავშირდებიან ერთმანეთს. მაგრამ რუბრიკთა შორის ლოღიკური კავშირის დამყარება არ შეადგენს საგნობრივ კატალოგის ამოცანას. თუ მკითხველს სურს რომელიმე საგნის ლიტერატურა განიხილოს სხვა საკითხებთან ერთად, განიხილოს ამა თუ იმ დარგის ლიტერატურა მთლიანად, მაშინ ის მიმართავს სისტემატურ კატალოგს. დიდი შეცდომა იმაში მდგომარეობს, რომ საგნობრივ კატალოგს სისტემატური კატალოგის ამოცანებს აკისრებენ და სისტემატურ კატალოგს--საგნობრივისას.

ი. ჩხაიძე

# საქართველოს ჟურნალ-გაზეთები 1939 წელს

(ზოგადი სტატისტიკური ანალიზი)

ჩვენი ქვეყნის კულტურულ აღმავლობის ერთერთ ფაქტორს ბეჭდვითი სიტყვის განვითარება წარმოადგენს, განსაკუთრებით კი ბეჭდვითი ნაწარმოების ტირაჟისა და ნაბეჭდ ფორმათა ზრდა.

თუ ამ თვალსაზრისით განვიხილავთ საქართველოს 1939 წლის ჟურნალ-გაზეთების პროდუქციას, დავინახავთ, რომ ტირაჟისა და ნაბეჭდ ფორმათა რაოდენობის მიხედვით ის ძალზე გაიზარდა.

ცხრილი № 1

| №№ რიგზე | წლების მიხედვით | 1921 | 1929 | 1934 | 1939 | %-ში 1939 წელი 1921 წელთან | %-ში 1939 წელი 1929 წელთან | %-ში 1939 წელი 1934 წელთან |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | სახელწოდება . . . . . | 47 | 68 | 48 | 47 | 100 | 69,1 | 97,9 |
| 2 | ტირაჟი (ათასებში) . . . | 241,2 | 1430,4 | 1322,4 | 1697,3 | 703,7 | 118,7 | 128,3 |
| 3 | ნაბეჭდ ფურცელთა რაოდენობა გამოცემათა მთელ ტირაჟში (ათასებში) . . . . . | 824,3 | 4495,8 | 4605,8 | 6141,7 | 745,1 | 136,6 | 133,4 |

1939 წელს 1921 წელთან შედარებით ჟურნალების ტირაჟი 7 ჯერ გაიზარდა, ხოლო ნაბეჭდ ფურცელთა რაოდენობის მხრივ გამოცემათა მთელ ტირაჟში 7,4 ჯერ. 1921 წელს გამოსულ ჟურნალების ტირაჟისა და ნაბეჭდ ფურცელთა რაოდენობას თუ 100 პროცენტად ვიანგარიშებთ, მაშინ 1939 წელს ტირაჟის ზრდა 603,7%-ს აღემატება, ხოლო დაბეჭდილ ფურცელთა რაოდენობის ზრდა გამოცემათა მთელ ტირაჟში 645,1 პროცენტს შეადგენს. (ცხრილი № 1).

მეტად საინტერესო მასალებს იძლევა ქვემომოყვანილი ცხრილი № 2 (გვ. 117).

ამ ცხრილიდან შემდეგი დასკვნა გამომდინარეობს:

ჟურნალების პროდუქციის საერთო ზრდასთან ერთად მცირდება მათი პერიოდულობა. მაგ. ყოველთვიურად გამოდის ჟურნალების საერთო რაოდენობის 55,3 პროცენტი, ორკვირეულად 12,7 პროცენტი. მართალია, რაოდენობის მიხედვით სჭარბობს ყოველთვიური ჟურნალების რიცხვი, მაგრამ ტირაჟის მიხედვით ყველაზე მეტი ხვედრითი წონა საერთო ჯამში ორკვირეულ ჟურნალებს

უჭირავს. ორკვირეული ჟურნალების საერთო წლიური ტირაჟი ყველა ჟურნალის საერთო ტირაჟის თითქმის ერთ მესამედს უდრის. თუ ყოველთვიური ჟურნალის თითოეული სახელწოდების წლიური ტირაჟი საშუალოდ 39.269 ერთეულს უდრის, ორკვირეული ჟურნალისა კი უდრის 97.900 ერთეულს.

ცხრილი № 2

ჟურნალის პროდუქციის დანაწილება პერიოდულობის მიხედვით

| №№ რიგზე | პერიოდულობა | დაბეჭდილ ჟურნალთა ერთეულების რაოდენობა | ნომერთა რაოდენობა | დაბეჭდილ ფურცელთა რაოდენობა ყველა გამოცემათა ერთ კომპლექტში | ტირაჟი (ათასებში) | დაბეჭდილ ფურცელთა რაოდენობა გამოცემათა მთელ ტირაჟში (ათასებში) |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | თვეში 1 ჯერ . . . . . | 26 | 252 | 843,8 | 1.021,0 | 3.724,7 |
| 2 | თვეში 2 „ . . . . . | 6 | 127 | 314,6 | 587,4 | 1.973,5 |
| 3 | წელიწადში 4 „ . . . . . | 3 | 14 | 34,0 | 11,0 | 45,7 |
| 4 | თვეში 3 „ . . . . . | 1 | 38 | 154,9 | 54,5 | 315,8 |
| 5 | წელიწადში 1 „ . . . . . | 3 | 4 | 18,0 | 1,7 | 10,0 |
| 6 | წელიწადში 2 „ . . . . . | 1 | 3 | 13,7 | 1,0 | 6,9 |
| 7 | წელიწადში 3 „ . . . . . | 1 | 4 | 32,8 | 3,0 | 32,8 |
| 8 | გამოდის უმაღლესი საბჭოს სესიის მოწვევასთან დაკავშირებით | 1 | 6 | 19,4 | 2,4 | 7,9 |
| 9 | „ „ „ | 5 | 10 | 12,2 | 15,3 | 24,4 |
| | ს უ ლ . . | 47 | 458 | 1.443,4 | 1.697,3 | 6.141,7 |

ცხრილი № 3

ჟურნალის პროდუქციის დანაწილება გამოცემის ადგილის მიხედვით

| №№ რიგზე | გამოცემის ადგილი | დაბეჭდილ ჟურნალთა ერთეულების რაოდენობა | ნომერთა რაოდენობა | დაბეჭდილ ფურცელთა რაოდენობა ყველა გამოცემათა ერთ კომპლექტში | ტირაჟი (ათასებში) | დაბეჭდილ ფურცელთა რაოდენობა გამოცემათა მთელ ტირაჟში (ათასებში) |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | თბილისი . . . . . | 38 | 425 | 1.378,2 | 1.662,6 | 6.051,2 |
| 2 | სოხუმი . . . . . | 5 | 16 | 19,6 | 15,0 | 35,3 |
| 3 | სტალინირი . . . . . | 2 | 11 | 32,4 | 7,0 | 24,4 |
| 4 | მაზარაძე-ანასეული . . . . . | 2 | 6 | 13,2 | 12,7 | 30,8 |
| | ს უ ლ . . | 47 | 458 | 1.443,4 | 1.697,3 | 6.141,7 |

## ჟურნალის პროდუქციის დანაწილება შინაარსისა და სახეების მიხედვით

ცხრილი № 4

| საკლასიფიკაციო დანაყოფები | თემატიური დანაყოფების დასახელება | ქ უ რ ნ ა ლ ი | | | | | ბ ი უ ლ ე ტ ე ნ ი | | | | | ს უ ლ | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | დაბეჭდილ ერთეულთა რაოდენობა | ნომერთა რაოდენობა | დაბეჭდილ ფურც. რაოდ. ყველა გამოც. ერთად კომპლ. | ტირაჟი (ათასებში) | დაბეჭდილ ფურც. რაოდ. გამოც. მთელ ტირაჟ. (ათასებში) | დაბეჭდილ ერთეულთა რაოდენობა | ნომერთა რაოდენ. | დაბეჭდილ ფურც. რაოდ. ყველა გამოც. ერთად კომპლ. | ტირაჟი (ათასებში) | დაბეჭდილ ფურც. რაოდ. გამოც. მთელ ტირაჟ. (ათასებში) | დაბეჭდილ ერთეულთა რაოდენობა | ნომერთა რაოდენ. | დაბეჭდილ ფურც. რაოდ. ყველა გამოც. ერთად კომპლ. | ტირაჟი (ათასებში) | დაბეჭდილ ფურც. რაოდ. გამოცემათა მთელ ტირაჟში |
| 1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 8, 9 | სოციალ-პოლიტიკური და ეკონომიური ლიტერატურა . . . | 15 | 152 | 413,0 | 652,6 | 2.400,5 | 2 | 7 | 26,8 | 2,6 | 9,5 | 17 | 159 | 439,8 | 655,2 | 2.410,0 |
| | მათ შორის: | | | | | | | | | | | | | | | |
| 2 | ანტირელიგიური . . . . . | 1 | 10 | 29,2 | 26,0 | 84,6 | — | — | — | — | — | 1 | 10 | 29,2 | 26,0 | 84,6 |
| 7 | საკ. კ. პ. (ბ) . . . . . | 4 | 50 | 203,0 | 345,8 | 1.561,0 | — | — | — | — | — | 4 | 50 | 203,0 | 345,8 | 1.561,0 |
| 7 | საკ. ა. ლ. კ. კ. . . . . | 1 | 12 | 36,1 | 54,8 | 178,4 | — | — | — | — | — | 1 | 12 | 36,1 | 54,8 | 178,4 |
| 6 | პროფკავშირები . . . . . | 1 | 10 | 16,9 | 86,0 | 159,8 | — | — | — | — | — | 1 | 10 | 16,9 | 86,0 | 159,8 |
| 8 | სოციალისტური მშენებლობა . | 1 | 12 | 61,3 | 56,4 | 314,6 | 1 | 1 | 7,4 | 0,2 | 1,6 | 2 | 13 | 68,7 | 56,6 | 316,2 |
| 9 | სახელმწიფო და სამართალი . . | 7 | 58 | 66,5 | 83,6 | 102,1 | 1 | 6 | 19,4 | 2,4 | 7,9 | 8 | 64 | 85,9 | 86,0 | 109,9 |
| 11, 15 | მრეწველობა . . . . . | 1 | 13 | 64,2 | 31,0 | 129,3 | — | — | — | — | — | 1 | 13 | 64,2 | 31,0 | 129,3 |
| 12 | სოფლის მეურნეობა . . . . . | 2 | 15 | 52,3 | 26,0 | 81,8 | 3 | 7 | 17,6 | 13,2 | 33,0 | 5 | 22 | 69,9 | 39,2 | 114,8 |
| 13 | ტრანსპორტი. კავშირგაბმულობა | 2 | 35 | 105,4 | 8,2 | 27,1 | — | — | — | — | — | 2 | 35 | 105,4 | 8,2 | 27,1 |
| 14 | ვაჭრობა . . . . . | 1 | 2 | 3,8 | 2,0 | 7,6 | — | — | — | — | — | 1 | 2 | 3,8 | 2,0 | 7,6 |
| 16 | ჯანმრთელობის დაცვა. მედიცინა | 1 | 12 | 44,4 | 15,7 | 87,1 | 1 | 2 | 6,2 | 1,0 | 6,2 | 2 | 14 | 50,6 | 16,7 | 93,3 |
| 18 | განათლება. პედაგოგიკა . . . | 3 | 28 | 74,4 | 101,6 | 366,9 | — | — | — | — | — | 3 | 28 | 74,4 | 101,6 | 366,9 |
| 19 | ბუნების მეტყველება, ფიზ. მათემ. მეცნ. . . . . | 1 | 3 | 13,7 | 1,0 | 6,9 | 1 | 2 | 4,0 | 1,0 | 2,0 | 2 | 5 | 17,7 | 2,0 | 8,9 |
| 22 | ხელოვნება . . . . . | 1 | 10 | 52,5 | 23,0 | 134,9 | — | — | — | — | — | 1 | 10 | 52,5 | 23,0 | 134,9 |
| 23 | ლიტერატურათმცოდნ. მხატვრული ლიტ-რა . . . . . | 10 | 108 | 350,6 | 726,9 | 2.437,0 | — | — | — | — | — | 10 | 108 | 350,6 | 726,9 | 2.437,0 |
| 25 | ბეჭდვითი სიტყვა. ბიბლიოგრაფია | 3 | 62 | 214,5 | 91,5 | 411,9 | — | — | — | — | — | 3 | 62 | 214,5 | 91,5 | 411,9 |
| | ს უ ლ . . . | 40 | 440 | 1.388,8 | 1.679,5 | 6.091,0 | 7 | 18 | 54,6 | 17,8 | 50,7 | 47 | 458 | 1.443,4 | 1.697,3 | 6.141,7 |

საქართველოს მშრომელთა კულტურული დონის და პოლიგრაფიული ბაზის ზრდის შესაბამისად, შესაძლებელი ხდება ჟურნალები გამოიცეს არა მარტო რესპუბლიკის ცენტრში, არამედ საწარმოო რაიონების ცენტრებშიაც.

შინაარსის მიხედვით 1939 წლის ჟურნალების სახელწოდებათა საერთო რაოდენობიდან ყველაზედ მეტ ინაწილი—36,1 პროცენტი, სოციალ-პოლიტიკური და ეკონომიური ხასიათისაა, აქედან სახელმწიფო ადმინისტრატიული და სასამართლო ორგანოებზე 47 პროცენტი მოდის. ჟურნალების სახელწოდებათა საერთო რაოდენობის 10,6 პროცენტი სასოფლო-სამეურნეო ხასიათისაა, 21,7 პროცენტი ლიტერატურათმცოდნეობასა და მხატვრულ ლიტერატურაზე მოდის.

ცხრილი № 5

ჟურნალის პროდუქციის დანაწილება ენების მიხედვით

| №№ რიგზე | ენების დასახელება | დაბეჭდილ ერთეულთა რაოდენობა | ნომერთა რაოდენობა | დაბეჭდილ ფურცლების რაოდენობა ცალკე გამოცემათა ჯერ კომპლექტში | ტირაჟი (ათასებში) | დაბეჭდილ ფურცლების რაოდენობა გამოცემათა მთელ ტირაჟში (ათასებში) |
|---|---|---|---|---|---|---|
| | ჟურნალები: | | | | | |
| 1 | ქართულ ენაზე . . . . . | 21 | 251 | 837,1 | 1.429,9 | 5.239,1 |
| 2 | რუსულ „ . . . . . | 5 | 58 | 165,8 | 74,3 | 217,2 |
| 3 | ქართულ-რუსულ ენაზე . . . . . | 4 | 21 | 69,8 | 29,0 | 96,3 |
| 4 | აფხაზურ ენაზე . . . . . | 2 | 9 | 8,8 | 5,4 | 19,4 |
| 5 | სომხურ „ . . . . . | 2 | 17 | 42,1 | 27,5 | 60,1 |
| 6 | ოსურ „ . . . . . | 2 | 11 | 32,4 | 7,0 | 24,4 |
| 7 | აზერბაიჯანულ ენაზე . . . . . | 1 | 12 | 18,3 | 14,9 | 22,6 |
| 8 | რუსულ - ქართულ - სომხურ-აფხაზურ-ოსურ და აზერბაიჯანულ ენებზე . . . . . | 3 | 61 | 214,5 | 91,5 | 411,9 |
| | ს უ ლ . . | 40 | 440 | 1.388,8 | 1.679,5 | 6.091,0 |
| | ბიულეტენი: | | | | | |
| 1 | ქართულ ენაზე . . . . . | 1 | 3 | 6,7 | 9,9 | 24,7 |
| 2 | რუსულ „ . . . . . | 4 | 11 | 37,7 | 5,9 | 17,8 |
| 3 | ქართულ-რუსულ ენაზე . . . . . | 2 | 4 | 10,2 | 2,0 | 8,2 |
| | | 7 | 18 | 54,6 | 17,8 | 50,7 |
| | ს უ ლ . . | 47 | 458 | 1.443,4 | 1.697,3 | 6.141,7 |

## ჟურნალის პროდუქციის დანაწილება თემატიური დანაყოფების ჩამოთვლით

ცხრილი № 6

| საკლასიფიკაციო დანაყოფები | თემატიური დანაყოფების დასახელება | საერთო პროდუქცია | | | | | მათ შორის ფასის ჩვენებით (ნომინ. ღირ-ბა) | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | დაბეჭდილი ერთეულების რაოდენობა | ნომერთა რაოდენობა | დაბეჭდილი ფურცლების რაოდენობა. ყველა გამოცემათა ერთ კომპლ. | ტირაჟი (ათასებში) | დაბეჭდილი ფურცლების რაოდენობა. გამოცემათა მთელ ტირ. (ათასებში) | დაბეჭდილი ერთეულების რაოდენობა | ნომერთა რაოდენობა | დაბეჭდილი ფურცლების რაოდენობა. ყველა გამოცემათა ერთ კომპლ. | ტირაჟი (ათასებში) | დაბეჭდილი ფურცლების რაოდენობა. გამოცემათა მთელ ტირ. (ათასებში) | ფასი | |
| | | | | | | | | | | | | ბეჭდვილ ერთეულისა და კომპლექტებში (მანეთებში) | სულ ტირაჟისა (ათასებში) |
| 1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 8, 9 | სოციალ-პოლიტიკური და ეკონომიური ლიტერატურა . . . . | 17 | 159 | 439,8 | 655,2 | 2.410,0 | 14 | 150 | 410,2 | 651,6 | 2.397,8 | 93-30 | 419,7 |
| | მათ შორის: | | | | | | | | | | | | |
| | ანტირელიგიური . . . . . | 1 | 10 | 29,2 | 26,0 | 84,6 | 1 | 10 | 29,2 | 26,0 | 84,6 | 10-00 | 26,0 |
| 7 | საკ. კ. პ. (ბ) . . . . . | 4 | 50 | 203,0 | 345,8 | 1.561,0 | 4 | 50 | 203,0 | 345,7 | 1.561,0 | 26-20 | 177,9 |
| 7 | საკ. ა. ლ. კ. კ. . . . . | 1 | 12 | 36,1 | 54,8 | 178,5 | 1 | 12 | 36,1 | 54,8 | 178,5 | 6-00 | 27,4 |
| 6 | პროფკავშირები . . . . . | 1 | 10 | 16,9 | 86,0 | 159,8 | 1 | 10 | 16,9 | 86,0 | 159,8 | 5-00 | 43,0 |
| 8 | სოციალისტური მშენებლობა . . | 2 | 13 | 68,7 | 56,6 | 316,2 | 1 | 12 | 61,3 | 56,4 | 314,6 | 24-00 | 112,8 |
| 9 | სახელმწიფო და სამართალი . . | 8 | 64 | 85,9 | 86,1 | 110,0 | 6 | 56 | 63,7 | 82,7 | 99,3 | 22-10 | 32,6 |
| 11, 15 | მრეწველობა . . . . . | 1 | 13 | 64,2 | 31,0 | 129,3 | 1 | 13 | 64,2 | 31,0 | 129,3 | 26-00 | 62,0 |
| 12 | სოფლის მეურნეობა . . . . . | 5 | 22 | 69,9 | 39,2 | 114,8 | 2 | 15 | 52,3 | 26,0 | 81,8 | 31-00 | 38,0 |
| 13 | ტრანსპორტი. კავშირგაბმულობა | 2 | 35 | 105,4 | 8,2 | 27,1 | — | — | — | — | — | — | — |
| 14 | ვაჭრობა . . . . . | 1 | 2 | 3,8 | 2,0 | 7,6 | — | — | — | — | — | — | — |
| 16 | ჯანდაცვა. მედიცინა . . . . . | 2 | 14 | 50,6 | 16,7 | 93,3 | 1 | 12 | 44,4 | 15,7 | 87,1 | 18-00 | 25,6 |
| 18 | განათლება. პედაგოგიკა . . . . | 3 | 28 | 74,4 | 101,6 | 366,9 | 2 | 15 | 60,0 | 54,3 | 299,4 | 17-00 | 52,6 |
| 19 | ბუნების მეტყველება. ფიზ. მათემატ. მეცნიერება . . . . . | 2 | 5 | 17,7 | 2,0 | 8,9 | 1 | 3 | 13,7 | 1,0 | 6,9 | 18,00 | 6,0 |
| 22 | ხელოვნება . . . . . | 1 | 10 | 52,5 | 23,0 | 134,9 | 1 | 10 | 52,5 | 23,0 | 134,9 | 30-00 | 69,0 |
| 23 | ლიტერატურათმცოდნ. მხატვრ. ლიტერატურა . . . . . | 10 | 108 | 350,6 | 726,9 | 2.437,0 | 10 | 108 | 350,6 | 726,9 | 2.437,0 | 94-71 | 544,8 |
| 25 | ბეჭდვითი სიტყვა. ბიბლიოგრაფია | 3 | 62 | 214,5 | 91,5 | 411,9 | 3 | 62 | 214,5 | 91,5 | 411,9 | 63,99 | 97,7 |
| | ს უ ლ . . . | 47 | 458 | 1.443,4 | 1.697,3 | 6.141,7 | 35 | 388 | 1.262,4 | 1.621,0 | 5.986,1 | 392-00 | 1.315,4 |

ცხრილი № 7

## ჟურნალის პროდუქციის დანაწილება გამომცემლობათა მიხედვით

| გამომცემლობანი | დაბეჭდილ ერთეულთა რაოდენობა | ნომერთა რაოდენობა | დაბეჭდილ ფურცელთა საერთო რაოდენობა ყველა გამოცემათა ჯამი ერთ კომპლექტში | ტირაჟი (ათასებში) | დაბეჭდილ ფურცელთა საერთო რაოდენობა გამოცემათა მთელ ტირაჟში (ათასებში) |
|---|---|---|---|---|---|
| გაფორმებული გამომცემლობანი: | | | | | |
| სახელგამი | 4 | 36 | 186,2 | 187,6 | 911,3 |
| აფხაზეთის სახ. გამ-ბა | 1 | 7 | 6,0 | 4,4 | 16,6 |
| „ზარია ვოსტოკა“ | 2 | 36 | 143,6 | 284,9 | 1.212,9 |
| სსრკ მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალი | 1 | 2 | 4,0 | 1,0 | 2,0 |
| საქმედგამი | 1 | 12 | 44,4 | 15,7 | 87,1 |
| „კომუნისტი“ | 8 | 94 | 247,6 | 732,4 | 2.179,7 |
| „ტექნიკა და შრომა“ | 1 | 13 | 64,2 | 31,0 | 129,3 |
| სამხრეთ ოსეთის სახ. გამ-ბა | 2 | 11 | 32,4 | 7,0 | 24,4 |
| ს უ ლ | 20 | 211 | 728,4 | 1.263,9 | 4.563,3 |
| გაუფორმებელი გამომცემლობანი: | | | | | |
| ადმინისტრაციული. სასამართლო ორგან. კომუნალური დაწესებ. | 9 | 74 | 115,1 | 112,1 | 194,6 |
| საავაჭრო-დამამზადებ. ორგან. | 1 | 2 | 3,8 | 2,0 | 7,6 |
| სააღრიცხვო-სტატისტიკური და საგეგმო ორგანიზ. | 1 | 12 | 61,3 | 56,4 | 314,6 |
| ჯანდაცვის ორგანიზ. | 1 | 2 | 6,2 | 1,0 | 6,2 |
| სატრანსპორტო და კავშირგაბმულობის საწარმოებები | 2 | 35 | 105,4 | 8,2 | 27,1 |
| სასოფლო-სამეურნეო ორგანიზაციები და კოლექტივები | 2 | 12 | 23,9 | 23,5 | 51,2 |
| მათ შორის მეცნიერული | 1 | 1 | 4,4 | 0,5 | 2,2 |
| მხატვრული და ლიტერატურული ორგანიზაციები | 1 | 10 | 52,5 | 23,0 | 134,9 |
| სახალხო განათლების ორგ. | 10 | 100 | 346,8 | 207,2 | 842,2 |
| მათ შორის მეცნიერული | 5 | 14 | 67,1 | 16,9 | 72,1 |
| ს უ ლ | 27 | 247 | 715,0 | 433,4 | 1.578,4 |
| ჯ ა მ ი | 47 | 458 | 1.443,4 | 1.697,3 | 6.141,7 |

ცხრილი № 5 გვიჩვენებს, თუ რა სერიოზულ ყურადღებას აქცევენ პარტია და მთავრობა იმას, რომ საქართველოში დასახლებულ ცალკეულ ერებს თავიანთ გასაგებ ენაზე ჰქონდეთ ბეჭდვითი ნაწარმოები, კერძოდ ჟურნალები. ჟურნალებისა და ბიულეტენების სახელწოდებათა საერთო რაოდენობიდან ქართულ ენაზე 46,8 პროცენტი გამოდის, რუსულ ენაზე—19,8 პროცენტი, ქართულ-რუსულ ენაზე—13 პროცენტი. ჟურნალების სახელწოდებათა საერთო რაოდენობიდან აფხაზურ ენაზე 5 პროცენტი მოდის, სომხურ ენაზე—5 პროცენტი, ოსურ ენაზე—5 პროცენტი, აზერბაიჯანულ ენაზე—2,5 პროცენტი, რუსულ-ქართულ-აფხაზურ-ოსურ-აზერბაიჯანულ ენებზე (ბიბლიოგრაფიული ხასიათის) 7,5 პროცენტი.

გაზეთების პროდუქციამ საქართველოში განსაკუთრებული თვალსაჩინო ზრდა განიცადა პირველ, მეორე და მესამე ხუთწლედებში.

გაზეთის პროდუქცია

ცხრილი № 8

| წლების მიხედვით | 1921 | 1928 | 1933 | 1939 | %-ში 1939 წელი, 1921 წ-თან | %-ში 1939 წელი, 1928 წ-თან | %-ში 1939 წელი, 1933 წ-თან |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| სახელწოდება . . . . . | 44 | 28 | 132 | 124 | 281,8 | 442,9 | 93,9 |
| საშუალო ტირაჟი (ათას-ში) | 108,5 | 346,4 | 669,0 | 787,6 | 725,9 | 227,4 | 117,7 |
| წლიური ტირაჟი (ათასებში) | 7.537,4 | 57.848,3 | 109.878,2 | 137.428,9 | 1.823,3 | 237,6 | 125,1 |

1933 წელთან შედარებით 1939 წელს გაზეთების საერთო რაოდენობა შემცირდა. ეს შემცირება აიხსნება იმ გარემოებით, რომ მტს-ების პოლიტგანყოფილებები რეორგანიზებული იქნა და გაზეთებმა, რომლებსაც მტს-ების პოლიტგანყოფილებები სცემდნენ, შეწყვიტეს გამოსვლა. მიუხედავად ამისა, როგორც ზემოთ მოყვანილი ცხრილი გვიჩვენებს, 1928 წელთან შედარებით გაზეთების წლიური ტირაჟი 7,6 ჯერ გაიზარდა.

1939 წელს 1933 წელთან შედარებით გაზეთების საერთო წლიური ტირაჟი გაიზარდა 25,1 პროცენტით, ხოლო ამავე 1939 წელს 1921 წელთან შედარებით 18 და კიდევ მეტჯერ.

1939 წლის გაზეთების ტიპების, ენებისა, მკითხველთა ჯგუფების და პერიოდულობის მიხედვით დანაწილებას გვიჩვენებენ ქვემოთ მოყვანილი ცხრილები № 9, 10 და 11.

გაზეთების საერთო რაოდენობიდან 11,3 პროცენტი რესპუბლიკური გაზეთია. 8,9 პროცენტი ავტონომიურ რესპუბლიკური და საოლქო, 58,9 პროცენტი რაიონული და საქალაქო, ხოლო 20,9 პროცენტი—ძირეული (საქარხნო-საფაბრიკო).

საქართველოს ყველა რაიონს თავისი საკუთარი ნაბეჭდი გაზეთი აქვს. მრავალტირაჟიანი გაზეთები გამოდის აგრეთვე ფაბრიკებსა და ქარხნებშიც.

## დანაწილება გაზეთის პროდუქციისა ენებისა და ტიპების მიხედვით

| №№ რიგზე | | საბეჭდ-დება | ნომერთა რაოდენობა | საშუალო ტირაჟი (ათასებში) | წლიური ტირაჟი (ათასებში) |
|---|---|---|---|---|---|
| | I. რესპუბლიკური | | | | |
| 1 | ქართულ ენაზე | 7 | 1.111 | 229,7 | 55.286,1 |
| 2 | რუსულ „ | 4 | 782 | 107,9 | 31.018,6 |
| 3 | ქართულ-რუსულ ენაზე | 1 | 20 | 13,6 | 373,0 |
| 4 | სომხურ „ | 1 | 299 | 17,0 | 5.086,3 |
| 5 | აზერბაიჯანულ „ | 1 | 298 | 8,0 | 2.384,0 |
| | | 14 | 2.510 | 376,2 | 94.148,0 |
| | II. ავტ. რესპუბ. და ავტ. საოლქო | | | | |
| 1 | ქართულ ენაზე | 4 | 951 | 24,6 | 6.464,2 |
| 2 | რუსულ „ | 2 | 598 | 22,3 | 6.667,7 |
| 3 | ქართულ-რუსულ ენაზე | 1 | 101 | 3,0 | 303.0 |
| 4 | აფხაზურ „ | 1 | 299 | 5,0 | 1.495,0 |
| 5 | ოსურ „ | 2 | 351 | 4,9 | 883,3 |
| 6 | ბერძნულ „ | 1 | 22 | 4,0 | 88,0 |
| | | 11 | 2.322 | 63,8 | 15.901,2 |
| | III. რაიონული და საქალაქო | | | | |
| 1 | ქართულ ენაზე | 52 | 4.120 | 219,7 | 20.515,4 |
| 2 | რუსულ „ | 2 | 113 | 46,3 | 2.273,4 |
| 3 | ქართულ-რუსულ ენაზე | 3 | 210 | 10,0 | 691,0 |
| 4 | რუსულ-სომხურ „ | 2 | 117 | 4,0 | 234,0 |
| 5 | აზერბაიჯანულ „ | 6 | 311 | 13,3 | 737,4 |
| 6 | ოსურ „ | 2 | 73 | 2,9 | 105,0 |
| 7 | სომხურ „ | 2 | 161 | 5,0 | 420,0 |
| 8 | ქართულ-აზერბაიჯან. ენაზე | 1 | 62 | 2,0 | 124,0 |
| 9 | ქართულ-ოსურ „ | 1 | 63 | 1,5 | 94,5 |
| 10 | რუსულ-აფხაზურ „ | 1 | 61 | 2,0 | 122,0 |
| 11 | მეგრულ-აფხაზურ „ | 1 | 59 | 2,4 | 139,5 |
| | | 73 | 5.350 | 309,1 | 25.456,2 |
| | IV. ძირეული (საქარხნო-საფაბრიკო) | | | | |
| 1 | ქართულ ენაზე | 2 | 67 | 4,9 | 113,4 |
| 2 | ქართულ-რუსულ „ | 18 | 727 | 29.0 | 1.655,0 |
| 3 | რუსულ „ | 3 | 153 | 2,5 | 91,8 |
| 4 | რუსულ-ქართ. „ | 3 | 122 | 2,1 | 63,3 |
| | | 26 | 1.069 | 38,5 | 1.923,5 |
| | ს უ ლ . . | 124 | 11.251 | 787,6 | 137.428,9 |

ცხრილი № 10

## გაზეთის პროდუქციის დანაწილება მკითხველთა ჯგუფებისა და ტიპების მიხედვით

| №№ რიგზე | მკითხველთა ჯგუფებისა და ტიპების დასახელება | საბეჭდ. ფურცლ. | ნომერთა რაოდენობა | საშუალო ტირაჟი (ათასებში) | წლიური ტირაჟი (ათასებში) |
|---|---|---|---|---|---|
| | I. რესპუბლიკური | | | | |
| 1 | საერთო-პოლიტიკური . . . . . | 4 | 1.199 | 230,0 | 69.176,5 |
| 2 | კომკავშირული . . . . . | 2 | 482 | 54,4 | 14.884,6 |
| 3 | პიონერული . . . . . | 1 | 94 | 32,4 | 3.049,4 |
| 4 | სპეციალიზირებული (დარგობრივი) . . . . | 7 | 735 | 59,4 | 7.037,5 |
| | | 14 | 2.510 | 376,2 | 94.148,0 |
| | II. ავტონომ. რესპუბ. და საოლქო | | | | |
| 1 | საერთო-პოლიტიკური . . . . . | 8 | 2.099 | 55,4 | 15.438,4 |
| 2 | კომკავშირული . . . . . | 2 | 161 | 5,4 | 444,2 |
| 3 | პიონერული . . . . . | 1 | 62 | 3,0 | 18.6 |
| | | 11 | 2.322 | 63,8 | 15.901,2 |
| | III. რაიონული და საქალაქო | | | | |
| 1 | საერთო-პოლიტიკური . . . . . | 73 | 5.350 | 309,1 | 25.456,2 |
| | | 73 | 5.350 | 309,1 | 25.456,2 |
| | IV. ძირეული | | | | |
| 1 | სამრეწველო წარმოებების . . . . . | 11 | 387 | 13,2 | 530,7 |
| | მათ შორის საკარხნო-საფაბრიკო . . . . | 11 | 387 | 13,2 | 530,7 |
| 2 | ტრანსპორტისა და კავშირგამბ. წარმოებ. . | 6 | 424 | 8,7 | 842,9 |
| 3 | კულტსაგანმანათლებლო დაწესებ. . . . . | 5 | 55 | 8,6 | 106,9 |
| | მათ შორის უმაღლესი სასწავლებ. . . . . | 4 | 46 | 5,6 | 79,9 |
| 4 | საბჭ. დაწესებ., პროფ. კოოპერ. საზოგადოებრივი ორგანიზ. და სხვა . . . . . | 4 | 203 | 8,0 | 443,0 |
| | | 26 | 1.069 | 38,5 | 1.923,5 |
| | ს უ ლ . . . | 124 | 11.251 | 787,6 | 137.428,9 |

ცხრილი № 11

## გაზეთის დანაწილება პერიოდულობისა და ტიპების მიხედვით

| №№ რიგზე | გაზეთის პერიოდულობა და ტირაჟი | საბელგზდება | ნომერთა რაოდენობა | საშუალო ტირაჟი (ათასებში) | წლიური ტირაჟი (ათასებში) |
|---|---|---|---|---|---|
| | I. რესპუბლიკური | | | | |
| 1 | გაზეთები, რომლებიც 25 ჯერ გამოდის თვეში | 7 | 1.798 | 283,2 | 85.113,9 |
| 2 | „ „ 15 „ „ „ | 1 | 182 | 12,0 | 2.191,3 |
| 3 | „ „ 12 „ „ „ | 1 | 140 | 3,0 | 420.0 |
| 4 | „ „ 10 „ „ „ | 3 | 260 | 35,6 | 3.017,3 |
| 5 | „ „ 8 „ „ „ | 1 | 94 | 32,5 | 3.049,5 |
| 6 | „ „ 3 „ „ „ | 1 | 36 | 9,9 | 356,0 |
| | | 14 | 2.510 | 376,2 | 94.148,0 |
| | II. ავტ. რესპუბ. და ავტ. ოლქი | | | | |
| 1 | გაზეთები, რომლებიც 25—24 ჯერ გამოდის თვეში | 7 | 2.077 | 51,4 | 15.350,4 |
| 2 | „ „ 10 „ „ „ | 1 | 22 | 4,0 | 88,0 |
| 3 | „ „ 8 „ „ „ | 1 | 101 | 3,0 | 303,0 |
| 4 | „ „ 5 „ „ „ | 2 | 122 | 5,4 | 159,8 |
| | | 11 | 2.322 | 63,8 | 15.901,2 |
| | III. რაიონული და საქალაქო | | | | |
| 1 | გაზეთები, რომლებიც 25—24 ჯერ გამოდის თვეში | 4 | 694 | 68,9 | 9.797,6 |
| 2 | „ „ 10 „ „ „ | 4 | 828 | 21,7 | 4.502,2 |
| 3 | „ „ 5—6 „ „ „ | 63 | 3.730 | 213,2 | 10,907,5 |
| 4 | „ „ 4—5 „ „ „ | 2 | 98 | 5,3 | 248,9 |
| | | 73 | 5.350 | 309,1 | 25,456,2 |
| | IV. ძირეული (საქარხნო-საფაბრიკო) | | | | |
| 1 | გაზეთები, რომლებიც 10 ჯერ გამოდის თვეში | 2 | 239 | 6,6 | 787,5 |
| 2 | „ „ 9—8 „ „ „ | 1 | 49 | 1,0 | 49,0 |
| 3 | „ „ 6—5 „ „ „ | 8 | 369 | 8,5 | 428,8 |
| 4 | „ „ 4—5 „ „ „ | 5 | 250 | 8,6 | 439,3 |
| 5 | „ „ 3—4 „ „ „ | 2 | 30 | 4,4 | 69,4 |
| 6 | „ „ 3 „ „ „ | 6 | 112 | 7,5 | 130,5 |
| 7 | „ „ 2 „ „ „ | 2 | 20 | 1,9 | 19,0 |
| | | 26 | 1.069 | 38,5 | 1.923,5 |
| | ს უ ლ . . . | 124 | 11.251 | 787,6 | 137.428,9 |

გაზეთები გამოდის ქართულ, რუსულ, აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ და სხვა ენებზე.

გაზეთების საერთო რაოდენობაში თვალსაჩინო ადგილი კომკავშირულ და პიონერულ გაზეთებს უჭირავთ.

რესპუბლიკური, ავტონომიური რესპუბლიკისა და საოლქო გაზეთების საერთო რაოდენობის 24 პროცენტი კომკავშირული და პიონერული გაზეთია.

ძირეული მრავალტირაჟიანი გაზეთები, რომლებიც 1939 წელს გამოდიოდნენ, შემდეგნაირად ნაწილდება: 42,4 პროცენტი ფაბრიკა-ქარხნებში გამოდიოდა; 23 პროცენტი ტრანსპორტზე; 19,3 კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებში; 15,3 პროცენტი საბჭოთა დაწესებულებებში, პროფესიულ და კოოპერატიულ დაწესებულებებსა და საზოგადოებრივ ორგანიზაციებში.

ცხრილი № 11 გვიჩვენებს, თუ როგორ ნაწილდება გაზეთები პერიოდულობის მიხედვით.

1939 წელს რაიონულ და საქალაქო გაზეთების საერთო რაოდენობის 11 პროცენტი ყოველდღიურად და ზოგი სამ დღეში ერთხელ გამოდიოდა, ძირეულ-მრავალტირაჟიანი გაზეთების 11,5 პროცენტი თვეში 8-10 ჯერ გამოდიოდა; 30,7 პროცენტი კი თვეში 5-6 ჯერ.

ალმაცლობის ასეთ სურათს იძლევა საქართველოს ჟურნალ-გაზეთების 1939 წლის პროდუქციის ზოგადი სტატისტიკური ანალიზი.

ვლ. ქაჯაია

# ბიბლიოთეკათმეცნიერების ცალკეულ დისციპლინათა, მისი საერთო სისტემის და ორგანიული ყოფის საკითხისათვის [1]

ბიბლიოთეკებს და კერძოდ საბიბლიოთეკო საქმეს დიდი ისტორიული წარსული აქვს. ჩვენს წელთაღრიცხვამდე ჯერ კიდევ 2-3 ათასი წლის წინ ბაბილონსა, ეგვიპტესა და მცირე აზიაში გაჩნდა ის, როგორც ცალკეული კულტურულ-საგანმანათლებლო დარგი და ამ მანძილზე სულ იზრდებოდა, იცვლებოდა, ვითარდებოდა, წიგნის დამუშავების ახალი სამეცნიერო, რაციონალური წესებით და საორგანიზაციო ფორმებით მდიდრდებოდა.

იშვიათია კულტურულ-საგანმანათლებლო სფეროში ისეთი დარგი, რომელსაც ემოდენი ხანგრძლივი ისტორია გააჩნდეს და ასე გვიან მიეღწიოს მეცნიერულ სიმაღლემდე.

საბიბლიოთეკო საქმის დაყენება მეცნიერების გარეშე და, თუ გნებავთ, მისი ხანგრძლივი „დასჯა", წინასწარ განსაზღვრა მუშაობის თავისებურებამ და იმ საგანმა, რომელთანაც საზოგადოდ ბიბლიოთეკას აქვს საქმე. საბიბლიოთეკო პრაქტიკა იმ თავითვე თავის არსში ატარებდა ერთიმეორისაგან საგრძნობლად განსხვავებულ მუშაობის სახეებს. ის მჭიდროდ დაუკავშირდა საბიბლიოგრაფიო მუშაობის ხაზით (ანოტაცია, რეცენზია და სხვ.) ლიტერატურათმცოდნეობას, მკითხველთან უშუალო მომსახურეობის ხაზით—პედაგოგიკას, წიგნის წარმოშობის განვითარების ხაზით—წიგნთმცოდნეობას, მანუსკრიპტების დამწერლობის შესწავლის მიმართებით—პალეოგრაფიას, მეცნიერებათა კლასიფიკაციის შესწავლის მხრივ—აზროვნების ისტორიას და ა. შ.

საგანთა სირთულით და მრავალსახეობით ის ძლიერ გვაგონებს მედიცინას. ისე, როგორც მედიცინა თავის ცალკეულ სფეროებს სხვადასხვა თეორიული მეცნიერებით, (ფიზიკა, ქიმია, პათოლოგია, ბიოლოგია, ფიზიოლოგია და სხვ.) უნათებს გზას, ბიბლიოთეკათმეცნიერებაც მისთვის შესაბამისი დისციპლინებით იკვლევს გზას თავის პრაქტიკულ საქმიანობაში. ამ მხრივ ის არ გავს იმ მარტივი სახის მეცნიერებათ, რომელნიც თავიანთ მიღწევებს უმთავრესად ერთ თეორიულ მეცნიერებაზე ამყარებენ (მაგ., ელექტროტექნიკა—ფიზიკა).

საბიბლიოთეკო საქმის მრავალსახეობამ ბევრს გზაკვალი აუბნია.

ბევრმა დაიწყო, რომ მედიცინა ასეთ შემთხვევაში ნორმატიულ, ვიწრო სპეციალურ მეცნიერებების შექმნით ამყარებს კავშირს შედარებით დიდი დისტანციებით დაშორებულ ორ სამყაროს შორის. ბიბლიოთეკასაც შეეძლო აერჩია ანალოგიური გზა: ბიბლიოთეკური კლასიფიკაციის, საბიბლიოთეკო პედაგოგიკის, ორგანიული ბიბლიოგრაფიის (ანოტაცია და სხვ.) და სხვ. შექმნით მარტივად გადაეწყვიტა მის წინაშე წამოჭრილი მოჩვენებითი სიძნელენი. ბი-

[1] იბეჭდება დისკუსიის სახით.

ბლიოთეკათმცოდნეობის—ბიბლიოთეკათმეცნიერებად ჩამოყალიბების პროცესი თუ მაინც მრავალკუთხის შეფერხდა და დაგვიანდა, ამის მიზეზი უთუოდ უნდა ვეძიოთ ბიბლიოთეკარების დაბალ კულტურულ დონეში, რომლებიც თეორიულ-მეცნიერულ აზროვნებისადმი შედარებით ნაკლებ ინტერესს იჩენდნენ, ზოგჯერ გულგრილად ეპყრობოდნენ საკუთარი დარგის სამართლიან უფლებებში აღდგენის საკითხს. აღნიშნულმა თავისებურმა ისტორიულმა პირობებმა შექმნეს ისეთი მდგომარეობა, რომ საბიბლიოთეკო საქმის ბიბლიოთეკათმეცნიერებად გადაქცევის საჭიროება 1808 წელს მიუნხენის ცენტრალური ბიბლიოთეკის მეცნიერულმა მუშაკმა Martin Schrettinger-მა (შრომებში: Versach eines vollsändigen Lehrbuches der Bibliotheks-wissenschaft; Handbuch der Bibliotheks-wissenschaft) მკვეთრად წამოაყენა. ხოლო მეცნიერების სახელწოდების ტარების უფლება მას შემდეგ მიენიჭა, როცა ფინანსების საქმე, სავაჭრო საქმე, მიმოსვლის საქმე, თეატრისა და გაზეთის საქმე გადაქცეულ იქნა საფინანსო მეცნიერებად, სავაჭრო მეცნიერებად, გზათა მიმოსვლის მეცნიერებად, სათეატრო და საგაზეთო მეცნიერებად. (იხ. Prof. Dr. Georg Leidinger. Zentralblatt für Bibliothekswesen Jargang 45 Septemb.—October 1928 S. 441.

ბიბლიოთეკათმეცნიერების ჩამოყალიბების წინააღმდეგ მნიშვნელოვანი დანაშაული თვით ბიბლიოთეკარებს მიუძღვით. ამ წმინდა მეცნიერულ ტაძარში წინათ თავი მოიყარეს ერთიმეორისაგან ფრიად განსხვავებულმა, კულტურის სხვადასხვა საფეხურზე მდგომმა ადამიანებმა; მეტწილად ისინი იყვნენ შემთხვევითი, საეჭვო განათლების მქონე პირები: დილეტანტები, სხვა პროფესიებში გამოუყენებელი, უვარგისი ელემენტები, გაუნათლებელნი, ბევრჯერ მხოლოდ საოჯახო კულინარიის მცოდნე დიასახლისები და სხვ. ამ საეჭვოდ დაკომპლექტებულ კადრს არაფერი ისე არ აშინებდა და აკრთობდა, როგორც მეცნიერება. მათ, თავისი ვიწრო პროფესიული მოვალეობის „შესრულების“ (!) გარდა, არაფრის გაგონება არ სურდათ. ისინი გრძნობდნენ, რომ ბიბლიოთეკის აყვანა სამეცნიერო სიმაღლეზე მათ გარკვეულად გამოაცლიდა დასაყრდენ ნიადაგს.

მცირე ინტელიგენტური ჯგუფი, არასასურველ გარემოცვაში მყოფი, დიდხანს უძლური იყო, ერთი მხრივ, გაეტეხა მედიდური უვიცობის საშინელი სტიქია და, მეორე მხრივ, მეცნიერული ტრაქტატებით და დამაჯერებელი არგუმენტაციით მოეპოვებია ბიბლიოთეკისათვის სამოქალაქო უფლებები; მარტინ შრეტინგერები სხვადასხვა დროს სხვადასხვა მაშტაბით თითქმის ყველა კულტურულ ქვეყანას ჰყავდა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, საჭირო გახდა ძალზე დიდი დრო იმისათვის, რათა საყოველთაოდ ეცნოთ ბიბლიოთეკათმეცნიერების სამეცნიერო უფლების de jure (de facto არსებობა მას ადრე გააჩნდა), დაეარსებიათ სპეციალური ბიბლიოთეკათმეცნიერების კათედრები (უნივერსიტეტებთან), ინსტიტუტები, საასპირანტო კურსები მისი სათანადო მეცნიერული სიღრმით შესწავლისათვის.

დღეს, როცა ბიბლიოთეკათმეცნიერება წინ მიდის მეცნიერული მწვერვალების ჯეროვანად დაუფლებისათვის, მაინც შეცდომა იქნებოდა, თუ ვიფიქრებდით, რომ წინააღმდეგობა საესებით დაძლეულია, თითქოს არ იყოს მისი ძლევამოსილი სრბოლისა და წინმსვლელობის შეფერხების საფრთხე. ბიბლიო-

თეკათმეცნიერების განვითარება ბევრად არის დამოკიდებული იმაზე, თუ როგორი განათლებისა და კვალიფიკაციის პერსონალი იქნება მის სამსახურში ჩაბმული.

ბიბლიოთეკათმეცნიერებაში, როგორც ახლად ჩამოყალიბებულ დისციპლინაში, ბევრი საკითხია ბუნდოვანი და გადაუწყვეტელი. ხშირად არ არის გარჩეული, სად თავდება ტექნიკურ-პრაქტიკული მუშაობა და სად იწყება პრაქტიკულ-მეცნიერული, დაუშუშავებელია საკითხი, თუ ბიბლიოთეკათმეცნიერებიდან რომელი დარგია თეორიული ბუნებისა.

ბიბლიოთეკათმცოდნეობა, როგორც მეცნიერება, რამდენად შემცველია მეცნიერების მთავარი კონსტიტუტიური ნიშნებისა, სახელდობრ, რა მეცნიერებათ ემყარება იგი და რა დისციპლინებს იყენებს, როგორც მოსაზღვრე, ისე დამხმარე მეცნიერებათა სახით? ამ საკითხების გადაწყვეტაში არსებობს აზრთა დიდი წინააღმდეგობა. ერთი მხრივ, არის აშკარა ტენდენცია ცნება „მეცნიერების" ეულგარიზაციისა, ბიბლიოთეკათმეცნიერების „ნორმატიულ" დისციპლინად გამოცხადების შირმით მისი სრული განიარაღება ყველა იმ ნიშანთაგან, რომელთაც ეს უკანასკნელი მეცნიერულ სიმაღლემდე აჰყავთ. მეორე მხრივ არსებობს აგრეთვე მისწრაფება შორეული აბსტრაქციებისა და ფილოსოფიური სპეკულაციის გზით ყოველგვარი კავშირი გაწყვეტილ იქნას საფუძველსა—საბიბლიოთეკო საქმესა—და „ზედნაშენს"—ბიბლიოთეკათმეცნიერებას შორის. განვიხილოთ რიგრიგად დასმული პრობლემები. ჯერ გავარჩიოთ პირველი საკითხი, სახელდობრ, რა მიმართებაა პრაქტიკულ-ტექნიკურსა და პრაქტიკულ-მეცნიერულ მუშაობას შორის?

## პრაქტიკულ-ტექნიკური და პრაქტიკულ-მეცნიერული საბიბლიოთეკო მუშაობა

პრაქტიკულ-მეცნიერული მუშაობის მთავარ ნიშნად ჩვენ ისეთი ხასიათის ცოდნის შეძენა მიგვაჩნია, რომელიც ვერ მიიღება რამდენიმეთვიან საბიბლიოთეკო კურსების დამთავრებით და უთუოდ გულისხმობს ხანგრძლივ, სისტემატურ მუშაობას ინსტიტუტსა ან უნივერსიტეტში.

ბიბლიოთეკარს, რომელსაც სათანადო განათლება და ფართო თვითგანვითარება აკლია, არ შეუძლია სერიოზული მეცნიერული მუშაობა აწარმოოს.

რომელიმე მაღალკვალიფიციური თანამდებობის ასრულება არ არის უცხველი საბუთი მეცნიერმუშაკობისათვის (იშვიათი გამონაკლისები მხედველობაში არ გვაქვს); სათანადო ფართო განათლების გარეშე შეუძლებელია რომელიმე რთული სამუშაოს დედაარსში ჩაწვდომა. ვისაც თავისი სამუშაო მთელი სიღრმითა და მოცულობით არ ესმის (და მხოლოდ მის კონტურებს ხედავს), მას არ შეუძლია მისი რაციონალურად შესრულება.

ამხანაგმა სტალინმა 1938 წლის 17 მაისს უმაღლესი სკოლის მუშაკთა კრებლში მიღებაზე წარმოთქმულ სიტყვაში გენიალურად განსაზღვრა მოწინავე მეცნიერების როლი და მნიშვნელობა. ხალხთა ბელადმა წარმატება და აყვავება უსურვა მეცნიერებას, „რომელიც თავის ძველ აღიარებულ ხელმძღვანელობას

საშუალებას არ აძლევს მეცნიერებათა ქურუმთა ნაჭუჭში, მეცნიერების მონოპოლისტთა ნაჭუჭში თვითკმაყოფილებით ჩაიკეტონ". (გაზ. „კომუნისტი" 1938, № 111, 20 მაისი—სიტყვა უმაღლესი სკოლის მუშაკთა მიღებაზე კრემლში 1938 წ. 17 მაისი. ტფ. 1938. 8 გვ.).

არსად, არც ერთს ქვეყანაში არ არის საკვლევო-სამეცნიერო მუშაობა იმ სიმაღლემდე აყვანილი, როგორც ჩვენში; ჩვენი ქვეყანა დასერილია უმაღლესი სასწავლებლების ფართო ქსელით, რომელიც მეცნიერებას მცირე ჯგუფის მონოპოლიად კი არ ხდის, არამედ აქცევს მას მშრომელი მასების ადვილად მისაწვდომ საგნად.

ბიბლიოთეკის მეცნიერულ მუშაკთა უმრავლესობას ტექნიკურ ცოდნასა და თვითგანვითარებასთან ერთად აუცილებლად უნდა მოეთხოვოს უმაღლესი განათლება.

მოცემული სამი მომენტი უნდა გამოცხადდეს ელემენტარულ პირობად მეცნიერული მუშაობისათვის. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ უმაღლეს სასწავლებლებში სტუდენტებს და სხვ. არ ეძლევათ მეცნიერულ მუშაობის მოწმობა. ასეთივე წესები უნდა გაჩნდეს ბიბლიოთეკას, თუ არ გვინდა, რომ ბიბლიოთეკის დარგში მეცნიერული მუშაობა საეჭვო მეცნიერულ მუშაობის სანონიმად გადაიქცეს.

ბევრს არ ასვენებს დიდი სახელების—სტეფენსონის, მორზეს, პაპანინის და სხვათა აელვარებული პროფილები. განა მათ ამ პირობების გარეშე არ მიაღწიეს დიდების მწვერვალს, მათ არ მოახდინეს მეცნიერებაში გადატრიალება? მაშ ვისთვისაა საჭირო ხელოვნური ზღუდეები და ჯებირები? „მიეცით ნიჭსა გზა ფართო, თაყვანისცემა ღირსებას"—გულისწყრომით სჩივიან ისინი. ამ შემთხვევაში პატივცემული ოპონენტები ივიწყებენ მთავარს, სახელდობრ იმას, რომ დასახელებული გენიოსები კაცობრიობის ისტორიაში იშვიათ მოვლენას წარმოადგენენ.

მოცემული კრიტერიუმის უკუგდება მიუცილებლად გულისხმობს „მეცნიერების" ცნების საშინელ ვულგარიზაციას, პრაქტიკულ საბიბლიოთეკო მუშაობაში ქაოსისა და გაუპიროვნების გამეფებას, ყოველგვარი წინსვლის სტიმულის დაკარგვას იმ პირთათვის, რომელნიც გულწრფელად მიისწრაფიან მეცნიერულ-კვლევითი მუშაობის გაღრმავებისაკენ.

როგორი მდგომარეობაა ამ მხრივ სამეცნიერო ბიბლიოთეკებში?

ბიბლიოგრაფის, მკითხველთან მომუშავის, კონსულტანტის, უფროსი კლასიფიკატორის, უფროსი კომპლექტატორის და სხვა მუშაობა აუცილებლად პრაქტიკულ-მეცნიერული სამუშაოა, თუ დასახელებულ მუშაკებს მოეპოვებათ სათანადო მომზადება. წინააღმდეგ შემთხვევაში, მეცნიერული მუშაკის ნაცვლად ჩვენ გვაქვს ცუდად დახელოვნებულ ტექნიკურ მუშაკთან საქმე და მხოლოდ ღრმა გაუგებრობისა და უვიცობის ნიადაგზე შეიძლება მოვლენისთვის სხვაგვარი კვალიფიკაციის მიცემა.

ტექნიკური მუშაკი მეცნიერულ მუშაკისაგან განსხვავებით პრაქტიკულად იცნობს თავის საქმეს. ავიღოთ საცნობო-საბიბლიოგრაფიო განყოფილება. სპეციალურ სათანადო განათლების გარეშე აქ ძლიერ ძნელია მუშაობა. საც-

ნობო აპარატურის კარგად ცოდნა რა თქმა უნდა, ბევრად ხელს უწყობს საქმეს, მაგრამ ის მაინც ყველაფერი არ არის. თუ ვერ ერკვევი ზოგადი სახის ჰუმანიტარულ მოვლენებში, პირდაპირ შეუძლებელია მკითხველთან სერიოზული მუშაობა. ვთქვათ, მკითხველი თხოულობს ლიტერატურას ცნების რეკოგნიციულ სინთეზზე, ანტინომიებზე (ფილოსოფია), ქართველ მანიქეველებზე (ქართული აზროვნების ისტორია), სამშობლოს მოღალატეებზე და ეროვნულ გმირ ქალებზე საქართველოს ძველ ისტორიაში და სხვ. მოცემულ შემთხვევაში ორი მომენტი გვეძლევა. პირველი საკითხი ბიბლიოთეკარს ავალებს იცოდეს, თუ ის რომელ საგანს განეკუთვნება, ორი უკანასკნელი საკითხი საქართველოს ისტორიის ზედმიწევნით ცოდნას გულისხმობს. ამაოა ბიბლიოგრაფის ცდა, თუ ის ფიქრობს, რომ აღნიშნულ საკითხებზე ვრცელ მონოგრაფიულ გამოკვლევებსა და ნარკვევებს იპოვის. ავიღოთ ბიბლიოგრაფიაში კიდევ უფრო რთული კვალიფიციური სამუშაო, სახელდობრ, რეფერენციების და რეცენზიების გაკეთება. ბიბლიოგრაფს თუ ფართო ლიტერატურულ მომზადებასთან ერთად არ აქვს მოვლენის შეგნებულად გაგებისა და მისი ზუსტი ბიბლიოგრაფიული ენით ჩამოქნისა და დალაგების უნარი, ვერავითარი საბიბლიოთეკო ტექნიკური მომზადება და დახელოვნება ვერ უშველის მოცემულ შემთხვევაში. კონსულტანტის და დარბაზში მომუშავის საქმიანობა ჩვეულებრივ კვალიფიცირდება, როგორც პედაგოგიური პროცესი. უხელმძღვანელო მკითხველს სათანადო ლიტერატურის მიწოდებით, გაუღვიძო მას ინტერესი რომელიმე საგნისადმი და გარკვეული გზით წარმართო იგი, ნიშნავს ცოდნა-განვითარებით ბევრად მაღლა იდგე მკითხველთა უმრავლესობაზე, ზედმიწევნით იცნობდე იმ საგნებსა და მოვლენებს, რომლების ათვისებაც გადაუდებლად აუცილებელია ჩვენი საბჭოთა მოწინავე საზოგადოებრიობისათვის.

აქაც, როგორც საბიბლიოგრაფიო მუშაობაში, თითქმის ანალოგიური მდგომარეობაა. სათანადო განათლების გარეშე ტექნიკური დახელოვნება ვერ სწყვეტს საკითხს: აუცილებლად საჭიროა ორივე მომენტის—სათანადო განათლება-თვითგანვითარებისა და ტექნიკური დაოსტატების—ორგანიული შეკავშირება.

საკლასიფიკაციო განყოფილების უმცროსი პერსონალი, მსგავსად სქედოგრაფებისა, კატალოგიზატორებისა, ინვენტარიზატორებისა და სხვ., აუცილებლად ტექნიკური მუშაკებია. მათი საქმიანობა ნაწილობრივ სტანდარტულ მუშაობის ხასიათს ატარებს. ამ მხრივ, ისინი, თუ გნებავთ მემანქანეს ან შოფერს უახლოვდებიან; რაც შეეხება უფროს კლასიფიკატორს, აქ უთუოდ ორივე საკითხები იჭრება, რომლებიც ბიბლიოგრაფისა და მკითხველთან უშუალო მუშაობის კვალიფიკაციის განხილვის დროს აღვნიშნეთ, სახელდობრ, როგორ ასრულებს ის თავის ოპერაციებს—დეტერმინანტების და ინდექსების კომბინირებას? შეგნებულად მთელი საკლასიფიკაციო სისტემის ნათელი გათვალისწინებისა და ანალიზის გზით, თუ მარტივ ტექნიკურ დახელოვნების საშუალებით? პასუხი ამაზე მკვეთრად განსაზღვრავს მათი კვალიფიკაციის საკითხს. ჩვენს მიერ შემუშავებული კრიტერიუმი ამ შემთხვევაში კეთილსაიმედო გზას იძლევა. მეცნიერულ-პრაქტიკულ და ტექნიკურ-პრაქტიკულ საბიბლიოთეკო მუშაობას

შორის თანმიმდევრულად და გაბედულად გაეაქტიურებინათ სადემარკაციო ხაზი. ნაჩვენები გზიდან აცდენას შინაგანი აუცილებლობით მიეყავართ უხასიათო, უპრინციპო რყევა-ორჭოფობისა და მეცნიერული მუშაკის საპატიო სახელწოდების უხეში ვულგარიზაციისაკენ.

## ბიბლიოთეკათმეცნიერება, როგორც მეცნიერება, მისი საგანი, ამოცანები და ორგანიული წყობა

თეორიულ ბიბლიოთეკათმეცნიერების გარკვევას ჩვენ მოფიქრებულად წინ წარუმძღვარეთ პრაქტიკულ საბიბლიოთეკო სამუშაოთა სახეების დახასიათება, რათა უფრო ხელშესახებად და ახლოს გვეგრძნო იმ დისციპლინის რაობა, რომელიც დიდი ხანი არ არის რაც იწყებს თავისი თეორიული საფუძვლების ჩამოყალიბებას.

ბიბლიოთეკათმეცნიერება ბუნებრივად წარმოიშვა და გაჩნდა საბიბლიოთეკო პრაქტიკის ნიადაგზე თეორიული კვლევა-ძიებითი ამოცანების წამოჭრასთან დაკავშირებით. ამდენადვე ის მთლიანად ემყარება და ორგანიულ კავშირშია საბიბლიოთეკო საქმესთან. ბიბლიოთეკათმეცნიერების საგანს წარმოადგენს ბიბლიოთეკის მოწყობისა და მართვის წესების დადგენასთან ერთად შემუშავებაისეთი ხერხებისა, რომლებიც მკითხველს გაუადვილებს წიგნზე მუშაობას, მის რაციონალურ შერჩევას, ათვისებას, წიგნით მიზანშეწონილად სარგებლობას სათანადო ცოდნის დაუფლებისათვის. ბიბლიოთეკათმეცნიერებას თავის საგანი აინტერესებს არა მარტო დღევანდელ მომენტში, არამედ მეცნიერულ-ისტორიულ წარმოშობისა და განვითარების პროცესში, მომავლის ახალი ამოცანებისა და გზების დასახვის მიზნით. ბიბლიოთეკათმეცნიერება ცალკეულად იღებს და სწავლობს თავის ყველა ელემენტს, ახდენს მათ განზოგადებას, აბსტრაგირებას და სხვ., მოკლედ ის წარმოადგენს იმ მოვლენათა კანონზომიერების დადგენასა და მეცნიერულ ლოგიკურ სისტემატიზაციას, რომელნიც თავს იჩენენ საბიბლიოთეკო პრაქტიკაში.

ბიბლიოთეკათმეცნიერება თავის მხრივ შეიცავს წმინდა თეორიულ მეცნიერებათ: ბიბლიოლოგიას, ორგანიულ ბიბლიოგრაფიას, საბიბლიოთეკო პედაგოგიკას (კონსულტაცია, მკითხველის უშუალო მომსახურეობა, რეკომენდაცია), მეცნიერებათა კლასიფიკაციას, საბიბლიოთეკო ტექნოლოგიას, ბიბლიოთეკის ისტორიას.

მეორე მხრივ, თავის ობიექტზე ზემოქმედების, დადებითად სარგებლობისა და პრაქტიკული შედეგების მიღების მიზნით ბიბლიოთეკათმეცნიერება ქმნის (ზოგიერთი აწ უნდა შექმნას) სპეციალურ-გამოყენებით მეცნიერებებს: საბიბლიოთეკო კლასიფიკაციას, საბიბლიოთეკო პედაგოგიკას, ბიბლიოგრაფიის შედგენის სახელმძღვანელოებს და სხვ. თეორიული და გამოყენებითი მეცნიერებანი, როგორც ყოველთვის, ისე კონკრეტულ შემთხვევაში არ შეიძლება ერთმანეთს მეტაფიზიკურად დაუპირდაპიროთ, პირიქით, ისინი ერთმანეთს ავსებენ, ანაყოფიერებენ, ერთმანეთთან დიალექტიკურ მთლიანობაში იმყოფებიან.

ბიბლიოთეკათმეცნიერება დღეს საესებით უფლებამოსილი დისციპლინაა. მას აუცილებლად გააჩნია ყველა ის კონსტიტუტიური ნიშანი, რომლებიც საერთოდ დამახასიათებელია ცალკეულ მეცნიერებათათვის, სახელდობრ—საკუთარი საგანი, თვალსაზრისი და საზღვრები. ჩვენ ზემოთ განვმარტეთ, თუ რას წარმოადგენს ბიბლიოთეკათმცოდნეობის საგანი. თვით თვალსაზრისიც აუცილებლად ამ საგნის არსით არის დაპირობებული, თუ რამდენად შთამგონებელ თვითმყოფელობისა და ძალის შემცველია ეს თვალსაზრისი, იქიდან ჩანს, რომ ანოტაციური ბიბლიოგრაფია, რომელიც თავდაპირველად უთუოდ ლიტერატურული კრიტიკის ნაირსახეობას წარმოადგენდა, ბიბლიოთეკათმეცნიერებამ იმდენად შეცვალა, განავითარა, თავის წესებსა და ნორმებს დაუქვემდებარა, რომ უახლოეს პერსპექტივაში გარკვეულად ისახება ლიტერატურათმცოდნეობის სამყაროდან მისი სრული ჩამოცილება-გამოყოფის შესაძლებლობა ცალკე თეორიულ მეცნიერებად გადაქცევის სახით. საანოტაციო წერის წესები დღეს სრულიად თავისებურ საფუძვლებზე იგება, მეტყველების ლაპიდაროობა, თემის დალაგების უაღრესად რთული სპეციფიკური ხასიათი უწვერვალესად ბიბლიოთეკათმეცნიერების მიზანშეწონილებისა და მიზანდასახულების ამოცანებით არის განსაზღვრული. ესევე ითქმის მეტნაკლებად საბიბლიოთეკო პედაგოგიკისა, კლასიფიკაციისა და სხვათა შესახებ, რაც ერთხელ და კიდევ ზედმეტად ამტკიცებს ბიბლიოთეკათმეცნიერების დამოუკიდებელ თვალსაზრისის არსებობის უეჭველ ფაქტს. რაც შეეხება ბიბლიოთეკათმეცნიერების საზღვრებს, ჰუმანიტარულ მეცნიერებებში არ არის სხვა მეცნიერება, რომელსაც მოვლენები მსგავს კომპლექსში და ასახებაში აინტერესებდეს. ნათელი გარკვეული თვალსაზრისი აუცილებლობით განსაზღვრავს, როგორც მის საზღვრებს, ისე მთელ მის დამოუკიდებელ ბუნებას.

წინა თავში აღვნიშნეთ, რომ საბიბლიოთეკო პრაქტიკაში ვარჩევთ მუშაობის ორ სახეს, მეცნიერულსა და ტექნიკურს; მუშაობის ორივე სახე უთუოდ თავისებურად განსაზღვრავს თეორიულ ბიბლიოთეკათმეცნიერების სფეროში ორი მთავარი დარგის შექმნას. პრაქტიკულ-ტექნიკური სფერო შედარებით მცირე გასაქანს იძლევა თეორიული აზროვნებისათვის.

რაც შეეხება მეცნიერულ-პრაქტიკულ მუშაობას, აქ იმდენად რთული, მრავალმხრივი, თავსამტვრევი საკითხები იჭრება, რომ სწორედ ამის გამო ყველა კულტურულ ქვეყანაში საჭიროდ ცნეს დაეარსებიათ სპეციალური საუნივერსიტეტო კათედრები, ინსტიტუტები და სხვ. საკვლევო დაწესებულებანი ბიბლიოთეკათმეცნიერების შესასწავლად. ამ შემთხვევაში პედაგოგიკის, ლიტერატურათმცოდნეობის და სხვ. საკითხები ბიბლიოთეკათმეცნიერების სრულიად თავისებურ ნიადაგზე წყდება. აქ ჩნდება საკითხები: მკითხველთა შორის როგორ აღვძრათ ცხოველი ინტერესი გარკვეული საგნის მიმართ? როგორ ვუხელმძღვანელოთ მას ცალკეული ცოდნის დასაუფლებლად? რა სახით გავაკეთოთ რეფერატული, კრიტიკული, რეკომენდაციული, აღწერილობითი,[1] დეშიფრა-

[1] იხ. ჩემი წერილი „ანოტაციის საგნის საკითხისათვის". სახ. საჯ. ბიბ-კის შრომები, წიგნი IV გვ. 105-106.

ციული ანოტაცია, რათა უკეთ ჩავწვდეთ წიგნის არსში და გავხადოთ ის მკითხველთა ფართო სარგებლობის საგნად და სხვ.

საზოგადოების მოწინავე ნაწილი რწმუნდება, რომ ბიბლიოთეკათმეცნიერება საესებით უფლებამოსილი დისციპლინაა, შეიარაღებული მეცნიერებისათვის ყველა საჭირო ატრიბუტით. ამით აიხსნება ის დიდი ინტერესი, რომელსაც დღეს ყველა კულტურულ ქვეყანაში და პირველ რიგში ჩვენში იჩენენ საბიბლიოთეკო საქმისადმი. ბიბლიოთეკათმეცნიერება საკუთარი საგნისა და ამოცანების ადეკვატურად ახდენს ფაქტის დადგენას, მის კლასიფიკაციას, შემდეგ კვალიფიკაციას, დასასრულ, შესატყვისი დასკვნებისა და დებულებების ჩამოყალიბებას. ავიღოთ კონკრეტულად მკითხველის უშუალო მომსახურეობა. ბიბლიოთეკათმეცნიერება მოცემულ შემთხვევაში არკვევს, როგორია მომსვლელთა ჰასაკობრივი, პროფესიული და კულტურული მდგომარეობა, რა საგნისადმი იჩენენ ისინი განსაკუთრებულ ინტერესს (ფაქტის დადგენა), ცოდნათა რა დარგს განეკუთვნება ეს საგანი (კლასიფიკაცია), რით არის დაპირობებული, ვთქვათ, ჩვენს სინამდვილეში ისტორიულ-გეოგრაფიულ საგნისადმი განსაკუთრებული ინტერესი (კვალიფიკაცია)? (პასუხი: საბჭოთა პატრიოტიზმის ზრდა). მსჯელობა, გარკვეული დასკვნებისა და დებულების გამოყვანა იქნება უკანასკნელი გადამწყვეტი ინსტანცია აღნიშნული კვლევა-ძიების შესასრულებლად. ანალოგიური მოვლენები გვხვდება ბიბლიოთეკის სინამდვილის ყველა მნიშვნელოვან ნაწილში.

არცერთ მეცნიერებას არ აქვს საფუძველი ცოდნის ნაჩვენებ სფეროში შეედაოს ბიბლიოთეკათმეცნიერებას. შრომის მეცნიერული ორგანიზაცია (შმო) და ფსიქოტექნიკა ზოგადი ხასიათის საკითხებს არკვევს, მათი პრეტენზიები უნივერსალიზმზე სამუშაო ყველა დარგის ცოდნის შესახებ დღეს საყოველთაოდ უკუგდებულია. ბიბლიოთეკის სინამდვილეში არსებულ მუშაობის ცალკეული სახეების შესწავლა ბიბლიოთეკათმეცნიერების საქმეა. უაზრო ჩმახვაა, თითქოს ბიბლიოთეკათმეცნიერება სხვა მეცნიერებათა მონაპოვართ იტაცებდეს და მათ უზურპატორულად იყენებდეს. ბიბლიოთეკათმეცნიერება ყველგან დამოუკიდებელი სახით და გზით მიდის ბიბლიოთეკის სინამდვილის ნიადაგზე წამოჭრილ მოვლენების გადასაწყვეტად და მათ დამოუკიდებელ განსხვავებულ მიზანდასახულებითა და თვალსაზრისით წყვეტს.

ბიბლიოთეკათმეცნიერებაში დღეს საკითხი ისმის არა იმის შესახებ, თუ რამდენად გააჩნია მას ურყევი მეცნიერული საფუძვლები, არამედ იმაზე, თუ როგორია მისი სტრუქტურა, ორგანიული წყობა, როგორც ახლად ჩამოყალიბებული მეცნიერებისა. ამ მხრივ ყველაფერი გადაჭრილი და მოგვარებული არ არის ბიბლიოთეკათმეცნიერებაში. გავერკვეთ ზოგადად, თუ რას წარმოადგენს საბიბლიოთეკო ტექნიკური დარგები.

## საბიბლიოთეკო ტექნიკური დარგები

საბიბლიოთეკო ტექნიკა არის ერთობლიობა მუშაობის იმ ხერხებისა, რომლებიც არ მოითხოვს მაღალ განათლებას და პრაქტიკული ვარჯიშობის შედეგად გამოყენებულია წიგნის საბიბლიოთეკო დაცვისა და დამუშავებისათ-

ვის. ბიბლიოთეკის სინამდვილეში ტექნიკური სახის სამუშაო მეტწილად სამეცნიერო მუშაობის გვერდით მიმდინარეობს. ხშირად განყოფილების მომუშავეთა საქმიანობა წმინდა მექანიკურ ოპერაციებს წარმოადგენს, მაგრამ ხელმძღვანელი ტექნიკურთან ერთად მაღალკვალიფიციურ სამუშაოს ასრულებს. მოცემულ შემთხვევაში ჩვენ ტექნიკური ხასიათის სამუშაოები გვაინტერესებს.

საკმარისია სამეცნიერო ბიბლიოთეკის (კონკრეტულ შემთხვევაში საქართველოს სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკა) სტრუქტურა სქემატურად გავითვალისწინოთ, რომ აშკარად შევნიშნოთ სამი სახის ტექნიკური სამუშაო: წიგნის დაცვა, საბიბლიოთეკო დამუშავება და წიგნით მომსახურეობა.

პირველი სახის სამუშაოს განეკუთვნება: შეკვრების გახსნა, ჯამადი აღრიცხვა, ინვენტარიზაცია, აქტის შედგენა, კონტროლი. წიგნის დამუშავების ოპერაციებს შეადგენს: კლასიფიკაცია-კატერიზაცია, აღწერა, რედაქცია, მულტიპლიკაცია, კორექტურა, მონტაჟი და სხვ. წიგნით ტექნიკურ მომსახურეობას შეადგენს: ახლად მიღებული წიგნების გამოფენა, წიგნის მოძებნა, წიგნის მკითხველზე გადაცემა და სხვ. მოცემულ საგნებს შეიძლება მეოთხე ტექნიკური ხასიათის დარგი მიემატოს, სადაც სპეციალურად ბიბლიოთეკის რაციონალურად მოწყობის საკითხები განიხილება. ამგვარად მივიღებთ ოთხ ტექნოლოგიურ სპეციალურ ნორმატიულ საგანს. ოთხივე საგანში სხვადასხვა გზით და თვალსაზრისით დამუშავდება საბიბლიოთეკო ტექნიკური ნორმები და საკითხები.

საზოგადოდ საბიბლიოთეკო მუშაობაში არაფერი ისე მავნებელი არ არის, როგორც მტკიცე სტანდარტული წესების უქონლობა. ცალკეულმა საგანმა ყოველმხრივ უნდა შეისწავლოს მუშაობის პროცესში შესაძლებელი კაზუსები, მოვლენები, რათა ბიბლიოთეკარს ადგილი არ რჩებოდეს თვითნებური წესები და ზოგჯერ გაუმართლებელი კაპრიზები უხეშად თავზე მოახვიოს ბიბლიოთეკას და ამით შექმნას განწყობილება საბიბლიოთეკო მტკიცე ნორმების წინააღმდეგ.

აქვს თუ არა დასახელებულ სამუშაოებს იმდენად განსაზღვრული შინაარსი, რომ მათ დამოუკიდებელი არსებობის უფლება მიენიჭოთ? ჩვენ ამ კითხვაზე დადებითად ვუპასუხებთ.

ავიღოთ წიგნის დაცვის საქმე. აქ უნდა შეისწავლებოდეს არამარტო წიგნის გახსნის, ჯამადი აღრიცხვის, ზედნადებთან შედარების, ინვენტარიზაციის, აქტის შედგენის, კონტროლის გაწევის და სხვა წესები, არამედ უნდა დამუშავდეს აგრეთვე წიგნის მოვლის, გაწმენდის, ქურდობისაგან და ჩრჩილისაგან დაცვის, წიგნის შეკინძვის, შეკეთების, წიგნთმკურნალობისა და სხვა მსგავსი მოვლენები. როგორც ვხედავთ, წიგნის დაცვა იმდენად ფართო და მრავალმხრივი საკითხია, რომ მისი ცალკეულ საგნად გამოყოფა უთუოდ უნდა გამართლდეს.

საბიბლიოთეკო რაციონალიზაციაში დამუშავდება ბიბლიოთეკის არქიტექტურისა და საერთო მშენებლობის საკითხები, სახელდობრ, როგორი შენობა გვესაჭიროება, როგორი თაროები, სკამი, ფანჯრები, ცალკეულ სამუშაოების რაციონალურად გარდაქმნისა და ახალ საწყისებზე გადაყვანისათვის მუშაობის

რა ხერხების გამომუშავებაა საჭირო და სხვ. დასმული საკითხების გადაწყვეტა აღემატება ბიბმცოდნეობის მუშაკთა სპეციალობას. ამისთვის ბიბმცოდნეობა გარედან იწვევს არქიტექტორებს, ნორმადარებს, შრომის მეცნიერულ ორგანიზაციისა და ფსიქოტექნიკის სპეციალისტებს. ეს უკანასკნელნი ზოგადად იცნობენ საკითხებს, მაგრამ ბიბლიოთეკის სინამდვილეს არ იცნობენ. ბიბმცოდნეობის კაბინეტში, პირიქით, ბიბლიოთეკის ვითარებას ზედმიწევნით იცნობენ, მაგრამ ცუდი არქიტექტორები და ნორმადარები არიან. შეერთებული ძალებით, ურთიერთ კონსულტაციისა და თანამშრომლობის გზით შეიძლება საკითხი გაირკვეს და დამუშავდეს საბიბლიოთეკო რაციონალიზაციის ყველა საკითხი.

მეოთხე საგნად ჩვენ მკითხველის ტექნიკური მომსახურეობა მივაჩნია. წიგნის თაროზე განლაგება, წიგნის ძიება და ნაწილობრივ აბონემენტზე მომუშავეთა საქმიანობაზე სახელმძღვანელო წესების დამუშავება—აღნიშნული საგნის საქმეა. ერთი შეხედვით, აქ თითქოს შედარებით მცირე საკითხებია თავმოყრილი, მაგრამ მარტო წიგნის თაროზე განლაგების საკითხი იმდენ შესაძლებელ თვალსაზრისისა და სისტემის შექმნას იწვევს, რომ კერძოდ ეს მოვლენა გვავალებს უდაოდ ვცნოთ მისი დამოუკიდებელი ბუნება. ჩვენ სავსებით ვეთანხმებით კლენოვს, როცა ის ამბობს, რომ „როგორც კლასიფიკაცია, ისე წიგნების განლაგება ძლიერ მნიშვნელოვანი მომენტია საბიბლიოთეკო მუშაობაში; თუ მასთან არასაკმაო ყურადღებით მიეკიდებით, ამით ბიბლიოთეკის მუშაობას შეგვიძლია მეტისმეტად დიდი ზიანი მივაყენოთ“ (Кленов. Библиотечная техника. М., 1936. გვ. 90. ხაზი ჩვენია). წიგნის განლაგების, წიგნის მოძებნის, წიგნის გაცემის წესების შესახებ სათანადო სახელმძღვანელოს შექმნით საბოლოოდ განვამტკიცებთ საბიბლიოთეკო მექანიზმს, რომელიც წიგნის მკითხველზე სწრაფად და უკეთ მიწოდების ამოცანებს ემსახურება. ამ ოთხივე სამუშაოს საჭირო სიმაღლეზე დაყენება უთუოდ გულისხმობს ცალკეულ თეორიულ-ტექნოლოგიურ საგნების შექმნას. როგორ ავაგოთ თეორიული ტექნოლოგია?

## საბიბლიოთეკო თეორიული ტექნოლოგია

თეორიული ტექნოლოგია თავის კვლევითს ნააზრევში შეიცავს წიგნთდაცვის, დამუშავების, ტექმომსახურეობის და ბიბრაციონალიზაციის საკითხებს. მისი მიზანი უნდა იყოს წმინდა საბიბლიოთეკო ტექნიკურ-გამოყენებითი სახეების თეორიული შესწავლა და გარკვევა.

ცალკეული ტექნიკური ოპერაციები შეისწავლება ან უშუალო დაკვირვებით, ან სათანადო ექსპერიმენტების მოხდენით და ტექნიკური ლაბორატორიული კვლევით. საბიბლიოთეკო თაროების, დგამების, შენობის აგებისა და გაფორმების საკითხები დაკვირვებით შეისწავლება. დროის ოპტიმალური გამოყენების, რაციონალური მუშაობის ხერხები შეიძლება ლაბორატორიული კვლევით შემუშავდეს. თეორიული ტექნოლოგიის სფეროში საკმაოდ რთული საკითხები იყრის თავს. მასში მოქცეულ თითოეულ პრობლემას შეიძლება მიეძღვნას სპეციალური გამოკვლევა. თეორიული საგანი ოთხივე დარგს (წიგნთდაცვა,

წიგნთდამუშავება, ტექმომსახურეობა და ბიბრაციონალიზაცია) თანმიმდევრულ წესრიგში მოიყვანს და შემდეგ თეორიულ კურსში სისტემატურად დაალაგებს იმ ძირითად თვალსაზრისებს და თეორიებს, რომლებიც არსებობს ცალკეული საგნების გაგების ირგვლივ.

შეუძლია თუ არა თეორიულ ტექნოლოგიას თავის საზღვრებში მოათავსოს ის საკითხები, რომლებსაც აღნიშნული საგნები იყენებენ?

ჯერჯერობით თითოეული ამ დარგის თეორიული სფერო იმდენად არ არის გართულებული და გამრავალმხრივებული, რომ მისი დატევა არ შეეძლოს თეორიულ ტექნოლოგიას. უეჭველია სხვადასხვა ხარისხით თითოეულ ხსენებულ დარგს გააჩნია ტენდენცია, ასე ვსთქვათ ერთგვარი „სეპარატიზმისაკენ“, მაგრამ დღევანდელ საბიბლიოთეკო განვითარების ეტაპზე ნაადრევია მათი ცალ-ცალკე თეორიულ მეცნიერებად ჩამოყალიბება. ვიდრე საჭირო წინაპირობები სათანადოდ არ არის შემზადებული, თეორიული ტექნოლოგია რჩება ერთადერთ მეცნიერებათ, რომელშიც საბიბლიოთეკო ტექნოლოგიური პრობლემები თეორიულად დაისმება და გაშუქდება.

## პრაქტიკულ-მეცნიერული ნორმატიული საგნები

საბიბლიოთეკო პრაქტიკული სამეცნიერო მუშაობის სახეებად უნდა ჩაითვალოს ორგანიული ბიბლიოგრაფია, ინფორმაცია, კონსულტაცია, მკითხველის უშუალო მომსახურეობის ზოგიერთი ფორმა, დაკომპლექტება, წიგნის აქტუალობის მიხედვით განაწილება, რეალური კატალოგების შედგენის ხელმძღვანელობა, რუბრიკაცია, კლასიფიკაცია და სხვ.

აქედან ორგანიული ბიბლიოგრაფია უახლოვდება ლიტერატურათმცოდნეობას (ნაწილობრივ ისტორიას); ინფორმაცია, კონსულტაცია, მკითხველის უშუალო მომსახურეობა—პედაგოგიკას; წიგნის დაკომპლექტება, აქტუალობის მიხედვით განაწილება, რუბრიკაცია, რეალური კატალოგების შედგენა და სხვ. იმანენტურ ბიბლიოლოგიას, კლასიფიკაცია—აზროვნების ისტორიას.

დასახელებულ საგანთა შესაბამისად შეიძლება შეიქმნას: პრაქტიკული ორგანიული ბიბლიოგრაფია, საბიბლიოთეკო პედაგოგიკა, იმანენტური ბიბლიოლოგია, საბიბლიოთეკო კლასიფიკაცია. ოთხივე საგანი თავის მხრივ უნდა წარმოადგენდეს ზუსტ და კეთილსაიმედო სახელმძღვანელოს ცალკეულ დარგებში არსებული მოვლენების შესასწავლად.

ორგანიულ ბიბლიოგრაფიაში პრაქტიკულმა კურსმა უნდა აგვიხსნას: რა შესაძლებელი ანოტაციის ფორმები არსებობს საზოგადოდ. რა შეადგენს მათ თვისებებს, როგორი გზები არსებობს საბიბლიოგრაფიო კვლევითი მუშაობისათვის, რა წყაროები (ცნობარები, მაჩვენებლები) არსებობს განსაზღვრულ მოვლენაზე ბიბლიოგრაფიის შესადგენად და სხვ.

საბიბლიოთეკო პედაგოგიკა სასკოლო პედაგოგიკისაგან განსხვავებით აგვიხსნის მკითხველის უშუალო მომსახურეობის ძირითად წესებს: როგორ მოვეპყრათ გარკვეული ჰასაკის, ცოდნის, პროფესიისა და სპეციალობის მკითხველს, რა ხასიათის დარიგება მივცეთ მათ, როგორ ვასწავლოთ წიგნზე ნაყოფიერი, მიზანშეწონილი მუშაობა, რა სახის ზემოქმედებით აღვძრათ მასში საჭირო

ცოდნისადმი მძაფრი წყურვილი და სხვ. სპეციალური ბიბლიოლოგია უნდა აიგოს საბიბლიოთეკო განსხრით. ის უნდა შეიცავდეს წიგნის შინაარსეული ცოდნის ყველა აუცილებელ ელემენტს. წიგნის ზოგადი, ენციკლოპედიური ცოდნის გარეშე შეუძლებელია სერიოზული, შეგნებული დაკომპლექტების, წიგნის აქტუალობის მიხედვით განაწილების, თუ რეალური კატალოგების შედგენის ხელმძღვანელობა.

საბიბლიოთეკო კლასიფიკაცია ჩვეულებრივ არსებულ ბიბლიოთეკის სინამდვილეში შეფარდება და გამოყენებაა. ის უნდა წარმოადგენდეს მარტივ, ადვილმისაწვდომ სახელმძღვანელო წესებს წიგნის კლასიფიკაციისათვის.

ოთხივე სპეციალური საგანი განსაკუთრებული სიღრმითა და მოფიქრებით უნდა დამუშავდეს, რათა მეცნიერულ მუშაკს ყოველ მხრივ გაუადვილდეს სამეცნიერო შემოქმედებითი მუშაობის ფართოდ გაშლა ბიბლიოთეკის საზოგადოებრივ თვითგანვითარების მთავარ ცენტრად გადაქცევის მიმართულებით. პრაქტიკული სამეცნიერო დარგები პრაქტიკულ-ტექნოლოგიურ საგნებისაგან აუცილებლად სპეციალურ ჰუმანიტარულ განათლებას მოითხოვს. პრაქტიკულ ტექნოლოგიურ დარგში მთავარი ადგილი მასალის საღად ათვისებას უჭირავს. ტექნოლოგიური წესების ზუსტი ცოდნა და მცირე დახელოვნება უკვე ძირითადში წყვეტს მუშაკის კვალიფიკაციის საკითხს.

სულ სხვაა პრაქტიკულ-მეცნიერული საგნის ათვისების საკითხი. როცა თანამშრომელი ახლოს ვერ იცნობს იმ თეორიულ მეცნიერებას, რომელიც განსაზღვრულ პრაქტიკულ საგანს უნათებს გზას, ის ამაოდ ჰკარგავს ენერგიას ამ უკანასკნელის დასაძლევად.

ტექნიკურ მუშაკისთვის არ არის აუცილებელი (სასურველია), თუ თეორიულ ტექნოლოგიაში როგორ შესაძლებელ გადაწყვეტას იღებს რომელიმე ტექნიკური ხასიათის ოპერაცია. მეცნიერული მუშაკისთვის პრაქტიკული საგნის გვერდით მისი თეორიული მხარის ცოდნა მთავარი, აუცილებელი პირობაა ნორმალური სამეცნიერო მუშაობისათვის.

რას წარმოადგენს თეორიული სამეცნიერო საბიბლიოთეკო დარგები?

## თეორიული ორგანიული ბიბლიოგრაფია

თეორიული ორგანიული ბიბლიოგრაფია სამი ელემენტისაგან შედგება: 1) წიგნის ბიბლიოგრაფიული აღწერილობა, 2) ბიბლიოგრაფიული ძიება და 3) წიგნის შინაარსეული გამოვლენა. პირველ ნაწილში ის ბიბლიოლოგიას ემყარება, მეორე ნაწილში—ისტორიულ-კვლევით მეთოდს, უკანასკნელში ლიტერატურათმცოდნეობას უახლოვდება.

გეორგ შნაიდერის დეფინიცია ბიბლიოგრაფიის საგნისა, როგორც მოძღვრება ლიტერატურის აღწერის შედგენის შესახებ, დღეს მოძველებულ და ცალმხრივ განსაზღვრად უნდა ჩაითვალოს. ორგანიული ბიბლიოგრაფიის ყველაზე რთულ და სერიოზულ ნაწილს დასახელებული ორი უკანასკნელი ელემენტი შეადგენს, შნაიდერის განმარტებით კი სწორედ ეს ორი მომენტია უგულებელყოფილი.

ბიბლიოგრაფიული კვლევის დროს ბიბლიოგრაფის განკარგულებაში არასოდეს არ არის რაიმე სტანდარტულად ჩამოქნილი წესები. ცნობარები და მაჩვენებლები მხოლოდ ნაწილობრივ ადევილებენ ძიებითს მუშაობას, ძირითადში ფართო ჰუმანიტარული განათლება, განსაკუთრებით კულტურისა და საზოგადოებრივი აზრის ისტორიის საფუძვლიანი ცოდნაა საჭირო იმისათვის, რომ წინასწარ განვსაზღვროთ საძიებელი სფერო. მუშაობის ამ ნაწილში ბიბლიოგრაფი ისტორიის კვლევა-ძიებითი ხერხებით ხელმძღვანელობს; ავიღოთ, მაგალითად, საძიებელი თემა: თორთომ-ისპირის და ტაოკლარჯეთ-ჭანეთის შესახებ, ან კიდევ ქართველი ნეოპლატონიკოსები.

ბიბლიოგრაფი ნაჩვენებ მომენტში ისტორიკოსის როლში გამოდის. მისი პირველი კითხვა იქნება: რა საგანს განეკუთვნება საძიებელი თემა? მეორე კითხვა: როდის შეიძლებოდა აღნიშნულ თემაზე განსაკუთრებით ეწერათ? პასუხი დასმულ საკითხებზე გულისხმობს ამოცანის ნახევრად გადაწყვეტას. წინაალმდეგ შემთხვევაში უმწეო დაბნეულობა და უნაყოფო შრომა ბიბლიოგრაფის აუცილებელი ხვედრია.

წიგნის შინაარსეულ გამოვლენის წესები ლიტერატურულ კრიტიკას უახლოვდება. თხზულების შინაარსის დალაგება კრიტიკული განხრით—ეს წმინდა ლიტერატურული კრიტიკის ნაირსახეობაა, მაგრამ აქ თავდება მსგავსება და იწყება განსხვავება. საქმე იმაშია, რომ ნაწარმოების ბიბლიოგრაფიული გარჩევა, რომელიც ჩვეულებრივ პერიოდულ გამოცემებში გვხვდება, საგრძნობლად განსხვავდება საბიბლიოთეკო ბიბლიოგრაფიისაგან. ე. წ. ლიტერატურული ბიბლიოგრაფია წარმოადგენს წიგნის შინაარსის თავისუფალ, მოკლე თხრობას კრიტიკული თვალსაზრისით. ის მხოლოდ ერთს, ნახევრად სტანდარტულ, მარტივ ფორმას ემორჩილება, მას მხოლოდ ორი კითხვის გაშუქება აინტერესებს: 1) შინაარსი თხზულებისა და 2) გაკვრითი შეფასება. ამას გარდა, მას არ გააჩნია მტკიცედ დადგენილი ზომა, ბეჭდური ნიშნების რაოდენობის განსაზღვრა.

საერთო მეცნიერული ბიბლიოგრაფია[1] (ანოტაცია) მრავალსახოვანია, ზომით განსაზღვრულ და მკაცრს წერითს ნორმებს ექვემდებარება. საბიბლიოთეკო ბიბლიოგრაფიაში დაუშვებელია მრავალსიტყვაობა, ის ზუსტად და თანმიმდევრულად იცავს მეტყველების ლაკონიურ მოკვეთილობას. ის მრავალმხრივი თვალსაზრისით, ასპექტით ახდენს თხზულების მალურ პოტენციურ კრიტიკას.

რეფერატულ ანოტაციის დროს—ბიბლიოგრაფი წიგნს შემდეგ ელემენტების მიხედვით აშუქებს: 1) თხზულების ტიპის განსაზღვრა, 2) ავტორის მთავარი ამოცანების გამომჟღავნება, 3) კვლევითი მეთოდის გამომჟღავნება, 4) ავტორის მთავარი დასკვნები, 5) სკოლის ჩვენება, რომელსაც ავტორი ეკუთვნის, 6) ავტორის სოციალ-პოლიტიკური ფიზიონომია, 7) არსებული ილუსტრაციები, სტატისტიკური თუ სხვა მასალები, განსაკუთრებით პირველად გამოყენებული, 8) წყაროები, რომლების საფუძველზე შესრულებულია შრომა, 9) სხვადასხვა გვარის დამატებები, მაჩვენებლები, 10) ბიბლიოგრაფიული მასალები,

[1] არ ვგულისხმობთ პოპულარულ გაზეთ-ჟურნალის ბიბლიოგრაფიას.

მრომაში გამოყენებული, 11) არსებული წინასიტყვაობა და შესავალი სტატიები, თუ ისინი მნიშვნელოვანია თავისი მოცულობით და შინაარსით და ეკუთვნიან სხვა ავტორს და თუ მათში განმარტებულია მოცემული თხზულების ხასიათი და სხვ. (შამურინი. გვ. 223).

დაახლოვებით ასეთი მტკიცე ნორმების შესრულება მოეთხოვება ანოტაციის სხვა სახეებსაც. ყველა ეს წესი გამომუშავებულია ბიბლიოგრაფიის პრაქტიკის ნიადაგზე.

როცა ორს—საბიბლიოთეკო და ლიტერატურულ-ბიბლიოგრაფიულ ფორმას ადარებთ, გეჩვენებათ, თითქოს ლიტერატურათმცოდნეობის სამყაროში სრულიად მივიწყებული უბანი (ბიბლიოგრაფია) უხურპატორულად მითვისა ბიბლიოთეკათმეცნიერებამ და შემდეგ „დაპყრობილი ქვეყანა“ თავის „პედანტურ“ წესრიგს დაუქვემდებარა. ჩვენ ეს აზრი ძირშივე მცდარად მიგვაჩნია.

ვინც ანოტაციის წარმოშობის ისტორიას იცნობს, მან არ შეიძლება არ იცოდეს, რომ თავდაპირველად ანოტაცია წიგნზე შენიშვნის უმარტივესი ფორმა იყო. ის სქედოგრაფიულ-კატალოგრაფიულ აღწერილობის უმნიშვნელო დანართს წარმოადგენდა. შემდეგ იწყება მისი სქედოგრაფიისაგან გამოყოფა, შეუჩერებელი თანდათანობითი განვითარება. სპეციფიკური პირობების გამო ზომითა და მოცულობით ის ძლიერ ნელა იზრდებოდა, სამაგიეროდ იმუშავებდა ფრიად რთული შინაარსის გამოვლენის წესებს, რომლებზე დაყრდნობით და დამყარებით შესაძლებელი ხდებოდა მცირე მოცულობის ფორმაში წიგნის ყველა არსებითი მხარის გამოხატვა, ე. წ. ლიტერატურული ბიბლიოგრაფია კი, პირიქით, ფართო ლიტერატურული კრიტიკის შემოკლების ცდას წარმოადგენს; მას განვითარების გეზი ფართო მოცულობიდან მცირე ზომისაკენ აქვს აღებული.

ამ ორმხრივი, ერთიმეორის საპირისპირო პროცესის შედეგად შეიქმნა ისეთი მდგომარეობა, როცა ლიტ. და ბიბლ. ბიბლიოგრაფიები ერთმანეთს თითქმის გაუტოლდა. აქედან იწყება საკითხის დასმა, რომელი გვევლინება „გამძარცველად“ და რომელი „დაზარალებულად“. სალიტერატურო ბიბლიოგრაფია უხუცესია საბიბლ. ბიბლიოგრაფიაზე. ამრიგად, „ბუნებრივად“ საკითხი გადაწყდა ლიტ. ბიბლიოგრაფიის სასარგებლოდ. დასკვნა, რა თქმა უნდა აჩქარებული, ზერელე მსჯელობის შედეგია.

ბიბლიოთეკათმეცნიერება აუცილებლად სალიტერატურო ნორმებს ემყარებოდა, როცა ანოტაციის წესებსა და ფორმებს იმუშავებდა, მაგრამ მას სალიტ. ბიბლიოგრაფიისაგან არაფერი აუღია მზამზარეულად. ბიბლიოთეკათმეცნიერება საკუთარ ამოცანებისა და მიზნების შესაბამისად ეძებდა და ადგენდა საჭირო წესებს. სწორედ ამიტომ მისთვის, ვინც მის მექანიზმს იცნობს, სრულიად ნათელია, რომ საბიბლიოთეკო ბიბლიოგრაფია ე. წ. სალიტერატურო ბიბლიოგრაფიასთან შედარებით სრულიად ახალ ქვეყანას წარმოადგენს. ამდენადვე ამ ნაწილში ორგანიული ბიბლიოგრაფია მხოლოდ უახლოვდება და არ უდრის სალიტერატურო ბიბლიოგრაფიას.

თუ ამას მიეუმატებთ ბიბლიოგრაფიის ორ ელემენტს—ისტორიულ-ძიებითსა და წიგნის აღწერის მომენტს, ჯკვე ცხადი გახდება, თუ თეორიულ-ორ-

განიული ბიბლიოგრაფიას რამდენად მყარი საფუძველი გააჩნია იმისათვის, რომ ის დამოუკიდებელ თეორიულ საგნად გამოვყოთ ბიბლიოთეკათმეცნიერების დისციპლინებში. ბიბლიოთეკათმეცნიერების თეორიული დარგებიდან არცერთი საგანი არ იძლევა ისეთ ფართო სარბიელს პრობლემების დასმისა და თეორიული აზროვნებისათვის, როგორც ორგანიული ბიბლიოგრაფია.

საზოგადოებრივ-კულტურული ცხოვრების გართულებამ, წიგნადი ფონდის უჩვეულო ზრდამ მძაფრად მოითხოვა მკითხველისათვის დახმარების გაწევა წიგნის შინაარსის გარკვევის საქმეში.

მკითხველი დღეს დეზორიენტირებულად გრძნობს თავს ბეჭდვითი ერთეულების სიმრავლისა და უსაზღვროების წინაშე. ერთადერთი მეცნიერება, რომელიც თავზე იღებს დაეხმაროს მკითხველს ამ სიძნელეების დასაძლევად, არის ბიბლიოგრაფია. ორგანიული ბიბლიოგრაფია, არა მარტო უფლებამოსილი მეცნიერული დისციპლინაა, არამედ ყველა სხვა მეცნიერების წინაპირობის შემამზადებელი, გზის გამკვლევი დისციპლინაა. საჭირო ბიბლიოგრაფიის შედგენის გარეშე რაიმე ღირებული მეცნიერული შრომის დაწერა წარმოუდგენელია. სამეცნიერო მასალის ბიბლიოგრაფიული სისტემატიზაციისა და დამუშავების გარეშე არცერთ მეცნიერებას არ ძალუძს ძლევამოსილად წავიდეს წინ აღმავალი განვითარების ხაზით. ამ გაგებით ორგანიული ბიბლიოგრაფია, თუ გნებავთ, ერთგვარ არტილერიის როლს ასრულებს სხვა მეცნიერებათა წინსვლის საქმეში.

## თეორიული საბიბლიოთეკო პედაგოგიკა

პედაგოგიკა, როგორც მეცნიერება აღზრდის შესახებ, გულისხმობს აღმზრდელისაგან გეგმაშეწონილ ხანგრძლივ ზემოქმედებას აღსაზრდელზე, ამ უკანასკნელში ბუნებრივ და სოციალურად სასარგებლო თვისებათა გამომუშავების მიზნით. სასკოლო პედაგოგიკას საბიბლიოთეკო პედაგოგიკასთან ზოგადი პედაგოგიური მომენტები აერთიანებს. არსებითად კი მათ შორის საგრძნობი განსხვავებაა, როგორც მიზანდასახულების, ისე ამოცანების მიხედვით.

სასკოლო პედაგოგიკა თავის ზემოქმედებას ადამიანთა განსაზღვრულ კონტინგენტზე აწარმოებს სისტემატურად და პროგრამულად. მისი მთავარი მიზანია მოსწავლეთა აღზრდა, სწავლა, განათლება. მას აქვს აღსაზრდელზე ხელმძღვანელობის გაწევის უფლება. საბიბლიოთეკო პედაგოგიკა მთავარ ამოცანად მასების განათლება-თვითგანვითარებას ისახავს; მას არ გააჩნია პერიოდულად, გარკვეულად შერჩეული მკითხველთა კონტინგენტი; მას არც თუ საეალდებულო ხელმძღვანელობის უფლება აქვს ამ უკანასკნელზე.

საბიბლიოთეკო პედაგოგიკა თავის პროცესს მასების სურვილის და თვითგამორკვევის საფუძველზე აწარმოებს; ის მასების თვითგანვითარების ხელმძღვანელობას ურთიერთგაგების, მასების საჭიროების და მოთხოვნილების ნიადაგზე ამყარებს. აქ ბიბლიოთეკარსა და მკითხველს შორის სრულიად თავისუფალი შეგნებული კავშირია, კოორდინაციაა, ნაცვლად სასკოლო სუბორდინაციული მიმართებისა მასწავლებელსა და მოსწავლეს შორის.

სასკოლო პედაგოგიკას მოსწავლეთა სწავლა-აღზრდისათვის ძირითადში ოთხი ფორმა გააჩნია; გაკვეთილი, ლექცია, პრაქტიკუმი, სემინარი.

საბიბლიოთეკო პედაგოგიკის განკარგულებაში მკითხველთა მასაზე ზემოქმედების ფორმებად ითვლება: საკატალოგო, დარბაზი (წიგნთა და პერიოდიკათსაცავი), კაბინეტები, საბიბლიოგრაფიო-საინფორმაციო, საკონსულტაციო და მკითხველთა მასობრივი განყოფილებები.

გავარჩიოთ გაკვრით ცალცალკე საბიბლიოთეკო პედაგოგიკის დასახელებული სახეები.

პირველ რიგში, მკითხველი წიგნის შერჩევისათვის მომუშავე კატალოგისტს მიმართავს. კატალოგისტის მოვალეობას შეადგენს მკითხველს ასწავლოს არა მარტო გზების გაგნება სხვადასხვა სახის კატალოგებში, არამედ შესაძლებელი არაუშუალო დარგებშიც, სადაც მკითხველს სასარგებლო მასალის მიღება შეუძლია. კატალოგისტს უნდა შეეძლოს მკითხველს შეურჩიოს ადვილად მისაწვდომი ლიტერატურა, მისცეს ზოგიერთი მარტივი ხასიათის რჩევა-დარიგება და სხვ.

დარბაზის მომუშავენი უშუალო წიგნით ემსახურებიან მკითხველს. მათ ხელში აქვთ ის წიგნი, რომელიც მკითხველმა გამოიწერა განსაზღვრული საგანში. დარბაზის მომუშავეს აქვს საშუალება გაიცნოს მკითხველთა ინტერესი, გაერკვეს იმაში, თუ გამოწერილი წიგნი რამდენად აკმაყოფილებს და უპასუხებს მკითხველის მოთხოვნილებას. სათანადო დაკვირვების ნიადაგზე მას შეუძლია დაეხმაროს მკითხველს პრაქტიკული რჩევა-დარიგებით. მკითხველთა დეზიდერატის შესწავლით შეიმუშაოს საღი პედაგოგიური მეთოდები მკითხველთა განათლება-განვითარებისათვის.

სამეცნიერო სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკაში (საქ. სინამდვილეში) კატალოგის-დარბაზის მომუშავეს უმთავრესად ზოგადი ჰუმანიტარული განათლება მოეთხოვება, კაბინეტების მომუშავეთათვის ძირითადში იმ სპეციალობის ცოდნაა აუცილებელი, რომელშიც მათ უხდებათ მუშაობა. კაბინეტის მომუშავე ზედმიწევნით უნდა იცნობდეს თავისი კაბინეტის საგანს და ის მკითხველს ცხოველად და ენერგიულად უნდა შეელოდეს რომელიმე ცალკეულ ვიწრო საკითხზე საჭირო ლიტერატურის ზუსტად და სწრაფად შერჩევაში.

საბიბლიოგრაფიო-საინფორმაციო საკონსულტაციო განყოფილება მკითხველთა შორის სამი სახის მუშაობას ატარებს: ბიბლიოგრაფიულს, ინფორმაციულს და კონსულტაციურს. ბიბლიოგრაფიული მომსახურეობა წერილობითი ფორმით სრულდება. მკითხველს ეძლევა რომელიმე საგანზე წერილობითი ბიბლიოგრაფია სათანადო ზეპირი კონსულტაციით. ინფორმატორი-ბიბლიოგრაფი იძლევა არსებითი ხასიათის ცნობებს რომელიმე მოვლენის შესახებ, მკითხველს უმარტავს ცალკეულ საკითხებს, მოაგონებს დავიწყებული თხზულების სათაურს, ავტორს, რომელიმე გეოგრაფიულ ან ისტორიულ სახელს და სხვ. კონსულტაცია სპეციალურ საგნებში, რომელსაც ჩვეულებრივად სპეციალური საგნის პროფესორები აწარმოებენ სამეცნიერო ბიბლიოთეკებში საბიბლიოთეკო პედაგოგიკის ყველაზე ტიპიურსა და მაღალ ფორმას წარმოადგენს. კონსულტანტი არ კმაყოფილდება ინფორმაციული ცნობების მიწოდებით, ის მკითხველს ვრცლად და ყოველმხრივ უხსნის და უმარტავს რომელიმე ვიწრო რთულ ასათვისებელ საგანს. თუ მკითხველი მ ო ი ს ურ ვ ე ბ ს, კონსულტანტი მას ხან-

გრძლივად უწევს საჭირო სისტემატურ ხელმძღვანელობას და სხვ. საბიბლიოთეკო პედაგოგიკის ეს უკანასკნელი სახე ბევრი რამით უახლოვდება სასკოლო პედაგოგიკას. აქ განმასხვაებელ მომენტად მაინც ზემოაღნიშნული მდგომარეობა რჩება, სახელდობრ ის, რომ ყოველგვარი სუბორდინაციის გარეშე სრულიად თავისუფალი კავშირია მკითხველსა და კონსულტანტს შორის.

დასასრულ, საბიბლიოთეკო პედაგოგიკის მნიშვნელოვან დარგს წარმოადგენს მასობრივი მომსახურეობის განყოფილება. ეს განყოფილება სპეციალურად იწვევს საუკეთესო სპეციალისტებს პოლიტიკურ, აკადემიურ საკითხებში ლექციების ჩასატარებლად მკითხველთა შორის მასების თვითგანვითარებისა და კულტურულ-პოლიტიკური დონის ამაღლებისათვის. მასობრივი მომსახურეობის განყოფილება მსურველ მკითხველთაგან ადგენს წრეებს წიგნზე მუშაობის მეთოდიკის შესწავლისათვის და ბიბლიოთეკარებსა და მკითხველთა შორის ურთიერთნდობისა და გაგების ატმოსფეროს დასამყარებლად. ესვე განყოფილება აწყობს სარეკომენდაციო ლიტერატურის სიის გამოკვრას, სპეციალურ გამოფენებს მკითხველებზე ყოველმხრივი პედაგოგიური ზემოქმედების მიზნით.

როგორც ვხედავთ, საბიბლიოთეკო პედაგოგიკის ამოცანები ფრიად ვრცელი და პატივსადებია. პრაქტიკულ-პედაგოგიურ მეცნიერულ მუშაობაში იჭრება ძლიერ სერიოზული და რთული პრობლემები. თეორიულმა საბიბლიოთეკო პედაგოგიკამ ღრმად უნდა შეიგნოს თავისი განმასხვაებელი სპეციფიკა და თავისი თეორიული საფუძვლები ააგოს ახალ საწყისებზე, თავისი ამოცანების შესაბამისად. თეორიული საბიბლიოთეკო პედაგოგიკა, როგორც ამას მოითხოვს დღევანდელი სამეცნიერო ბიბლიოთეკების ინტერესი, მხოლოდ ახლა ჩაისახა, ისევე, როგორც სხვა თეორიული საბიბლიოთეკო საგნები (თუ არ ჩავთვლით ორიოდე საგანს).

## თეორიული ბიბლიოლოგია

ბიბლიოლოგიის ბიბლიოთეკათმეცნიერებასთან მიმართების შესახებ რამდენიმე მოსაზრება არსებობს. პირველი თვალსაზრისის მიხედვით, წიგნთმცოდნეობა გაცილებით ფართო ცნებაა, ვიდრე ბიბლიოთეკათმეცნიერება. ეს უკანასკნელი „წიგნთმცოდნეობის მხოლოდ შემადგენელი ნაწილია, დინამიური განყოფილება" და სხვ. მეორენი მიისწრაფიან გააიგივეონ ბიბლიოთეკათმეცნიერება ბიბლიოლოგიასთან.

არის მესამე შეხედულება, სადაც წიგნთმცოდნეობას უარყოფენ, როგორც ცალკეულ მეცნიერულ დისციპლინას და იგი ბიბლიოთეკათმეცნიერების უბრალო ნაწილად მიაჩნიათ.

ჩვენ სამივე თვალსაზრისი მცდარად და მიუღებლად მიგვაჩნია.

პირველი მოსაზრება მანამდე იყო მართებული, ვიდრე ბიბლიოთეკა თავდაპირველი ცნების გაგების საზღვრებში ეტეოდა (ბიბლიო—ბერძნულ ენაზე ნიშნავს წიგნს; თეკე—შენახვა, დაცვას), სანამდე ის ორგანიზებულ საწყობს ან მაღაზიას უახლოვდებოდა. მას შემდეგ, რაც მის ორგანიულ წყობაში გაჩნდა ისეთი სპეციალური დარგები, როგორიცაა საბიბლიოთ. პედაგოგიკა, თეორიული ბიბლიოგრაფია და სხვ., ის ვეღარ ეტევა წიგნთმცოდნეობის ვიწრო ფარგ-

ლებში,—ამდენადვე იხსნება, ბუნებრივად, მისი ბიბლიოლოგიის შემადგენლობაში დატოვების შესაძლებლობა.

მეორე მოსაზრება ორივე დისციპლინის გაიგივეობის შესახებ გადაჭრით უარსაყოფია, რადგან, თუ ბიბლიოთეკათმეცნიერება საგნით, თვალსაზრისით და ამოცანებით განსხვავებულია ბიბლიოლოგიისაგან, მაშინ თავისთავად შეუძლებელია მტკიცება მათი იგივეობის შესახებ.

მესამე მოსაზრება აშკარა ტენდენციურია, უშუალო რეაქციაა პირველი მოსაზრებისა. აქ ბიბლიოთეკათმეცნიერების წიგნთმცოდნეობის „ოპეკისაგან" გადარჩენისა და დაცვის პათოსში უმართებულოდ შებღალულია, უგულებელყოფილია ბიბლიოლოგიის უფლებები.

წიგნთმცოდნეობას იმდენად დამოუკიდებელი, გარკვეული საგანი აქვს თავის კვლევა-ძიების პროცესში, რომ მისი მეცნიერული უფლებები საყოველთაოდ ადრე იქნა ცნობილი, ვიდრე ბიბლიოთეკათმეცნიერებისა.

მართალია, ბიბლიოლოგია ბევრ ისეთ საგანს განიხილავს, რომელიც ბიბლიოთეკას პრაქტიკულად აინტერესებს (მაგ., წიგნის ცნობა), მაგრამ ეს სრულიად არ ასუსტებს მის დამოუკიდებელ ბუნებას. ბიბლიოთეკათმეცნიერება წიგნის ცოდნის საკითხში შეიძლება დაემყაროს თეორიულ ბიბლიოლოგიას სწორედ იმ საბით, როგორც მედიცინა ბიოლოგიასა და თეორიულ პათოლოგიას ეყრდნობა. ეს გარემოება ბიბლიოლოგიას, ისევე, როგორც ბიოლოგიას არ ართმევს უფლებას სრულიად დამოუკიდებელ დისციპლინად სცნოს თავი.

როგორც დასაშვებია ზოგადი პათოლოგი იყოთ და არა ექიმი, ასევე შესაძლებელია ბიბლიოლოგი იყოთ და არა ბიბლიოთეკარი. მაგრამ, მეორე მხრივ, წარმოუდგენელია სერიოზული ბიბლიოთეკარი იყოთ და ბიბლიოლოგიას კი არ იცნობდეთ, ექიმი იყოთ და ზოგადი პათოლოგია არ იცოდეთ. ყველა ეს ურთიერთდამოკიდებულება, ერთი მხრივ, ამტკიცებს იმას, რომ ბიბლიოლოგია სრული დამოუკიდებელი ბუნების მქონე მეცნიერებაა და არა ბიბლიოთეკათმეცნიერების შემადგენელი ნაწილი. ბიბლიოლოგია, როგორც ასეთი ჯეროვანად გამოსაყენებელია ბიბლიოთეკათმეცნიერების ზოგიერთ ნაწილში.

რა შეადგენს ბიბლიოლოგიის საგანს? ჩვეულებრივ ზუსტად რომ აღვრიცხოთ, მას ავალებენ შეისწავლოს წიგნის წარმოშობა და განვითარება, როგორც გენეტიურ, სტატიურ, ისე დინამიურ ნაწილში. წიგნის გენეტიკის საკითხებია:

I. წიგნის გენეზისი, გრაფიკის ევოლუცია, მასალის ევოლუცია, წიგნით ურთიერთობის ისტორიის მთავარი ეპოქები, აღმოსავლეთისა და დასავლეთის იზოლირებული ხალხების წიგნები, კლასიკური სიძველის წიგნები, საშუალო საუკუნეების წიგნები, ქსილოგრაფები და ინკუნაბულები, სტამბა-გამომცემლობანი, ახალ ლათინურ მეცნიერებათა ვითარება. ნაციონალური ენების გამარჯვება ლათინურზე, მე-18, 19 და 20 საუკუნეების წიგნები.

II. სტატიკაში: წიგნის რაოდენობა, წიგნის ენობრივი შედგენილობა, ნაციონალური და ინტერნაციონალური ელემენტი, წიგნის აღწერა, ბიბლიოგრაფია, სასწავლო წიგნები, სამეცნიერო წიგნები, თანაგანცდის ლიტერატურა (Литература сопереживания), ჟურნალისტიკა, ყოფის ლიტერატურული ძეგლები, წიგნის გარეგნობა, ტექსტი, ილუსტრაცია, ნახატები, აკინძვა.

III. დინამიური ნაწილი (დინამიკა): შემოქმედება, წიგნის თავმოყრა, ბიბლიოფილია, წიგნთსაცავი და აქტიური ბიბლიოთეკები, წიგნი და თვითგანვითარება, ბიბლიოლოგიური ფსიქოლოგია, საწიგნო პოლიტიკა, საწიგნო ეკონომიკა (ლოვიაგინი).

მისაღებია თუ არა წიგნთმცოდნეობის უფლებები ვიცნოთ ასეთ ფარგლებში?

აქ ბიბლიოლოგების პრეტენზიები თანადროულობისათვის ძალზე მოძველებულია და საფუძველს მოკლებული.

ბიბლიოლოგიას დღეს იმაზე მეტად არ აინტერესებს ბიბლიოთეკის მდგომარეობა (დღევანდელი გაგებით), მკითხველთა თვითგანვითარებისა თუ სპეციალური ბიბლიოგრაფიული პრობლემები, ვიდრე რომელიმე განყენებულ საზოგადოებრიობისა ან კულტურის ისტორიკოსს.

ბიბლიოლოგიას სფერო იმდენად გაურთულდა, რომ ის სავსებით უძლურია შეთავსებით თავი გაართვას ისეთ სპეციალურ საგნებს, როგორიცაა საბიბლიოთეკო პედაგოგიკა ან ორგანიული ბიბლიოგრაფია.

სპეციალური საბიბლიოთეკო საკითხები მხოლოდ ბიბლიოთეკათმეცნიერების ნიადაგზე შეიძლება მეცნიერული სიღრმით დაისვას და გადაწყდეს. ბიბლიოლოგია ბიბლიოთეკების ცხოვრებას, მხოლოდ ზოგადად, გაკვრით და შედარებით შეიძლება აინტერესებდეს და არა იმ სახით, როგორც ბიბლიოთეკათმეცნიერებას.

სპეციალურ ბიბლიოგრაფიისა ან სხვა კარდინალურ საკითხებში ბიბლიოთეკათმეცნიერებას არასოდეს არ უსარგებლია ბიბლიოლოგიის რაიმე მნიშვნელოვანი მიღწევით, რადგანაც წარმოუდგენელია ბიბლიოლოგიას ამ დარგში იმაზე მეტი სცოდნოდა, ვიდრე ბიბლიოთეკათმეცნიერებას.

სულ სხვაა წიგნის ცნობისა და გაგების საკითხი. ამ დარგში ბიბლიოლოგია უდაოდ ავტორიტეტული და კომპეტენტურია, ამიტომ ჩვენ საჭიროდ მიგვაჩნია, რომ წიგნის დაკომპლექტების, აქტუალობის მიხედვით დანაწილების, რუბრიკაციის და საერთოდ რეალური კატალოგების შემდგენი იმასთან ერთად რომ მას სათანადო განათლება უნდა ჰქონდეს, ამავე დროს კარგი ბიბლიოლოგიც უნდა იყოს. ბიბლიოლოგიის როლი სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ ბიბლიოთეკათმეცნიერებას მოეხმაროს სინამდვილის ამ ნაწილის გასაშუქებლად.

ბიბლიოლოგია სხვა მეცნიერებებთან შედარებით სუსტად ვითარდება. ამ მეცნიერებამ ჯერ კიდევ ვერ შეძლო მჭიდროდ დაკავშირებოდა რომელიმე პრაქტიკულ ცოცხალ საგანს, რათა იქიდან მიეღო საჭირო საზრდო მასალა მომავალი შეუფერხებელი განვითარებისათვის. საბიბლიოთეკო საქმე მისგან მკვეთრად მოითხოვს წიგნის გამოცნობისა და გაგების საკითხების განსაკუთრებული სიზუსტით დამუშავება-ჩამოყალიბებას, რამდენად შეძლებს ის ამ ამოცანების შეგნებას და შესრულებას, იმდენად უფრო ადვილად დაიძრება მკვდარი წერტილიდან მეცნიერული აღმავლობისა და ფართო განვითარების მიმართულებით. ცოცხალი კავშირი, მტკიცე ორიენტაცია საბიბლიოთეკო ემპირიულ მასალაზე, ბიბლიოლოგიას დამატებით მიანიჭებს ახალ პატივსადებ როლს,— იყოს ერთ-ერთი თეორიული გზის გამკვლევი მეცნიერება საბიბლიოთეკო მეცნიერებათა სისტემაში, კერძოდ წიგნის შინაარსეული ცოდნის დარგში,

საბიბლიოთეკო კლასიფიკაცია თავისი საფუძვლებით მტკიცედ ემყარება ფილოსოფიას. მეცნიერებათა შორის მიმართების გამორკვევა და მათი საგნის განსაზღვრა ფილოსოფიის საგანს შეადგენს. ფილოსოფიური აზროვნების ისტორია გვასწავლის, თუ საიდან იღებს სათავეს მეცნიერებათა კლასიფიკაცია, თავდაპირველად სინკრეტულად როგორ იყო ერთმანეთთან შერწყმული ფილოსოფია და სხვა მეცნიერებანი, შემდეგ, საზოგადოებრივი ეკონომიური ცხოვრების გართულებასთან დაკავშირებით, შინაგანი აუცილებლობით როგორ ხდება მათი ერთმანეთისაგან გამოყოფა, ერთი მთლიანი მეცნიერების განშტოება, ბოლოს მათი გადაქცევა ცალკეულ, დამოუკიდებელ მეცნიერებად და სხვ.

თითოეული მოაზროვნე ცდილობდა მოეცა მეცნიერებათა კლასიფიკაციის დამოუკიდებელი თვალსაზრისი, კრიტერიუმი და ხასიათი, გარკვეული მსოფლმხედველობრივი კონცეპციით დაპირობებული.

ბიბლიოთეკათმეცნიერება დაკვირვებით სწავლობს ამ მიმართულებით მიღებულ მემკვიდრეობას, საუკეთესო ნააზრევს, შემდეგ დიალექტიკურ-მატერიალისტური მსოფლგაგებით კრიტიკულად სძლევს და ითვისებს მას. ბიბლიოთეკათმეცნიერებას აინტერესებს მეცნიერებათა კლასიფიკაციის პრაქტიკული, გამოყენებითი მხარე, სახელდობრ, მოცემული სქემით წესრიგის, გარკვეულობის შეტანა მრავალ მილიონთა წიგნში. კარგად მოფიქრებული კონცეპცია ზოგჯერ სრულიად უვარგისია პრაქტიკული საბიბლიოთეკო საქმისათვის. ბიბლიოთეკათმეცნიერება მოცემულ კონცეპციათა საბიბლიოთეკო სინამდვილესთან შეფარდების დროს ცდილობს დაიცვას წონასწორობა: ის არ ვარდება უკიდურესობაში, არ ემყარება მხოლოდ თეორიულ-აკადემიურ სისრულეს, არც მხოლოდ ემპირიული პრაქტიციზმით იზღუდავს თავს: ის ორივე მომენტს მთლიანობაში იღებს, ყოველმხრივ საზრიანად ითვალისწინებს და ამრიგად შემდეგ იმუშავებს საბიბლიოთეკო კლასიფიკაციის ნორმებს.

ბიბლიოთეკის პრაქტიკულ სინამდვილეში მეცნიერებათა კლასიფიკაციის სათანადოდ დამუშავებას იმდენად კოლოსალური მნიშვნელობა აქვს, რომ მომავალში აუცილებელი ხდება მისი სპეციალურ გადაქცევა თეორიულ მეცნიერებად. თეორიულ მეცნიერებათა კლასიფიკაციის გამოყოფა არ გახლავთ მიძალვის მეთოდების ან აელვარებული ფანტაზიის ნაყოფი. მისი ცალკეულ დისციპლინად დადგენა პრაქტიკული ცხოვრების აუცილებლობით არის ნაკარნახევი და ვერავითარი მოჩვენებითი დაბრკოლება ვერ შეძლებს შეაჩეროს ლოგიკური ბუნებრივი მსვლელობა. არაფერს ნიშნავს, რომ ის დღემდე ფილოსოფიის ნაწილს შეადგენდა. ფილოსოფია მეცნიერების კლასიფიკაციის ფილოსოფიურ ასპექტს თავისთვის დაიტოვებს სწორედ ისე, როგორც ბუნების სხვა საგნებისას. მეცნიერებათა კლასიფიკაცია, როგორც დამოუკიდებელი დისციპლინა, თავისი გზით წავა მოვლენების შესწავლის გაღრმავებისა და დაზუსტების მიმართულებით.

თეორიული მეცნიერული კლასიფიკაცია არ იქნება მცირე საგანი. მის საზღვარში იმდენად მნიშვნელოვანი პრობლემები და კონცეპციები იყრის თავს,

რომ მისი დამოუკიდებლად გამოყოფა აუცილებლად დააჩქარებს ამ საკითხების მეცნიერული სიღრმით დამუშავებას.

ჩვენი გაგებით, ეს საგანი შემდეგნაირად აიგება: პირველ ნაწილში მოცემული იქნება მეცნიერების კლასიფიკაციის საკითხთან დაკავშირებული მსოფლმხედველობრივი სისტემები, მათი ისტორიული განვითარება, დასასრულ—დიალექტიკურ-მატერიალურ თვალსაზრისით საბიბლიოთეკო კლასიფიკაციის შედგენისათვის საჭირო გეზი.

## ბიბლიოთეკების ისტორია

ბიბლიოთეკების ისტორია ყველაზე ვრცელი მეცნიერული დარგია ბიბლიოთეკათმეცნიერებათა სისტემაში. ის მოიცავს მთელ საბიბლიოთეკო საქმიანობას ყველა შესაძლებელ ნუანსში. ბიბლიოთეკების ისტორია სწავლობს, როგორც ცალკეული ბიბლიოთეკის, ისე საერთოდ რომელიმე ქვეყნის, ან მსოფლიო ბიბლიოთეკის წარსულს, განვითარების იმ საფეხურებს, ყველა იმ გზასა და საშუალებას, რომელთა გავლითა და დახმარებით ბიბლიოთეკები გადაიქცა ფართო საზოგადოებრივ-საგანმანათლებლო თვითგანვითარების ცენტრებად. მისი მეთოდი და თვალსაზრისი ჩვეულებრივ ისეთია, როგორც ყველა ისტორიული დისციპლინისა. ბიბლიოთეკების განვითარებაში ის ეძებს ტექნიკური, აკადემიური თუ სოციალური რიგის ყოველ მოვლენას, რომლებიც იწვევდა ბიბლიოთეკების განვითარებაში შეფერხებას ან ახალ ძვრებს წინსვლისა და წარმატებისაკენ. ბიბლიოთეკების ისტორია საბიბლიოთეკო ტექნიკის განვითარებასთან ერთად დღეს განსაკუთრებით ცხოველად დაინტერესებული უნდა იყოს იმ მოვლენათა შესწავლით, რომლებმაც ბიბლიოთეკა უბრალო ორგანიზებულ საწყობიდან გადააქციეს მაღალ სამეცნიერო კერად. საბიბლიოთეკო სინამდვილეში ბევრი რამ არის საგსებით შეუსწავლელი და გაურკვეველი, მრავალი მოვლენა ერთმანეთის საწინააღმდეგო ახსნა-განმარტებას პოულობს, ბიბლიოთეკების ისტორია ჯერჯერობით ახალი საგანია. ამ მიმართულებით საერთოდ მცირე რამ არის გაკეთებული, კერძოდ—საქართველოს სინამდვილეში კი თითქმის არაფერი გაკეთებულა. თავი რომ დავანებოთ უძველეს ქართულ პეტროგრაფიულ, იეროგლიფურ ძეგლებს და მე-5 საუკუნიდან დავიწყოთ ქართული წიგნისა და წიგნთსაცავების ისტორია, რომელთა არსებობის შესახებ საკმაო მდიდარი ისტორიული წყაროები არის შემონახული, აქაც კი უბრალო მასალის შეკრებაც არ მოგვიხდენია. უძველესი კულტურის მქონე ქართველ ხალხს დღესაც არ გააჩნია ბიბლიოთეკების ისტორია, რაც ჩვენთვის დიდ ნაკლად უნდა ჩაითვალოს. ანალოგიურ მდგომარეობას ვხვდებით მრავალ სხვა კულტურულ ქვეყანაშიც, რაც უნდა აიხსნას ამ დარგის სიახლით. ჩვენ დღემდე არ ვიცით, როდის გაჩნდა საქართველოში პირველი ბიბლიოთეკა, როგორი იყო საქართველოს მონასტრებთან არსებული ბიბლიოთეკები, რა სახე ჰქონდა ბიბლიოთეკებს საზღვარგარეთულ ქართულ ცენტრებში ათონსა, შავ მთაზე და სხვ., რას წარმოადგენდა ის კატალოგი და ბიბლიოგრაფია, რომლებსაც მთაწმინდელები და სხვები იძლევიან თავიანთ ხელნაწერებში და ა. შ,

ბიბლიოთეკის ისტორიას ბიბლიოთეკათმეცნიერებაში ყველაზე სერიოზული მნიშვნელობა აქვს. ამ მიმართულებით არის საჭირო განსაკუთრებული შემოქმედებითი მუშაობის გაჩაღება, რათა შეეძლოთ საგნის ჯეროვან სიმაღლეზე დაყენება.

ქართულ კულტურას საზოგადოდ და კერძოდ ბიბლიოთეკებს განსხვავებულ ისტორიულ პირობებში მოუხდათ განვითარება; ამიტომ ამ სინამდვილის შესწავლის გარეშე საქართველოს ბიბლიოთეკების ისტორიის დაწერა შეუძლებელია.

ცალკეული ხალხების და საერთოდ ბიბლიოთეკის ისტორიის დამუშავება ბიბლიოთეკათმეცნიერებას შეუქმნის ყველა აუცილებელ პირობას, რათა ის სპეციალური ინსტიტუტისა და საუნივერსიტეტო კათედრებში ავიდეს სათანადო მეცნიერულ სიმაღლეზე. ბიბლიოთეკების ისტორიის დაწერა დააჩქარებს ბიბლიოთეკათმეცნიერების განვითარებას.

## ბიბლიოთეკათმეცნიერების დისციპლინათა სისტემა და ბიბლიოგრაფია

თუ ყველაფერს შევაჯამებთ, რაც ჩვენ ბიბლიოთეკათმეცნიერების ცალკეულ დარგებზე ვილაპარაკეთ, და ჩამოვაყალიბებთ ერთ მწყობრ სისტემაში, შემდეგ სქემას მივიღებთ: ბიბლიოთეკათმეცნიერებას საფუძვლად საბიბლიოთეკო საქმე უდევს, საბიბლიოთეკო საქმე თავის მხრივ ორ ძირითად ნაწილად იყოფა: პრაქტიკულ-ტექნიკური და პრაქტიკულ-მეცნიერული. პრაქტიკულ-ტექნიკურს ოთხი გამოყენებითი დისციპლინა შეესაბამება: წიგნთდაცვა, წიგნთდამუშავება, ტექმომსახურეობა და ტექრაციონალიზაცია. ოთხივე დარგი ჯერხნობით ერთ თეორიულ დისციპლინაში — თეორიულ ტექნოლოგიაში იყრის თავს.


პრაქტიკულ-მეცნიერულ მუშაობასაც ოთხი გამოყენებითი საგანი შეესაბამება; ორგანიული ბიბლიოგრაფია, საბიბლიოთეკო პედაგოგიკა, იმანენტური ბიბლიოლოგია და საბიბლ. კლასიფიკაცია. მოცემულ დისციპლინებს მათ საგანთა სირთულის გამო ადექვატური თეორიული მეცნიერებანი შეეფარდება (თეორიული ორგ. ბიბლიოგრაფიის, თეორიული პედაგოგიკის, თეორიული ბიბლიოლოგიის და თეორიულ მეცნიერებათა კლასიფიკაციის სახით). დასასრულ ბიბლიოთეკათმეცნიერების ყველა დასახელებული დარგი ერთიანდება ბიბლიოთეკების ისტორიაში.

მოცემული კონცეპციის ნიადაგზე ჩვენ გვეძლევა რვა ნორმატიული და ექვსი თეორიული მეცნიერება ბიბლიოთეკათმეცნიერების შინაგან ორგანიულ წყობაში. ამით თავდება საკუთრივ ბიბლიოთეკათმეცნიერების დარგები და შემდეგ იწყება მისი უშუალო მოსაზღვრე დისციპლინები, რომლების შესახებ ჩვენ ქვემოთ გვექნება საუბარი.

თუ მოცემულ სქემას (გვ. 149) დავუკვირდებით და შევისწავლით, ადვილად მივხვდებით, რომ დასახელებულ მეცნიერებათაგან ბიბლიოთეკის სინამდვილეში ბევრი უკვე ფაქტიურად შექმნილია, მაგრამ საგანს თავისი სახელი არ აქვს დარქმეული, ზოგიერთი კი განვითარებისა და ჩამოყალიბების პროცესში იმყოფება,

მაგ., წიგნთდაცვის, წიგნთდამუშავების, ტექმომსახურეობის, ტექრაციონალიზაციის, ორგანიული ბიბლიოგრაფიის, საბიბლიოთეკო პედაგოგიკის, საბიბლიოთეკო კლასიფიკაციის საკითხებზე, ცალკეული შრომები და სახელმძღვანელოებიც კი არსებობს. საჭიროა საგნისათვის ნამდვილი სახელის დარქმევა, მასში წესრიგისა და გარკვეულობის შეტანა და, ამრიგად, ბიბლიოთეკათმეცნიერებისათვის მწყობრი ჩამოყალიბებული სისტემის სახის მიცემა.

ჩვენს მიერ წარმოდგენილ სქემას შეუძლია გამოიწვიოს ზოგიერთი მოჩვენებითი გაუგებრობა. საქმე ეხება ბიბლიოლოგიას. ეს საგანი, როგორც ვიცით, ბიბლიოთეკის ნიადაგზე არ გაჩენილა. მას დამოუკიდებელი წარმოშობის და




განვითარების გზა ჰქონდა დღემდე. იბადება საკითხი, რა საბუთით ვათავსებთ მას ბიბლიოთეკათმეცნიერების სისტემაში? სხვა ნიადაგზე წარმოშობის საკითხი თავისთავად არაფერს ამბობს: მეცნიერებათა კლასიფიკაცია და პედაგოგიკაც „სხვა ნიადაგზე“ შექმნილი დისციპლინებია. რაც შეეხება ბიბლიოლოგიას, ზემოთ გარკვეულად განვმარტეთ, რომ ის საუსებით დამოუკიდებელი უფლებამოსილი მეცნიერებაა, მაგრამ იმის გამო, რომ მეტად აბსტრაქტული სფეროთი შემოიფარგლა და ერთ ემპირიულ საგანს მტკიცედ ვერ დაუკავშირდა, მან დაჰკარგა ყოველგვარი სასიცოცხლო ძალა მომავალი წინსვლა-განვითარებისათვის,

ამავე დროს ბიბლიოთეკათმეცნიერების გარკვეული დარგები გადაჰრით საჭიროებს მის დახმარებას წიგნთცოდნის სფეროში. ასეთი მდგომარეობა აუცილებელს ხდის მათს კოორდინაციულ დაკავშირებას ორი დისციპლინის ნორმალური განვითარებისათვის: ბიბლიოთეკათმეცნიერებასთან დაახლოვება ანაყოფიერებს და შინაარსეულად ამდიდრებს ბიბლიოლოგიას; ბიბლიოთეკათმეცნიერება მისი სახით იძენს ერთს აუცილებელ თეორიულ მეცნიერებას მუშაობის უკეთ წარმართვისათვის. რომელიმე საგნის მიმართ თეორიული საგნის როლის შესრულება არ გულისხმობს ამ უკანასკნელში გათქვეფას, საკუთარი სახის დაკარგვას. ბიოლოგია, მაგ., მედიცინის მიმართ თეორიული დისციპლინის სამსახურს ასრულებს, მაგრამ ეს გარემოება მას არ უშლის ხელს სრულიად დამოუკიდებელი თეორიული საგანი იყოს.

რაც შეეხება პრაქტიკულ ე. წ. იმანენტურ ბიბლიოლოგიას, ბიბლიოთეკათმეცნიერება მას წმინდა საბიბლიოთეკო საწყისებზე აგებს. მასში ამუშავებს ისეთ გამოყენებითს საკითხებს, როგორიცაა: 1) როგორ გავარჩიოთ სხვადასხვა ენაზე წიგნი ამ ენათა უცოდინარობის გარეშე, 2) რა პირობებია საჭირო იმისათვის, რომ წიგნი ვცნოთ აქტუალურ დასამუშავებელ საგნად, 3) რა თვალსაზრისით დავადგინოთ რუბრიკები, 4) ვინ არიან კლასიკოსი ავტორები ცალკეულ მეცნიერებაში, რათა დაკომპლექტება სრული ტოტალური იყოს და ამ მხრივ არ გვქონდეს დაუშვებელი ხარვეზი და სხვ.

როგორც ვხედავთ, იმანენტურ ბიბლიოლოგიას ბიბლიოთეკის სინამდვილეში სრულიად ახალი ამოცანები უჩნდება, ის ამ სინამდვილესთან შეფარდებით აღრმავებს, წესებად და ნორმებად აყალიბებს იმ პრინციპებს, რომლებიც ბიბლიოლოგიაში სრულიად დაუშვებელი, მივიწყებულ უბანს წარმოადგენს. ჯერჯერობით ამ საგნისთვის ეს სახელწოდება უნდა დარჩეს. შემდეგ შეიძლება მომავალმა განვითარებამ გვაჩვენოს მისი ხელახალი გადამუშავებისა და სახელწოდების შეცვლის აუცილებლობა. დღეს, როცა საგანი ერთგვარი ჩამოყალიბების პროცესშია, მთავარია არა სახელწოდება, არამედ ის შინაარსი, რომელიც ბუნებრივი განვითარებით უნდა მოექცეს მის ფარგლებში.

## ბიბლიოთეკათმეცნიერების მოსაზღვრე დისციპლინები

ბიბლიოთეკათმეცნიერებას, როგორც რთულ სახოვან მეცნიერებას, მრავალი მოსაზღვრე დისციპლინა აქვს, რომელთაც ის იყენებს დამხმარე, გამოყენებითი დარგების სახით. ბიბლიოლოგიის ხაზით ის პალეოგრაფიას ემიჯნება, საბიბლიოთეკო პედაგოგიკის ხაზით—სასკოლო პედაგოგიკას, ორგანიული ბიბლიოგრაფიის მხრივ—ლიტერატურათმცოდნეობას, მეცნიერებათა კლასიფიკაციის მხრივ—ფილოსოფიას, ბიბლიოთეკების ისტორიის ხაზით—კულტურის ისტორიას და სხვ.

ბიბლიოლოგიის უშუალო მოსაზღვრე საგანს პალეოლოგია წარმოადგენს; პალეოგრაფია შეისწავლის დამწერლობის ყველა სახეს, როგორც წიგნებში, ხელნაწერებში, ისე მატერიალურ ძეგლებზე აღბეჭდილს; ბიბლიოთეკათმეცნიერებას, რა თქმა უნდა, მხოლოდ წიგნის დამწერლობის განვითარების ისტორია აინტერესებს, მაგ., ქართველი ბიბლიოთეკარი, რომელიც ვერ კითხულობს და ვერ

არჩევს მრგლოვან ხუცურს ნუსხახუცურისაგან, არ იცნობს, როგორი ქარაგმებით სწერდნენ ძველი ქართველი მწერლები, არ იცნობს, რას ნიშნავს ცნება „აღზევებული“, „პეტრიწონული ხელი“ და სხ.,—არ შეიძლება განათლებულ და სერიოზულ ბიბლიოთეკრად ჩაითვალოს. პალეოგრაფია არ არის უშუალო საბიბლიოთეკო საქმე, მაგრამ მისი ცოდნის გარეშე ბიბლიოთეკარს არ შეიძლება ნამდვილი ბიბლიოთეკარი ეწოდოს. აქედან ლოგიკურად გამომდინარეობს მისი მოსაზღვრეობა ბიბლიოთეკათმეცნიერებასთან.


საბიბლიოთეკო პედაგოგიკას სასკოლო პედაგოგიკასთან აკავშირებს ზოგადი პედაგოგიური ამოცანები და პრობლემები; სახელდობრ, საკითხები: რა მეთოდებით ვიმოქმედოთ მასების კულტურული დონის ასამაღლებლად? როგორ მოვეპყრათ აღსაზრდელს? რა საშუალებით აღვძრათ მასში საჭირო საგნისადმი ინტერესი? როგორ დავიცვათ მარტივი მოვლენებიდან რთულ მოვლენებზე თანდათანობითი გადასვლის წესი და სხ.

სასკოლო პედაგოგიკა იმუშავებს ზოგად დებულებებს სწავლა-აღზრდის შესახებ. საბიბლიოთეკო პედაგოგიკა ანალოგიურად იქცევა განათლება-თვითგანვითარების ნიადაგზე. სინამდვილეში მეცნიერების ეს ორი დარგი ერთმანეთისაგან არ არის ჩინური კედლით გაყოფილი. მათ შორის რელატიური განსხვავებაა. აქედან ის მოსაზღვრე დისციპლინის როლს ასრულებს, კერძოდ საბიბლიოთეკო პედაგოგიკისა და საერთოდ ბიბლიოთეკათმეცნიერების მიმართ.

თეორიულ მეცნიერებათა კლასიფიკაცია, რომლის ფილოსოფიისგან ჩამოცილებას ჩვენ აპრიორულად ვუშვებთ, ბუნებრივად მჭიდროდ დაკავშირებულია ფილოსოფიასთან. აქაც დასკვნა ბუნებრივად კეთდება. თეორიულ-ორგანიულ ბიბლიოგრაფიას ლიტერატურათმეცნიერებასთან აკავშირებს რეცენზიისა და ანოტაციის წერის ზოგადი სალიტერატურო ნორმები და წესები. ბიბლიოგრაფია თავისი პრაქტიკის ნიადაგზე იმდენად საინტერესო აღმოჩენებსა და დასკვნებს აკეთებს, რომ ლიტერატურათმცოდნეობას არ შეუძლია სიამოვნებით არ ისარგებლოს მისი მიღწევებით. ასევე ლიტერატურათმცოდნეობა თავისი მხრივ სპეციალურად ახალ საწყისებზე ამუშავებს ლიტერატურული კრიტიკის ზოგად დებულებებს, რომლებსაც ბიბლიოგრაფია უთუოდ გამოიყენებს. ამრიგად, აქაც ანალოგიურ დასკვნამდე მივდივართ. ბიბლიოთეკების ისტორია კულტურის ისტორიისადმი ჩვეულებრივ ისეთ მიმართებაშია, როგორც ნაწილი მთელთან: კულტურის ისტორიის ზოგადი დებულებები სავალდებულოა ბიბლიოთეკის ისტორიისათვის. არ შეიძლება ბიბლიოთეკების ისტორიკოსი იყო და კულტურის ისტორიის საკითხებს არ იცნობდე. აქაც მათი ურთიერთდამოკიდებულება ნათელია.

ჩვენ დროებით გვერდს ვუვლით თ ე ო რ ი ულ ტ ე ქ ნ ო ლ ო გ ი ი ს მ ო ს ა ზ ღ ვ რ ე დ ი ს ც ი პ ლ ი ნ ი ს ს ა კ ი თ ხ ს,—ი ს ს ა ფ უ ძ ვ ლ ი ა ნ ჩ ა ფ ი ქ რ ე ბ ა ს ა და შ ე ს წ ა ვ ლ ას მ ო ი თ ხ ო ვ ს. დღეს, როცა ბიბლიოთეკათმეცნიერების შესწავლა უნივერსიტეტის სპეციალური ფაკულტეტებისა და ინსტიტუტების საგნად გადაიქცა, უშუალო ბიბლიოთეკათმეცნიერების გვერდით არ უნდა იქნეს დავიწყებული მისი მოსაზღვრე დისციპლინები: პალეოგრაფია, სასკოლო პედაგოგიკა, ფილოსოფია, ლიტერატურათმცოდნეობა და სხვ.

ამრიგად, თუ ბიბლიოთეკათმეცნიერების თეორიულ დარგებს ოთხკუთხედებით შემოვხაზავთ და მოსაზღვრე დისციპლინებს უწირებით, სქემა შემდეგ სახეს მიიღებს:




მოცემული სქემა ბიბლიოთეკათმეცნიერებას გვაძლევს მხოლოდ აკადემიურ განაკვეთში. მისი დაზუსტება, სათანადოდ ჩამოყალიბება და კიდევ უფრო მეცნიერულ სიმაღლეზე აყვანა მომავლის საქმეა.

## საერთო დებულებები და დასკვნები

საბიბლიოთეკო საქმეს ხანგრძლივი ისტორია აქვს. მისი მეცნიერულ სიმაღლემდე აყვანა მანამდე შეუძლებელი იყო, ვიდრე მისი დანიშნულება წიგნის შენახვისა და გაცემის საზღვრებს არ სცილდებოდა.

მას შემდეგ, რაც საბიბლიოთეკო საქმეს დაეკისრა პატივსადები მოვალეობა, დავეხმაროთ მკითხველს წიგნის შინაარსის რაობის გარკვევაში და ამ ნიადაგზე გაჩნდა ორგანიული ბიბლიოგრაფია, საბიბლიოთეკო პედაგოგიკა და სხვ.,—ის უკვე მეცნიერების ყველა კონსტიტუტიური ნიშნით და ყველა საჭირო ატრიბუტით აღიჭურვა. ბიბლიოთეკათმეცნიერება უფრო ადრე გაჩნდა, ვიდრე აღიარებდნენ მის მეცნიერულ უფლებებს. ამაში ბრალი ნაწილობრივ თვით ბიბლიოთეკარებს მიუძღვით წარსულში ბევრი გაუნათლებელი ბიბლიოთეკარი მტრულად უყურებდა ბიბლიოთეკების სამეცნიერო სიმაღლეზე დაყენების საკითხს.

ბიბლიოთეკათმეცნიერება, მედიცინისა და ბუნებისმეტყველების მსგავსად, რთულსახოვანი დისციპლინაა. ის შედგება რვა პრაქტიკული და ექვსი თეორიული საგნისაგან.

თეორიულ მეცნიერებათაგან საბიბლიოთეკო ტექნოლოგიას ევალება წიგნთდაცვის, წიგნთდამუშავების, წიგნთმომსახურეობის, ბიბრაციონალიზაციის საკითხების დასმა და გადაწყვეტა თეორიულ ნიადაგზე.

ორგანიული ბიბლიოგრაფია სწავლობს და იმუშავებს წიგნის ბიბლიოგრაფიული აღწერისა, ბიბლიოგრაფიული ძიებისა და შინაარსეული გამოვლენის წესებს.

საბიბლიოთეკო პედაგოგიკა, სასკოლო პედაგოგიკისაგან განსხვავებით სრულიად ახალი დისციპლინაა, მის საგანს სწავლა-აღზრდის საკითხების ნაცვლად მკითხველთა განათლება-თვითგანვითარება შეადგენს.


ბიბლიოლოგია ბიბლიოთეკათმეცნიერებასთან შედარებით სრულიად დამოუკიდებელი ცოდნის სფეროა. მიუხედავად ამისა, ორმხრივი შემხვედრი ინტერესების გამო მათი კოორდინაციულ საფუძველზე დაკავშირება აუცილებელი პირობაა ორივე დისციპლინის ნორმალური განვითარებისათვის. ბიბლიოლოგია წიგნთმცოდნეობის საკითხებში ესაჭიროება ბიბლიოთეკათმეცნიერებას სწორედ ამ მხრივ და ის გზის გამკვლევ თეორიულ საგანს წარმოადგენს ბიბლიოთეკისათვის.

მეცნიერებათა კლასიფიკაცია უნდა გამოეყოს ფილოსოფიას და დამოუკიდებელ თეორიულ მეცნიერებად იქცეს; ეს აქტი დააჩქარებს მისი საფუძვლიანი შესწავლისა და განვითარების საქმეს და ამით პრაქტიკულ საბიბლიოთეკო კლასიფიკაციას დაუახლოვებს რაციონალურ მეცნიერულ საფუძვლებს.

ბიბლიოთეკების ისტორია ბიბლიოთეკათმეცნიერების ფრიად მნიშვნელოვანი დარგია, მისი სათანადო სიმაღლეზე დაყენება წინ წასწევს ბიბლიოთეკათმეცნიერების მომავალი განვითარებას.

ამას გარდა, ბიბლიოთეკათმეცნიერებას მოეპოვება ხუთი ახლო მოსაზღვრე დისციპლინა (ლიტერატურათმცოდნეობა, ფილოსოფია, პედაგოგიკა, პალეოგრაფია და კულტურის ისტორია). ბიბლიოთეკათმეცნიერება მოსაზღვრე დისციპლინებითურთ გამოიხატება შემდეგი სქემით:

**ბიბლიოთეკათმეცნიერება თავის მოსაზღვრე დისციპლინებით**




1. საბიბლიოთეკო საქმე
2. პრაქტ. ტექნ. სამუშაო
3. წიგნთდაცვის საქმე
4. წიგნთდამუშავ. საქმე
5. ტექმომსახურეობა
6. ბიბრაციონალიზაცია
7. თეორიულ. საბ. ტექნო-გია
8. პრაქტ. სამეცნ. მუშაობა
9. პრაქტ. ბიბლიოგრაფია
10. საბიბლ. პედაგოგიკა
11. პრაქტ. ბიბლიოლოგია
12. საბიბლ. კლასიფიკაცია
13. თეორ.-ორგ. ბიბლიოგ-ფია
14. „ საბიბლ. პედაგოგიკა
15. „ ბიბლიოლოგია
16. „ მეცნ-თა კლასიფიკაც.
17. ბიბლიოთეკების ისტორია
18. ბიბლიოთეკათმეცნიერება
19. ლიტერატურათმცოდნეობა
20. სასკოლო პედაგოგიკა
21. პალეოგრაფია
22. ფილოსოფია
23. კულტურის ისტორია

X შესასწავლი საგანი

□ უშუალო საბიბლიოთეკო საგნები

○ ბიბლიოთეკათმეცნიერების მოსაზღვრე დისციპლინები.

ბიბლიოთეკათმეცნიერებას უკანასკნელ დროს დამატებით უჩნდება ახალი ამოცანები დაამუშაოს წიგნზე მუშაობისა და წიგნის ათვისების წესები, დაეხმაროს მკითხველს რეკომენდაცია-კონსულტაციით თვითგანვითარებისა და განათლების საქმეში.

ბიბლიოთეკათმეცნიერებას აქვს სრულიად დამოუკიდებელი თვალსაზრისი და კვლევითი ობიექტი. ის არავის არ ეცილება და არ სტაცებს საგანს. როგორც ახლად წარმოქმნილ მეცნიერებას, მას ჯერხნობით სათანადოდ არ აქვს ჩამოყალიბებული და დამუშავებული თეორიული და ნორმატიული საგნები, მაგრამ, სამაგიეროდ, იმდენი მასალაა დაგროვილი მის განკარგულებაში, რომ საჭიროა მასში მხოლოდ წესრიგისა და გარკვეულობის შეტანა, საგნისათვის ნამდვილი სახელის დარქმევა, რათა მივიღოთ ბიბლიოთეკათმეცნიერების მწყობრად ჩამოყალიბებული სისტემა.

საბიბლიოთეკო უმაღლესმა სასწავლებლებმა უნდა მოგვცეს დასახელებულ თეორიულ-მეცნიერებათა დიდი სპეციალისტები. ამას გარდა, ბიბლიოთეკარი შეიძლება პროფესიით იყოს ლიტერატორი, პედაგოგი, ფილოსოფოსი, კულტურის ისტორიკოსი, პალეოგრაფი-ისტორიკოსი და სხვა, რადგან ეს მეცნიერებანი ბიბლიოთეკათმეცნიერების უშუალო მოსაზღვრე დისციპლინებია.

ამის შესაბამისად, საბიბლიოთეკო უმაღლეს სასწავლებლის გარკვეულ დარგებში უნდა შეიქმნას სპეციალური განხრები.

შეიძლება ბიბლიოთეკარი სპეციალობით ისტორიკოსი-პალეოგრაფი იყოს. ამ უკანასკნელს ორმხრივ ეშლება თავისუფალი სამოქმედო სარბიელი: 1, საბიბლიოთეკო სახით შეისწავლოს დამწერლობის ისტორია და 2, წმინდა ისტორიულ-პალეოგრაფიული სფეროთი განსაზღვროს თავისი საქმიანობა.

საბიბლიოთეკო უმაღლესი სასწავლებლის ასეთი ფართო ხასიათი დამატებით კიდევ უფრო გაზრდის საბიბლიოთეკო უმაღლესი სასწავლებლების როლსა და ავტორიტეტს ფართო მასების თვალში, თავისკენ მიიზიდავს საუკეთესო ახალგაზრდობასა და მეცნიერებს და ამით ბიბლიოთეკათმეცნიერებას წასწევენ წინ ახალი მეცნიერული მწვერვალებისაკენ.

გრ. ჩხაიძე

# სისტემატური კატალოგის გაწყობის ზოგიერთი საკითხისათვის

„ბიბლიოთეკაში ჩვენთან მოდის მკითხველი და მან უნდა ისარგებლოს ბარათული კატალოგით... ახლა განსაკუთრებით საჭიროა კატალოგი".

ნ. კრუპსკაია.

სისტემატური კატალოგის წამყვანი როლი საბიბლიოთეკო კატალოგთა სისტემაში უდავოთ უნდა ჩაითვალოს. არც ერთ კატალოგს არ ძალუძს გამოავლინოს დარგობრივად ბიბლიოთეკის წიგნობრივი ფონდი ისე კარგად, როგორც სისტემატურს. ამ მხრივ იგი ბიბლიოთეკის წიგნობრივი ფონდის გასაცნობად მართლაც რომ მთავარი გასაღებია, როგორც მკითხველის, ისე ბიბლიოთეკარისათვის.

მკითხველი სისტემატური კატალოგით შეარჩევს ხოლმე ამათუიმ მეცნიერების და მისი ცალკეული პრობლემების შესახებ ლიტერატურას. ბიბლიოთეკარი სისტემატური კატალოგის შემწეობით მოხაზავს რაციონალური და გეგმაშეწონილი დაკომპლექტების მომავალ გზას.

როგორც ცნობილია სისტემატური კატალოგის შედგენა ორ ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებულ ძირითადი მომენტისაგან შესდგება: 1) ინდექსაცია და 2) დაინდექსებულ ბარათთა სისტემატიზაცია. თუ ორივე ეს პროცესი კარგად არის ჩატარებული უზრუნველყოფილია კატალოგის მაღალი ხარისხი, რაც თავის მხრივ კატალოგით სარგებლობის საწინდარია.

შესაძლებელია სამუშაოთა პირველი ნაწილი გულისხმიერებით და კარგად იქნას ჩატარებული: წიგნის შინაარსი სწორად იყოს დადგენილი და შესაფერისი ინდექსი იქნას დასმული, მაგრამ თუ კატალოგი ცუდათ იქნა აწყობილი და გაფორმებული, იგი თავის დანიშნულებას ვერ გაამართლებს და მკითხველისათვის ბიბლიოთეკაში წიგნთა შერჩევის მოქნილ ინსტრუმენტად ვერ გამოდგება.

ამიტომ საკატალოგიზაციო მუშაობაში განსაკუთრებული ყურადღება სწორ და მკითხველის მოთხოვნილებათა გათვალისწინების მიხედვით კატალოგის შედგენას უნდა მიექცეს.

ჩვენი მცირე შენიშვნების მიზანია კატალოგის შედგენასთან დაკავშირებით ზოგიერთ საკითხებს შეეხოს.

სისტემატური კატალოგი ჩვენში აწყობილია დეციმალური კლასიფიკაციის მიხედვით. როგორც ცნობილია, ამ საკლასიფიკაციო სისტემის ორი ძირითადი წყარო არსებობს: 1) ამერიკული, დიუის ვარიანტი—(უკანასკნელი გამოცემა 1932 წლისაა), და 2) ევროპული—დიუის კლასიფიკაციის ბრიუსელის

ბიბლიოგრაფიულ ინსტიტუტის მიერ რედაქციაქმნილი ვარიანტი--(უკანასკნელად გამოვიდა 1927—1930 წელში).

დასახელებული პირველი წყაროები, სამეცნიერო ბიბლიოთეკების უმრავლესობისათვის, წიგნის დიდი მოცულობისა და ინგლისური და ფრანგული ენების უცოდინარობის გამო, მიუწვდომელია. აღნიშნულს ისიც უნდა დაემატოს, რომ იქ უგულებელყოფილია საბჭოთა სოციალისტური მშენებლობის გრანდიოზული და მრავალფეროვანი სინამდვილე.

ჩვეულებრივ ყველა მასობრივი ბიბლიოთეკები და სამეცნიერო ბიბლიოთეკების უმეტესობა ათწილადი კლასიფიკაციის რომელიმე შემოკლებული ცხრილით სარგებლობს და თავის წიგნობრივ ფონდზე, სისტემატურ კატალოგს მის მიხედვით აწყობს.

სხვადასხვა ენაზე ათწილადი კლასიფიკაციის რამდენიმე შემოკლებული ცხრილი არსებობს. კერძოდ ქართულად ოთხი სახელმძღვანელო უკვე მოგვეპოვება. კატალოგიზატორის მოვალეობაა ბიბლიოთეკის ტიპის, წიგნთა რაოდენობის და ხასიათის მიხედვით, არსებულ სახელმძღვანელოთაგან ერთერთი აირჩიოს ძირითადათ, ხოლო დანარჩენთაგან (ბიბლიოთეკარს ხელთ უნდა ჰქონდეს რამდენიმე სახელმძღვანელო), რაიმე ბუნდოვანი და რთული მდგომარეობის გასარკვევად ისარგებლოს.

ჩვენ ამჯერად გვინდა განვიხილოთ ზოგიერთი კაზუსები ოთხი ავტორის მიერ შედგენილი სახელმძღვანელოსი (ვლ. ჯოჯუა, შალ. დოლაქიძე, მ. მათაბაშვილი, ლ. ეგორაშვილი—„ათწილადი კლასიფიკაცია“, დამხმარე წიგნი პედტექნიკუმებისა, ბიბლიოგრაფიისა და ყველა ტიპის ბიბლიოთეკებისათვის. ტფ., სახელგამი, 1933 წ.). აღნიშნული სახელმძღვანელო საფუძვლად უდევს ჩვენში მოზრდილ ბიბლიოთეკებში სისტემატური კატალოგის შედგენას.

კატალოგის აწყობისას ინდექსთა თანმიმდევრობა საკლასიფიკაციო სტრუქტურის მიხედვით უნდა იქნას დაცული; მარტივ, უდეტერმინანტო ინდექსიანი ბარათები, უნდა დაიწყოს ისე, როგორც სახელმძღვანელოშია დალაგებული. დაუშვებელია ბარათის სიმცირის გამო, მასალის გაწყობისას პირველ ნიშანთა მხედველობაში მიღება და უკანასკნელთა უგულებელყოფა.

ამ წესით კატალოგის აწყობა, ბარათების ანბანური დაწყობის გამო, მასალის დანაწევრებას იწვევს. თუ სისტემატურ კატალოგს საგნობრივ-ანბანური საძიებელი დართული აქვს (ეს უკანასკნელი კარგად ორგანიზებული სისტემატური კატალოგის აუცილებელი და ორგანიული ნაწილია), ამ შემთხვევაში მკითხველს კატალოგში სწორი და სწრაფი ორიენტირის საშუალებას არ აძლევს და კატალოგით სარგებლობისათვის ბევრ დროს ახარჯვინებს. დავუშვათ მექანიკა—531 და აეროდინამიკა—533 ბარათების სიმცირის მომიზეზებით 53 ინდექსის გამყოფ ქვეშ გავუშვით. 53, 531, 533 ინდექსების ბარათები ანბანურად გაიწყობა და აღნიშნული ინდექსები ურთერთში აირევა.

ამიტომ ინდექსთა თანმიმდევრობა სავალდებულოდ უნდა იქნას მიჩნეული, თუნდაც თითო ინდექსზე თითო ბარათი იყოს კატალოგში.

თუ რომელიმე ინდექსზე ბარათების რაოდენობა ათს არ აღემატება, გამყოფი არ უნდა გაუკეთდეს. რასაკვირველია ამ შემთხვევაში ანგარიში უნდა

გაეწიოს რუბრიკის შინაარსსაც; აქტუალური და პოლიტიკურად მნიშვნელოვანი რუბრიკები გამყოფით უნდა გამოიყოს, თუნდაც ბარათთა რაოდენობა 5-6 განისაზღვრებოდეს.

ბარათები ზოგადი ინდექსის გამყოფ ქვეშ ჩაიწყობა, როცა ბარათების ოდენობა ორ-სამს აღემატება, მაგრამ ჯერ კიდევ იმდენი არ არის, რომ გამყოფით გამოვყოთ. ამ შემთხვევაში ზოგადი ცნების გამყოფზე, მცირე რაოდენობის მქონე ბარათების რუბრიკების განმარტებაც დაიწერება უინდექსოთ.

53

ფიზიკა. მექანიკა. ჰიდრავლიკა. აეროდინამიკა.

არის შემთხვევა,—პარალელური რუბრიკები კატალოგში წარმოდგენილია ბარათთა მცირე და დაახლოებით თანაბარი რაოდენობით. აქ საჭიროა გამყოფზე დაიწეროს პირველი და უკანასკნელი ინდექსი, მრუდე ხაზის ან ტირეს მეშვეობით, ხოლო განმარტება რუბრიკებისა უნდა ინდექსთა თანმიმდევრობით იქნას დალაგებული.

531—535

მექანიკა. ჰიდრავლიკა.
აეროდინამიკა. ვიბრაცია.
ოპტიკა.

გამყოფზე სასურველია შეძლებისდაგვარად დაცულ იქნას სიტყვის ეკონომია. სამეცნიერო დისციპლინის განმარტება, რასაც ხშირად აქვს ადგილი სხვადასხვა სახელმძღვანელოებში თვით კატალოგში ან არ უნდა გადავიტანოთ ან და მინიმუმამდე უნდა დავიყვანოთ. მაგალითად, 531.6 „ენერგეტიკა. ენერგეტიკის გვარეულობა. კინემატიკური და პოტენციალური ენერგეტიკა. ცოცხალი ძალები. ენერგიის მუდმივობის კანონი. ენერგიის გარდასახვა. რტყმის თეორია". ამ განმარტებიდან საკმაოა გამყოფზე დაიწეროს „ენერგეტიკა".

განმარტება ინდექსის 532.5 „სითხეთა ძრაობა. ჰიდრავლიკა. ჰიდროდინამიკა. სითხეების ნაჩვრეტებიდან გამოდინება. გრიგლური ძრაობა. ჭავლი. წყლის ვარდნა. ჩადინება. სითხეთა ძრაობა მილებსა და არხებში. სიფონი. წყალსადენი მილები. მდინარეები და არხები. ცოცხალ ძალის დაკარგვა. ძრაობა ნაღუნებსა და რაბებში დარტყმა. ზედაპირზე წარმდინარება". აქედან გამყოფზე საკმაოა გადავიტანოთ: „სითხეთა ძრაობა. ჰიდრავლიკა. ჰიდროდინამიკა".

535.3, 546.65, 612.014.46 და სხვა ამის დაგვარ ინდექსთა გრძელი და ვრცელი განმარტება, შემოკლებულ უნდა იქნას, კატალოგში წარმოდგენილი ფაქტიური მასალის მიხედვით. მაგ. 546.65 „იშვიათ მიწათა ელემენტები: ლანტანი. ცერიუმი. დიდიუმი. ნეოდიმიუმი. პრაზეოდიმიუმი. ილინიუმი. ერბიუმი. სამარიუმი. ევროპიუმი. გადოლინიუმი. ტერბიუმი. დისპროზიუმი. ჰოლმიუმი. თულიუმი. იტერბიუმი. ლუტეციუმი". გამყოფზე, აღნიშნულ ინდექსს მხოლოდ ის რუბრიკები უნდა მიეწეროს, რომლის მასალაც კატალოგში იქნება.

ინდექსის განმარტება უნდა იყოს მოკლე და ლაკონიური, ზედმეტი სიტყვები დაუშვებელია: 677 „ბოჭკოვან ნივთიერებათა ტექნოლოგია. საფეიქრო ინდუსტრია". სრულებით ზედმეტია „ბოჭკოვან ნივთიერებათა ტექნოლოგია".

616.34 „ნაწლავები. შორისეთი. გასტროენტეროპათია". გამყოფზე ასე გადაიტანება: „ნაწლავთა სნეულებანი".

გაუგებარია 635.6 განმარტება: „საკვები თესლები და ნაყოფები". ეს ინდექსი ან არ უნდა ვიხმაროთ და ლიტერატურა მის ქვედანაყოფებში გავუშვათ, ან მას ქვეინდექსების განმარტება უნდა დავუწეროთ.

669.1 „რკინის პროდუქტები. რკინა. ფოლადი". განმარტება ასე უნდა შეიცვალოს: „რკინის მეტალურგია".

656.1 „ჩვეულებრივი გზათა ტრანსპორტი". გამყოფზე დაიწერება: „გზათა ტრანსპორტი".

62 ინდექსს ჯობს დავუწეროთ მარტო „საინჟენერო ხელოვნება", ხოლო განმარტების დანარჩენი ნაწილი--„მექანიკური შენება. ელექტროტექნიკა. სამთომადნო ინდუსტრია. სამოქალაქო და სამხედრო ინჟინერია",—გავუშვათ შესაფერის ადგილას თავისი საკუთარი ინდექსით.

634.95 „მეტყეობა ნამდვილი მნიშვნელობით". ეს ლიტერატურა უკეთესია 634.9 „მეტყეობა" ინდექსით გავუშვათ.

619.4 „ღორი" უნდა შეცვლილ იქნას „ღორის სნეულებანი"-თ.

ხანდახან სახელმძღვანელოში მოცემული განმარტება ინდექსის, მკითხველს არაფერს აძლევს. ასეთ შემთხვევაში, ამ ინდექსის განმარტების მაგიერ მის ქვედანაყოფთა განმარტება უნდა დავწეროთ: 621.79 „ლითონის მექანიკური დამუშავების დანარჩენი პროცესები"—ასეთი განმარტებით უნდა შეიცვალოს: „ლითონის მეტალიზაცია. წრთობა. შედუღება".

ზოგიერთ ინდექსს აქვს განმარტება „დანარჩენი საკითხები". მაგ. ინდექსს 624.09 უწერია „დანარჩენი (სხვადასხვა) საკითხები": სხვადასხვა სახელმძღვანელოს გადათვალიერებით უნდა დადგენილ იქნას აღნიშნული ინდექსის შინაარსი და მის მიხედვით მიეცეს შესაფერი განმარტება. ამ ინდექსს, ასეთი განმარტება მიეცემა: „ნაგებობათა სტატიკის სხვადასხვა საკითხები: კოჭები, ძელები, საყრდნობები, სვეტები".

635 „საფეხსაცმელო ხელობა. სასარკო ხელობა. საუნაგირო ხელობა". ამ ინდექსს მისდევს მისი ქვედანაყოფები 685.1 „უნაგირები. მოკაზმულობა". 685.3. „ფეხსაცმელი. მეჩექმეობა და ხარაზობა".

სამი სრულიად სხვადასხვაგვარი რუბრიკები გაერთიანებულია ერთ ინდექსში. არ შეიძლება ბიბლიოთეკას მოეპოებოდეს ლიტერატურა, რომელშიდაც სამივე საგანი იყვეს განხილული. სამი ხელობა აქ მხოლოდ მექანიკურად არის გაერთიანებული. მასალა რომ არ გაიფანტოს, ან სამივე რუბრიკი ზოგადი ინდექსით უნდა გავუშვათ, ან ზოგადი ინდექსი გავაუქმოთ და თითოეული ხელობას თავისი ინდექსი მივუჩინოთ.

338 ინდექსის განმარტება „სიმდიდრეთა წარმოქმნა", უნდა შეცვლილ იქნას, ამ ინდექსის ნამდვილი შინაარსის მქონე გასაგები განმარტებით „სახალხო მეურნეობა. მრეწველობა. ეკონომიკური გეოგრაფია".

მაქს. ბერძნიშვილი

## თბილისის საჯარო ბიბლიოთეკის ისტორიისათვის

1850 წ. 26 აპრილს უმაღლესად ნაბრძანები იყო თბილისში დაარსებულიყო საჯარო ბიბლიოთეკა, რომელიც გაიხსნა იმავე ხანებში (1852 წ. 1 მაისს) მეფის ნაცვლის მიხ. სიმ. ვორონცოვის მონაწილეობით მაშინ ახლად დაარსებულ კავკასიის მუზეუმთან და რომელიც, იქ დამყარებული წესების თანახმად, ფაქტიურად სრულებითაც არ ყოფილა საჯარო: მკითხველთა რიცხვი მისი არსებობის მთელ მანძილზე ათეულებს არ აღმატებია. ამ დროიდან იწყება ოფიციალური ისტორია ამ მეტად დიდი კულტურული დაწესებულებისა, რომელიც დღეს ეგოდენ დიდ ფაქტორს წარმოადგენს სკოლის გარეშე განათლების სისტემაში. ნამდვილად კი ცდა საჯარო ბიბლიოთეკის თბილისში გახსნისა უფრო ადრეულა ხანას, სახელდობრ 30—40-იან წლებს ეკუთვნის; და ამის ისტორიას აქ ახლა მოკლედ მოგახსენებთ.

ცნობილ მასალათა მიხედვით ჩვენ ვიცით, რომ ჯერ კიდევ 1830 წელს 5/VII-ს რუსეთის შინაგან საქმეთა მინისტრმა ცირკულარული წინადადება მისცა ყველა გუბერნატორებს დაეარსებინათ თავიანთ გუბერნიებში ბიბლიოთეკები. ამას წინ უსწრებდა რუსეთის საიმპერატორო თავისუფალ ეკონომიური საზოგადოების ინიციატივა, რომელმაც საერთოდ აღძრა საკითხი საჯარო ბიბლიოთეკების დაარსებისა, მიმართა კიდეც ასეთი წინადადებით შინაგან საქმეთა მინისტრს და თავის წერილში გამოთქვა ის აზრი, რომ საჯარო ბიბლიოთეკები წარმოადგენენ არა მარტო საგანმანათლებლო დაწესებულებათ, არამედ ისეთ ორგანოებსაც, სადაც შეიძლება საზოგადოებრივი თვითმოქმედება ამოძრავდეს და მათი საშუალებით მრეწველობაც კი დაწინაურდესო. „Все сии выгоды столь важны в государственном отношении, что сие дело совершено быть может одним усердием дворянских и градских обществ, ежели начальники губерний примут в оном должное участие",—სწერდა თავის მოხსენებაში მინისტრს საზოგადოების პრეზიდენტი ნიკ. სიმ. მორდვინოვი (1754—1845). აღსანიშნავია, რომ იმპერატორ ნიკოლოზის მეფობის დროს (რომელსაც ისტორიკოსნი რეტროგრადობისა და სასტიკობისათვის ნიკოლოზ პალკინს უხმობენ) შინაგან საქმეთა მინისტრი თანაგრძნობით გამოეხმაურა მორდვინოვის წინადადებას.

ასეთი თანაგრძნობა გასაგებიცაა: ეკონომიური საზოგადოება, დაარსებული 1765 წელს მსხვილი მემამულე თავად-აზნაურობის თაოსნობით, დაინტერესებული იყო ინერტობიდან გამოეყვანა და დაერაზმა არა მოსახლეობის ფართო მასა, რომელიც მაშინ ბატონ-ყმობის მძიმე უღელ ქვეშ გმინავდა და მოკლე-

ბული იყო გულწრფელ ზრუნვას და უანგარო ჰირისუფალს, არამედ მარტო თავისი კლასობრივი მონათესავე ფენა—წვრილი თავად-აზნაურობა და ქალაქის მოვაჭრე ელემენტები („дворянские и градские общества"). ამიტომაც იყო, რომ მის წადიერებაზე („усердие") ამყარებდა თავის იმედს საზოგადოების მესვეური გრაფი მორდვინოვი.

ამის შემდეგ არცაა გასაკვირი, რომ ნიკოლოზ პალკინის მინისტრი ცირკულარული მოწოდებით, როგორც თავში მოვიხსენიე, მიმართავს არა მარტო გუბერნატორებს, არამედ გამომცემლებსა და ლიტერატორებსაც კი და სთხოვს—შესწირეთ წიგნები მომავალ საჯარო ბიბლიოთეკებსო. მართლაც ამის მერე სხვადასხვა გუბერნიებში გამოიტანეს კიდეც დადგენილებანი ბიბლიოთეკათა დაარსების შესახებ, რომელნიც—აქვე ვიტყვით—1834 წლამდე შინაგან საქმეთა სამინისტროს უწყებაში ირიცხებოდნენ. ამის მერე იწყო მომრავლება ბიბლიოთეკათა რიცხვმაც რუსეთში. მანამდე კი მთელი 130 წლის მანძილზე პეტრე 1-ლის დროიდან მოკიდებული რუსეთში არსებობდა მარტო სამი ბიბლიოთეკა: სამეცნიერო აკადემიისა, პეტერბურგის საჯარო ბიბლიოთეკა XVIII საუკ. მიწურულებში, რომელსაც საფუძვლად დაედო პოლონეთიდან ნადავლად წამოღებული ზალუსკების მდიდარი ბიბლიოთეკა, და მესამე—გრაფ რუმიანცევის თაოსნობით 1831 წ. პეტერბურგში დაარსებული რუმიანცევისეულ მუზეუმის სახელწოდებით, 1861 წ. მოსკოვში რომ იქნა გადატანილი (დღეს იგი უკვე ჩვენი დიდი ბელადის ვ. ი. ლენინის სახელობის საკავშირო საჯარო ბიბლიოთეკაა).

შინაგან საქმეთა მინისტრის საერთო ცირკულარი, 1830 წ. 5/VII-ის თარიღით, მოვიდა საქართველოშიც; ამ ცირკულარს იმდროინდელი საქართველოს პირობებში ცარიზმის ცენტრალური ხელისუფლების თვალში ორმაგი მნიშვნელობა ენიჭებოდა: კულტურული და უფრო მეტად პოლიტიკური. აქ, საქართველოში, ბიბლიოთეკის დაარსებით შეიქმნებოდა კიდევ ახალი რუსიფიკატორული კერა, რომელიც უფრო დააჩქარებდა ადგილობრივი ზედა ფენების გარუსება-გადაგვარების პროცესს და მეტ გასაქანს მისცემდა რუსულ ენასა და ლიტერატურას, ერთობ, რუსულ კულტურას. გენერალ-ადიუტანტმა სტრეკალოვმა, რომელიც ომებში გართულ მთავარმართველის პასკევიჩის მაგიერ განაგებდა სამოქალაქო საქმეებს, მინისტრის ეს ცირკულარი გაუგზავნა თბილისის სამოქალაქო გუბერნატორს ზავილეისკის, რომელიც ჩვენში ცნობილია, როგორც ლიბერალი კაცი; მას ერთხანად ბრალად ედებოდა ქართველ თავად-აზნაურთა ეგრეთ-წოდებულ 1832 წლ. შეთქმულებაში მონაწილეობა. კავკასიის საარქეოგრაფიო კომისიის აქტებში (ტ. VII, № 58, გვ. 48—49) დაცულია მისი რაპორტი სტრეკალოვის სახელობაზე 1831 წ. 8/I-ის თარიღით და 155 №-ით.

აქ იგი მოახსენებს, რომ თავად-აზნაურთა საგუბერნიო წინამძღოლსა და ა/კ. სასწავლებელთა დირექტორს მოვთხოვე ამ საგანზე თავიანთი აზრის გამოთქმა და ამისდამიხედვით შემიძლიან შემდეგი მოგახსენოთო: 1) ტფილისში ბიბლიოთეკა იქნება პატარა, აქ იქნება შრომები თავისუფალ ეკონომიური საზოგადოებისა, ჟურნალები და შემოწირული წიგნები და ამიტომ საკმარისად მიმაჩნია იგი მოთავსდეს ქალაქისაგან დაქირავებულ ერთ ოთახში; 2) წესები შემო-

ღებულ იქმნას ისეთივე, როგორიც არსებობს საერთოდ იმპერიაში ყველა საჯარო ბიბლიოთეკისათვის: კითხვა წარმოებდეს შიგ სამკითხველო დარბაზშივე და წიგნები სახლში არ იქნეს გაცემული; გაცემა, ადგილობრივი პირობების მიხედვით, შეიძლება დავუშვათ მხოლოდ ცნობილ პირთათვის, ისიც მაშინ, თუ ბიბლიოთეკარი იკისრებს დაუკარგველობისათვის აუცილებელ პასუხისმგებლობას; 3) ამჟამად რაკი თანხები არაა ბიბლიოთეკარის შესანახად, ამიტომ ამ მოვალეობას დავაკისრებ ერთერთს მოხელეს, რომელიც ამ საქმეს გაუძღვება სამსახურს შემდგომ საათებში; ამით თითონაც არ მოსცდება პირდაპირ სამსახურს და გარდა ამისა ზოგიერთი თანამდებობის პირთათვის, ვინც კი შედარებით მოცლილია, ეს დრო უფრო მარჯვეა; 4) რომ საქმე წარმატებით წავიდეს, საჭიროა უპირატესი თანამდებობის პირებმა მიიღონ საპატიო მზრუნველის წოდება; თავად-აზნაურთაგან უსარგებლო არ იქნებოდა ასეთი წოდებით იყოს თვით საგუბერნიო წინამძღოლი; 5) რომ შესაძლებელი იყოს გარდა შემოწირული წიგნებისა მათი, ბიბლიოთეკის შევსების მიზნით, შეძენა, აგრეთვე ბიბლიოთეკარის შენახვა და სხვა აუცილებელ ხარჯების გაწევა, გაიმართოს შეწირულებათა შესაგროვებლად ხელისმოწერა, ხოლო მომავალში დაარსდეს საზოგადოება, რომლის წევრები ყოველწლიურად საკმაო თანხას შემოიტანენო.

ასეთ კონკრეტულ ღონისძიებათა დასახვის შემდეგ სამოქალაქო გუბერნატორი ბოლოს მოახსენებდა, რომ ნაწილი შემოწირულ ჟურნალების და წიგნებისა უკვე ჩემთანაა წარმოდგენილი, ხოლო დანარჩენი შემოვა მაშინ, როცა ბიბლიოთეკის გახსნის ცნობას მიიღებენო.

ცხადია, რომ თბილისის ადმინისტრაცია არსებითად ვერ იჩენს ენერგიულობას. იმიტომ კი არა, რომ ვერ ხედავდა და ვერ აფასებდა ბიბლიოთეკის რუსიფიკატორულ მნიშვნელობას, არამედ იმიტომ, რომ იმხანად საქართველოში არ იყო სათანადოდ ნიადაგი შემზადებული ბიბლიოთეკის გახსნისათვის. იმდროინდელი ქართული საზოგადოების ზედა ფენა en masse ჯერ არ იყო ზიარებული რუსულ კულტურას: ქართულ ოჯახებში, უმთავრესად კი ეკლესია-მონასტრებთან არსებულ სკოლებში ნასწავლი თავად-აზნაურობა რუსულ ენას ჯერ არ დაუფლებოდა და ამიტომ რუსული ბიბლიოთეკა მისთვის ჯერ არ იყო საჭიროებად ქცეული. ქართული ბიბლიოთეკის დაარსება კი ცარიზმისთვის არც ცენტრში და არც ადგილობრივ ინტერესს არ წარმოადგენდა: მას ხომ მიზნად რუსიფიკაცია ჰქონდა და არა ნამდვილი ცოდნის ფართოდ დანერგვა და გავრცელება. ამიტომაც იყო, რომ თუმცა წიგნებიც შეუწირავთ, ფულიც შეუგროვებიათ (ეს ქვემოთ მოყვანილი საბუთიდან ჩანს), მაინც თბილისში საჯარო ბიბლიოთეკა ვერ დაარსდა.

ასევე უშედეგო ცდა იყო რამდენიმე წლის შემდეგაც. 25/VII-ს 1835 წ., როცა განათლების სამინისტროს სათავეში ედგა სერგი სიმონისძე უვაროვი (1786—1855), ამავე დროს სამეცნიერო აკადემიის პრეზიდენტი (1818 წლიდან მოკიდებული სიკვდილამდე), ამიერკავკასიის მთავარმართველს ბარონ როზენს ხელახლა მიეცა წინადადება თბილისში გაეხსნა **губернская библиотека для чтения**; ამის პასუხიც 1836 წ. 26/I-ის თარიღით, № 38-ით, გამოქვეყნებულია აქტებში (ტ. VIII, № 37, გვ. 62—63).

აქ როზენი მოახსენებს მინისტრს უვაროვს: თქვენი განკარგულების შესასრულებლად შევეკითხე ტფილისის სამოქალაქო გუბერნატორს—შეიძლება თუ არა ტფილისში ასეთი ბიბლიოთეკა გაიხსნას და რა შედეგი მოჰყვა წინანდელ მეცადინეობასო. ამაზედო—განაგრძობს როზენი—შარშან [1835 წ.] 19/XII-ს თ-დმა ნიკ. იოს. ფალავანდოვმა [ცნობილ იასე ფალავანდიშვილის ძმამ] რაპორტით მომახსენა, რომ ჩემი წინამოადგილის განკარგულებათა შემდგომაც, როცა მე შევუდექი ჩემი თანამდებობის ასრულებას, განვაახლე საგუბერნიო წინამძღოლთან და სხვა მის ნაცნობ პირებთან და დაწესებულებებთან (известными ему лицами и местами) მოლაპარაკება, ვცდილობდი დამეყოლიებინა, რომ შეეწირათ რამე ბიბლიოთეკის მოსაწყობად, მაგრამ ვერა გავაწყეო (старание... не имело желаемого успеха). საგუბერნიო წინამძღოლმა განმიცხადა—მოახსენებს ფალავანდოვი—რომ თავად-აზნაურთა შორის არავის არაფერი არ შემოუწირავს და არც ვინმეა მოსურნე ბიბლიოთეკის მზრუნველობა იკისროსო; ზოგიერთმა პირმა ფული შემოსწირა, მაგრამ ძალიან მცირე თანხა დადგა: სულ 80 ვერცხ. მანეთამდე შეგროვდაო.

> Уведомляя о таковом донесении губернатора,—ამთავრებს თავის მოხსენებას როზენი,—имею честь присовокупить, что при незнании здешними жителями русского языка и при недостаточном состоянии грузинского дворянства, не представляется никакой возможности к приведению ныне же в исполнение предположения об учреждении в Тифлисе библиотеки для чтения на счет пожертвований.

ამრიგად ცარისტული ბიუროკრატიის ვერც მეორე ცდა ახალი რუსიფიკატორული კერის შექმნისა დაგვირგვინდა წარმატებით. ეს ასეც უნდა მომხდარიყო, ჯერ ერთი იმიტომ, რომ ზევიდან მომდინარე იდეას არ დაუხვდა შემზადებული ნიადაგი: რუსულ ენას ისევ არ ჰქონდა საქართველოს მოსახლეობის ზედა ფენაში ძირი გადგმული (ამას ადგილობრივი ადმინისტრაციაც ვერ მალავდა: при незнании здешними жителями русского языка... не представляется никакой возможности к приведению в исполнение предположения об учреждении... библиотеки...). მერე კიდევ იმიტომ, რომ ადგილობრივი ელემენტები, რომელნიც, როგორც რუსულ კულტურაზე აღზრდილნი, მეტნაკლებად შესძლებდნენ ბიბლიოთეკის დაარსებას და გაძღოლას, არა თუ თვლემდნენ, არამედ ცარიზმმა გააცამტვერა და მიმოფანტა იმპერიის შორეულ და მიყრუებულ კუთხეებში 1832 წლის შეთქმულების გამომძღავნების შედეგად.

ასე გაგრძელდა მდგომარეობა იმ დრომდე, სანამ ერთი მხრით კვლავ არ გაჩნდა ადგილობრივ ახალი ბირთვი რუსულ კულტურას ზიარებული საზოგადოებისა და მეორე მხრით კვლავ არ დაბრუნდნენ საქართველოში 1832 წლის კატასტროფის მსხვერპლნი. აი ეს წამოსწრებული და გადასახლებიდან დაბრუნებული ინტელექტუალური ძალები 40-იან წლებში განახორციელებენ 10—12 წლის წინათ წამოწყებულ საქმეს და დააარსებენ თბილისში ბიბლიოთეკას. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავი არიან დიმიტრი ყიფიანი და ნაადრევად გარდაცვალებული ლიტერატორი ზაქარია მიხეილის-ძე ფალავანდიშვილი.

ამის შესახებ ცნობები მოიპოვება დიმ. ყიფიანის „მემუარებში“ [1], განსაკუთრებით კი მისი შვილის—კონსტანტინე ყიფიანის წერილში: „Публичная библиотека в Тифлисе. Историческая справка“ [2], რომელიც განსვენებულ მკვლევარს სიმ. ხუნდაძეს სრულებით არ გამოუყენებია, და აგრეთვე ზემოხსენებულ ზაქარია ფალავანდიშვილის დღემდე გამოუქვეყნებელ წერილებში [3].

მოვიყვან უფრო ყურადსაღებ მომენტებს.

1842 წ. სექტემბერში, ე. ი. უკანასკნელი ცდის მერე $6^1/_2$ წლის განვლის შემდგომ, თბილისში თავი მოუყრია 30 ახალგაზრდას, რომელთაც გადაუწყვეტიათ თავიანთი სახსრით კერძო ბიბლიოთეკის დაარსება. აშკარად ჩანს, რომ ბიუროკრატიის ინიციატივას ხელათვე საღათას ძილისთვის მიუცია თავი, რაკი ზეგავლენა მაღალ სფეროებისა შეწყვეტილა. ამ 30-ში, კ. ყიფიანის სიტყვით, 17 ყოფილა ქართველი, 11 რუსი და 2 სომეხი. რადგან დიმ. ყიფიანის მემუარებში მოხსენებულია მხოლოდ 21 პირი და არა ყველა 30 კაცი, ამიტომ ზედმეტი არ იქნება სრულად გავიხსენოთ საქართველოში სკოლის გარეშე განათლების პიონერთა ვინაობა. ესენი არიან: 1) დიმ. ყიფიანი, 2) ზაქარია ერისთავი (გარდ.1849). 3) ზაქარია ფალავანდოვი, „ყვაწვილი კაცი, დიდ იმედებს რომ იძლეოდა, მაგრამ მალე გარდაიცვალა ანევრიზმით“, 4) ვახტანგ ორბელიანი, 5) ზაქარია ორბელიანი, 6) ელიზბარ ერისთავი, 7) კონსტ. დადიანი, 8) ალექს. ონიკოვი (გარდ. 1885 წ.), 9) ლევან მელიქიშვილი, 10) ნიკოლოზ ბარათაშვილი, 11) მიხეილ თუმანიშვილი, 12) დიმიტრი ჯორჯაძე, 13) დავით ჭავჭავაძე, 14) გრიგოლ ორბელიანი, 15) ივანე ორბელიანი, 16) თევდ. კოცებუ, 17) მიხ. ზნაჩკო-იავორსკი, 18) ნიკ. ბეზაკი, 19) კონსტ. ორლოვსკი, 20) სერგი ვასილკოვსკი, 21) დავით არზანოვი, 22) გიორგი რევ. ერისთავი, 23) ივ. კონსტ. მუხრანბატონი, 24) ალექსანდრე ჭავჭავაძე, 25) პოდპოლკოვ. ა. ი. ნეიდჰარტი, 26) ალ. ალექსისძე ბორზენკი, 27) ვას. ტიმ. ბელიაევი, 28) ივ. ივ. ნაზაროვი, 29) კონსტ. ივ. ზახი და 30) ივ. სოლომ. აბესალომოვი [4]. ჩემი ანგარიშით, დამაარსებელთა შორის 18 ყოფილა ქართველი, 10 რუსი და 2 სომეხი.

დიმიტრი ყიფიანის მემუარებით და მისი შვილის კონსტანტინე ყიფიანის საგაზეთო წერილით ჩანს, რომ თბილისში ამ კერძო ბიბლიოთეკის დაარსების ინიციატორი ყოფილა დიმ. ყიფიანი; მაგრამ ზაქ. ფალავანდიშვილის წერილებიდან აშკარად ირკვევა, რომ ასეთ თაოსნობაში წილი უნდა დაედოს ზაქ. ფალავანდიშვილსაც და ერთს მესამესაც, რომლის ვინაობა ჩემთვის ჯერჯერობით გამოურკვეველი დარჩა.

1843 წ. 28 დეკ. (№ 18 წერილი) ზაქარია ფალავანდიშვილი ფრანგულად სწერს პეტერბურგში აკადემიკოს მარი ბროსეს:

---

[1] სიმ. ხუნდაძის რედაქციით გამოცემული, გვ. 104—107 და შენიშვნები რედაქტორისა, გვ. 167.

[2] „Новое обозрение“, 1899 წ. № 5224.

[3] საქ. მუზეუმის სახელნაწერო განყოფ. წ. კ. საზ-ბის ფონდი, № 4797.

[4] 22—30 ციფრის ქვეშ მოთავსებულ პირთ დიმ. ყიფიანი თავის „მემუარებში“ რატომღაც არ იხსენიებს.

„...ჩემს სალაროში სრულიად უმნიშვნელო თანხაა პეტერბურგში გამოსაგზავნად—300 ვერცხ. მან., თუ აქვე მივათვლით ბიბლიოთეკის ფულსაც, ამას წინათ რომ დაარსა ტფილისის ახალგაზრდთა, მეტ წილად ქართველებისგან შემდგარმა საზოგადოებამ. მე ვარ ამ ბიბლიოთეკის ერთ-ერთი სამ დირექტორთაგანი[1]. ის კეთილგანწყობილება, რომელსაც მე ყოველთვის ვპოვებდი თქვენგან, მაბედვინებს გთხოვოთ გაისარჯოთ და დაგვეხმაროთ ჩვენ ამ შემთხვევაში. და აი როგორ: რუსულ წიგნებისათვის მიმართეთ წიგნის მოვაჭრეებს ოლხინს, იუნგმეისტერს ან პოლევოის, რომელნიც ალბად რამეს დაგვიკლებენ. მერე მიეცით კატალოგი, იქ აღნიშნონ ფასები გამოგზავნით და შემდეგ ფული უბოძეთ. ფრანგულ წიგნებზე მოელაპარაკეთ ისაკოვს... უთხარით ამ ბატონებს გამოგვიგზავნონ თავიანთი წიგნების კატალოგები და ანგარიში პატარა განმარტებით მომავლისათვის, რადგან ჩვენ უნდა გვქონდეს 1000 მან. თანხა... გამოგზავნონ ჩემ სახელზე".

ასეთ ცხოველს მონაწილეობას იღებს ზაქ. ფალავანდიშვილი ახლად დაარსებულ ბიბლიოთეკის საქმიანობაში, რაც ჩანს მის უფრო ადრინდელ სხვა წერილებიდანაც. მათი ციტაცია შორს წაგვიყვანდა. ვიტყვით მხოლოდ, რომ საკმაო ნაწილი წიგნებისა შეუწირია თითონ აკადემიკოს ბროსეს. ეს ჩანს ფალავანდიშვილის წერილიდან, მას რომ სწერს 1843 წ. 26 მარტს:

„...ბიბლიოთეკას არ შეუძლია არ მიიღოს თქვენი შემოწირულება, ეგოდენ სანუკვარი მისთვის არსებობის პირველ დღეებშიო".

თითონ ბიბლიოთეკის მიზნებიც, ფალავანდიშვილის ცნობით, უფრო ფართოდ იხატება, ვიდრე ეს მოთხრობილი აქვს მემუარისტის შვილს კოტე ყიფიანს თავის წერილში. მაგრამ ამაზე ქვემოთ.

როგორ საფუძველზე წარმოიშვა ეს კერძო ბიბლიოთეკა?

ყოველ მონაწილეს ყოველწლიურად შეჰქონდა სალაროში წიგნების შესაძენად და პერიოდულ გამოცემათა გამოსაწერად 30 მანეთი. ყველას წესიერად შეჰქონდა ეს აღთქმული თანხა. „წესები" შედგენის უმალ დიმ. ყიფიანმა წარუდგინა განსახილველად მაშინდელ მთავარმართებელს გენ. გოლოვინს, რომელმაც ადვილად დაამტკიცა. მათი შინაარსი მოკლედ ასეთი იყო:

„ქართველი თავად-აზნაურობა სწავლა-განათლების დამთავრების შემდეგ დიდ გაჭირვებაშია იმის გამო, რომ არ შეუძლია თვალყური ადევნოს მეცნიერებასა და ლიტერატურას და ამიტომ ზოგიერთი მათგანი მზად არის თავის სახსრებიდან წელიწადში გაიღოს 30 მან. ისეთი კერძო ბიბლიოთეკის დასაარსებლად, რომლისგანაც შემდეგში შეიძლება საზოგადოებრივი ბიბლიოთეკაც წარმოცენდესო". როცა წევრთა რიცხვი 5 იქნება, ისინი მაშინ თავიანთ შორის სამს ირჩევენ, რომელთაც ნებას აძლევენ თავიანთი შეხედულებით ამოირჩიონ და გამოიწერონ წიგნები. წლის განმავლობაში წევრთა რიცხვი კი 30-ზე მეტი არ შეიძლება იქნეს. ყოველ წევრს უფლება აქვს საკუთარი ამორჩევით გამოაწერინოს წიგნები ნახევარი თანხისა, ე. ი. 15 ვერცხ. მან. წევრს შეუძლია თანხის გარდა წიგნებიც შეიტანოს, მაგრამ ეს წიგნები მას დაუბრუნდება, თუ ბი-

[1] ხაზი ჩემია.—მ. ბ.

ბლიოთეკა გაუქმდა ან დამაარსებელთა გამგებლობას ჩამოსცილდა ან თუ თითონ დამაარსებელი გამოვა წევრთა რიცხვიდან. წიგნების პატრონისა და მისი მემკვიდრეების ნებაზეა დამოკიდებული, გააკრცელებენ თუ არა ისინი ამ წესს ასეთ წიგნებზე. წიგნები წევრებს გადაეცემა რიგრიგობით მოკითხვის ჯერისამებრ. წასაკითხად დადგენილია ვადები წიგნის ზომისა და მოცულობის მიხედვით: 12° ზომის წიგნის წასაკითხად განკუთვნილია 6 დღე, 8°—8 დღე, in 4°—10 დღე, ხოლო ფოლიანტებისათვის 12 დღე. ეს ვადები დადგენილია სუბუქ საკითხავ წიგნებისათვის, კლასიკური [სასწავლო] წიგნებისათვის კი ვადა ორი დღით ემატება. ვინც მოისურვებს წიგნის წაღებას სათარგმნელად ან შესასწავლად, მას ვადა არ უწესდება, ოღონდ ის მოვალეა იგი დააბრუნოს მოკითხვისათანავე. წიგნის გატანა ქალაქ გარეთაც შეიძლება, თუ იგი თავისუფალია, ოღონდ 2 თვის ვადით. წევრის მოთხოვნით გამოწერილი წიგნები პირველ რიგში მიეცემა მას, ვისი ფულითაცაა იგი გამოწერილი, მერე კი საერთო წესისამებრ. ვინიცობაა ვინმემ წიგნი თავისთან ვადაზე მეტ ხანს გააჩერა, მას უფლება ეკარგება თავისით განაგოს შეტანილი თანხის ნახევარით (ე. ი. გამოაწერინოს თავისი შეხედულებით); თუ ეს შემთხვევა გაიმეორა, მაშინ წევრობის უფლებასაც ჰკარგავს. წიგნის დამკარგავს ერთი წლის განმავლობაში წიგნის სარგებლობის უფლება ერთმევა, ხოლო თუ მოიწადინებს მომავალ წელს ამ უფლების აღდგენას, მაშინ შეაქვს 35 მან., და თუ არ უნდა არც იმ წლის განმავლობაში ამ უფლების დაკარგვა, მაშინ წიგნის დაკარგვის გამორკვევისათანავე შეიტანს ცალკე 10 მ., ხოლო თუ წიგნი 5 მანეთზე მეტი ღირს, ორმაგი რაოდენობით. აგრეთვე წიგნის საფასურს ორმაგად გადიხდის ის, ვინც წიგნს დააზიანებს ან გააფუჭებს.

წესებში არაფერია ნათქვამი იმის შესახებ, თუ რა პასუხისმგებლობა ეკისრებოდა იმ პირს, ვისაც მინდობილი ჰქონდა ბიბლიოთეკა და მისი თანხები: ეს უეჭველია იმიტომ, რომ ასეთი პირის მხრივ ბოროტმოქმედების ჩადენა დამაარსებელთ შეუძლებელ საქმედ ჰქონდათ წარმოდგენილი. ოღონდ მისი ავადმყოფობის დროს ან მოვალეობისადმი დაუდევრობის შემთხვევაში, მის მაგიერ ირჩევდნენ სხვას.

ვინიცობაა ბიბლიოთეკა გაუქმდებოდა, წიგნები ან უნდა გაყიდულიყო, ან რომელიმე სასწავლებლისათვის დაეთმოთ, ან წევრთა შორის წილის ყრით გაენაწილებინათ. თუ წიგნები გაიყიდებოდა, აღებული ფული წევრებს ერთმანეთში თანასწორად უნდა გაეყოთ.

გასავალ ხარჯად წელიწადში ნაჩვენებია: 360 მანეთი ბინის ქირა, თუმცა ბიბლიოთეკა, დ. ყიფიანის სიტყვით, მის ბინაზე ყოფილა მოთავსებული, და 100 მანეთამდე წიგნების დასაკაზმი ხარჯი.

მაგრამ ბიბლიოთეკის ფუნქცია უფრო ფართედ ყოფილა დასახული; მისი დამაარსებელნი არ ჯერდებიან მარტო წიგნების გამოწერას და კითხვას, თუნდ თარგმნას. მისი მიზნები ფართოდ გვეხატება, თუ გავიხსენებთ ზაქ. ფალავანდიშვილის სიტყვებს, ბროსეს ერთგვარი კმაყოფილებით და აღტაცებით რომ სწერს:

„ახალი ამბავი თქვენთვის: ბიბლიოთეკა, რომლის წესები დაგვიმტკიცა ამიერკავკასიის მთავარმართებელმა, მოვალეა შეიძინოს ქართული ხელნაწერები შესასწავლად და გამოსაქვეყნებლად. იქნებ პატარა ჟურნალიც გავიჩინოთ“,—

დასძენს ენთუზიაზმით სავსე ახალგაზრდა ფალავანდიშვილი, რომელმაც მართლაც შესძლო „Закавказский Вестник“-თან, პლატონ იოსელიანი რომ რედაქტორობდა, დაეარსებინა 1845 წელს მხოლოდ მისი ოფიციალური ნაწილი—„კავკასიისა მხარეთა უწყებანი“-ს სახელწოდებით.

კავკასიის მუზეუმთან საჯარო ბიბლიოთეკის დაარსებისათანავე „ტფილისის კერძო ბიბლიოთეკა“ მთელი თავისი ნაჭირნახულევი ფონდით საფუძვლად დაედო საქართველოში ამ პირველს წიგნთსაცავს; და თუ მის შორეულ ჩამომავალს—საქართველოს საჯარო ბიბლიოთეკას—დღესაც მოეძებნება რარიტეტები, ამაში ჩვენ უნდა ვუმადლოდეთ, სხვათა შორის, წარს. საუკ. 40-იან წლების ქართველ ინტელიგენციას, რომელმაც დასაწყისში უფრო მეტი შესძლო სკოლისგარეშე განათლების დარგში, ვიდრე ბიუროკრატიული რუსეთის მოხელეობამ და ნიადაგი შეუმზადა თბილისში სახაზინო ხარჯით საჯარო ბიბლიოთეკის გახსნას.

## ლიტერატურა


Акты Кавказской Археографической Комиссии, т. VII, стр. 48—49; т. VIII, стр. 62—63.

დიმიტრი ყიფიანი. მემუარები, გვ. 104—107; იქვე შენიშვნები რედაქტორის—სიმონ ხუნდაძისა, გვ. 167.

Кипиани Конст. Дим. Публичная библиотека в Тифлисе. Историческая справка. „Новое Обозрение“, 1899 г. № 5224.

Краткий каталог Тифлисской публичной библиотеки с предисловием А. П. Берже. Тифлис. 1861.

ზაქ. ფალავანდიშვილის წერილები (საქ. მუზეუმი, წ. კ. საზ-ბის სახელნაწერო ფონდი, № 4797).

Г. В. Зерцалов

# Из истории русской печати в Грузии в досоветский период

## I

Возникновение на территории современной Грузии русской печати, ее распространение и условия существования здесь, осуществлявшиеся ею задачи до установления в Грузии советской власти—эти вопросы, без сомнения, крайне интересны и должны привлечь к себе внимание исследователей, поставивших своей целью дать всестороннее освещение истории Грузии в XIX и начале XX столетия.

Исключительное значение печатного слова, как могучего средства воздействия на массы, было хорошо осознано правящими классами вскоре же за изобретением печатного станка. Правительственные издания в западно-европейских государствах, сообщавшие о событиях громадной важности и являвшиеся по существу предшественниками правительственных газет, выходят уже в конце XV в. В XVI и XVII столетиях они постепенно получают характер строгой периодичности и делаются довольно распространенным явлением. В царской России первая правительственная газета, как известно, возникла в 1702 г. и называлась „Ведомости о военных и иных делах, достойных значения и памяти, случившихся в Московском государстве и иных странах". Указом Петра I повелевалось: „По ведомостям о воинских и всяких делах, которые надлежат для об'явления Московского и окрестных государств людям, печатать куранты", т. е. правительству вменялось в обязанность держать население в курсе проводимых им мероприятий.

Когда царизм более или менее укрепил свои позиции в Закавказье и начал широко проводить свои мероприятия по освоению края и „приобщению колонии за Кавказом" к русской культуре, он не замедлил использовать для этой цели и печатное слово. В 1819 г., когда еще во всей Российской империи существовало только три провинциальных газеты (в Казани, Харькове и Астрахани), в Тбилиси,—тогда административном центре не только Грузии, но и всего Кавказа,—было приступлено к изданию на грузинском языке „Сакартвелос газети". Это издание имело только внешний облик грузинской газеты, по существу же оно было русским правительственным органом. Газета составлялась по-русски, затем текст ее переводился на „общедоступный" грузинский язык, перевод этот

печатался в типографии штаба Кавказского военного корпуса и в таком виде рассылался подписчикам. Изданием заведывал особый комитет при штабе главнокомандующего (он же главноначальствующий в Грузии) ген. Ермолова. По мысли издателя газета должна была „служить к удовольствию обитателей здешнего края и быть нужной по гражданским делам". Так было положено начало русской по содержанию и грузинской—по внешнему оформлению первой правительственной газеты в Грузии.

„Сакартвелос газети" просуществовала два года и прекратила свое существование в 1821 г., по официальным сведениям вследствие крайне быстрого сокращения тиража и отсутствия подписчиков. Но в том, что первую русскую правительственную газету местные кавказские власти решили издавать на грузинском языке, по мнению официальных царских историков, нельзя не видеть своего рода „либерализма", и во всяком случае это можно расценивать, как из ряда вон выходящее тогда явление[1].

Вторым по счету русским правительственным периодическим изданием в Грузии и первой действительно русской газетой здесь, по справедливости, считаются „Тифлисские Ведомости", начавшие выходить еженедельно с 4 июня 1828 г., т. е. спустя семь лет после прекращения издания „Сакартвелос газети". Главноначальствующим в Грузии был в то время любимец Николая I—Паскевич. Необходимость издания в Тбилиси русской газеты мотивировалась Паскевичем следующими соображениями. Россия в те годы вела победоносную войну с Ираном и начинала наступательную войну против Турции. Закавказские провинции и в первую очередь Грузия в этих войнах являлись ближайшей прифронтовой полосой. „Необходимо было, писал Паскевич, держать местное население в курсе происходивших тогда на Кавказе событий в связи с войной с Персией, а потом с Турцией. Листовки, расклеиваемые по городу (Тбилиси) не достигали цели, а потому встал вопрос об издании постоянного пе-

[1] Здесь, быть может, нужно видеть влияние и голос той зараженной либеральными идеями военной интеллигенции, которая нашла себе приют в кавказских „ермоловских" войсках. Известно, что Александр I незадолго до своей смерти писал своему брату Николаю (записка послана из Таганрога, где умирал Александр и получена Николаем через ген. Дибича 11-12 декабря 1825 г., т. е. за два дня до восстания декабристов): „Есть слухи,—писал император своему наследнику,—что пагубный дух вольности или либерализма разлит или, по крайней мере, сильно развивается; между войсками и в отдельных корпусах есть тайные общества или клубы, которые при том имеют секретных миссионеров для распространения своей партии: Ермолов, Раевский, Киселев, Михаил Орлов, Димитрий Столыпин и мн. др. из генералов, полковников и полковых командиров (Шильдер. „Александр I", т. IV. Цит. по изд. „Утверждение русского владычества на Кавказе". Т. III ч. I, стр. 356). Нахождение среди подчиненных Ермолова таких лиц, как Грибоедов, Кюхельбекер, Якубович, Авенариус, Калачевский, привлекавшихся впоследствии по делу декабристов, также заставляет предполагать, что „духа вольности" не был чужд сам Ермолов и ближайшие его сотрудники.

риодического органа"[1]. По мнению Паскевича, целью газеты, издаваемой в Грузии на русском языке, было также „распространение неприметно между здешними жителями нужных для них сведений и мыслей, более согласных с понятиями просвещенных народов".

В 1828 г. вышло 26 номеров „Тифлисских Ведомостей". Газета не имела никаких подзаголовков о характере издания, кроме изображения герба и указания, что она является „официальным еженедельным изданием". Наполнялась она приказами по гражданскому и военному ведомствам, по Кавказскому округу, правительственными известиями о внутренней жизни в России, военных действиях на Кавказе, новостях заграничной жизни и так называемой „смесью", в которой, между прочим, регулярно печатались бюллетени о денежных курсах (червонцах, серебр. рублях и ассигнациях).

В 1829 г. „Тифлисские Ведомости" на заглавном листе с левой стороны герба помещали об'явление: „выходят на русском языке—по пятницам, на грузинском—по понедельникам и на фарсийском—по средам". Справа: „Подписная плата на год в Закавказье—6 руб. сереб., по ту сторону Кавказа—30 р. ассигнациями". Первоначально текст грузинского и фарсийского издания газеты был точным переводом с русского, но затем грузинское издание, которым заведывал Соломон Додашвили, мало по малу стало принимать более самостоятельный облик, являясь как бы особой газетой на грузинском языке „Тбилисис Уцхебани".

Редактором „Тифлисских Ведомостей" в 1828—1829 г. г. был П. Санковский, известный в то время русский литератор, современник Пушкина, бывший с ним в приятельских отношениях. В газете негласно принимали участие сосланные в Закавказье декабристы. К отдельным номерам газеты давались „Прибавления" с описаниями военных действий Кавказского корпуса. Полубеллетристические и историко-этнографические очерки, печатавшиеся в „Тифлисских Ведомостях" привлекли к этой части газеты внимание русской столичной печати, которая не переставала пользоваться помещаемыми в ней статьями для ознакомления русских читателей с новым интересным для них краем[2].

„Тифлисские Ведомости" печатались в собственной, специально организованной для этой цели типографии[3]. Цензором издания был тифлисский губернатор Завилейский. Газета являлась правительственным органом, издавалась на ассигнуемые правительством средства и преследовала исключительно правительственные цели.

---

[1] Ениколопов. „Грибоедов на Кавказе". Тифл. стр. 59.

[2] Акты Кав. Археогр. Ком. т. VII №№ 16 и 34 и т. VIII № 3. Иваненко. „Гражданское Управление Закав. краем". Тифл. 1901 г., стр. 165.

34. **Литература в помощь изучающим „Краткий курс истории Всесоюзной Коммунистической Партии (большевиков)“.** I—VI гл. Тбилиси. 1939. (Республиканский кабинет библиотековедения и реком. библиографии при библ. управ. Наркомпроса Груз. ССР). 10 стр.

35. **В помощь изучающим „Краткий курс истории ВКП(б)“.** Указатель библиограф. источников—(Сарат. обл. б-ка. [1940]. 4 ненум. без. обл. и т. л. 20 см.

36. **Литература к главам „Краткого курса истории ВКП(б)“.** (В помощь изучающим историю ВКП(б). Указатель основных произведений Маркса, Энгельса, Ленина, Сталина). Обл. кн-во Сталинград. 1940. 72 см. 20 см.

37. **Указатель основных первоисточников в помощь изучающим „Краткий курс истории ВКП(б)“.** [Сост. А. Бочевер, С. Гилевская, В. Никитин и др.]. Под ред. и с предис. П. Поспелова и Г. Александрова. (Всес. Книж. палата). Мордгиз Саранск. 1940. 10 ненум. с 15 см. 1 р. 50 к. в пер.

38. **В помощь изучающим историю ВКП(б).** Указатель журн. и газ. мат-лов (1-е сент. 1938 г. 1-е март. 1940 г.). [Сост. К Мирошников, П. Сушко, Л. Ойслендер]. — (Наркомпрос УССР науч-метод. кабинет библиотековедения и мас. библиографии). Книж. палата УССР. Харьков. 1940. 64 стр. 24 см. 1 р. 25 к. Укр. яз.

მაძს. გერძნიშვილი

## ნოტა ბენეს ვინაობისათვის

ივ. კერესელიძისეულ ჟურნალ „ცისკარში“ 1858 წელს მისმა მახლობელმა თანამშრომელმა ალ. სავანელმა აღძრა მეტად საინტერესო ორთოგრაფიული საკითხი, რომელიც ბოლო დრომდე გადაუწყვეტელი იყო. ესაა საქართველოს დედაქალაქის სახელის მართლწერა. მას, როგორც ეს ყველას ახსოვს, მეტად ჰრელად წერდნენ: ხან ხმარობდნენ ტფილისს, ხან თბილისს და ხან კიდევ თფილისსაც, სანამ საბჭოთა ხელისუფლებამ უკანასკნელ წლებში არ შეიტანა გარკვეულობა საგანგებო დადგენილებით და არ დააწესა თბილისის ხმარება. ამ საკითხის შესახებ თავის აზრს ალ. სავანელი სწერდა და ასაბუთებდა შემდეგი სიტყვებით:

> „აქამომდე ზოგნი სწერენ—ტფილისი, ზოგნი—თფილისი, რომელი ტყუის და რომელი მართალია? ნამდვილი წოდება ჩუენის ქალაქისა ვგონებ უნდა იყოს **თბილისი** და არა **ტფილისი**, თბილისის ქალაქი და არა ტფილისის ქალაქი, ვინაითგან წოდება ესე მიუღია მას, როგორათაც მოგვითხრობენ მწერალნი, **თბილისის წყლიდამ** (და არა ტფილი წყლიდამ), აბანოებიდამ, რომელნიც მრავალნი არიან აქ...“-ო [1].

მაგრამ, ჩანს, თავისი აზრი უცილობელ აზრად არ მიაჩნდა, რადგან წერდა მგონეობით, და ამიტომაც საპაექროდ იწვევდა მცოდნე პირებს: „გთხოვთ დამირღვიოთ ეს ჩემი ჰაზრი, უკეთუ ვარ შემცდარი“-ო.

ალ. სავანელის გამოწვევა უპასუხოდ არ დარჩენილა: მას გამოეხმაურა ნოტა ბენე [2], რომელმაც მოიმარჯვა ძველი მწერლობა, ნუმიზმატიკა, ტრადიცია და ამ იარაღით ჩააჩუმა ალ. სავანელი და თითონ ჟურნალის რედაქტორიც ივ. კერესელიძე, რომელიც, ისედაც მუდამ მერყევი, ეხლა ისე დაფრთხა, რომ თუ თებერვლის №-ს, იქ დაბეჭდილ ალ. სავანელის წერილის ზეგავლენით, კანის ფურცელზე თბილისი დააწერა, მარტის №-ი, სადაც უკვე ნოტა ბენეს წერილი იყო მოთავსებული, ისევ წინანდებურად ტფილისის მართლწერით გამოუშვა, მით უფრო, რომ ნოტა ბენე უსაყვედურებდა: „ჟურნალს არ ემართა ასე მსწრაფლად უარყოფა ერთხელ მიღებულის კანონისა უსაფუძვლოდ; ჯერ უნდა მოეცადნა, რით გადაწყდებოდა საქმე, დიდის ამბით აშენებული უ. სავანელისაგან“-ო.

---

[1] მკითხველთადმი (ცისკარი 1858 წ., № 2, გვ. 169-172).

[2] პასუხი (ცისკარი, 1858, № 3, გვ. 223—226).

მერე რა საბუთების დასახელებით გადასწყვიტა ნოტა ბენემ „სავანლისაგან აშენებული საქმე“? მოვუსმინოთ თითონ ნოტა ბენეს, რომელიც ასეთი სიტყვებით ეხმაურება სავანლის გამოწვევას:

„თქვენ ბრძანებთ, რომ „აქამდინ არვინ არ მიიღო შრომა განმარტებისათვის ჩვენის ქალაქის სახელისა და მართ-მწერლობისათვის მისისაო“. ამაზედ მოგახსენებთ: იმიტომ არავის არ მიუღია ეს ამაო შრომა, რომ დიდი ხანია გადაუწყვეტიათ და დაუწესებიათ ჩვენზედ ჰკვიან კაცთა, რომ ჩვენი ქალაქი ნამდვილ ტ ფ ი ლ ი ს ა დ უნდა იწოდებოდეს. თქვენ ცდილობთ დაამტკიცოთ წინააღმდეგი, გასამტყუნებელად ყოველთა, ვისაც საფუძვლიანად ჰსცოდნიათ ქართული ენა და უხმარიათ ტ ფ ი ლ ი ს ი. იქნება თბილისსაც ბევრნი ჰსწერდნენ, მაგრამ უკანონოდ. აი მიზეზი წარმოგიდგინოთ:

თ ბ ი ლ ი არის სიტყვა, გარყვნილი საზოგადო, სახალხო ხმარებაში. ესევე ლექსი საღმრთო წერილში ესე იგი ქართული ენით გამოითქმის ტ ფ ი ლ ი. თუ არ გჯერათ, აიღეთ სახარება, იპოვნეთ იოანესაგან თავი 18 მუხლი 18 და წაიკითხეთ: „ნაკუ@რცხალი აღეგზნა, რამეთუ ყინელი იყო და ტ ფ ე ბ ო დ ე ს, ჰსდგა მათ-თანა პეტრეცა და ტ ფ ე ბ ო დ ა“. მერმე საქმე მოციქულთაში ნახეთ თავი 28 მუხლი 3: „ვითარ შეჰკრებდა პავლე ქარქვეტსა და დაასხმიდა ცეცხლსა მას ზედა, იქედნე ს ი ტ ფ ო ჲ ს ა მისგან გამოხდა“ და სხ.

ნოტა-ბენე შემდეგ დასძენს:

„ვგონებ, ეს მაგალითები სამყოფი არის თქვენ დასარწმუნებლად, რომ ტ ფ ი ლ ი უაზრო და სასაცილო ლექსი არ არის. ახლა გვიპასუხეთ: რომელი წოდება ურჩევნია ჩვენ ძველს დედა-ქალაქსა, ნამდვილი ქართული თუ გარყვნილი დაბიური? მაშა ჰსჩანს, არა სცთებიან ძველი წიგნები, ამ ქალაქში დაბეჭდილნი, არცა მაშინდელნი საქართველოს მწერალნი და მსწავლულნი, რომელთაც უხმარიათ ტ ფ ი ლ ი ს ი და არა თბილისი; მაშ არც ქართული ორაბაზიანი ტყუის თვისის ზედა-წარწერითა, არცა თვით ცისკარი ტყუოდა აქამდინ, რომ ხმარობდა ტ ფ ი ლ ი ს ს გარეგან ფურცლებზედ. მაგრამ ფებერელის წიგნიდამ კი დაიწყო თ ბ ი ლ ი ს ი; ჟურნალს არ ემართა ასე მსწრაფლად უარყოფა ერთხელ მიღებულისა კანონისა, უსაფუძვლოდ; ჯერ უნდა მოეცადნა, რით გადაწყდებოდა საქმე, დიდის ამბით აშენებული უ. სავანელისაგან“-ო [1].

ეს ლიტერატურული ფაქტი თავის დროზე შეფასებული იყო, როგორც „თავისუფალი მსჯელობის ფეხის ადგმა“, როგორც კრიტიკა, რომელიც „ნელნელა სადგურს იკეთებდა სალიტერატურო ჟურნალში“ [2]. და ამ მხრივ არც უნ-

[1] Ibidem.

[2] არჩ. ჯორჯაძე, თხზულებანი, ტფ., 1914, წიგნი V, გვ. 20. რასაკვირველია, ფაქტიურად ეს სწორი არ არის, რადგან თუ ქრონოლოგიურ თანამიმდევრობას გავყვებით, კრიტიკის ელემენტი ქართულ პერიოდულ ლიტერატურაში ნოტა ბენეზე ადრინდელ ხანებშივე ჩანს. გავიხსენოთ თუნდაც სახელოვანი სოლომონ დოდაშვილი, რომელიც კრიტიკულად ეკიდება გრ. გორდეევის წერილს თავის „სალიტერატურო ნაწილნი ტფილისის უწყებათანი“-ს 3 №-ში

და იყოს ინტერესს მოკლებული ის საკითხი, თუ ვინ იყო ჩვენს ქართულ მწერლობაში ჯორჯაძის კვალიფიკაციით „თავისუფალი მსჯელობის ფეხის ადგმაში“ პიონერი, ვინ „უკეთებდა კრიტიკას სადგურს სალიტერატურო ჟურნალში“, რომელი იმდროინდელი კალმოსანი ამოეფარა ალ. სავანელის საწინააღმდეგო დავაში ლათინურ ნოტა ბენეს? წინამდებარე შტუდიის საგანს სწორედ ეს საკითხი შეადგენს.

ა

დავიწყოთ თუნდაც იქიდან, რომ ნოტა ბენეს ფსევდონიმი უნდა ჰქონოდა მწერლობაში საკმაოდ ცნობილ პიროვნებას, რომლის სახელი და გვარი ნარით და ბანით იწყებოდა. ასეთი ინიციალების მქონედ წარსული საუკუნის 50-იან წლების მწერლებს შორის ჩვენ სხვა არავინ გვეგულება გარდა ნიკოლოზ ბერძენოვისა (ბერძნიშვილისა), რომელიც იმ ხანებში საკმაოდ სახელმოხვეჭილი ლიტერატორი იყო და იღვწოდა მაშინ ერთად-ერთ ადგილობრივ გაზეთ „კავკაზში“, როგორც მისი თანამშრომელი და რედაქტორის უფროსი თანაშემწე.

ეს თავისთავად არასაკმაო ფორმალური ნიშანი—დამთხვევა ნოტა ბენესი ანუ შემოკლებით დასაწყის ასოებისა (ნ. ბ.) ნიკოლოზ ბერძენოვის სახელთან და გვართან ჩვენი ძიების ამ მიმართულებით წარმართვისას საკმაო ბიძგი აღმოჩნდა იმისთვის, რომ ფორმალურ ნიშანზე დამყარებული მოსაზრება გამართლებულიყო არსებითადაც, პირველ რიგში, თითონ წერილის ანალიზით.

ბ

პირველ ყოვლისა ნოტა ბენეს ფსევდონიმს ამოფარებული ავტორი თავმდაბალ და მორიდებულ პიროვნებად მოჩანს ანუ, როგორც ივივე არჩ. ჯორჯაძე აღნიშნავს, მას თავაზიანობა და ჯენტლმენური სიტყვა-პასუხი ახასიათებს. მართლაც ნოტა ბენე თავის „პასუხს“—ასე ეწოდება ალ. სავანელის მიერ აღძრული კითხვის გამოხმაურებას—შემდეგი მორიდებული და თავმდაბალი სიტყვებით იწყებს: „ეს პირველი ბედნიერებაა ჩემი ცისკარში ხმის ამოღებისა. ამისთანა შემთხვევაში უცნობ პირსა მართებს დიდი სიფრთხილე—საზოგადოობაში გამოსვლას აპირებს თუ ჟურნალში, თვითოეული ძოძრაობა, მიხრა-მოხრა, სიტყვა-პასუხი წინათვე უნდა განსაჯოს, რომ მეტ-ნაკლები არა გამოვიდეს რა“-ო. ნოტა ბენეს ასეთი თვისება—თავმდაბლობა—სავსებით ემთხვევა ნიკ. ბერძენოვის პიროვნების თვისებას. ამას ამოწმებს „ცისკარში“ (1859 წ. №№ 10 და 12) მოთავსებული ნიკ. ბერძენოვის ორივე წერილის საერთო ხასიათი, კერძოდ შემდეგი ციტატი: „ღმერთი ისე განაგებს, რო ზოგს ხუთ ტა-

(„შენიშვნა დამარხვის წესსა ზედა უკანასკნელთა მეფეთა საქართველოსათა, რომელიცა დაბეჭდილ იყო პირველსა ნომერსსა შინა რუსულთა გაზეთისასა 1832 წელსა“). ამის გამოძახილს წარმოადგენს შემდეგი იმდროინდელი ტაეპიც:

„თუ იტყვის ნაკლებს, თავის თავს აკლებს იგი უფალი გ[ორდეევ]ია.
ვისგან ქებაცა არის ვნებაცა, არც ვისგან კარგათ შესამჩნევია.
ვერც იცნობს თავსა, ამბობს სხვის ავსა, ჰგონებს, რომ იყოს შესაქცევია.
მას უბედურსა მალ პასუხს უგებს ჩვენი სოლომონ დოდაევია“.

(„დროება“, 1875 წ., № 73).

ლანტს აძლევს, ზოგსა ორსა და რომელთამე მხოლოდ ერთსა. მადლობა მისს სამართალსა, თუ მეც უკანასკნელების რიცხვში ვარ!"—სავსებით გვიჩვენებს ნიკ. ბერძენოვის თავმდაბლობას. ამასვე მოწმობს მისი ბიოგრაფოსი და მახლობელი მეგობარი ცნობილი ისტორიკოსი დიმიტრი ბაქრაძე, რომელიც ნიკ. ბერძენოვს შემდეგი სიტყვებით ახასიათებს: „Знавшие его любили его за симпатичный нрав. Скромный до застенчивости, он не терпел ни в себе, ни в других, искательства..." [1].

3

ზემოთ ციტირებული დასაწყისი ფრაზა ნოტა ბენეს წერილისა, გარდა თქმულისა, სავსებით ცხადად იმასაც გვიჩვენებს, თუ რა დიდი თავაზა აქვს ავტორს ლიტერატურისა: ჟურნალში ხმის ამოღება ანუ თავისი აზრის დაბეჭდვა ბედნიერებად მიაჩნია, სიფრთხილეს, წინდახედულობას მსჯელობაში, სიტყვა-პასუხის აწონ-დაწონვას აუცილებელ საჭიროებად მიუთვლის ყველა კალმოსანს. მეორე მხრივ ასეთივე თავაზა ლიტერატურისა აქვს ნიკ. ბერძენოვსაც, რომელიც დაახლოვებით იმავე ხანებში რუსულ „კავკაზ ის" ფურცლებზე სხვა შემთხვევის გამო შემდეგი სიტყვებით ახასიათებს ლიტერატურას:

> Литература не товар, не какая-нибудь „мазь для рощения волос", о которой новейшие аферисты печатают заграницей великолепные об'явления в журналах и газетах, с целью завербовать толпу покупателей, а литературные деятели не мандарины, признающие лесть, раболепство и удивление их мнимой мудрости своею исключительною привилегией" [2].

რომ უკუვაგდოთ ნეგაციური ფორმა, რომლითაც აქ ნიკ. ბერძენოვის მიერ შეფასებულია ლიტერატურა და მისი მუშაკნი—ლიტერატორები, დაგვრჩება იგივე პატივისცემა და თაყვანება ლიტერატურისა, ერთობ, ბეჭდვითი სიტყვისა, რომელიც გვიჩვენა ნოტა ბენემაც. ანალოგიურ აზრს მწერლობის პატივისცემისას ნიკ. ბერძენოვი გამოსთქვამს ცოტა გვიანა ხანებშიც, ამ შემთხვევაში უკვე იმავე „ცისკარში", სადაც იგივე აზრი წინათ გაატარა ნოტა ბენეს ფსევდონიმით: „მე ლიტერატურისა ძალიან თავაზა მაქვს და იმიტომ არ განვაგრძელებ უსაგნოდ მეტყველებასა"-ო, წერს ნიკ. ბერძენოვი ლავრენტი არდაზიანთან კამათის დროს [3].

გულხმიერ მკითხველს უნებურად ახსენდება დაპირისპირებისა და შედარებისათვის ნოტა ბენეს ფრაზა: „თვითოეული... სიტყვა-პასუხი წინათვე უნდა განსაჯოს, რომ მეტ-ნაკლები არ გამოვიდეს რა"-ო და მეორე მხრივ ნიკ. ბერძენოვის მოტანილი სიტყვები: „მე ლიტერატურისა ძალიან თავაზა მაქვს და ამიტომ არ განვაგრძელებ უსაგნოდ მეტყველებასა"-ო და ბუნებრივად აღეძვრის

---

[1] Николай Георгиевич Берзенов и его литературная деятельность. Тфл., 1874, стр. 31. ხაზი ციტატებში აქაც და ქვემოთაც ჩვენია.

[2] Грузинская литература. Февральская книжка журнала „Заря" (газ. „Кавказ", 1857, № 15).

[3] უ. „ცისკრის" რედაქტორს („ცისკარი" 1859 წ., № 12) .

სურვილი ხაზი გაუსვას ნოტა ბენესა და ნიკ. ბერძენოვის ლიტერატურაზე შეხედულება-აზრის სრულ იგივეობას.

რასაკვირველია, შემთხვევითი არაა დამთხვევა, სრული მსგავსება იმ აზრისა და შეფასებისა, რომელსაც აძლევს ლიტერატურას ერთის მხრით ნოტა ბენე 1858 წელს და მეორე მხრით ნიკ. ბერძენოვი ორჯელ: პირველად 1857 წელს „კავკაზში“ და მეორედ 1859 წელს „ცისკარში“. ცხადია, რომ ნიკ. ბერძენოვი მწერლობის თავაზის იდეას ჯერ გამოსთქვამს რუსულად „კავკაზში“, მომდევნო წელს იმეორებს ნოტა ბენეს ფსევდონიმს ამოფარებული „ცისკარში“ და უკანასკნელად იქვე ნიღაბახდილი იმავე „ცისკარში“. იდეის ასეთი სრული დამთხვევა სამივე შემთხვევაში უდაოდ გვიმჟღავნებს ერთავტორობას და ამტკიცებს ნოტა ბენესა და ნიკ. ბერძენოვის იდენტიურობას.

დ

ნოტა ბენესი და ნიკ. ბერძენოვის იგივეობის საბუთს გვაძლევს წერის მსგავსი მანერაც. მარტივი, გასაგები სტილი, ციტაციისადმი მიდრეკილება, ფიგურალური შედარებანი თანასწორად ახასიათებს ნიკ. ბერძენოვსაც და ნოტა ბენეს ფსევდონიმს ამოფარებულ ლიტერატორსაც. მაგალითისათვის შეიძლება ნოტა ბენეს წერილში გავიხსენოთ ბარბარიზმების მოყვარული ალ. სავანელის შედარება მსხვილმანებზე მოუბარ სასიძოსთან, ხოლო ნიკ. ბერძენოვის ქართულ ნაწერებში თუნდაც მოპაექრე ლავრენტი არდაზიანის დადარება ბრუტუსთან [1] და ცალთვალა ირემთან [2] ან თავისი თავისა—გლდანელისგან გალახულ ხიზამბარელთან [3].

ე

ვანებოთ თავი წერილის საერთო ხასიათს. ვთქვათ, რომ თავმდაბლობა-მორიდებისა, ლიტერატურის თავაზისა და წერის მანერის დამთხვევა შემთხვევითი საქმეა, თუმცა ზემოთქმული ჩვენი მოსაზრებანი არ უნდა იყოს საფუძველიანობას მოკლებული. მაგრამ ნოტა ბენეს წერილში, თუ მას გულდასმით წავიკითხავთ, არაერთი მომენტია საპირადო ხასიათისაც, რომელთაც მივყევართ მისი ავტორის იმავე ნიკ. ბერძენოვთან იდენტიურობის დასკვნამდე. ასე რომ ეს საპირადო მომენტები უფრო აძლიერებენ ნოტა ბენე—ბერძენოვის იგივეობის აზრს და მას მეტ დამაჯერებლობა-უეჭველობას ანიჭებენ. მაგალითად, ნოტა ბენე წერს: „ეს პ ი რ ვ ე ლ ი ბედნიერებაა ჩემი ცისკარში ხმის ამოღებისაო“ ან კიდევ ბოლოში: „ცისკარსა ვსთხოვთ პ ი რ ვ ე ლ ს შ ე მ თ ხ ვ ე ვ ა შ ი ამ მცირესა ზედა სარწმუნო იქმნას და შემდგომისათვის ვეცდებით“-ო. მაშასადამე, ცხადი ხდება, რომ ნოტა ბენეს ეს წერილი, ასე ვთქვათ, სადებიუტო წერილია ცისკარში, პირველი შემთხვევაა მისი „ცისკარში“ მონაწილეობისა, მანამდე მას ამ ჟურნალში არა დაუბეჭდია-რა. შეეძლო ნოტა ბენეს სიტყვების თქმა ნიკოლოზ ბერძენოვსაც? რასაკვირველია, თამამად! რადგან ნიკოლოზ ბერ-

[1] პასუხისგება უ. არდაზიანის კრიტიკაზედა (ცისკარი, 1859, № 10).

[2] წერილი: უ. ცისკრის რედაქტორს (ცისკარი 1859, № 12).

[3] იქვე.

ძენოვს მართლაც მანამდე „ცისკარში“ არა დაუბეჭდია რა, „ხმა არ ამოუღია“. განა ეს მომენტი შემთხვევითია?

3

ან კიდევ ლოგიკური აქცენტუაციით წარვთქვათ სიტყვა „ცისკარი“ ნოტა ბენეს ზემოთ ციტირებულ ფრაზაში: „ეს პირველი ბედნიერებაა ჩემი ცისკარში ხმის ამოღებისა“. განა არ ჩანს, რომ ნოტა ბენე „ხმის ამოღებას“, ე. ი. ბეჭდვით ორგანოში წერას, უჩვეულო არ არის, რომ ის საერთოდ კალმოსნობს სხვაგან, „ცისკარს“ გარეშე, ოღონდ „ცისკარში“ კი პირველად „იღებს ხმას“. განა რომ ესეც გულისხმაში აგდებს მკითხველს და უნებურად წარმართავს იმავ ნიკოლოზ ბერძენოვისკენ, რომელიც 1850 წლიდან ლიტერატორობს, ლიტერატორობს მართლაც „ცისკრის“ გარეშე, არა როგორც მოხალისე, როგორნიც იყვნენ „ცისკრის“ მოსაგრენი, არამედ როგორც ნამდვილი პროფესიონალი-ლიტერატორი!

8

შემდეგ: ნოტა ბენე თავის წერილში ლაპარაკობს საზოგადოებრივი აზრის ანუ, მისებურად, „საზოგადოობითი ჰსჯის“ ძალაზე. იგი წერს: „საზოგადოობითი ჰსჯა დიდი რამ არის: თუ მოიწადინებს, დღეს თავზე ლაფს დაგასხამს, ხვალ ისეთ კაცად გამოგიყვანს, ვითომც შეგეძლოს ციდამ ვარსკვლავების გარდმობერტყვა“-ო. რატომ წერს? რისთვის დასჭირდა საზოგადოებრივ აზრის ძალაზე სიტყვის ჩამოგდება? განა ეს მარტო ლიტერატურული ხერხია იმის დასასაბუთებლად, თუ რატომ უნდა ჰქონდეს კალმოსანს ბეჭდვითი სიტყვის თავზა? არა! წერს და დასჭირდა ამის თქმა იმიტომ, რომ ნოტა ბენე იგივე ნიკ. ბერძენოვია, ხოლო ეს ნიკ. ბერძენოვი უკვე იყო „ცისკრის“ ფურცლებზე „საზოგადოობითი ჰსჯის“ საგანი და ბუნებრივიც იყო ამიტომ „ცისკრისათვის“ კალმის პირველად ხელში აღებისას ეს ყოველივე გახსენებოდა და, თუნდაც ნართაულად, ეთქვა ამაზე ორიოდე სიტყვა.

ასეთი „ჰსჯის“ ძალა და ცვალებადობა ნიკ. ბერძენოვის ბიოგრაფიის ფაქტიურ დეტალს წარმოადგენს, ასე რომ ნოტა ბენეს პირით ნიკ. ბერძენოვი მხოლოდ აფიქსირებს თავის თავზე გადახედილ სინამდვილეს. მართლაც ნიკ. ბერძენოვის კრიტიკულ წერილს, „ცისკრის“ პირველი ნომრის გამოსვლის გამო რომ დაიბეჭდა[1], ყველა ერთხმად აუმხედრდა, ხოლო მის ავტორს მეხი და რისხვა დაატეხეს. პირველად გაილაშქრა სარდიონ ალექსი-მესხიშვილმა[2], რომელსაც ყველაზე უფრო მეტად ემწვავა ნიკ. ბერძენოვის კალმის სუსხი, შემდეგ ეკამათება ალ. სავანელი[3], მერე უფრო დარბაისლურად—ალექსანდრე (პუპლია) ორბელიანი[4] და, ბოლოს, თითონ რედაქტორი—ივ. კერესელიძე[5]. მართლაც

[1] Несколько слов о грузинской литературе (По поводу выхода в свет 1-ой книжки грузинского литературного журнала „Заря“). „Кавказ“, 1857 г., № 4.

[2] Антикритика. „Кавказ“, 1857, № 11.

[3] მკითხველთადმი. „ცისკარი“, 1857, № 4, გვ. 25—31.

[4] „ცისკარი“ 1857, № 6, გვ. 62—64. (წერილი უსათაუროა).

[5] მკითხველთადმი. „ცისკარი“, 1857, № 6, გვ. 69—71.

რომ ამ კალმოსნებმა ნიკ. ბერძენოვს საკმაოდ „თავზე ლაფი დაასხეს". აი როგორი სიტყვებით ანადგურებს მას კერესელიძე, რომელსაც, როგორც ჟურნალის რედაქტორს, თითქოს უფრო მართებდა თავშეკავება:

„ვინცა არის წინააღმდეგი ჟურნალისა, ის არის მტერი მამულისა და თავის ენისა; რომელიც კაცი მტრობს თავის ენას, ის სრულებით... სჯობს სწორედ ვაღიაროთ ის როგორც იტყვიან უგრძნობელია და არ არის ღირსი ქართველად წოდებისა"-ო.

ან კიდევ:

„ჟურნალს ჰყავს თანამგრძნობნი ყმაწვილნი კაცნი... მაგრამ ვწუხვარ მით, რომ არა აქვსთ ის ხარისხი, რომელს ხარისხზედაც ნავარდობენ სახელით ქართველნი და გულით არა ქართველნი"-ო.

ცხადია, ამ „სახელით ქართველთა და გულით არა ქართველთა" რიცხვში პირველ ყოვლისა ნიკ. ბერძენოვი იყო ნაგულისხმევი, რადგან რედაქტორის ეს სიტყვები მისი წერილით იყო გამოწვეული. მტერი მამულისა და თავისი ენისა! არა ღირსი ქართველად წოდებისა! სახელით ქართველი და გულით არა ქართველი!—დიდი შეურაცხყოფა და დამცირება იყო ნ. ბერძენოვისათვის, მართლაც რომ „თავლაფდასხმაა". იქნებ ნაწილობრივად ამ გამძაფრებული კამპანიის[1] ბრალიც იყო ის, რომ ნიკ. ბერძენოვი, ეს საკმაოდ თვალსაჩინო ფიგურა ჩვენი იმდროინდელი უკაცრიელობის პირობებში, შემდეგშიაც დაჩრდილული მოღვაწე დარჩა, თუმცა მას მცირედი ღვაწლი არ მიუძღვის ქართული მწერლობის საღი მიმართულებით განვითარებაში.

აღშფოთება ნიკ. ბერძენოვის მიმართ მისი კრიტიკის გამო, რომელიც მალე პირუთვნელ კრიტიკად აღიარეს[2] და ასეთადვე დარჩა შთამომავლობის თვალში, დიდი იყო. ამას გვიჩვენებს კილოს გარდა საპოლემიკო წერილების სიმრავლეც. კერესელიძე, თუმცა ბერძენოვის წერილი „უშესაბამო აზრისად" მიაჩნია, მაინც ჯერ ცდილობს ნეიტრალობა დაიცვას და ამიტომაც თავდაპირველად წერს:

„სტატია „მკითხველადმი" დავბეჭდეთ ისე, როგორც ნამდვილი იყო, გარნა განუცხადებთ როგორც ავტორს ამ სტატიისას, აგრეთვე სხვათა

---

[1] ეს გაშმაგებული კამპანია „ცისკრისა" ნიკ. ბერძენოვის წინააღმდეგ პირველი მერცხალია ჩვენს საზოგადოებაში კრიტიკული აზრის გაღვიძებისა და ღირსია ცალკე მიმოხილვისა.

[2] ასე შეაფასა ნიკ. ბერძენოვის წერილი თერგდალეულმა (სიმ. ხუნდაძის კვლევით ეს იყო კირილე ლორთქიფანიძე, იხ. მისი რედაქციით გამოცემული გიორგი წერეთლის თხზულებანი, სახელდობრ, რედაქტორის შენიშვნები, გვ. 400) თავის წერილში: „ორიოდე სიტყვა ცისკარზედ და ახალის ჟურნალის სარგებლობაზედ" („ცისკარი", 1862 წ., № 9, გვ. 39) აქ ის შემდეგსა წერს:

„მოვიყვან სტატიას „მკითხველთადმი" დაბეჭდილს 1857-ის „ცისკრის" 4 თუ 5 №-ში. იმედი მაქვს, რომ მისი დამწერი ახლა აღარ არის თანახმა თავის აზრებისა, რომელნიც წარმოთქვა 1857-ში წინააღმდეგ უფ. ბერძენოვისა, რომელმაც, როგორც ჩვენი ლიტერატურის წარმატების მოსურნემ, დასწერა კრიტიკული სტატია „ცისკრის" შესახებ. უფ. ალექ. სავანელს ესმის კრიტიკა, როგორც ესმოდათ წარსულს საუკუნეში და არ აპირებს ამ აზრზედ გადადგომას"-ო.

ჩვენის ჟურნალის მკითხველთა, რომ უკეთუ ამგვარი სტატია მიიღებს პასუხს მისგნით, ვისდამიცა ჯერ არს თავის უშესაბამო აზრის გამო, მაშინ რედაქცია მოვალეობას იყრის და გამოდის პასუხისგებისაგან"-ო [1].

მაგრამ შემდეგში იმდენად შეშინდა ბერძენოვზე მიტანილ გააფთრებულ იერიშების გამო და თითონაც უდაოდ იმდენად იყო აღშფოთებული ბერძენოვის წერილით, რომ სავანლის საწინააღმდეგო და ნიკ. ბერძენოვის სასარჩლო წერილი არ დაბეჭდა არც № 6-ში და, წინააღმდეგ დაპირებისა, არც შემდეგ ნომრებში [2]. მართლაც იმავე № 6-ში, სადაც დაისტამბა ალექსანდრე (პუპლია) ორბელიანის და თვით რედაქტორის ივ. კერესელიძის წერილები ბერძენოვის წინააღმდეგ, რედაქცია შემდეგს წერს:

„ერთი სტატია დაგვრჩა დაუბეჭდელი, რადგანაც ვერ მოვასწარით, რომლისათვისაც გვთხოვა ავტორმა დაგვებეჭდა ამ ნომერში. ეს სტატია შეეხებოდა უფ. სავანელის კრიტიკას, სადაც ამართლებს ავტორი უ. ბერძენოვს. შემდგომს ნუმერში კი უეჭველად დავბეჭდავთ"-ო [3].

მიუხედავად ასეთი უეჭველი დაპირებისა, ეს წერილი შემდეგში სრულიად არ დაბეჭდილა და ამრიგად შთამომავლობისათვის უცნობი დარჩა ნიკ. ბერძენოვის მოსარჩლე ავტორის ვინაობა და—რაც ჩვენთვის ყველაზე უფრო საინტერესოა—მისი მოსარჩლეობის მოტივაცია.

მაგრამ მიეუბრუნდეთ მთავარ საგანს: ფაქტია, რომ ნიკ. ბერძენოვს „თავს ლაფი დაასხა საზოგადოობითმა ჰსჯამ", როგორც ამას თითონვე აღნიშნავს ნოტა ბენეს სახელით. ფაქტია ისიც, რომ „საზოგადოობითმა ჰსჯამ" ნიკ. ბერძენოვი „ისეთ კაცად გამოიყვანა, ვითომც შეეძლოს ციდამ ვარსკვლავების გარდმობერტყა". აი იმავე ივ. კერესელიძემ იმავე წერილში როგორ დაახასიათა იგი:

„მერე რომელი ქართველი? ის ქართველი, რომელიც თითქმის წარმომადგენელია კერძოობითის საზოგადოებისა, კარგს ხარისხზედაც იმყოფება და დიდი ხმაცა აქვს".

ამრიგად: ნიკ. ბერძენოვს „თავზედ ლაფიც დაასხეს" და „ციდამ ვარსკვლავების გარდმობერტყაც" შეაძლებინეს: ის „კერძოობითი საზოგადოების წარმომადგენელია", „კარგს ხარისხზედაც იმყოფება" და „დიდი ხმის" (იგულისხმე: გავლენის.—მ. ბ.) პატრონიცაა. სწორედ ამ განცდილ სიმწარეს იხსენებს ნოტა ბენე, როცა „საზოგადოობით ჰსჯაზე" ლაპარაკობს. ეს სხვაფრივ არც იქნებოდა: გალანძღული ლიტერატორი პირველად წერს შეურაცხმყოფ ჟურნალში და კალმის აღებისას ამ მწარე დეტალის გახსენება სავსებით ბუნებრივი და გასაგებია. აკი პირველ აბზაცშივე წერს კიდეც ამაზე. თუ გნებავთ, აქ პატარა განქიქებაცაა მიმამული ამ „საზოგადოობითის ჰსჯისა".

---

[1] რ. კერ. [ჩვენი წაკითხვით: რედაქტორი კერესელიძე]. (ცისკარი, 1857, № 4, გვ. 43).

[2] სწორედ ასევე მოიქცა იგივე კერესელიძე ოთხიოდე წლის მერე ილია ჭავჭავაძის მიმართაც, რომელსაც, თუმცა შეჰპირდა („ცისკ." 1865 წ. № 10), აღარ დაუბეჭდა წერილი „უფ. მესხიევის ანტიკრიტიკულ უსტარის პასუხად". იხ. მიხ. ხანდუკელი: თერგდალეულნი და ხალხოსნები ქართულს ლიტერატურაში. ტფ. 1928, გვ. 88-89.

[3] ცისკარი, 1857, № 6, გვ. 74.

იგივე გულისტკივილი ჩვენი ავტორისა გამოსჭვივის უფრო გვიან თქმულ სიტყვებშიც: „ეხლა მე... ძალიან ლხინის გუნებაზედა ვარ: მე როგორც მტრისაგან, აგრეთვე მოყვრისაგან ჰირიც გამომიცდია და ლხინიცა“ [1].

ნიკ. ბერძენოვის და ნოტა ბენეს იდენტიურობა მტკიცდება შემდეგითაც. ნოტა ბენეს წერილის ბოლო აბზაცი ასეთს საგულისხმო ფრაზას შეიცავს: „იმედი გვაქვს, რომ ავტორი (ე. ი. სავანელი.—მ. ბ.) საკიცხავად არ მიიღებს ჩვენ მცირე პასუხსა, რომლითაც ვასრულებთ მისსავე საკუთარსა უმორჩილესსა თხოვასა“-ო... რას ნიშნავს ეს სიტყვები: „ვასრულებთ მისსავე საკუთარსა უმორჩილესსა თხოვასა...“-ო? რად დასჭირდა ნოტა ბენეს ფრაზის ასეთი კონსტრუქცია, რად უსვამს ხაზს სავანელის საკუთარს უმორჩილეს თხოვნას?

ერთი შეხედვით შეიძლება ადამიანმა იფიქროს, რომ ნოტა ბენე აქ გულისხმობს ალ. სავანლის საერთო თხოვნას, როცა უკანასკნელი წერს ზოგადი მიმართვით: „გთხოვთ დამირღვიოთ ეს ჩემი ჰაზრი, უკეთუ ვარ შემცდარიო“ [2] და ნოტა ბენეც თავისი „პასუხით“ თითქოს უსრულებს კიდეც ამ თხოვნას, მაგრამ ამ ტფილისის მართლწერის შესახებ წერილში ალ. სავანელი სრულიადაც არ ხმარობს სიტყვას—„უმორჩილესსა თხოვასა“,—რაზედაც ლოგიკური აქცენტით წერს ნოტა ბენე. ჩანს, რომ აქ ავტორს სხვა მომენტი აქვს ნაგულისხმევი. ეს სიტყვა კი და მასზე გამახვილება მკითხველის ყურადღებისა სავსებით გასაგები შეიქნება, თუ გავიხსენებთ, რომ ალ. სავანლის ეს „საკუთარი უმორჩილესი თხოვა“ მართლაც არის სწორედ ბერძენოვის მიმართ, ოღონდ წინა წლის წერილში. აი რას წერს ალ. სავანელი ამ წერილის ბოლოში: „დასასრულ ამ სტატიისა უმორჩილესად ვსთხოვთ ჩვენც [3] როგორათაც უ. ბერძენოვს, ეგრეთვე სხვათა, მიიღონ შრომა ქართულ ჟურნალისათვისო“ [4].

ეს „უმორჩილესი თხოვა“, როგორც ვხედავთ კონტექსტიდან, უპირატესად ნიკ. ბერძენოვისადმია მიმართული, რომელიც რუსულ გაზეთში თანამშრომლობდა და „ცისკარს“ რუსულად აკრიტიკებდა. ეხლა კი ნოტა ბენე ალ. სავანელს ესიტყვება: ამ მცირე პასუხით ვასრულებ შენს თხოვნასაო, ე. ი. წინა თხოვნას ქართულ ჟურნალში თანამშრომლობისასო. აშკარაა, რომ ნოტა ბენე არ ანსხვავებს თავის თავს ნიკ. ბერძენოვისგან. მაშ, ცხადი და უდაო უნდა იყოს ნოტა ბენესა და ნიკ. ბერძენოვის იგივეობაც: ნოტა ბენე სავანელს უსრულებს იმ თხოვნას, რომლითაც უკანასკნელმა მიმართა არა ნოტა ბენეს, არამედ ნიკ. ბერძენოვს, უსრულებს, ცხადია, იმიტომ, რომ ნოტა ბენე იგივე ნიკ. ბერძენოვი იყო.

---

[1] პასუხისგება უ. არდაზიანის კრიტიკაზედა. („ცისკარი“, 1859, № 10).

[2] იხ. თავში.

[3] ისევე, როგორც სარდ. ალექსი-მესხიშვილი თავის „ანტიკრიტიკაში“. („Кавказ“, 1857, № 11).

[4] მკითხველთადმი („ცისკარი“, 1857, № 4, გვ. 25—31).

თ

ეს იგივეობა უფრო ნათელი და ეჭვმიუტანელი ხდება ნოტა ბენეს წერილის დასკვნითი სიტყვებიდან, უშუალოდ რედაქციას რომ მიმართავს: „ხოლო ჩემის მხრით ცისკარსა უმდაბლესად ვსთხოვთ პირველს შემთხვევაში ამ მცირესა ზედა სარწმუნო იქმნას, და შემდგომისათვის ვეცდებით, შეძლებისამებრ..."-ო.

ამ სიტყვებს კარგად რომ ჩაუკვირდეს ადამიანი, ცხადი ხდება ის გარემოება, რომ „ცისკრის" რედაქციას ავტორისთვის თანამშრომლობა უთხოვნია, თორემ სხვა პირობებში რატომ მისწერდა—ამ ჯერობაზე ამ ცოტასა და პატარა წერილს დამჯერდიო („პირველს შემთხვევაში ამ მცირესა ზედა სარწმუნო იქმნას"), შემდეგისათვის კი ვეცდებიო?! მაგრამ როდის სთხოვა „ცისკარმა" ნოტა ბენეს თანამშრომლობა? არც როდის! ან ცნობილი იყო თუნდაც რედაქციის წინა ანონსებით ნოტა ბენე? სრულებითაც არა! სამაგიეროდ ნიკ. ბერძენოვი კი ითვლებოდა „ცისკრის" თანამშრომლად. აი ამის საბუთებიც. ჯერ ერთი თითონ ბერძენოვი ერთ-ერთ კრიტიკულ წერილში თავის თავს „ცისკრის" თანამშრომლად იხსენიებს: „Ужели сотрудники грузинского журнала, к числу которых имеет честь принадлежать и нижеподписавшийся, могут питаться лишь панегириками...?" [1] მეორე მხრივ თითონ „ცისკრის" რედაქციაც აცხადებდა ამას, მაგალითად, 1858 წლის 1-ლ ნომერში შემდეგნაირად: „ამგვარისავე თანაშემწეობისა დაპირება განგვიმეორეს გამოჩენილთა ლიტერატორთაც: კნიაზ რაფაელ ერისთავმა, ნიკოლოზ ბერძენოვმა, დიმიტრი ბაქრაძემ და ეგრეთვე კნიაზმა რევაზ შალვას-ძე ერისთავმა და სხვათაო". ამრიგად: რადგან უდაო ხდება ნიკ. ბერძენოვისადმი „ცისკარში" თანამშრომლობის შეთავაზება, ამით სხვა საბუთებს შორის მტკიცდება მისი იდენტიურობაც ნოტა ბენესთან, რომელიც სწორედ ამ საბუთის ძალით სწერს რედაქციას: ჯერ ეს იკმარე, შემდეგისთვის კი სხვას ვეცდებიო.

ი

ვფიქრობთ, ეს მომენტები, რომელნიც ამოვკრიფეთ ნოტა ბენეს წერილის ცალკეულ წინადადებათა გამოწვლილვის გზით და სავსებით შეესაბამებიან ნიკოლოზ ბერძენოვის ბიოგრაფიულ დეტალებს, ეჭვმიუტანელი დამაჯერებლობით ადასტურებენ ნოტა ბენესა და ნიკ. ბერძენოვის იგივეობის აზრს. ამასვე ცხადჰყოფს შემდეგიც.

ნოტა ბენე ერთგვარი ავტორიტეტით და პატივისცემით სარგებლობს საზოგადოებაში. ჩანს, ის შემთხვევითი პირი არაა ქართულ საზოგადოებაში. რედაქციის წრის წევრთა თვალში ის ცნობილი პიროვნებაა და მის სიტყვას წონა და ფასი აქვს. მაგალითად, ნოტა ბენესავით სადად მოსაუბრე მოლაყბე (იხ. ბირთვ. თუმანიშვილი) თავის „სალაყბო ფურცელში" („ცისკარი", 1858 წ. № 11, გვ. 190—191), აღნიშნავს რა ბარბარიზმების სიუხვეს ი. ბერიძის წე-

[1] Кавказ, 1857, № 15.

რილში, ამბობს: „საკვირველია ჭეშმარიტად... აქამომდენ არ ვიცით, რომ ყოველნი განათლებულნი ხალხნი იმასა ცდილობენ დაწერონ ყოველთათვის გასაგონს ენაზედაო“ და დასძენს: „ტყვილათ კი არა სთქვა „ცისკრის“ მეოთხე [უნდა იყოს: მესამე!—მ. ბ.] ნომერში უ. ნოტა ბენემ: ჯერ ჩვენი ერთის წლის ჟურნალი ვერ აიტანს ამგვარს სახელებსაო... ეს ვისაც ესმოდა (მაგრამ მგონია უფ. ბერიძემ ესეც ვერ შეიტყო ეს ბნელი იმის ჰკუისათვის აზრი!), საზოგადოდ ჩვენ გვეუბნებოდა, მართლათაც გვიწერდა. ამისათვის რომ ჯერ ჩვენი გონება იქამდინ ვერ მისულა...“-ო.

ასევე პატივისცემით და მზრუნველობით იმავე მოლაყბის—მიხ. ბირთვ. თუმანიშვილის მხრივ სარგებლობს ამ ხანებში ნიკოლოზ ბერძენოვიც, რასაც ადასტურებს უკანასკნელის წერილი, რომლის დედანს ანასტასია მიხ. თუმანიშვილ-წერეთლის არქივიდან გაგვაცნო პოეტმა ი. გრიშაშვილმა. მისი თავაზიანი დასტურით ვაქვეყნებთ ამ წერილსაც, რომლის პირი გადმოვიღეთ 1934 წ. 19 ოქტომბერს. აი თითონ წერილი.

თქვენო ბრწყინვალებავ,

მიხაილ ბირთველიჩ,

მოწყალეო ხელმწიფევ.

შემდგომ საფუძვლიანის ფიქრისა გუშინღამ, გუშინ და წუხელ, მე იმაზედ დავბოლოვდი, რომელ წელიწადში ორმოცი თუმნის დაკარგვა ჯამაგირიდამ სიღარიბეს მიმახწევს. ამის გარდა, სამსახურის გამოცვლასაც დიდი გაბედვა უნდა; ვინ იცის, შევიძლებ თუ არა, ან როგორ მომიხდება ახალი ადგილი, ან როგორი ბოლო მექმნება. ესე ყოველივე იძულებულ მყოფს მე, რომ დ ა ვ შ თ ე ა წ ი ნ დ ე ლ ს ა მ ს ა ხ უ რ შ ი.

მე იმედი მაქუს, თქვენო ბრწყინვალებავ, რომ დიდ-სულოობით შეიწყნარებთ ამ ჩემს აღსარებას თქვენდამი, და არ განმირისხდებით, არამედ კვალადცა იქმნებით მწყალობელი. და უმეტეს უმორჩილესად გთხოვთ მოახსენოთ ვასილი ანტონიჩს ისე რომ, არც ის დაშთეს უკმაყოფილო ჩემზედა, რადგანცა რომ მე ვიცი—არც თვითონ ისურვებს ღარიბი კაცის ზარალსა,—განუცხადეთ ისე, რომ я, по своей доброй волѣ и независимо от чьего бы то ни было вліянія, не желаю перемѣнить место.

დავშთები თქვენის ბრწყინვალების

უმორჩილესი მონა ნ. ბერძენოვი[1].

11 декабря 1858.

---

[1] წერილის ადრესატი არის მიხეილ ბირთველის-ძე თუმანიშვილი, ქართულ ლიტერატურაში ცნობილი მოლაყბის ფსევდონიმით.

წერილში მოხსენებული ვასილი ანტონიჩი არის ვ. ა. ინსარსკი (1814—1882; გარდაცვალების წელიწადი კავკასიოლოგს ე. გ. ვეიდენბაუმს შეცდომით აქვს 1862 წლით აღნიშნული კავკ. საარქეოგრაფიო კომისიის აქტების XII ტომის შესავალში; შდრ. Языков: Обзор жизни и трудов покойных русских писателей, т. II, стр. 27; აგრეთვე Русский Биографический словарь, том Ибак-Ключарев, 1897 г., стр. 125); 1857—1862 წლებში ინსარსკი იყო მეფისნაცვლის ა. ი. ბარიატინსკის კანცელარიის დირექტორი, 1862—1866 წლებში სამსახურს

რომ ნოტა ბენე იმ ხანებში სწორედ ნიკოლოზ ბერძენოვის ფსევდონიმი იყო და არა სხვა ვისიმე, ამას გვიდასტურებს შემდეგი ლიტერატურული ფაქტიც: 1857 წ. „კავკაზის“ 5 №-ში მოთავსებულ ფელეტონს—„Разные известия и замечания“-ს ავტორის ხელწერად აქვს ლათინური NB, რაც ნოტა ბენედ იკითხვის. რედაქციის მიერ დაბეჭდილ წლიურ სარჩევში, გაზეთის ამ წლის კომპლექტსაც რომ აქვს წართული, ეს ფსევდონიმი NB ამოხსნილია ნიკოლოზ ბერძენოვის გვარის შეკვეცილი ფორმით: Н. Берз., ამრიგად ცხადი ხდება, რომ ეს ფელეტონი, NB-თი ხელმოწერილი, ეკუთვნის ნიკოლოზ ბერძენოვს, „კავკაზის“ მახლობელ თანამშრომელსა და რედაქტორის უფროს თანაშემწეს. აშკარაა ამის შემდეგ ისიც, რომ ნიკ. ბერძენოვი მომდევნო წელსაც თამამად მიმართავდა „ცისკარშიაც“ თავის უკვე ხმარებულს ფსევდონიმს, მისი ინიციალების შემცველს, ოღონდ აქ უკვე ლათინური ორი ასო კი არ იხმარა, არამედ მთელი მისი გამოთქმა მიაწერა: ნოტა ბენე.

* * *

ამგვარად საესებით ცხადი ხდება ის, რომ კრიტიკული მსჯელობის მაჩვენებელისა და ცისკარში დაბეჭდილი წერილის ავტორი, რომელმაც ნოტა ბენეს ფსევდონიმს ამოაფარა თავი, არის ნამდვილად ნიკოლოზ ბერძენოვი, რომელიც საზოგადოდ ინიციალებს მიმართავდა ხოლმე იმ შემთხვევებში, როცა თავის ნაკალმარს მაინცადამაინც დიდ ღირებულებას არ აძლევდა, როგორც კერძოდ აქ განხილულ წერილსაც, მცირეს რომ უწოდებს (გაიხსენეთ მისი სიტყვები: „ამ მ ც ი რ ე ს ა ზ ე დ ა სარწმუნო იყავი“-ო). ეს ნათელი და უდაო უნდა იყოს ყველასთვის. ვინც კი საფუძვლიანად იცნობს მის არაღატაკ ლიტერატურულ მემკვიდრეობას, რომელსაც სამწუხაროდ დღემდე, ამ ყოველივე შესაძლებლობის დამტეხა და ქმნაყოფის დიად ხანაში, ვერ ეღირსა არა თუ თავმოყრა, არამედ ნაწილობრივ მაინც გამოვლენა და შეფასება, ხოლო თითონ „სამკვიდროს დამგდებს“ არ მისჩენია ნაღვაწევის შესაბამი ადგილი „გარდასრულ დროთა“ მემორიალში.

---

გარეშე ირიცხებოდა, ხოლო 1866—1877 წლებში მოსკოვის ფოსტ-დირექტორად მსახურობდა, რის შემდეგ სამსახურიდან გადადგა. მისი მემუარები იბეჭდებოდა მის სიცოცხლეშივე, მთლიანი სახით კი დაიბეჭდა „Русская Старина“-ს 1894, 1895, 1897 და 1998 წლ. ნომრებში. ინსარსკი იყო ბარიატინსკის პროტეჟე (კავკასიაში დირექტორად დანიშვნამდე ის მოურავად იყო ბარიატინსკის მამულებისა) და აქ ყოფნისას დიდი გავლენით სარგებლობდა. ნიკ. ბერძენოვი მისი ხელქვეითი იყო, რადგან გაზ. „კავკაზი“, სადაც იგი რედაქტორის უფროსი თანაშემწის თანამდებობაზე ირიცხებოდა, შედიოდა საერთო საქმეთა დეპარტამენტის განმგებლობაში, დეპარტამენტები კი საერთოდ, კერძოდ ესეც, მეფის ნაცვლის კანცელარიის ცალკეულ ნაწილებს შეადგენდნენ.

სამწუხაროდ წერილიდან არ ჩანს, რა სამსახური შესთავაზა ინსარსკიმ ნიკ. ბერძენოვს მიხ. თუმანიშვილის პირით, საბარბიელო კი არა ყოფილა.

წერილის ბოლო ფრაზა რუსულად ბერძენოვს ალბად იმ აზრით დაუწერია, რომ ინსარსკის ეს ადგილი წაეკითხა უეჭველობისათვის.

ლ. მელიქსეთ-ბეგი

## აკაკი წერეთლის თხზულებათა თარგმანები სომხურ ენაზე

1. აკაკი წერეთლის თხზულებათა პირველი თარგმანი სომხურ ენაზე მხოლოდ 1908 წლით თარიღდება, ე. ი. პოეტის 50 წლის იუბილესთან დაკავშირებით (მთარგმნელი პოეტი ჰარუთიუნ თუმანიანი). თარგმანთა მეორე წყება 1915 წელს იქნა შესრულებული, აკაკის გარდაცვალების გამო (მთარგმნელები ვეფხის-ტყაოსნის პროლოგის ნიჭიერი მთარგმნელი პოეტი ეაჰან ტერიანი და მხატვარი გეორგ ბაშინჯაღიანი). ერთი ლექსის თარგმანი მოეპოვება პოეტ ჰოვჰანნეს ჰოვჰანნისიანსაც, მაგრამ თარგმანების თარიღი გაურკვეველია.

2. აკაკის თხზულებათა სისტემატიური თარგმნა სომხურ ენაზე იწყება მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების ხანაში, სახელდობრ 1931 წლიდან, პოეტ-ფილოლოგ გიორგი ასატურის მიერ. ხოლო მომდევნო მთარგმნელები არიან: სურენ ავჩიანი, ვარდან სიმონიანი, ივანე კარაპეტიანი, ჰარუთიუნ თუმანიანი, ჰარ. მირიმანიანი, გეღამ სარიანი, არმენ წოვაკი, ლეონ მელიქსეთ-ბეგი და სხვ.

3. აკაკის დაბადებიდან 100 წლის იუბილესთან დაკავშირებით აკაკის თხზულებანი სომხურად გამოქვეყნდა (სომხეთში) შემდეგ პოეტთა თარგმანში: ავეტიქ ისაჰაკიანი, ვესპერი, მ. ხერანიანი, მკრტიჩ კორიუნი, აღაენი, სოლომონ ტარონცი, ჰრიფსიმე პოღოსიანი, გურგენ ბორიანი, გეღამ სარიანი, ვ. გრიგორიანი [1].

### ლექსები

**საიდუმლო ბარათი.** (1859). მთარგმნ. ვესპერი—კრებულში „აკაკი წერეთელი. რჩეული ნაწერები" (*Ակակի Ծերեթելի. Հատընտիր*), ერევ. 1940, გვ. 20—21.

**სალამური.** (1861). მთარგმნ. გ. ბორიანი—ჟურნალში „ხორურდაინ გრაკანუთიუნ" (*Խորհրդային Գրականություն*), 1940, № 6, გვ. 12.

**მუშური.** (1861). მთარგმნ. მკრტიჩ კორიუნი—გაზეთში „ხორურდაინ ჰაიასტან" (*Խորհրդային Հայաստան*), 1940, № 143, კრებულში, ერევ., 1940, გვ. 24—25.

**აპელაციის მცოდნე.** (1861). მთარგმნ. ავეტიქ ისაჰაკიანი—გაზეთში „ხორურდაინ ჰაიასტან", 1940, № 143, კრებულში, 1940, გვ. 17—18.

---

[1] ვსარგებლობთ შემთხვევით და აღვნიშნავთ, რომ ლევან ასათიანის მითითება, თითქოს აკაკის თხზულებანი ჰოვჰანნეს თუმანიანს გადაეთარგმნა სომხურად (იხ. აკაკის რჩეულ ნაწერთა კრებული, სომხურად, გამოცემული ერევანში: *Ակակի Ծերեթելի. Հատընտիր.* 1940, გვ. 15), სრულიად უპასუხისმგებლო განცხადებაა თქმული ან a priori მსჯელობის ნიადაგზე, ანდა მხოლოდ для красного словца.

**სიმღერა.** (1863). მთარგმნ. ს. ავჩიანი—„ხორურდაინ ვრასტან“ 1940 № 123.

**გლეხის აღსარება.** (1863). მთარგმნ. მ. ხერანიანი—კრებულში, 1940, გვ. 22—23.

**იმერული ნანინა.** (1864). მთარგმნ. ვესპერი—კრებულში, 1940, გვ. 27—28.

**უდარდო კაცი.** (1865). მთარგმნ. მ. ხერანიანი—კრებულში, 1940, გვ. 29—30.

**ზოგიერთების ლოცვა.** (1869). მთარგმნ. აღავნი—კრებულში, 1940, გვ. 31—32.

**ჩონგური.** (1871). მთარგმნ. გიორგი ასატური—მისივე კრებულში „მახლობელ აღმოსავლეთის ლიტერატურის ისტორია. ქართული ლიტერატურა. I. ნიმუშები პოეზიიდან“ (*Մերձաբևելքի գրականության պատմություն. Վրաց գրականություն. I. Նմուշներ պոեզիայից*), ერევ. 1931, გვ. 74, „გრაკან არშავ“ (*Գրական արշալույս*), თბ. 1935, № 5—6, გვ. 11, „არშავ“ (*Արշալույս*) 1940, № 3, გვ. 7.

**ციცინათელა.** (1871). მთარგმნ. გიორგი ბაშინჯაღიანი, სიტყვა-სიტყვითი,—გაზეთში „მშაკ“ (*Մշակ*), 1915, № 27.

**ჩემო თავო, ბედი არ გიწერია.** (1871). მთარგმნ. გ. ბაშინჯაღიანი, სიტყვა-სიტყვითი,—„მშაკ“, 1915, № 27; მკრტიჩ კორიუნი—კრებულში, 1940, გვ. 80—81.

**აღარ გვაქვს გრძნობა.** (1872). მთარგმნ. მ. ხერანიანი—კრებულში, 1940, გვ. 33—34.

**სხვადასხვაგვარი სიყვარული.** (1872). მთარგმნ. გ. ასატური—„მახლობელ აღმოსავლეთის ლიტერატურა“, 1931, გვ. 77 –78, „გრაკან არშავ“ 1935, № 5—6, გვ. 12.

**მუხამბაზი.** ნახევარი ცხოვრების გზა გავლილ. (1872). მთარგმნ. მ. ხერანიანი—კრებულში, 1940, გვ. 53—54.

**სიყვარული.** (1873). მთარგმნ. სოლომონ ტარონცი—კრებულში, 1940, გვ. 37.

**გაუბედავი სიყვარული.** (1873). მთარგმნ. სოლომონ ტარონცი—კრებულში, 1940, გვ. 35—36.

**ლეგენდიდან „გოგია მეჩონგური“.** (1875). მთარგმნ. გ. ბაშინჯაღიანი, სიტყვა-სიტყვითი,—„მშაკ“, 1915, № 28.

**აღმართ-აღმართ.** (1876). მთარგმნ. ვარდან სიმონიანი—„ხორურდაინ ვრასტან“ (*Խորդրդային Վրաստան*), 1940, № 123.

**მუხამბაზი.** რომ იცოდე ჩემი გული დარდები. (1876). მთარგმნ. სურენ ავჩიანი—კრებულში, 1940, გვ. 87—88, „ხორურდაინ ვრასტან“ 1940, № 123, „არშავ“, 1940, № 3, გვ. 8.

**იავ-ნანა.** (1879). მთარგმნ. ჰრიფსიმე პოლოსიანი — კრებულში, 1940, გვ. 38—39, „გრაკან თერთ“ (*Գրական թերթ*), ერევ., 1940, № 17, ჰარუთიუნ თუმანიანი—„არშავ“, 1940, № 3, გვ. 10.

**კინტო.** (1879). მთარგმნ. ვაჰან ტერიანი,—მის „თხზულებათა კრებულში“, ტ. IV, კ. 3. 1923, გვ. 84, „პროლეტარი“ (*Պրոլետար*), 1929, № 134, კრებულში „აკაკი წერეთელი“, 1940, გვ. 19. „ხორურდაინ გრაკანუთიუნ“, 1940, № 6, გვ. 11, „არშავ“, 1940, № 3, გვ. 9.

**ავადმყოფი.** (1880). მთარგმნ. გ. ასატური—„მახლობელ აღმოსავლეთის ლიტერატურა“, 1931, გვ. 79—80; გ. ბორიანი—კრებულში, 1940, გვ. 44—45; „ხორურდაინ ჰაიასტან“ 1940, № 143.

**გამოცვლილი დრო.** (1880). მთარგმნ. გ. ბაშინჯაღიანი, სიტყვა-სიტყვითი,—„მშაკ“, 1915, № 27.

**ახალი გზა.** (1880). მთარგმნ. აღაენი—კრებულში, 1940, გვ. 42—43.

**ახალი წელი.** (1880). მთარგმნ. ვესპერი—კრებულში, 1940, გვ. 46—47.

**პოეტის გული.** (1880). მთარგმნ. ს. ტარონცი—კრებულში, 1940, გვ. 40—41.

**გაზაფხული.** დღეს მერცხალი შემოფრინდა. (1881). მთარგმნ. გ. ასატური—„მახლობელ აღმოსავლეთის ლიტერატურა“, 1931, გვ. 76—77, „გრაკან არშავ“, 1935, № 5—6, გვ. 12, „არშავ“, 1940, № 3, გვ. 11; ივ. კარაპეტიანი—„კარმირ წილერ“ (*Կարմիր Ծիլեր*), თბ., 1937, № 3, გვ. 11, „საბავშო პოეზია“, ერევ., 1937; ვ. სიმონიანი—„ხორურდაინ ვრასტან“, 1940, № 11.

**ოცნება თარზე.** (1881). მთარგმნ. ვესპერი—კრებულში, 1940, გვ. 48—49.

**გაზაფხული.** საპატარძლოდ მორთულია. (1883). მთარგმნ. ს. ავჩიანი—„გროჰ“ 1934. „პროლეტარი“, 1937, № 39, „ჰოქტემბერიან სერუნდ“ (*Հոկտեմբերյան սերունդ*), თბ., 1940, № 6, გვ. 6, კრებული „აკაკი წერეთელი“, 1940, გვ. 85—86.

**ნაძალადები საქმროს, იგივე თვითმპყრობელობას.** (არა უგვიანეს 1884). მთარგმნ. მ. კორიუნი—კრებულში, გვ. 65.

**გორი.** (1884). მთარგმნ. ვ. სიმონიანი—„სოვეტაკან ვრასტან (*Սովետական Վրաստան*), 1941, № 26.

**ამირანი.** (1884). მთარგმნ. ს. ავჩიანი—„ჰოქტემბერიან სერუნდ“, 1940, № 6, გვ. 18, „არშავ“, 1940, № 3, გვ. 12, კრებულში, 1940, გვ. 83—84.

**პოეტი.** (1886). მთარგმნ. ჰოვჰანნეს ჰოვჰანნისიანი, სიტყვა-სიტყვითი,—მის თხზულებათა კრებულში (*Ցերկեր*), I, ერევ. 1929, გვ. 329.

**მუშის ნატვრა.** (1890). მთარგმნ. გ. ბაშინჯაღიანი, სიტყვა-სიტყვითი,—„ტარაზ“ (*Տարազ*), 1915, № 3, გვ. 48; არმენ წოვაკი—„ჰოქტემბერიან სერუნდ“, 1940, № 6, გვ. 17; ვესპერი—კრებულში, 1940, გვ. 50—51.

**სატრფოს.** (1892). მთარგმნ. ს. ტარონცი—კრებულში, 1940, გვ. 52.

**ხალხური.** (1892). მთარგმნ. ვ. გრიგორიანი—კრებულში, 1940, გვ. 91.

**გულის პასუხი.** (1892). მთარგმნ. ვესპერი—კრებულში, 1940, გვ. 79.

**განთიადი.** (1892). მთარგმნ. ივ. კარაპეტიანი—„ხორურდაინ ვრასტან“, 1938, № 102, „არშავ“, 1940, № 3, გვ. 13—14; ვ. გრიგორიანი—კრებულში, 1940, გვ. 92—94, „გრაკან თერთ“, 1940, № 17.

**ჰაღარა.** (1892—93). მთარგმნ. გ. ასატური—„მახლობელ აღმოსავლეთის ლიტერატურა“, 1931, გვ. 75—76.

**ქუთაისი.** (1892—93). მთარგმნ. ავ. ისაჰაკიანი—კრებულში, 1940, გვ. 57—58.

**სანამ ვიყავ ახალგაზრდა.** (1893). მთარგმნ. გ. ხერანიანი—კრებულში, 1940, გვ. 55—56.

**ყარიბი.** (1893). მთარგმნ. ივ. კარაპეტიანი—„კარმირ წილერ", 1938, № 2, გვ. 23.

**ავადმყოფი მგოსანი.** (1894). მთარგმნ. ავ. ისაჰაკიანი—კრებულში, 1940, გვ. 61—62, „გრაკან თერთ", 1940, № 17, „ხორურდაინ გრაკანუთიუნ", 1940, № 6, გვ. 9.

**ხატის წინ.** (1894). მთარგმნ. ივ. ისაჰაკიანი—კრებულში, 1940, გვ. 59—60.

**სულიკო.** (1895). მთარგმნ. გ. ბაშინჯაღიანი, სიტყვა-სიტყვითი,— „მშაკ", 1915, № 28; ვ. სიმონიანი—„პროლეტარ", 1937, № 45; ივ. კარაპეტიანი—„არშავ", 1940, № 3, გვ. 15—16.

**ქართული პატრიოტობა.** (1897). მთარგმნ. მ. კორიუნი—კრებულში, 1940, გვ. 63—64.

**სიზმარი.** (1898). მთარგმნ. გ. ბორიანი—კრებულში, 1940, გვ. 75—77, „გრაკან თერთ", 1940, № 17; ნაირი ზარიანი—„ხორურდაინ ჰაიასტან", 1940, № 143.

**მეგობარს.** (1901). მთარგმნ. ლეონ მელიქსეთ-ბეგი—„არშავ", 1940, № 3, გვ. 20.

**ფუტკარი.** (1902). მთარგმნ. გ. ასატური—„მახლობელ აღმოსავლეთის ლიტერატურა", 1931, გვ. 78—79, „გრაკან არშავ", 1935, № 5—6, გვ. 12.

**ნუ მეტრფი.** (1903). მთარგმნ. გ. ბაშინჯაღიანი, სიტყვა-სიტყვითი,— „მშაკ", 1915, № 27; მ. ხერანიანი—კრებულში, 1940, გვ. 67.

**მდიდარს ღარიბისაგან.** (1903). მთარგმნ. ს. ავჩიანი—„ხორურდაინ ვრასტან", 1939, № 141, „არშავ", 1940, № 3, გვ. 17—18, კრებულში, 1940, გვ. 89—90.

**გურული ნანინა.** (1905). მთარგმნ. ვ. სიმონიანი—„ხორურდაინ ვრასტან", 1940, № 28, „არშავ", 1940, № 3, გვ. 19.

**ნატვრა.** (1905). მთარგმნ. ჰრ. პოღოსიანი—კრებულში, 1940, გვ. 71—72.

**ხანჯალს.** (1905). მთარგმნ. ვ. სიმონიანი—„ხორურდაინ ვრასტან", 1940, № 142.

**ძირს.** (1905). მთარგმნ. მ. ხერანიანი—კრებულში, 1940, გვ. 68—69.

**ჩემი სახე.** (1908). მთარგმნ. ვესპერი—კრებულში, 1940, გვ. 73—74.

**გ. ნ. სუნდუკიანცს**[1]. (1910). მთარგმნ. უსახელო მწერალი—„ხორურდაინ ვრასტან", 1937, № 73, 1940, № 123; გ. სარიანი და ა. მეჰრაბიანი—„ხორურდაინ ჰაიასტან", 1937, № 37; გ. სარიანი—კრებულში „აკაკი წერეთელი", 1940, გვ. 74, „ხორურდაინ ჰაიასტან", 1940, № 143, „გრაკან

[1] დაბეჭდილია: გ. ს. სუნდუკიანცს, რაც შეცდომაა.

თერთ“, 1940, № 17, „არშავ“, 1940, № 3, გვ. 21; ივ. კარაპეტიანი—„ჰოქტემბერიან სერუნდ“, 1940, № 1, გვ. 11.

**გაბრიელ სუნდუკიანცის დამარხვის დღეს.** (1912). მთარგმნ. ლ. მელიქსეთ-ბეგი—„ხორურდაინ ვრასტან“ 1940, № 142, „არშავ“ 1940, № 3, გვ. 22.

**სიყვარული.** (1913). მთარგმნ. ჰრ. პოღოსიანი—კრებულში, 1940, გვ. 82.

### უთარიღო ლექსები

**წყევლა** (*Անեծք*). მთარგმნ. ჰარუთიუნ თუმანიანი — „ტარაზ“ (*Տարազ*), 1908, № 8.

**წყევლა** (*Անեծք*). მთარგმნ. გიორგი ბაშინჯაღიანი, სიტყვა-სიტყვითი,—„მშაკ“, 1915, № 28.

**ტურფას** (*Գեղեցկուհուն*).? მთარგმნ. ვესპერი—კრებულში, 1940, გვ. 78.

### პოემები

**პატარა კახი.** (1889). მთარგმნ. ივ. აგულიანი და ს. ავჩიანი, დაუბეჭდავი. ნაწყვეტი პოემიდან გ. ასატურის თარგმანში—„შვი“ (ლეგენდა)—„მახლობელ აღმოსავლეთის ლიტერატურა“, 1931, გვ. 80—81, „გრაკან არშავ“, 1935, № 5—6, გვ. 11.

**გამზრდელი.** (1898). მთარგმნ. გ. ასატური—„მახლობელ აღმოსავლეთის ლიტერატურა“, 1931, გვ. 81—93.

**ნათელა.** (1900). მთარგმნ. ს. ავჩიანი, დაუბეჭდავი. ნაწყვეტი გამოყენებულია „არშავ“-ში, 1940, № 3, გვ. 26.

### პროზა

**კინტო.** კომედია 3 მოქმედებად. (1879). მთარგმნ. გ. ფირუმიანი, დაუბეჭდავი; ივ. აგულიანი, დაუბეჭდავი; ჰარ. თუმანიანი, დაუბეჭდავი (იავ-ნანა იხ. ზემოდ).

**ჩემი თავგადასავალი.** (1891—92). მთარგმნ. არმენაკ მურვალიანი, ნაწილობრივ. პირველი ნაწილის მეორე თავი ცალკე წიგნად: „აკ. წერეთელი. ჩემი თავგადასავალი (პირველი ნაწილის მეორე თავი). ქართულიდან თარგმნა არმენაკ მურვალიანმა (*Իմ կյանքի անցածը*), ერევანი, 1938, 41 გვ.

**ბაში-აჩუკი.** ისტორიული მოთხრობა. (1895—1896). მთარგმნ. ჰარუთიუნ მირიმანიანი—„არშავ“, 1940, № 2, გვ. 36—50, № 3, გვ. 32—66.

* * *

### მთარგმნელები

**აგულიანი, ივანე:** პატარა კახი (დაუბეჭდავი), კინტო. კომედია (დაუბეჭდავი).

**ავჩიანი, სურენ:** სიმღერა, მუხამბაზი (რომ იცოდე ჩემი გულის დარდები), გაზაფხული (საპატარძლოდ მორთულია), ამირანი, მდიდარს ღარიბისაგან, პატარა კახი (დაუბეჭდავი), ნათელა (დაუბეჭდავი).

**ასატური, გიორგი** (გარდ.): ჩონგური, სხვადასხვაგვარი სიყვარული, ავადმყოფი, გაზაფხული (დღეს მერცხალი შემოფრინდა), ჭაღარა, ფუტკარი, პატარა კახი (ნაწყვეტი), გამზრდელი.

**ალავნი**: ზოგიერთების ლოცვა, ახალი გზა.

**ბაშინჯალიანი, გიორგი** (გარდ.): ციცინათელა, ჩემო თავო ბედი არ გიწერია, ლეგენდიდან „გოგია მეჩონგურე", გამოცვლილი დრო, მუშის ნატვრა, სულიკო, ნუ მეტრფი, წყეველა (ყველა სიტყვა-სიტყვითა).

**ბორიანი, გურგენ**: სალამური, ავადმყოფი, სიზმარი.

**გრიგორიანი, ვ.**: ხალხური, განთიადი.

**ვესპერი**: საიდუმლო ბარათი, იმერული ნანინა, ახალი წელი, ოცნება თარზე, მუშის ნატვრა, გულის პასუხი, ჩემი სახე, ტურფას.

**ზარიანი, ნაირი**: სიზმარი.

**თუმანიანი, ჰარუთიუნ**: იავ-ნანა, წყეველა, კინტო. კომედია (უკანასკნ. დაუბეჭდავი).

**ისაჰაკიანი, ავეტიქ**: აპელაციის მცოდნე, ქუთაისი, ავადმყოფი მგოსანი, ხატის წინ.

**კარაპეტიანი, იგანე**: გაზაფხული (დღეს მერცხალი შემოფრინდა), განთიადი, ყარიბი, სულიკო, გ. ნ. სუნდუკიანცს.

**კორიუნი, მკრტიჩ**: მუშური, ჩემო თავო ბედი არ გიწერია, ნაძალადებ საქორწილო (=თვითმპყრობელობას), ქართული პატრიოტობა.

**მელიქსეთ-ბეგი, ლეონ**: მეგობარს, გაბრიელ სუნდუკიანცის დამარხვის დღეს.

**მეჰრაბიანი, არშაკ**: გ. ნ. სუნდუკიანცს.

**მირიმანიანი, ჰარუთიუნ**: ბაში-აჩუკი.

**მურვალიანი, არმენაკ**: ჩემი თავგადასავალი (I ნაწილის II თავი).

**პოლოსიანი, ჰრიფსიმე**: იავ-ნანა, ნატვრა, სიყვარული.

**სარიანი, გელამ**: გ. ნ. სუნდუკიანცს.

**სიმონიანი, ვარდან**: აღმართ-აღმართ, გაზაფხული (დღეს მერცხალი შემოფრინდა), გორი, სულიკო, გურული ნანინა, ხანჯალს.

**ტარონცი, სოლომონ**: სიყვარული, გაუბედავი სიყვარული, პოეტის გული, სატრფოს.

**ტერიანი, ვაჰან** (გარდ.): კინტო. ლექსი.

**ფირუმიანი, გ.**: კინტო. კომედია (დაუბეჭდავი).

**წოვაკი, არმენ**: მუშის ნატვრა.

**ხერანიანი, მ.**: გლეხის აღსარება, უდარდო კაცი, აღარ გვაქვს გრძნობა, მუხამბაზი (ნახევარი ცხოვრების გზა გაველიე), სანამ ვიყავ ახალგაზრდა, ნუ მეტრფი, ძირს.

**ჰოვჰანნისიანი, ჰოვჰანნეს** (გარდ.): პოეტი.

ვლ. კახიანი

## უცხოელები საქართველოს შესახებ

(ანოტირებული ბიბლიოგრაფია)

Petzholdt, A. Der Kaukasus. Eine naturhistorische sowie land und volkswirtliche Studie (ausgeführt im jahre 1863 und 1864) von Alexander Petzholdt. Erster Band. Mit einer Ansicht von Tiflis und einigen Hohzschnitten. Leipzig. Verlag von Hermann Fries. 1866.

387,[s]5. (23×16).

საქართველო და ამიერ-კავკასია განხილულია სახალხო სამეურნეო ცხოვრების თვალსაზრისით. პირველი ტომის პირველ ნაწილში მოცემულია აღნიშნულ ქვეყნების წმინდა მეცნიერულ ოროგრაფიულ, პედროგრაფიულ, გეოლოგიურ, კლიმატიურ და ზოოგეოგრაფიული აღწერილობა. გზადაგზა ავტორი გვაწვდის ფრიად საყურადღებო ცნობებს წარსული საუკუნის 60 წლეების საქართველოს ეკონომიურ ცხოვრებიდან. ავტორს თავის შრომის შესრულებისათვის რამდენჯერმე უმოგზაურებია საქართველოში: 1) ასტრახან-თბილისში მოგზაურობა, 2) ვენა-ოდესა-ფოთი-თბილისი, 3) თბილისი-ფოთი-კონსტანტინოპოლი, 4) თბილისი-კავკავი, 5) თბილისი-წითელი წყარო-კოჯორი, 6) კახეთინუხა, 7) გუმბრი-თბილისი, 8) თბილისი-იმერეთი, 9) სამეგრელო-გურია, 10) ჩათახი-ბაშკიჩეთი და სხვა.

საქართველოს ბუნების და საწარმოო ძალების შესასწავლად უმუალო დაკვირვებისა გარდა ავტორს ფართოდ გამოუყენებია: კოხის, ვაგნერის, ბოდენშტაეტის, ჰაქსტაუზენის და სხვათა სპეციალური შრომები და გამოკვლევები ამ მიმართულებით. ავტორი საინტერესო ცნობებს გვაწვდის საქართველოს მთების გეოლოგიურ წყობაზე, მდინარეების სისტემაზე, მცენარეულის გავრცელების ხასიათზე გარკვეულ სიმაღლეების პირობებში და სხვა.

თვალსაჩინოობისათვის ხშირად მიმართავს ნახაზებს, რუკებს და სხვა, როგორც მაგ. პალიასტომის ტბისა და მისი მიდამოების რუკა, საქართველოს ტყის ნიადაგის შედგენილობის სურათი და სხვა. ავტორი საქართველოს სამეურნეო ცხოვრებაზედ იძლევა მნიშვნელოვან შენიშვნებს: მევენახეობა—კახეთში ღვინის პრიმიტიული დამზადების წესებზე, იმერეთის სოფლის მეურნეობასა, კერამიკულ მრეწველობაზე.

აღსანიშნავია ე. წ. რაჭის პრიმიტიული მეტალურგიული ქარხნის აღწერა, რომელსაც ავტორი არა მარტო ყურადღებით აღწერს, მის შესახებაც რამდენიმე სურათს გვაწვდის. პეტროლდის შრომას უსათუოდ დიდი მნიშვნელობა აქვს საქართველოს 19 საუკუნის შესწავლის საქმეში. ავტორს თავის შრომის შესრულებაში დახმარებია რუსეთის დიდი მთავარი მიხეილ ნიკოლოზის-ძე, მეფის

სატრაპთან ერთგვარი დამოკიდებულებას მისთვის „კეთილგონიერები“-ს თვალსაზრისით უკარნახებია თავის შრომაში ბოლომდე დაეცვა ლოიალური ტონი რუსეთის მეფის მთავრობისადმი. ავტორი საქართველოს, სომხეთს და სხვ. არასოდეს არ იხსენებს ისტორიულ პოლიტიკურ საზღვრებში, მისთვის მხოლოდ ეთნოგრაფიულ საქართველოს ცალკეული კუთხეები არსებობს.

* *
*

Petzholdt, A. Der Kaukasus. Eine naturhistorische sowie land und volkwirtliche Studie (ausgeführt im 1863 und 1864) von Alexander Petzholdt. Zweiter Band. Mit 44 Holzschnitten und einer orographische Karte. Leipzig. Verlag von Hermann Fries. 1867.

386,[s]5.(23×16).

მეორე ტომი სპეციალურად აგვიწერს საქართველოს და ამიერ-კავკასიის მკვიდრთ ერთის მხრივ, ამ ქვეყნების მეურნეობის ცალკეულ დარგებს, მეორის მხრივ. განხილულია: მიწის ნიადაგის დამუშავება, მორწყვა, გაპოხიერება; პურეული და მარცვლეული კულტურები, ენდროს, ბამბის, სელისა და თამბაქოს მეურნეობანი; მევენახეობა, მებამბეობა, მებოსტნეობა, მეაბრეშუმეობა, მეფუტკრეობა, მეცხოველეობა და კერძოდ ცხვრის, თხის, ხარის, ძროხის, კამეჩის, ვირის, ჯორის, აქლემის, ფუტკრის, აბრეშუმის ჭიის, შინაური ფრინველების და ღორის მოშენების საქმე. ეხება სოფლის მეურნეობის რაციონალურად მოწყობის საქმეს; სახიმუშო მამულის მოწყობას; მიმოსვლის საშუალებათა გაუმჯობესების ცდებს; ნედლეული მასალის და სამრეწველო საქონლის ექსპორტს და იმპორტს 1860—1865 წლ. და სხვადასხვა...

პეცოლდისათვის, რომელიც მეფის რუსეთისადმი ლოიალურად არის განწყობილი, არ არსებობს „საქართველოს“ ცნება პოლიტიკურ-ტერიტორიალური გაგებით. ის სცნობს მხოლოდ ეთნოგრაფიულ საქართველოს. „Georgier“-ს ავტორი საერთოდ ქართველის მნიშვნელობით იღებს. ცნება Grusier-ით მხოლოდ ქართლელ-კახელს აღნიშნავს. ქართველ ტომებად მას მიაჩნია: ქართლელ-კახელები (Grusiern), მეგრელები, იმერლები, გურულები, ხევსურები, თუშები, ფშაველები და სხვ. მან იცის, რომ ჭოროხის მხარეში თურქეთის საზღვრებში მცხოვრები ლაზები ქართველთა ტომს განეკუთვნებიან (გვ. 24). ის ცალკეულად იღებს ქართულ ტომებს და მათ განიხილავს, როგორც სოციალურ-ეკონომიურ, ისე ისტორიულ-კულტურულ თვალსაზრისით. საერთო ქართველთა რიცხვს ის 530 ათასამდე ვარაუდობს (იხსენებს სტებნიცკის, რომელსაც ეს რიცხვი 850.000 აჰყავს). ავტორს ქართველები ფიზიკურად მსოფლიოში ლამაზ ხალხთა წარმომადგენლებად მიაჩნია. ახასიათებს რა ფიზიკურ თვალსაზრისით ქართველებს, რამდენიმე შტოდ ანაწილებს: 1) ქართლ-კახელები, 2) იმერლები (ქართველთა დიდი მოდგმის მეორე შტო). Die Imeretier bilden einen anderen Zweig des grossen georgischen Volksstammes. ავტორს ჰგონია, რომ იმერულში იმდენი უცხო სიტყვებია შესული, რომ ქართლ-კახელს (Grusier) ძლიერ უძნელდება ან ხშირად საერთოდ ვერ გებულობს მოსაუბრე იმერლის წინადადებას (გვ. 42-ს სქოლიო), 3) მეგრელები ქართველთა მოდგმის

მესამე შტო ქართლ-კახელებისაგან კიდევ უფრო დაცილებულია ენობრივად, ვიდრე იმერლები (გვ. 53—58). გურულები ქართველ ტომთა შორის ულამაზესნი—ლაპარაკობენ განსაკუთრებულ ქართულ დიალექტზე, რომელიც მეგრულისაგან იმით განსხვავდება, რომ მასში ძლიერ ბევრი თურქული სიტყვებია შესული (Sic) (გვ. 59) და ა. შ.

ავტორი საქართველოში მცხოვრებ ნაცუმცირესობათ: ოსებს, აფხაზებს, სომხებს, გერმანელებს, ირანელებს, რუსებს, ლეკებს, ბოშებს და სხვა განიხილავს არა როგორც საქართველოში მცხოვრებთ, არამედ როგორც უშუალო რუსეთის ქვეშემრდომთ და მათ ეხება წმინდა ენობრივ ტომობრივ თვალსაზრისით. აფხაზებს განაკუთვნებს რა ჩერქეზთა მოდგმის ხალხს, მათი დახასიათებისათვის იყენებს ბოდენშტეტს, რომლის მიხედვით აფხაზები, ცალკეულად აღებულნი, მოკლებული არიან თვითმყოფელ დამოუკიდებელ ეროვნულ თავისებურებას (გვ. 21). ოსებს ის პოლიტიკურად და რიცხობრივად უმნიშვნელო ხალხს უწოდებს, მოჰყავს მოსაზრება მათი გერმანელებთან ნათესავობის შესახებ (გვ. 10—12) და სხვა...

ავტორი მთავარ ყურადღებას საქართველოს საწარმოო ძალების და საწარმოო ურთიერთობის შესწავლას აქცევს. დაკვირვებით და ცოდნით აგვიწერს საქართველოს კუთხეების მეურნეობას. ქართლ-კახურ გუთანს, კავის რამდენიმე სახეს—იმერულ, ქართლ-კახურ, მესხურ და რაჭულ კონსტრუქციისა; დაწვრილებით გვაცნობს, ამ ინვენტარის ცალკეულ დეტალებს, მის დადებით და უარყოფით მხარეებს; განსაკუთრებით მოსწონს ფრიად ორიგინალური კონსტრუქციის რაჭული კავები. ასევე აგვიწერს ფოცხის, თოხის, ბარის სხვადასხვა სახეებს; გვაწვდის მათს სურათებს, ნახაზებს, სადაც ყველა დეტალი დაკვირვებითაა განმარტებული (გვ. 122, 123, 125, 127, 129, 133, 134, 135, 136, 137 და სხვ.). აღსანიშნავია ავტორის შენიშვნა ქართულ სასოფლო-სამეურნეო ინვენტარის გავრცელების შესახებ ა/კავკასიის ქვეყნებს შორის. საქართველოს მეურნეობის ცალკეულ დარგების განხილვისას პეცოლდი ჩერდება საქართველოში ხელოსნობის კერამიკურ, მეტალურგიული მრეწველობის ხასიათზე, სატრანზიტო და სატრანსპორტო საშუალებებზე და სხვადასხვა...

ავტორი შეგნებულად გვერდს უვლის საქართველოს ისტორიულ, პოლიტიკურ და კულტურულ საკითხებს და მხოლოდ შენიშვნებით კმაყოფილდება. აღსანიშნავია მის მიერ გავლებული პარალელები ამერული და იმერულ ვოკალურ მუსიკის შორის. მის გაგებით იმ დროს, როცა ქართლ-კახელი მხოლოდ რაიმე განსაკუთრებულ გარემოების გამო მღერის თავის მონოტონურ ხმაზე, იმერელი დღე და ღამე მღერის თავის ლამაზ მელოდიურ სიმღერას. ამერული სიმღერა ხმამაღალ გამყივარი და მონოტონურია. იმერული კი—მრავალ-ხმიანი, ნაზი და მელოდიური. ავტორს არ მოსწონ ქართული ინსტრუმენტალური მუსიკა: დაფდაფი, საპიპინო და სხვა. საქართველოში უნდა იყო აღზრდილი, რომ ქართული მუსიკა მშვენივრად გეჩვენოსო (გვ. 40).

პეცოლდს ყურადღება მიუქცევია ქართულ სამოქალაქო ხუროთმოძღვრების თვისებურებაზე; განსაკუთრებით უნაწილებს ყურადღებას დასავლეთ საქართველოს საცხოვრებელ სახლების ნაგებობას, აივანის, მოაჯირების არჩი-

ტექტურულ გაფორმებას და სხვ. (გვ. 29, 46, 47 და სხვ.) პეცოლდის შრომა საუკეთესო მასალებს იძლევა 19 საუკ. 60-იან წლების საქართველოს სოციალ-ეკონომიურ ცხოვრების შესახებ.

* * *

Merzbacher, Gottfied. Aus den Hochregionen des Kaukasus. Wanderingen Erlebnisse, Beobachtungen von Gotfried Merzbacher. Erster Band. Mit 144 Abbildungen nach Photographien gezeichnet von E. T. Compton Ernst Platz u M. Z. Diemer und zwei Karten. Leipzig von Duncker und Humblot. 1901.

957 s. (25×15)

ავტორი თავის ვრცელ შრომაში მოგზაურ ალპინისტის თვალსაზრისით გადმოგვცემს თავის განცდებს, დაკვირვებს და შთაბეჭდილებას საქართველოს და კავკასიის შესახებ. ზოგადი ხასიათის შესავლის გაკეთების შემდეგ ის განიხილავს მოვლენებს შემდეგი თანმიმდევრობით: კავკასიის მაღალმთათა ოროგრაფია და ტექტონიკა, კავკასიის მთების გლეტჩერები, ჰიდროგრაფია, კავკასიის ალპების დანაწილება, კავკასიონსა და ალპების შორის პარალელი, სამოგზაურო პირობები და სამთოსელო შეჯურვილობანი, კავკასიის ალპების მოსახლეობის ეთნოგრაფიისათვის, კავკასიის მთათა გადაშლა, მიუნხენიდან—ბათომამდე, ბათომიდან—ქუთაისამდე, ქუთაისიდან—ყვირილამდე, სვანეთი და სვანები, ლატფარის გადასასვლელით ბუჩომდე, ცდა უშბაზე ასვლისა, ლაჰლაზე ასვლა, იალბუზზე ასვლა, ყაზბეგზე ასვლა და სხვ... მიუხედავად იმისა, რომ შრომა „კავკასიის მაღალი მთათა მწვერვალებიდან"-ის სახელწოდებას ატარებს წიგნის სამი მეოთხედი საქართველოს შესახებ ამბებს უჭირავს.

ავტორი საქართველოს აღნიშვნელ ცნებად „გეორგიენ" მიაჩნია. აღმოსავლეთ საქართველოს—„გრუზიენ"-ს უწოდებს, ქართველებს პირდაპირ ქართველ ხალხს (das Karthwelische) ხან კიდევ „ქართლის (kartalinische) ხალხს". ქართველ ტომებად ის ასახელებს: ჭანებს, მეგრელებს, იმერლებს, სვანებს, გურულებს, აჭარლებს, აღმ. ქართველებს (Grusiern), თუშ-ფშავ ხევსურებს, ინგილოელებს და სხვა. საკუთრივ სამცხე, ჯავახელებსა, არტაან ტაოკლარჯელებს და სხვათა შესახებ ის სდუმს.

ავტორი ეხება სიტყვა საქართველოს ეტიმოლოგიას, ძველ ქართველი ტომების იბერიელების, მოსინიკების, კოლხებისა და ალბანთა ურთიერთობას. ალბანეთი მას ქართველი მოდგმის ტომად მიაჩნია. წარსულში აღმ. ქართველები, მეგრელები, სვანები, ხევსურები და სხ. ძველ ქართულ ენაზე ლაპარაკობდენო, მაგრამ შემდეგ დიდი საქართველოს სახელმწიფოს დაშლამ და ქვეყნის სამეფო სამთავრებად დანაწილებამ, განცალკევებულმა საზოგადოებრივ-ეკონომიურ და გეოგრაფიულ ისტორიულმა პირობებმა მათ შორის ენობრივი და ფიზიკური სხვაობა შექმნაო (გვ. 167, 175).

მიუხედავად ამ განკერძოვებულ თავისებურებათა წარმოქმნისა ქართველი ხალხი დაახლოებით ერთნაირი ხასიათის და ბუნების მატარებელია. ქართულ ეროვნულ თვისებებს მკვეთრად პირველ რიგში ქართლ-კახელები გამოხატავენ, შემდეგ იმერლები, გურულები, თუშები, შემდეგ მეგრელები. კიდევ უფრო და-

შორებით ჰანები და სვანები (გვ. 178). ქართველთა დამახასიათებელი თავისებურება: გულწრფელობა, მხიარულება და მეგობრობა. რაინდული განწყობილება, საომარი მხედრული სული როგორც ძველად, ისე ახლაც მათი ნიშანდობლივი თვისებაა. ქართველი სტუმართმოყვარეა, პატივით ეპყრობა ქალს, უყვარს ღვინის სმა, მსუბუქი დროის გატარება. მათი ნაკლი—მეურნეობის გაძღოლის უცოდინარობა და ინტენსიური მუშაობის მიუჩვევლობაა (გვ. 178—181). ავტორს მოყავს სტრაბონისა და ვახუშტის აზრი ქართველთა ეროვნული თვისების შესახებ. მეტადრე სტრაბონის სიტყვები, რომლის მიხედვით ქართველი ხალხი დახასიათებულია როგორც ტანადი, ფრიად ლამაზი, გულალალი მეომარი, ვაჭრობასა და მეურნეობას კარგად მოწყობას მიუჩვეველი (გვ. 180). ავტორი აღტაცებულია ქართველ მამაკაცთა სილამაზით. ამ თემას ის მრავალგზის უბრუნდება და ყოველთვის მას უაღრესად მაღალ შეფასებას აძლევს. მისი აზრით მთელ მსოფლიოში არ არის ამაზე მოხდენილი და მშვენიერი მამაკაცები ვიდრე ქართველი მამაკაცებია (Eine andere Gemeinsamkeit der Kartwelischen Völker ist auffällise körperliche Schönheit der Männer, wie sie gleich ausgebildet und ebenso häufig, vohl unter keinem Volke der Erde mehr vorkommt (გვ. 181). ქართველთა უშუალო დაკვირვებისას ის ამბობს: „არასოდეს არ მინახავს ასეთი მრავალრიცხოვანი კრებული ნამდვილი მშვენიერი იმპოზანტური ტანადი მამაკაცებისა. (Niemals sah ich eine solch zalhreiche Ansammlung wirklich schöner imposanter Männergestalten (გვ. 295). სოფლებში მოგზაურობისას ანალოგიურ შენიშვნებს აკეთებს ქართველი გლეხების შესახებ (malerisch zerlumpte Praehtgestalten imeretischer Bauern... გვ. 312) ა. შ. ქართველი ქალების შესახებ ის ფრიად ორიგინალურ აზრს გამოთქვას. ქართველი ქალი, ამბობს ის, მთელს ევროპაში განთქმულია თავის სიმშვენიერით. მაგრამ ეს მოსაზრება რაოდენადმე გაუგებრობაა. მისი სახის ცალკეული ნაწილი არ არის ულამაზო, მაგრამ საერთოდ აღებული ის ვერ ტოვებს სანდომიან მიმზიდველ შთაბეჭდილებას. მისი გარინდებული, ცივი მარმარივით უსიცოცხლო, მკვეთრი სახის მოხაზულობაში ცოტაა სიტურფე და სინარნარე. ყველა ეს თვისებები მამაკაცური სილამაზის იერს ატარებს, ქალის სიმშვენიერეს კი დიდად ვნებს (გვ. 182). ის მრავალჯერ უბრუნდება ამ საგანს და დაახლოებით ერთსადაიმავე თვალსაზრისს ანვითარებს. მისი დაკვირვებით უცხოელებს თვალში ხვდებათ ქართველი ქალის დიდრონი შავი თვალები, ლამაზი წარბები, მაგრამ ამ მოკიაფე თვალებში არ მოსჩანს ვნება, ტემპერამენტი და სული. კვლავ იმეორებს 181 გვერდზე გამოთქმულ აზრს ქართველი ქალის არასინაზესა და მიუზიდველობის შესახებ (გვ. 275—276).

მას უნახავს მოხდენილი ქართველი ქალები, კლასიკური სიმეტრიული სახის მქონენი, მაგრამ კვლავ არასანდომიანი საკუთარ ინდივიდუალობას მოკლებულნი (Sic!).

ქართველთა ზოგადი დახასიათებასთან ერთად ის ცალკეულ ქართველ ტომთა თავისებურებასაც გვაცნობს. აღსანიშნავია ჰანთა და ინგილოელთა დახასიათება. ჰანებს ის ახასიათებს, როგორც შავი ზღვის სანაპირო ზონის მცხოვრებთ ქართველი მოდგმის ხალხს. ჰანები როგორც ქართველი ხალხის ინტეგრა-

ლური განუყოფელი ნაწილი მეგრულის მსგავს ენაზე ლაპარაკობენ, ნარევი თურქული სიტყვებით (...lediglich wegen ihrer Untrennbarkeit von der Gesamtheit des karthalinische Volkes sei hier erwähnt, dass ihre Sprache ziemlich grosse Ähnlichkeit mit der mingrelischen hat, wenn auch eine starke Beimischung türkischer Worte nachweisbar ist (გვ. 162). ჭანი მუსულმანია, ფიზიკურად წარმოსადეგი, ტანადი, ელეგანტური, თაედაჭერილი, ცოცხალი, მოძრავი ბუნების ადამიანი. მკვეთრი სახის მოხაზულობა მათ მკაცრს გამომეტყველებას ანიჭებს. ჭანთა საერთო რიცხვს ის ასიათასამდე ვარაუდობს.

ინგილოელების შესახებ ის ამბობს: ალაზნიდან აღმოსავლეთით ზაქათალის ოლქში სცხოვრობს დაახლოებით ათი ათასი ქართველი მუსულმანი ინგილოელებად წოდებულნი. ისინი როგორც პოლიტიკურ, ისე ლინგვისტურ და ეთნოგრაფიულ თვალსაზრისით აღმოსავლეთ ქართველებს განეკუთვნებიან. (Sowohl in politischer, wie in linguistischer und etnograpischer Hinsicht sind die Grusier als das Hauptvolk der kartwelischer Rasse anzusehen (გვ. 174). მიუხედავად ათასი წლის გამუდმებული გარეშემტრებთან ბრძოლებისა ინგილოელებმა მაინც შეინარჩუნეს საკუთარი ტიპი, ყოფაცხოვრება და ენა. უცხო დამპყრობელთა სასტიკმა ბატონობამ ვერ გასტეხა ამ ძველი ხალხის მტკიცე ინდივიდუალობა (Selbst die blutigste Gewaltherschaft fremder Eroberer hat die starke Individualität dieses uralten Volkes nicht zu brechen vermocht (გვ. 174). თანამედროვე საქართველოს სოციალ-ეკონომიურ მდგომარეობას ავტორი სუსტად იცნობს და გაკვრით შენიშვნით კმაყოფილდება ან სავსებით დუმილს არჩევს. სამაგიეროდ საქართველოს ისტორიულ, პოლიტიკურ და კულტურულ ცხოვრებაზე ის გზადაგზა თავის აზრებს გვაცნობს. მან იცის, რომ ქართველი ხალხი ძველი კულტურული ერია, მაგრამ არ შეიძლება ითქვას, რომ მას მაღალი აზრი ქონდეს მის კულტურულ წარსულზე.

ავტორი უარყოფს, რომ ოდესმე კავკასიელებს ყოლოდეს ხელოვნების გენია (Sic!) Die Kaukasier legten überaupt niemals kunsterliches Genie). მართალია ქართველები და სომხები მცირედით ამ მხრივ თითქოს გამოიყოფიან, მაგრამ მათი ხუროთმოძღვრება, ფულის მოჭრა და სხვა მაინც ბერძენთა, ბიზანტიელთა, არაბთა, ერანელთა გავლენას ატარებს (გვ. 160). მერცბახერს არც „ქართლის ცხოვრების“ ღირსება სწამს; მას ზღაპრების და ანაქრონიზმების ნარევს უწოდებს. (Die georgische Chronik ist vilfach ein Gemisch von Fabeln und anachronismen. Ibid). საქართველოს ისტორიაში ის განსაკუთრებით ჩერდება თამარის როლსა და მნიშვნელობაზე. თამარი მას მიაჩნია დიდი საქართველოს სახელმწიფოს შემქნელად. მის დროს ქვეყანამ პოლიტიკურად და კულტურულ-ეკონომიურად განვითარების უმაღლეს წერტილს მიაღწია. თამარის საქართველო მოიცავდა მთელი ამიერ-კავკასიის, ერანის და მცირე აზიის ნაწილებს. ამ დროს აყვავდა პოეზია, ხუროთმოძღვრება, მაგრამ ეს კულტურული განვითარება არ იყო თავისთავადი, არამედ ანარეკლი ბიზანტიური და ერანული კულტურის ტრადიციებისა. (Sic!). ქართველი ხალხისათვის ბიზანტია მთავარ სულიერ კულტურის ცენტრი იყო, სადაც ქართველი ახალგაზრდობა სისტემატიურად მიემგზავრებოდა ხელოვნების და მეცნიერების

დაუფლების მიზნით. ამ ძლიერმა ხელმწიფემ Dieser mächtigen Fürstin (გვ. 364) დიდი მემკვიდრეობა დასტოვა. ისე როგორც ერანში—ხოსროს; ეგვიპტეში—რამზეს, აზიაში—ალექსანდრე მაკედონელს ასე კავკასიაში თამარს მიეწერება ყოველი ღირსშესანიშნავი ისტორიული ძეგლები (ibid). ავტორის დაკვირვებით ქართველები უტყუარ ნიჭს, როგორც წარსულში ისე ამწყოში, პოეზიაში ამჟღავნებენ. ამ მხრივ შესანიშნავია მეთორმეტე საუკუნის ლიტერატურული ძეგლი შ. რუსთაველის—„ვეფხის ტყაოსანი". მოცემული თხზულება დიდი პოეტური აღმოფრენით აღსავსე, სახეებით მდიდარი, ღრმა აზროვანი პოემაა. შემოქმედებითი უნარი და თხრობის განვითარება მოწმობს მგოსნის უაღრესად მაღალ ნიჭზე. ავტორი მწუხარებას გამოსთქვამს, რომ ეს შესანიშნავი ძეგლი არ არის სათანადოთ შესწავლილი და კრიტიკულად დამუშავებული. არტურ ლაისტის თარგმანი ვრცელ პოემის შინაარსის მხოლოდ მოკლე ნაკრებია (Rekapitulation). ავტორი მაინც პატივით იხსენებს არტურ ლაისტს, რომელმაც ძველ მწერლებიდან შოთა რუსთაველი და ახალ ქართველ მწერალთა თხზულებანი გააცნო გერმანელ საზოგადოებრივობას (გვ. 179—180).

მერცხალერს კავკასიის ბუნებისა და ხალხების აღწერისას ხშირად მოყავს დამახასიათებელი ადგილები, როგორც ქართლის ცხოვრებიდან, ისე ქართველი პოეტთა თხზულებიდან (ვახუშტი ბატონიშვილი, ი. ჭავჭავაძე, ნ. ბარათაშვილი (გვ. 154, 160, 166, 779, II, 274, 336, 375, 416, 803, 924).

ავტორი, როგორც ალპინისტი ძლიერ დიდ ადგილს უთმობს სვანეთის (გვ. 349—529) და საზოგადოთ მთლიან საქართველოს ეთნოგრაფიულ-გეოგრაფიულ აღწერას; დაწვრილებით გვაცნობს სვანების მჭიდრო ნათესაურ კავშირს დანარჩენ ქართველ ტომებთან, მათ პრიმიტიულ სამეურნეო და საზოგადოებრივ ცხოვრებას, ზნეჩვეულებას, ადათწესებს. მას ჰგონია, რომ სვანებმა ხანგრძლივი განკერძოვებული ცხოვრების შედეგად საესებით დამოუკიდებელი კულტურა შეიმუშავეს. (Sic!) (Die swanetische Kultur keineswegs ein Kulturableger der grusinischen ist, sondern als letzere und unabhängig von ihr sich entwickelte. გვ. 362).

საქართველოს ნაცუმცირესობიდან ის ჩერდება აფხაზებსა და ოსებზე. აფხაზები მისი აზრით არ წარმოადგენენ ჩერქეზთა ტომს. ეს ენა საესებით დამოუკიდებელია. მართალია, მას ჩერქეზებთან ბევრი რამ აქვს საერთო ლექსიკურ ლინგისტურ თვალსაზრისით, მაგრამ ეს უბრალოდ უნდა აიხსნას, როგორც მეზობელი ხალხთა ურთიერთ ზემოქმედების შედეგი. მათ შორის დიდია, როგორც სომატური ისე ანტროპოლოგიური სხვაობა. მოყავს რა სათანადო არგუმენტაცია, ავტორი დამატებით შენიშნავს—აფხაზები შეუკავშირებელი და მტკიცე საზოგადოებრივი დისციპლინასა და ორგანიზაციას მოკლებული ხალხიაო. ჩერქეზი კი პირიქით მტკიცედ შეკავშირებული, საზოგადოებრივად ორგანიზებული რაინდი ხალხია (გვ. 185).

ავტორი ოსებს სიმპატიურად ახასიათებს, მათ ღირსშესანიშნავ ხალხს უწოდებს. მიუხედავათ კავკასიელთა დიდი ზეგავლენისა ისინი მაინც ინდოგერმანელ ენათა ჯგუფს უნდა განეკუთვნებოდენ (der indo germanische Sprachen zugeteilt werden muss (გვ. 200). ზნეჩვეულებებით, ჩაცმულობით მათ ბევრი

მსგავსება აქვთ გერმანელებთან (...mit germanischen... die mit solchen in deutschen Landen heimischen (გვ. 201 და სხვ.).

ანტიკური მწერლებზე დაყრდნობით ეძებს ოსთა ისტორიულ წარსულს. არჩევს ჰიპოტეზს, რომლის მიხედვით ოსებს ოდესღაც მთელ ჩრდილო კავკასია უნდა სჭეროდეთ და შემდეგ გარეშე მტერთა გამანადგურებელ შემოსევის გამო უნდა დასუსტებულიყვნენ და სხვა. მტრულად იხსენებს ქართულ მემატიანეთ და ვახუშტის შეხედულებას ოსთა შესახებ. ქართულ მატიანეს ზღაპრულს (die sagenhafte georgische Chronic, გვ. 198) უწოდებს, ვახუშტსაც აკრიტიკებს. ავტორი საქართველოს ეკონომიურ ცხოვრებას მცირე ადგილს უთმობს. ის ზოგადად აგვიწერს საქართველოს გზებს, ქალაქებს. სოხუმს, ფოთს ის უმნიშვნელო ქალაქებს უწოდებს. შედარებით მეტ ყურადღებას აქცევს ქ. ბათომს. ბათომი, გვაცნობს ის, რუსეთის ხელში გადავიდა რუსეთ-თურქეთის ომის შემდეგ. ბათომი ჩინებული ნავთსადგურია. მან დასცა ფოთის მნიშვნელობა, მას საკმაოდ გრძელი ისტორიაც აქვს. ჯერ კიდევ იმპერატორ ადრიანეს ეპოქაში ბათომი გადაქცეულ იქნა ძლიერ ნავთსადგურად. ბიზანტიელებმა და შემდეგ ირანელებმა ააგეს აქ ციხე-სიმაგრე. მე-16 საუკ. ბათომი თურქებმა დაიპყრეს და 1878 წლამდე მტკიცედ ეჭირათ ხელში. ბერლინის ტრაქტატის მიხედვით ის პორტო-ფრანკოდ გამოცხადდა. 1886 წელს რუსეთი აუქმებს ამ უფლებას და მას იმპერიის ჩვეულებრივ ქალაქად აცხადებს.

ასევე ჩერდება ქ. ქუთაისზე. ძველ კოლხიდის, შემდეგ იმერეთის, იმჟამად დასავლ. კავკასიის საგუბერნიო ცენტრი, ქუთაისი მისი აზრით ხანგრძლივი ისტორიის მატარებელია. მოჰყავს კლასიკურ-ანტიკურ მწერალთა შეხედულებები ამ ქალაქის შესახებ (გვ. 168), ეხება თურქთაგან ქალაქის ბარბაროსულად მრავალგზით მორბევის მომენტებს (1666 წ., 1692 წ. ა. შ.), ბაგრატის ძვირფასი ტაძრის დანგრევას და მისი სიმდიდრის მოტაცებას, თანამედროვე ქუთაისს როგორც წვრილ აზნაურობის და მიკიტნების ქალაქს. ავტორი ქუთაისიდგან ლეჩხუმ-სვანეთში მიემგზავრება. იქიდან ჩრდილოეთ-კავკასიაზე გავლით საქართველოს სამხედრო გზით შემოდის აღმოსავლეთ საქართველოში. ის ცდილობს მსოფლიოში ამ განთქმულ გზაზე თავისი აზრი გამოთქვას. მას აქვს ტენდენცია შეასუსტოს მისი მნიშვნელობა, როგორც ისტორიულ, ისე ზემოაღნიშნულ მომენტში. დარიალის ხეობაში გაელა ძლიერ ანცვიფრებს მისი აზრით რუსებს, რადგან ბარის ხალხს, რომელთაც არ უნახავს დიდი მთები, დარიალის უეცრად დანახვა წარუშლელ შთაბეჭდილებას ახდენს, რუსი მოგზაურების ზეგავლენის ქვეშ ვარდებიან უცხოელებიც და ამგვარად იქმნება ამ გზის ხეობის შესახებ გადაჭარბებული წარმოდგენა (Als Übertraibung muss es freilich bezeichnet werden (796). მოჰყავს ცნობა განთქმულ მხატვარ თეოდორ ჰორშელტისა, რომელიც ამბობს: მე ბევრი მთები მინახავს, მაგრამ არასოდეს ისე ბუმბერაზული, ისე უწესრიგოდ, დაზვინული მასივი ყოველ მცენარეულისაგან გაცვრცნილი ხრიოკი, როგორც დარიალი. ორი აზრი ან უკეთ ორი გრძნობა დამეუფლა ამ საოცარი ქაოსის ხილვისას... ეს მგლის ხევი, ჯერ არც ერთ თეატრს არ უნახავს. უსაზღვრო დიდება მას ვინც შექმნა ის...

დიდებულ ღმერთს ალბად ქვეყნის შექმნისას ხელიდან გაუსხლტა მასალა და შემდეგ უძლური აღმოჩნდა წესრიგში მოეყვანა იგი (გვ. 796). ავტორს დაუჯერებლად მიაჩნია, რომ ოდესმე დარიალი ხალხთა თავისუფალ მოძრაობის არენა ყოფილიყო. კლასიკური მწერლების მიერ მრავალი გზით მოხსენებულ Porta Caspia, P. Caukasica მას დარუბანდის გზად უფრო მიაჩნია ვიდრე საქართველოს სამხედრო გზად, რადგან სახიფათო, ძნელად სასიარულო და ზამთარში ჩაკეტილი გზა შეუძლებელია მისაზიდი გამხდარიყო ჩრდილოეთიდან სამხრეთით და პირიქით მომავალ ხალხებისათვის. ამის გამო დარიალის ხეობის მნიშვნელობას ის ადგილობრივი მნიშვნელობით საზღვრავს (გვ. 792—793). არკვევს რა საკითხს თუ დარიალის გადასასვლელის გამაგრებას როგორ ყურადღებას აქცევდნენ უცხოელი დამპყრობელები, ვახუშტი ბატონიშვილის ცნობას იმის შესახებ, რომ დარიალის სიმაგრე თავდაპირველად ქართველთა მეფე მირიანმა ააგო ოს-ხაზართა წინააღმდეგ მერცხახერი ეჭვით ხვდება. მისი აზრით დაუჯერებელია საქართველოს მეფეს სიმაგრე ასე შორს ჩრდილოეთით მტრის შუაგულ ქვეყნისაკენ გადაეწიოსო (Sic!) (Man darf iedoch mit Grund bezweifeln, dass die kartwelische Könige ihre Grenzbefestungen bis mitten in das Feindsland hinein vorgeschoben hätten). მერცხახერი ეთნოგრაფიულ საქართველოს ხედავს და მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში უძნელდება დაინახოს ეროვნულ კულტურულად გაერთიანებული საქართველო.

* * *

Merzbacher, G. Aus den Hochregionen des Kaukasus Wanderungen, Erlebnisse, Beobachtungen von Gottfied Merzbacher. Zweiter Band mit 102 Abbildungen nach Photographien gezeichnet von E. T. Compton, Ernst Platz, M. Z. Diemer und R. Beischreiter; mit einer Karte. Łeipzig. Verlag von Duncker und Humblot. 1901.

963 s. (25×15).

მეორე ტომში ავტორი გეოგრაფიულ ალპინისტურ თვალსაზრისით განიხილავს აღმოსავლეთ საქართველოს კავკასიონის მთათა მწვერვალებს, თებულოს, თუგოს, მყინვარს და სხვ., საერთო კავკასიონს მოხაზულობას, მის გეოლოგიურ წყობას. ამასთანავე ის აღნიშნულ მთათა გაყოლებით შეისწავლის ქართველი ტომების ყოფა-ცხოვრებას, მის საზოგადოებრივ ეკონომიურ მდგომარეობას.

ავტორს აღმოსავლეთ საქართველოს მთის ქართველების ეთნოგრაფია ცალკეულად აქვს გამოყოფილი. პირველ რიგში ის განიხილავს ხევსურებს. გარდა უშუალო დაკვირვებისა მერცხახერი აქ მარჯვეთ იყენებს რადეს და სხვ. შრომებს. ის აგვიწერს ხევსურთა მხარეს გეოგრაფიულ მოწყვეტილობას და კარჩაკეტილობას, ბუნებას, ადგილობრივ მკვიდრთ მოსახლეობას, ჩამორჩენილ ყოფაცხოვრებას, ეთნოგრაფიულ თვისებურებათ, სისხლის აღების ადათს, ქალთა უფლებასა და საზოგადოებრივი მდგომარეობას, მათ დამცირებას, რელიგიის ნახევრად ქრისტიანულ ნახევრად წარმართულ ხასიათს; ხატის მნიშვნელობას საერთო აღმ. მთის ქართველობისათვის და კერძოდ ხევსურებისათვის; არჩევს ხელისუფალთ: დეკანოზს, ხუცეს, ხევისბერს, ქადაგს, მესულთანეს და სხვ.,

ხალხის რელიგიურ წარმოდგენას ღმერთსა, ანგელოზსა, ეშმაკსა და ჭაჯის შესახებ. ხევსურის ხალხური წარმოდგენით საიქიოში გარდაცვლილთა სულების მოგზაურობას და სხვადასხვა.

მას ხევსურები ქართველ ტომის წარმომადგენლად მიაჩნია. მისი ენა—ძველ ქართულად, მაგრამ ამასთანავე ის დასძენს, თითქოს ხევსურები სომატურ ანთროპოლოგიურ თვალსაზრისით განსხვავებულ თვისებებს იჩენენ. ავტორმა იცის, რომ ისტორიულად ხევსურეთი ყოველთვის საქართველოს სახელმწიფოს შემადგენლობაში იყო და რომ ქართული სახელმწიფოებრივი პოლიტიკური ზეგავლენა ხევსურებზე დიდი იყო (გვ. 35, 36, 47, 48, 50, 58, 73, 84, 108 და სხვ.). ეხება რა ხევსურების და ქისტების ურთიერთ მტრობას, ავტორი ორ ხალხის ერთმანეთზე გადაკიდების მიზეზს რელიგიურ ფანატიზმში ეძებს. ავტორი უარყოფს მცდარ დებულებას, რომლის მიხედვით ქისტები ერთ დროს მუსულმან ქართველებად წარმოიდგინებოდნენ.

შემდეგ ის თუშეთზე გადადის. მოკლე გეოგრაფიულ აღწერის შემდეგ ის ეძებს მსგავსებას სვანეთსა და თუშეთს შორის. ეხება თუშეთის მოსახლეობის მთავარ საქმიანობას—მეჯოგეობას, თუშური საუკეთესო ჯიშის ცხენებისა და ცხვრების მოშენებას, მამაკაცთა ნახევრად მომთაბარულ ცხოვრებას. ავტორი არკვევს თუშურ დიალექტს, რელიგიას, მათს ყოფაცხოვრებას და საზოგადოებრივ ცხოვრებას. ის აქებს თუშთა სიმამაცეს და კეთილშობილებას, მათ გამბედაობას სამხედრო საქმეში. თუშთა დამსახურებას რუსეთის მიმართ მთიელთა დაბყრობაში. თუშის ტიპები მას ქართველებთან განსხვავებულად მიაჩნია. თუში ქალები, მსგავსად ხევსურ ქალებისა,—მონა, უფლება აყრილად.

თებულოს, თუგის და სხვა მთების და მდინარე იორის მიდამოების მოვლის დროს ის მრავალგზის უბრუნდება მთის ქართველების ყოფაცხოვრების აღწერას. საკმაოდ დაწვრილებით აგვიწერს ფშავს, ფშაველების საზოგადოებრივ-სამეურნეო ცხოვრებას, მეჯოგეობას, სახლკარს, ზნეჩვეულებას, რელიგიას. მერცხალი ხაზს უსვამს ფშავთა შეძლებულ ცხოვრებას. მაგრამ უსაყვედურებს მათ ცუდ სტუმართმასპინძლობას. ქართველ ტომებში ფშაველები ამ მხრივ თითქოს გამონაკლისს შეადგენენო.

ავტორს ქართველი ტომების დახასიათებისას ხშირად მოყავს ნაწყვეტები ქართული კლასიკოს მწერალთა თხზულებიდან (ბარათაშვილი, ჭავჭავაძე, ვაჟა-ფშაველა და სხვ.) არტ. ლაისტის ცნობილი გერმანული თარგმანის მიხედვით. წიგნი საესეა მთის ქართველ ტიპების ილუსტრაციებით. შესანიშნავი სურათებია: ხევსურები საომრად შეჭურვილნი (გვ. 48), არტოელი ხევსურები (გვ. 82), დართლოელი თუშები (გვ. 281), დართლოელი თუში ქალები (გვ. 285) და სხვ.

**ჩხაიძე, გრ.**—საგნობრივი კატალოგი, (შედგენის წესები და რუბრიკების ნუსხა). ი. ორჯონიკიძის რედაქციით.—თბ. ბიბლიოთეკათმცოდნეობისა და სარეკომენდაციო ბიბლიოგრაფიის რესპუბლიკური მეთოდური კაბინეტი. 1940.

ცნობილი ბიბლიოთეკონომი ბ. ბოდნარსკი ეხება რა საგნობრივ კ—გს, ასე ახასიათებს მას: „გადაჭარბებული არ იქნება ვთქვათ, რომ საბიბლიოგრაფიო და საბიბლიოთეკო სამუშაოთა წყებაში ყველაზე ძნელი საქმეა საგნობრივ მაჩვენებელთა და კატალოგთა შედგენა. ამავე დროს, არ მოიპოება ისეთი კულტურული მწიგნობარი, რომელიც უარყოფდეს საგნობრივ მაჩვენებელთა და კატალოგთა უაღრესს საჭიროებას". (Советская Библиография".—М. 1940. стр. 299).

იმავე საგანზე ამერიკელი ბიბლიოთეკარი ვ. ბიშოპი ასე ამბობს: „ყველა სახის კატალოგთაგან საგნობრივ კ-გის შედგენა უფრო ძნელია, ოღონდ, როცა კარგად არის იგი შედგენილი—მისით სარგებლობა ბევრად უფრო იოლია"-ო.

სწორედ ამ კ-გის სიძნელე და სირთულე უნდა იყოს მიზეზი, რომ რამდენიმე ათასი ბიბლიოთეკიდან, საქართველოში რომ არსებობს, მხოლოდ ექვსიოდ-შვიდიოდე ბ-კაში თუ მოიპოება ეს მეტად მნიშვნელოვანი და საჭირო კატალოგი. ასეთივე მდგომარეობაა ამ კ-გის თეორიის სფეროშიც. საბჭოთა ხელისუფლების დამყარების ოცი წლის მანძილზე ჩვენს ქვეყანაში საბიბლიოთეკო საქმესთან ერთად შეიქმნა და დიდად გაიზარდა ბიბლიოთეკონომიური ლიტერატურაც. ამჟამად სხვადასხვა საკითხზე არსებობს რამდენიმე ათეული მონოგრაფია და ასეული წერილი ჟურნალებსა და კრებულებში მოთავსებული. ზოგიერთი საკითხი წარმოდგენილია მთელი რიგი მონოგრაფიული შრომებით და წერილებით. ასეთებია: ბიბლიოგრაფიულ კლასიფიკაციის საკითხი, საბიბლიოთეკო მუშაობის დაგეგმვა. კატალოგრაფიული პრობლემები და სხვა მისთანები. ოღონდ, ამასვე ვერ ვიტყვით საგნობრივ კ-გზე, რომლის შესახებ დღემდე მხოლოდ ერთი წერილი და ერთი ბროშურა მოგვეპოება.

მართალია, არც ჩვენზე წინ წასული რუსული ლიტერატურაა ამ მხრივ სანატრელ მდგომარეობაში. ზემოხსენებული ბ. ბოდნარსკი ჩივის, რომ საგნობრივ კ-გზე დღემდე მხოლოდ 17 ცალკეული გამოცემა გვაქვსო (ამ რიცხვში ნაგულისხმევია საგნობრივ რუბრიკთა სიებიც) და, ამასთან, არც ერთ მათგანს არ შეუძლია პრეტენზია იქონიოს უნივერსალურ სახელმძღვანელოს როლზეო.

ჩვენში ამ საქმის დამწყები და ინიციატორი ამხ. ნიკო ლორთქიფანიძეა, რომელმაც 1934 წელს საქ. სახელმწიფო საჯარო ბ-კის „შრომების" № 1-ში მოათავსა ამ თემაზე წერილი სათაურით: „საგნობრივ კ-გის და ქართულ საგნობრივ რუბრიკთა კონსტრუქციის ძირითადი პრინციპები". ავტორი ამ წე-

რიელში განსაკუთრებით საგნობრივ რუბრიკთა გაფორმების საკითხს ეხება და ამ სფეროში ბევრი საყურადღებო და მოსწრებული აზრი გამოსთქვა.

ხუთმა წელმა განვლო ამ თემაზე მეორე ნაწარმოების გამოსვლამდე. ეს არის ამხ. შ. დოლაქიძის ბროშურა: „საგნობრივი კატალოგი".—ტფ. 1939. 37 კაბ. ბროშურის ავტორი საგნობრივ რუბრიკთა გაფორმების საკითხთან ერთად შეეცადა თეორიულად დაესაბუთებინა საგნობრივ კ-გის სპეციფიკა და მისი ადგილი კატალოგთა სისტემაში.

ამ ორი წერილის მიუხედავად საგნობრივ კ-გის პოპულარიზაციას, მის შენებას და გავრცელებას დიდად ხელს უშლიდა საგნობრივ რუბრიკთა ნუსხის უქონლობა, რომელიც საგნირების თვალსაჩინო ნიმუშად და სახელმძღვანელოდ უნდა ყოფილიყო პრაქტიკულ მუშაკთათვის.

აღნიშნულ ხარვეზის მოგვარების ცდას წარმოადგენს ზემოთ აღნიშნული ამხ. გრ. ჩხაიძის „საგნობრივი კატალოგი".

წიგნის დადებითს მხარეს ის გარემოება წარმოადგენს, რომ შიგ მოცემული რუბრიკთა ნუსხა შედგენილია ცოცხალ წიგნობრივ მასალის საფუძველზე. ავტორი, ამ მხრივ, არ გაჰყვა მოსკოვის ანალოგიურ გამოცემების მაგალითს, რომელთაც თავისი რუბრიკთა ნუსხა უმეტესად ამერიკულ რუბრიკთა ნუსხის თარგმანით შეავსეს. ამის გარდა, ჩხაიძის რუბრიკთა რეპერტუარი არ არის შეზღუდული მხოლოდ ქართული ლიტერატურის რეპერტუარით და მთლიანად დამყარებულია ქუთაისის სახელმწიფო საჯარო ბ-კისა და ქუთაისის პედინსტიტუტის ბ-კის წიგნობრივ ფონდების მთლიან შედგენილობაზე და, როგორც თვით ავტორი აღნიშნავს, მას პირველს ხვდა წილად რუსული წიგნადი ფონდის ქართული რუბრიკაცია. ეს ფაქტი უეჭველად აღსანიშნავია, ვინაიდან ნამდვილად ქუთაისს ეკუთვნის ინიციატივა ენის განურჩევლად მთელი ფონდის ქართული რუბრიკაცია, იმ დროს როცა თბილისის ბიბლიოთეკებში საგნობრივი რუბრიკაცია შეზღუდულია ან მხოლოდ ქართულ წიგნების რეპერტუარით, ან ქართულ და უცხოურით.

ავტორი და სარეცენზიო წიგნის გამომშვები ბიბლიოთეკონომიის რესპუბლიკური კაბინეტი კარგს ინებებდნენ, რომ ქუთაისის წიგნობრივ რეპერტუარისათვის თბილისის რუბრიკთა რეპერტუარიც დაერთოთ, რაც რუბრიკთა ნუსხას დიდად გაამდიდრებდა. ეს მით უმეტეს იყო საჭირო, რომ ჩხაიძის რუბრიკთა რეპერტუარში არ არის ახალხული ლიტერატურა გამოსული 1937 წელს აქეთ, ხოლო 1940 წელს გამოსულ წიგნისათვის კი ეს შესაძლებელიც იყო და აუცილებელიც.

საერთოდ, მათ ვინც უკვე მუშაობს საგნობრივ კ-გზე ან მისი შემოღების განზრახვა აქვთ, მასთან რუსული ლიტერატურით სარგებლობის შესაძლებლობა არა აქვთ, ჩვენ ვურჩევდით სამივე ზემოხსენებულ ავტორით (ლორთქიფანიძე, დოლაქიძე, ჩხაიძე) სარგებლობას, ვინაიდან ისინი ერთი მეორეს ავსებენ. ამიტომ არის, რომ ჩვენ საჭიროდ ვცანით ზოგჯერ ამ სამივე ავტორის აზრის შედარება, განსაკუთრებით ე. წ. სადაო დებულებათა განხილვის დროს.

რუბრიკთა ნუსხას ამხ. ჩხაიძემ წარუმძღვარა მოკლე, მარა შინაარსიანი შესავალი, სადაც ავტორი იძლევა საგნირების პრინციპებს. ეხება რა საგნობრივ

კ-გის გენეზისს, იგი ამბობს: „გენეტიკურად საგნობრივი სისტემატურ კ-გის კორექტივი და მოპირდაპირეაო... სისტემატურ კ-გის ზოგიერთმა მტკივნეულმა მხარემ წარმოშვა საგნობრივი კ-გი, რომლის ხანმოკლე ისტორია სავსეა ცხოველი და უკიდურესობამდე მისული დისკუსიით". (კ. ხ). როგორც ცნობილია ამ დისკუსიამ სამი ჯგუფი წარმოშვა: 1) ისინი ვინც სისტემატურ კ-გს აღიარებს და საგნობრივს უარყოფს, 2) ვინც, პირიქით, საგნობრივს აღიარებს, და სისტემატურს უარყოფს და 3) ვინც ორივე კ-გის არსებობას გულისხმობს. ამხ. ჩხაიძე, როგორც ჩანს, უკანასკნელ პოზიციაზე დგას. ახასიათებს რა სისტემატურ და საგნობრივ კატალოგებს ავტორი დასძენს: „ამ კატალოგებს თვითეულს თავისი დამოუკიდებელი მიზანი, ამოცანები და მეთოდები აქვს: მათი დაპირისპირება მეთოდოლოგიური შეცდომაა. (ხაზი ყველგან ჩვენია. ი. ც.). არ შეიძლება კითხვის დასმა რომელი რომელს სჯობნის. შეცდომაა ერთის ხარჯზე მეორის არსებობა. ყოველ კარგად მოწყობილ ბიბლიოთეკას ორივე კატალოგი თანაბრად ესაჭიროება".

სრული ჭეშმარიტებაა რომ ერთს ორი კ-გი აჯობებს, მარა, უკეთუ ბ-კას არ ძალუძს რეალურ კ-გის ორივე სახეობა იქონიოს, ამხ. ჩხაიძე ამაზე პასუხს არ იძლევა. არ ვიცით აგრეთვე ავტორის აზრი ამერიკის იმ ბიბლიოთეკების შესახებ, სადაც მხოლოდ საგნობრივი ან ლექსიკონური კატალოგია ხმარებაში და სისტემატიზაცია კი გამოყენებულია მხოლოდ წიგნთა თაროზე გაწყობაში.

ამხ. ჩხაიძე ეხება რა ზოგიერთ სადავო საკითხებს, როგორიც არის: „განზოგადოების", „ინვერსიის" და სხვა მაგვარი საკითხები, რუბრიკაციის პრინციპად აღიარებს საგნის უაღრესს კონკრეტიზაციას. ოღონდ, ისეთ შემთხვევაში, როცა ბ-კაში ამათუიმ საგნის ლიტერატურა არ იკომპლექტება და წარმოდგენილია ორიოდე ნაწარმოებით, მას კატალოგში საგნის განზოგადოება დასაშვებად მიაჩნია. ასეთი განზოგადოება თუმცა კ-გის პრინციპის დარღვევაა,—სწერს ავტორი,—მაგრამ პრაქტიკულ მოსაზრებით იგი ხშირად მიზანშეწონილია, რათა აცილებულ იქნეს საგნობრივი კ-გის ერთ, ან ორბარათოვან გამყოფთა კატალოგად გადაქცევა".

ამგვარად ამხ. ჩხაიძის დებულება განსხვავდება ამხ. შ. დოლაქიძის პოზიციისაგან, რომლის მიხედვით „საგნობრივი კ-გი უეჭველად უნდა ებრძოდეს ასეთ მოვლენას და კურსი კონკრეტულ რუბრიკებზე აიღოსო" (დოლაქიძე, შ.— საგნობრივი კატალოგი. კაბ. 14) და უახლოვდება ამხ. ნ. ლორთქიფანიძის დებულებას, სადაც ნათქვამია, რომ „ნაწილობრივი განზოგადოება დასაშვები უნდა იყოს, როგორც მცირე მასობრივ ბიბლიოთეკებში, ასევე სპეციალურ ბიბლიოთეკებში არა სპეციალურ საკითხებზე". (ლორთქიფანიძე, ნ.—ზემოხსენებული წერილი. კაბ. 187). არ შეიძლება ამ უკანასკნელ დებულებას არ დავეთანხმოთ, ოღონდ, ასეთ განზოგადოებას იშვიათად უნდა მივმართოთ ხოლმე. სულ სხვაა, თუ ბ-კაში სისტემატური კ-გი არ არის შემოღებული და ბ-კა საგნობრივ კ-გის ამარაა. ასეთ შემთხვევაში „განზოგადოება" უფრო დიდი მასშტაბით უნდა იქნეს დაკანონებული.

რაც შეეხება ინვერსიის საკითხს ამხ. ჩხაიძით „იგი პრინციპულად დასაგმობია, ვინაიდან, როგორც ავტორი განმარტავს, იგი მოითხოვს სათანადო მითითების დაწერას და შრომის, დროის და მასალის ორმაგ ხარჯს. ამასთან, ინვერსია ენის დამახინჯებას იწვევს და მკითხველსაც ბევრ დროს ართმევსო. ავტორის ეს დებულება ძირითადად მართებულია, ოღონდ, მისი ასი პროცენტით გატარება კ-გში მაინც მიზანშეუწონელია და აქაც არ შეიძლება არ დავეთანხმოთ ამხ. ნ. ლორთქიფანიძეს, რომელსაც ასეთი შესწორება შეაქვს: ინვერსია დასაშვებია, როგორც გამონაკლისი ასეთ შემთხვევაში, როდესაც მეორე ან შემდეგი სიტყვა (უმეტესად სახელი არსებითი) იხმარება შემოკლებული ფორმით (უმეტესად უზედსართავოდ) (კაბ. 188).

ეს გამონაკლისი, ჩვენის აზრით, უნდა გამოვიყენოთ განსაკუთრებით მაშინ, როცა საქმე გვაქვს ისეთ ცნებებთან, რომელნიც იწყება ეთნოგრაფიულ ზედსართაით. ასე მაგალითად: სარეცენზიო წიგნში ჩვენ ვნახულობთ რუბრიკთა ასეთ ნუსხას: ქართული ეკლესია, ქართული ენა, ქართული თამაშობანი, ქართული თეატრი, ისტორიოგრაფია, ლექსთწყობა, ქართული ლიტერატურა, მუსიკა, მხატვრობა, ნუმიზმატიკა, პალეოგრაფია, პუბლიცისტიკა, სამართალი, ფილოლოგია, ფოლკლორი, ხელოვნება, ხუროთმოძღვრება, ჰაგიოგრაფია.

რათქმაუნდა, რუბრიკთა ამგვარი სია ამით არ ამოიწურება. მას შეიძლება მრავალი სხვაც დაემატოს. მაგ.: ქართული დიალექტები, ქართული ზნე-ჩვეულებანი, ქართული ზღაპრები, ქართული ფილოსოფია, ქართული ჰერალდიკა და სხვა. ამგვარად, კარტოთეკაში სიტყვა „ქართულ“-ზე ისე ბევრი აღწერილობა დაგროვდება, რომ, უეჭველად, გააძნელებს საჭირო ლიტერატურის დაძებნას.

მაშასადამე ეთნოგრაფიული ზედსართავი უნდა დაიწეროს რუბრიკის პირველ სიტყვად, როდესაც რუბრიკი ენას ან ლიტერატურას შეეხება. სხვა შემთხვევებში კი ეთნოგრაფიული აღმნიშვნელი უმჯობესია მეორე სიტყვად წავიდეს. ამგვარად უნდა ყოფილიყო: თეატრი ქართული, მუსიკა ქართული, ნუმიზმატიკა ქართული, პალეოგრაფია ქართული და სხვა, ვინაიდან [აღნიშნულ მაგალითებში აქცენტი საგანზეა და არა ეთნოგრაფიულ აღმნიშვნელზე.

ცხოვრება რომ ძირითად წესიდან ასეთ გამოხაკლისებს მოითხოვს ამას ადასტურებს თვით სარეცენზიო წიგნის ზოგი მაგალითი, რომელნიც უეჭველად ინვერსიად უნდა იქნენ მიჩნეულნი. სახეში გვაქვს თუნდაც ისეთი რუბრიკები, როგორიც არის: „ესპანეთში მოგზაურობა“, „კავკასიაში მოგზაურობა“ და სხვა მისთანები. ნაცვლად „მოგზაურობა ესპანეთში“ და „მოგზაურობა კავკასიაში“, რომელნიც ქართული ენის უფრო ბუნებრივ ფორმას წარმოადგენენ, ან „ბიოლოგია პოპულარული“, „ბოტანიკა პოპულარული“, „გეოლოგია პოპულარული“, „ფსიქოლოგია პოპულარული“, ნაცვლად „პოპულარული ბიოლოგია“, „პოპულარული ბოტანიკა,“ „პოპულარული გეოლოგია“ და „პოპულარული ფსიქოლოგია“-სი.

დაბოლოს ინვერსიის საკითხი ბიბლიოთეკაში არსებულ კ-გთა სისტემაზედაც არის დამოკიდებული. რა ადგილი უკავია საგნობრივ კ-გს ამ სისტემაში? სისტემატურ კ-გის დამატებად არის იგი მიჩნეული თუ დამოუკიდებელ

კატალოგად? პირველ შემთხვევაში ინვერსია უარყოფილ უნდა იქნეს, იმ გამონაკლისით, რომელზედაც ზემოთ ითქვა, ხოლო მეორეში დასაშვები.

საგნობრივ კ-გის ერთერთ სადაო საკითხად აგრეთვე გეოგრაფიულ აღმნიშვნელთა ხმარებაც უნდა ჩაითვალოს. ქართულ სპეციალურ ლიტერატურაში დღემდე, ამ მხრივ, საკითხისადმი ერთგვარი მიდგომა სუფევდა, რომელიც ვ. ბიშოპის დებულებიდან მომდინარეობს.

ბიშოპი კი ამას ამბობს: „ისტორიულ მეცნიერებათა გამოკლებით, წიგნისადმი მთავარი ინტერესი მასში აღძრულ საკითხში მდგომარეობს და არა ადგილში... ვიტყვი უფრო ზუსტად: ტეხასის გეოლოგიის შესახებ წიგნს ნუ მიაკუთვნებთ ტეხასს, არამედ ტეხასი გეოლოგიის ქვერუბრიკად აიღეთო". ასეთსავე პოზიციაზე დგას ამხ. ნ. ლორთქიფანიძეც, როდესაც ის ამბობს, რომ „გეოგრაფიული აღმნიშვნელი", როგორც რუბრიკი იხმარება იმ სახის ლიტერატურის მიმართ, რომელშიაც მოცემულია ადგილის მთლიანი აღწერილობა ან გეოგრაფიული, ან ისტორიული, ან სოციოგრაფიული. როდესაც წიგნი შეეხება ამათუიმ კუთხის გარკვეულ საგანს, მაშინ პირველ სიტყვად თვით საგანი წავაო" (კაბ. 189). ანალოგიურია ამხ. დოლაქიძის პოზიციაც. მას კონკრეტულად აქვს ჩამოთვლილი ის საკითხები, რომლის რუბრიკად ქვეყანა ან ადგილი უნდა იყოს. ესენია: „ისტორია, გეოგრაფია, კონსტიტუცია, საგარეო ურთიერთობანი, სამხედრო ძალები, სამხედრო მეურნეობა მთლიანად, სახელმწიფო მასშტაბით აღებული და მისთ. მაგრამ ესათუის კერძო საკითხი ტერიტორიის ქვერუბრიკად ვერ გამოდგებაო". (კაბ. 16).

ამხ. ჩხაიძე არღვევს, როგორც უკვე ზემოთ ითქვა, ჩვენში დამკვიდრებულ ტრადიციას და გეოგრაფიულ აღმნიშვნელს უმძღვარებს ბევრ კონკრეტულ და კერძო ხასიათის საგნებს. ასე მაგ.:

| მას აქვს | | უნდა ყოფილიყო | |
|---|---|---|---|
| სსრკ | ვაჭრობა | ვაჭრობა | სსრკ-ში |
| კავკასიის | ეთნოგრაფია | ეთნოგრაფია | კავკასიისა |
| კავკასიის | არქეოლოგია | არქეოლოგია | კავკასიისა |
| კავკასიის | გეოლოგია | გეოლოგია | კავკასიისა |
| კავკასიის | კლიმატი | კლიმატი | კავკასიისა |
| კავკასიის | კურორტები | კურორტები | კავკასიისა |
| კავკასიის | ფაუნა | ფაუნა | კავკასიისა |
| კავკასიის | ფლორა | ფლორა | კავკასიისა |

რომ ამხ. ჩხაიძის პოზიცია ამ საკითხში რამდენიმედ მერყეევია ამას ადასტურებს თუნდაც ასეთი რუბრიკები, მის ნუსხაში რომ გვხვდება: „მრეწველობა ამერიკაში", „შინამრეწველობა ევროპაში", „სოფლის მეურნეობა სსრკ", „სოფლის მეურნეობა საქართველოში" და სხვა.

არ ვიცი რას მიეწერება, დაუდევრობას თუ კორექტურას, როდესაც „წარმგზავნ" მითითების (ავტორის ტერმინოლოგიით: „სინონიმურ" მითითების) მა-

გიერ მრავალ შემთხვევაში ნახმარია „ბამადი“ მითითება (ავტორის ტერმინოლოგიით: „ნაწილობრივი“). მაგალითად:

ათწილადი კლასიფიკაცია ნ. აგრ. დეციმალური კლასიფიკაცია.
გზაყამირები ნ. აგრ. ყამირგზები.
ინტერნაციონალი I ნ. აგრ. პირველი ინტერნაციონალი.
ლაზური ენა ნ. აგრ. ჭანური ენა.
ნავთსადგური ნ. აგრ. პორტი და სხვა მისთ.

ან კიდევ ასეთი მითითებანი: „გადამდები სნეულებანი ნ. აგრ. „ინფექციური სნეულებანი“ და „ეპიდემიოლოგია ნ. აგრ. ინფექციური სნეულებანი“. გამოდის რომ ამ სახის ლიტერატურა სამ ადგილას უნდა იყოს გაფანტული. რათქმაუნდა, ავტორი ასე არა ფიქრობს, მარა გამოუცდელი მოსარგებლე ამ წიგნისა შესაძლებელია ამ გზას დაადგეს.

ისეთ გამოცემაში, როგორიც არის წინამდებარე „რუბრიკთა ნუსხა“ უბრალო კორექტურულ შეცდომას შესაძლოა დიდი გაუგებრობა მოჰყვეს. ყოველ შემთხვევაში ასეთი შეცდომები ბოლოში მაინც უნდა ყოფილიყო აღნიშნული.

ბამად მითითებათა (ავტორის ტერმინოლოგიით: „ნაწილობრივ“ მითითებათა) განმარტების დროს, ავტორი ამბობს: „ნაწილობრივი (ე. ი. ბამადი) მითითება ორგვარია: 1) გვარეობითი რუბრიკიდან ყველა უახლოეს სახეობითი რუბრიკზე და 2) ერთერთ სახეობითი რუბრიკზე“ (კაბ. 14).

გამოდის რომ გვარეობითი რუბრიკიდან უნდა გაკეთდეს მითითება ან ყველა სახეობითი რუბრიკისაკენ ან მხოლოდ ერთისაკენ. მართლაც „რუბრიკთა რეპერტუარში“ ასეთ მითითებას ვხვდებით: „კულტურის ისტორია ნ. აგრ. ტექნიკის ისტორია“. რატომ მხოლოდ „ტექნიკის ისტორია?“ ამას გამოუცდელ მკითხველში ხომ შეუძლიან გაუგებრობა გამოიწვიოს. მკითხველის ორიენტაციისათვის ჯობდა მითითების ობიექტი მეტი ყოფილიყო (მაგ.: იხ. აგრ. ხელოვნება. სახალხო განათლება, მეცნიერება და სხვა მისთ.)

ამგვარად. საჭიროა რაღაც საშუალო გეზის გამოძებნა. არც ის ვარგა რომ გვარეობით რუბრიკიდან კეთდებოდეს ყველა უახლოეს სახეობით რუბრიკზე და მხოლოდ ერთ სახეობის რუბრიკზე მითითებაც ბევრჯერ საკმარისი არაა.

აღსანიშნავია, რომ ავტორს, რომელსაც პრინციპული ხასიათის დებულებანი, მეტ შემთხვევაში, ძირითადად სწორად აქვს განმარტებული—რუბრიკთა ნუსხაში ადგილი აქვს დებულების საწინააღმდეგო მაგალითებს. ავტორი, სამართლიანად, უპირატესობას საერთაშორისო სიტყვა-ტერმინებს აძლევს, ხოლო რუბრიკთა რეპერტუარში კი ასეთ მაგალითებს ვხედავთ: „აგრონომია ნ. სოფლის მეურნეობა“, „საბიბლიოთეკო საქმე ნ. ბიბლიოთეკათმცოდნეობა“ (ნაცვლად ბიბლიოთეკონომიისა), „რელატივობის თეორია ნ. ფარდობითობის თეორია“ და სხვა.

ამხ. ჩხაიძის განმარტებით: „თუ რუბრიკი სპეციფიკაციას არ მოითხოვს დატა არ აღინიშნებაო“ (კ. 17). და მართლაც ნუსხაში ვხვდებით ასეთ რუბრიკებს: „იელისის მონარქია“, „შვიდწლიანი ომი“, „მარნის ბრძოლა“, „რუსეთ-

იაპონიის ომი“ და სხვა, სადაც თარიღი არსად არის ნაჩვენები. ჩვენ ამას ვერ დავეთანხმებით, ვინაიდან მხედველობიდან არ უნდა გამოგვრჩეს, რომ საგნობრივი კ-გი საცნობარო მუშაობის მთავარი წყაროა და, მაშასადამე, რუბრიკი რაც უფრო ზუსტი და სრულია, მით უმჯობესია.

ქართული ენის ასო „ს“-ანით დამძიმების გამო ავტორი სამართლიანად გვირჩევს: „როცა რუბრიკის ორგვარი ფორმულირება შეიძლება, უნდა ვისარგებლოთ სინონიმური მითითებით და „ს“-ანზე არ დავსაგნოთო“. და მოჰყავს მაგალითები: „სატყეო ტაქსაცია ნ. ხე-ტყის ტაქსაცია“ (ჯობდა „ტყის ტაქსაცია“, რადგან „ხე-ტყე“ მასალაზე ითქმის), „საპარაშუტო სპორტი ნ. პარაშუტიზმი“ და ამის გვერდზე აქვს: „სატუსაღო ნ. საპატიმრო“, როცა შეიძლებოდა: „სატუსაღო ნ. დილეგი“ და „საპატიმრო ნ. დილეგი“.

წიგნში გაპარულია სხვა ლაფსუსებიც. სწერია: აფხაზეთის ენა, აფხაზური მაგიერ, რომის ლიტერატურის ისტორია და რომის სამართალი, რომაული ლიტერატურის ისტორიისა და რომაული სამართალის მაგიერ და სხვა.

ჩვენ არ ვიზიარებთ ავტორის ზოგიერთ ტერმინსაც, როგორიც არის: „სინონიმური მითითება“ (რუბრიკის განზოგადოების დროს. მაგ.: „პროპელერი იხ. თვიფრანი“ სინონიმთან ხომ არა გვაქვს საქმე), „ნაწილობრივი მითითება“, „ბარათი“ და სხვა მისთ. მარა ვინაიდან განზრახვა გვაქვს საბიბლიოლოგიო ტერმინების საკითხს ცალკე წერილი ვუძღვნათ, აქ ამის შესახებ არას ვიტყვით. აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ მითითებათა სისტემაში „იხილე“ ტერმინი სჯობს „ნახე“ ტერმინს, რომელიც ასო „ნ“-არით აღინიშნება ხოლმე, რის გამო ზოგჯერ გაუგებრობას აქვს ხოლმე ადგილი. ამას ადასტურებს ამხ. ჩხაიძისავე „რუბრიკთა ნუსხის“ ერთერთი მაგალითი: „ულიანოვი, ვ. ნ. ლენინი, ვ. ი.“. ამგვარად ასო „ნ“ ზოგ შემთხვევაში ინიციალად გვეჩვენება. ამასვე ადასტურებს ამხ. დოლაქიძის ხსენებულ წიგნში მოტანილი მაგალითი: „რაზიკაშვილი, ლ. ნ. ვაჟაფშაველა“, „ლენინი, ნ. ნ. ლენინი, ვ. ი.“

ჩვენი დასკვნა ასეთია: ამხ. გრ. ჩხაიძის წიგნი, ზემოხსენებულ მითითებათა მიუხედავად, რაიც პირველ გამოცემისათვის თითქმის აუცილებელია, როგორც პირველი ცდა მრავალი ღირსებით არის შემკობილი, პრინციპული დებულებანი მოტანილია მეტწილად სწორად. განმარტებანი მართებული და ლაკონიურია, რუბრიკების მეტი წილი წესიერად არის გაფორმებული და მცირე მასშტაბის ბიბლიოთეკებს, უეჭველად, დიდ დახმარებას გაუწევს, თუ საგნირების დროს აცილებული იქნება ზოგიერთი ნაკლი, ზევით აღნიშნული. რაც შეეხება დიდ ბიბლიოთეკებს, წიგნის „რუბრიკთა რეპერტუარი“ მათთვის არ არის საკმაოდ ვრცელი და მდიდარი, რაც, თავისთავად ნაგულისხმევია, მეორე გამოცემაში უნდა გამოსწორდეს და რაც უფრო მალე ვიხილავთ მას, მით უფრო მოგებული იქნება ჩვენი საბიბლიოთეკო საქმე.

ЬЬՈ 20 ՅՅЬ.

Ş 656
1941

# БИБЛИОГРАФИИС МОАМБЗ

**2-3**

(Вестник библиографии)

ТБИЛИСИ
ГОС. КНИЖНАЯ ПАЛАТА ГРУЗИНСКОЙ ССР
1941